...ართველო ... ლლო და თ... ...ოგ ჩასმ...

№39 (665) 23–29 სექტემბერი ფასი 1,50 ლარი

www.tbili...elebi.ge



# როგორ აქცევს „ობობა“ დათო გომართელს „მონსერატ კაბალიედ“ და რა საოცრებებს გეგმავს ის GDS-ზე

გვ. 70

გვ. 14

## ვის ხვდებოდა ინგა გრიგოლია საკუთარ სახლში საიდუმლოდ და რაში ამზადებდა მას ფინანსთა მინისტრი

GDS

ახალი თაობის ტელევიზია

გვ. 18

## როგორ შეაყვარა თავი ტარიელ სუარმა ია ფარულავას და გაჰყვება თუ არა ქართველი დივა ახალ სიყვარულს ევროპაში

ISSN 1987-569X



## რას ხვდება ქალში ერთი შეხედვით ავთანდილ ცქვიტინიძე და როგორ აბალანსებს ის ურთიერთობას ლიდერ ცოლთან

გვ. 19



გვ. 22

## ვინ აჩუქა ავტომობილი ქრისტინე ძიძიგურს და რა გამოცდა ჩააბარა მან დედას წარმატებულად



## რა ხდება მარიტა ჯანაშიასა და ჯეჯი გომელაურს შორის და როგორ შეხვდნენ მარიტას არჩევანს ოჯახის წევრები

გვ. 75



გვ. 74

## რა ძვირფასი საჩუქარი გაუკეთა რუსეთის ყველაზე ტიტულოვან ძიუდოისტ ქალს რუსეთის ძიუდოს ფედერაციამ და როგორ გახდა რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი თეა დონღუზაშვილი

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# რეპროარტი

ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა

# კლინიკა „რეპროარტი“ – უშვილობის მკურნალობის ამერიკული ხარისხი

*ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა „რეპროარტის“ ძირითადი მიმართულებაა ყველა ტიპის უშვილობის კვლევა და მკურნალობა, მათ შორის, ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდით. „რეპროარტის“ დამფუძნებელი და დირექტორია ემბრიოლოგი ლიკა ჭყონია, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება აქვს და არც ახლა გაუწყვეტია საქმიანი კონტაქტი თავის ამერიკელ კოლეგებთან: კლინიკა „რეპროარტის“ თანამშრომელია ამერიკელი ემბრიოლოგი დევიდ მაკალა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ინ ვიტრო კლინიკების ხარისხის კონტროლის ექსპერტი და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ინ ვიტრო განაყოფიერების კლინიკის კონსულტანტია. შესაბამისად, ქართულ-ამერიკული კლინიკა „რეპროარტი“ პაციენტებს უშვილობის მკურნალობის ამერიკულ ხარისხსა და შედეგს სთავაზობს. კლინიკის დაფუძნებიდან უკვე ერთი წელი გავიდა, შედეგმა კი მოლოდინს გადააჭარბა, უფრო დაწვრილებით ამ თემაზე კლინიკის დირექტორი ქალბატონი ლიკა ჭყონია გვესაუბრება.*

**– კმაყოფილი ხართ იმ შედეგით, რასაც ამ ერთი წლის განმავლობაში მიაღწიეთ?**

– ამ ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ: როგორც პაციენტების მკურნალობისა და დაბადებული ბავშვების რაოდენობის მხრივ, ისე, ჩვენი პროფესიონალიზმის ამაღლების კუთხითაც. როგორც სპეციალისტები მუდმივად უნდა ვიზრდებოდეთ, რომ საუკეთესო შედეგი მივიღოთ და რაც შეიძლება, უკეთ მოვემსახუროთ ჩვენს პაციენტებს. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, როდესაც საკუთარი კლინიკის დაფუძნება გადავწყვიტე. მოგეხსენებათ, როგორ სწრაფად ვრცელდება ხმა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამიტომაც პაციენტები გვყავს არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ მთელი მსოფლიოდან. უნდა გითხრათ, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში დაგეგმილზე მეტი შევძელით, უფრო მეტი პოტენციალი აღმოგვაჩნდა. ის ლამაზი შენობა, რომელშიც ჩვენ ვმუშაობთ, აღარ გვყოფნის და ვაპირებთ გაფართოებას, ბუნებრივია, შევინარჩუნებთ იმ




კომფორტს, რაც პაციენტებისთვის აქ გვაქვს შექმნილი.

**– კლინიკის უცხოელი პაციენტების გეოგრაფია როგორია?**

– ჩვენი ახლო მეზობელი ქვეყნებიდან: თურქეთი, ირანი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ასევე, შორეული ქვეყნებიდან: ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ისრაელი, ევროპის თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩამოდიან პაციენტები. ჩვენთვის უმთავრესია ხარისხის კონტროლი, ოღონდ არ იფიქროთ, რომ ამაში მხოლოდ თანამედროვე აპარატურას ვგულისხმობ – კლინიკა აღჭურვილია ამ სფეროში არსებული საუკეთესო აპარატურით – არამედ, ცოდნის მუდმივ განახლებას, ახალი მეთოდიკების დანერგვას. მუდმივად ვიღებთ მონაწილეობას სიმპოზიუმებსა და კონგრესებში. რეპროდუქციულ მედიცინაში ორი მნიშვნელოვანი კონგრესია: აშშ-ს რეპროდუქციული მედიცინის ასოციაციის კონგრესი (ASRM) და ადამიანის რეპროდუქციისა და ემბრიოლოგიის ასოციაციის კონგრესი (ESHRE). მაგალითად, ოქტომბერში მივდივართ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ჩვენი ნაშრომი მიღებულია პრეზენტაციისათვის.

**– კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს, გარდა ინ ვინტრო განაყოფიერებით მკურნალობისა, რა მომსახურებებს სთავაზობთ პაციენტებს?**

– ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტებია: მამაკაცის უშვილობა, ჩვეული ანუ მრავალჯერადი თვითნებითი აბორტის მკურნალობა. ვმკურნალობთ ყველანაირ გინეკოლოგიურ დაავადებას, ასევე, ვაგვარებთ ანდროლოგიურ, ანუ მამაკაცის პრობლემებს, ნებისმიერი სახის ენდოკრინოლოგიურ დარღვევას, გვყავს მამოლოგი, ტარდება ლაბორატორიული დიაგნოსტიკის სრული სპექტრი – როგორც სისხლის საერთო და ბიოქიმიური, ასევე ჰორმონალური ანალიზები. რაც მთავარია, ჩვენს კლინიკაში ტარდება ყველანაირი აცრები. ჩვენი მეთოდიკები თანამედროვე, ძალიან დახვეწილი და წარმატებულია. რაც მთავარია, პაციენტებისადმი გვაქვს ინდივიდუალური მიდგომა, რაც გვეხმარება წარმატებული შედეგის მიღებაში. ბუნებრივია, პაციენტთა ანონიმურობა დაცულია.

ვმუშაობთ კვირაში 7 დღეს, თუ პაციენტს დასჭირდა, 24 საათის განმავლობაშიც, მაგრამ სასურველია, წინასწარი ჩაწერა. ასევე, პაციენტებს შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ სოციალურ ქსელ „ფეისბუქით“: საძიებელ ველში ქართულად ჩაწერეთ „რეპროარტი“.

***კლინიკა „რეპროარტის“ მისამართია: თბილისი, თარხნიშვილის №17***
***ტელ: 2 515-909, 2 946-069.***


## საფინანსო კომპანია „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“

გთავაზობთ: ავტოლომბარდს ყველაზე დაბალი პროცენტით, ადგილზე გადაფორმებითა და დაზღვევით 5 წუთში; ასევე, ერთდღიან საექსკურსიო ტურებს კომფორტული ავტობუსებით, საქართველოს ტერიტორიაზე ახლადაღმოჩენილი, ეგვიპტის პირამიდების დროინდელი ყორღანების დასათვალიერებლად, ორჯერადი კვებით. ტურის ღირებულება ჯდება 60 ლარი. ჩვენს კომპანიას გააჩნია 12 კომფორტული ავტობუსი. შეგვიძლია, მოგემსახუროთ საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე, იაფად და ხარისხიანად.

გარდა ამისა, საფინანსო კომპანია „საქართველო“ უკვე მე-6 წელია, თქვენი საიმედო პარტნიორია, რომელიც მოსახლეობისგან იღებს სესხებს წლიური 30-პროცენტიანი სარგებლით.



მისამართი: აღმაშენებლის გამზირი №151
ტელ: * 18 18

# პირველი „Samsung Note 3" – უკვე საქართველოშია

ინოვაციური ტექნოლოგიის ფლაგმანის – „Samsung Galaxy Note 3-ის" პირველი ეგზემპლარი უკვე საქართველოშია. მედიის წარმომადგენლებისთვის ტექნოლოგიური შედევრის პრეზენტაცია Samsung-ის მენეჯმენტმა თბილისში, ბრენდის მაღაზიაში, ჭავჭავაძის N48-ში, 17 სექტემბერს გამართა.

კომპანიის ინფორმაციით, „Samsung Galaxy Note 3-ის" სადემონსტრაციო მოდელის დათვალიერება, ფუნქციების გაცნობა და წინასწარი შეკვეთა მომხმარებელს 17 სექტემბრიდან შეუძლია, ხოლო ოფიციალურად გასაყიდად „Samsung Galaxy Note 3" 27 სექტემბრიდან შემოვა.

ახალი ფლაგმანი მოდელის – „Samsung Galaxy Note 3-ის" პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინ ბერლინში მოეწყო. კომპანიის მენეჯმენტში აცხადებენ, რომ აღნიშნული მოდელი მძლავრია, მდიდარია თავისი შესაძლებლობებით და შესაბამისად, საკმაოდ ძვირად ღირებულია.

როგორც Samsung-ის მობილური და IT მოწყობილობების გაყიდვების მენეჯერი საქართველოში – შოთა ლურსმანაშვილი აცხადებს, Samsung მომხმარებელს წინასწარი შეკვეთის შესაძლებლობას სთავაზობს. ყველა, ვინც 17-დან 26 სექტემბრის ჩათვლით „Samsung Galaxy Note 3-ის" წინასწარ შეკვეთას განახორციელებს, მიიღებს:




* 100-პროცენტიანი ფასდაკლების ბარათს „Samsung Galaxy Note 3-ის" 150 ლარის ღირებულების აქსესუარზე. აღნიშნული აქსესუარი – S-View Cover – არის განახლებული, მრავალფუნქციური და უფრო დახვეწილი, რითაც ძალზედ აადვილებს და უფრო მოსახერხებელს ხდის სმარტფონის მოხმარებას.

* რაც მთავარია, მომხმარებელი დასაჩუქრდება 50-პროცენტიანი ფასდაკლების ბარათით 599 ლარის ღირებულების „Galaxy Note 3-ის" ინოვაციური საათის ტიპის „Galaxy Gear" აქსესუარ-ით, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელი შეძლებს: ზარის განხორციელებას, ფოტო და ვიდეოგადაღებას, ელექტრონული ფოსტის შემოწმებას, sms შეტყობინების წაკითხვას და ასე შემდეგ. „ბარათის" მისაღებად საჭიროა, მომხმარებელმა განათავსოს წინასწარი შეკვეთა „Galaxy Note 3-ზე".

„Galaxy Note 3" – მსოფლიო სმარტფონების ბაზრის ახალი ფლაგმანია. ის ყველაზე მძლავრი სმარტფონია და აღჭურვილია მრავალი ინოვაციური ფუნქციით, რაც ამარტივებს სმარტფონის გამოყენებას. შესანიშნავი ეკრანი და შეუდარებელი S pen – „Note 3-ის" ყველა მომხმარებელს მოხიბლავს," - აცხადებს შოთა ლურსმანაშვილი.

საქართველოში Samsung-ის პირველი ოფიციალური მაღაზია აგვისტოში გაიხსნა. კომპანია Samsung 1938 წელს შეიქმნა და, დღესდღეობით, ელექტროტექნიკის მწარმოებელი უდიდესი კომპანიაა.

## სარჩევი

როგორ გადაინაწილეს რუსმა ოკუპანტებმა და ოსმა სეპარატისტებმა ცხინვალის რეგიონი და სად აპირებენ „სახელმწიფო საზღვრის" გავლებას რუსეთსა და „იუჟნაია ოსეტიას" შორის ........ 6

აზა დავითაშვილი – ნათელმხილველი, ვის შესახებაც თბილისში ლეგენდები სამი ათეული წლის წინ შეიქმნა ........ 7

რატომ იზიდავთ ქართველ მამაკაცებს სლავი ქალები, რა პრეტენზიებს უყენებენ ქართველ ქალებს და რატომ რჩებათ ცოლისადმი მხოლოდ მეგობრული გრძნობები ........ 8

რა სამეწარმეო საქმიანობას ეწევა განათლების მინისტრის მეუღლე და რატომ ჯაბნის მას ხელფასის ოდენობით ჩინოვნიკი ცოლი ........ 9

როგორ ახერხებენ ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ღარიბ ქვეყანაში ყოველწლიურად რამდენიმე ათეულმილიონიანი მოგების მიღებას ........ 10

რა ურთიერთობა ჰქონდა სირიელ ინტელექტუალებთან პრეზიდენტ ბაშარ ასადს ლონდონში ყოფნის დროს და რა პლაკატები გააკრეს სირიელმა „ზომბებმა" დამასკოში ........ 12

რატომ აყადაღებს სასამართლო დიმიტრი რიბოლოვლევის ქონებას და რამდენ მილიარდს ითხოვს ქმრისგან მისი ყოფილი ცოლი ........ 13

ადვოკატი გირჩევთ ........ 16

რატომ მეღავნდება ცოლის ღალატზე გაცილებით სწრაფად ქმრის ღალატი ........ 20

როგორ დაეხმარა ქალი ქმარს რუსეთში მცხოვრები 8 წლის შვილის მოძებნაში და რა სიხარული ეწვია მანავში მცხოვრებ 47 წლის კაცს ........ 21

ვისი მიბაძვით დაიწყეს ქალის ფეხსაცმლიდან ღვინის სმა თბილისელმა კინტოებმა და რა ლექსი მიუძღვნა მათ რაფიელ ერისთავმა ........ 23

რატომ არ უნდა უთხრას სასულიერო პირმა მრევლს ჯვარდაუწერლობის გამო ზიარებაზე უარი და რა გადაცდომებს უშვებენ სასულიერო პირები ........ 24

ჩვენი დროის სასწაული ........ 25

რა თემებზე არ უყვარს საუბარი „რეალის" ვარსკვლავ გარეთ ბეილს და რა უცნაური სახელი დაარქვა მან თავის შვილს ........ 26

ექიმის რჩევები ........ 29

როგორ მოხვდა „ბურთი და მოედანი" ბროდვეიზე და როგორ იგინებოდა გუგული მგელაძის თვალწინ ლენინი ........ 30

იცავს თუ არა ოჯახს დანგრევისგან ცოლ-ქმრის ერთიანი ველი და როგორ წარმოიქმნება ის........ 32

ვინ არის მთავარი მოძალადე და ბოროტმოქმედი ჰოლივუდში და რომელ ფილმებში აქვს შესრულებული მას დასამახსოვრებელი როლები........ 34

რა მეთოდებით დაოჰყავდა მდგომარეობიდან სტალინს ტროცკი და როგორ აშვებინებდა მას შეცდომებს ........ 35

როგორ ხდება სამყაროდან საჭირო და უხილავი ინფორმაციის მიღება თმის ღერის მეშვეობით ........ 36

კოსმეტოლოგის რჩევები ........ 47

როგორ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს კანონიერი ქურდები, რაც საშინელი ტრაგედიით დასრულდა ........ 48

ვეტერინარის რჩევები ........ 56

ფლორის სამყაროში ........ 56

სიდედრის დამქრელ სიძეს 1 წელი პატიმრობა, ხოლო სიდედრს – 17 წელი პატიმრობა მიუსაჯეს ........ 57

ქურდული ცხოვრება ........ 58

სერიული მანიაკები ........ 66

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# „ჩხვლეტა ქოლგით“

## „დანამა, დანამა, დანამა...“

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარ-ემ თავდაპირველად იმით დაამახსოვრა თავი საზოგადოებას, რომ ბათუმის ბულვარზე (სადაც, სპეცტექნიკის გარდა, ავტომანქანით გადაადგილება აკრძალულია) ავტოთი გასრიალდა, მოგვიანებით კი მისი ის ფოტოებიც გავრცელდა, სადაც მისი დაცვის წევრს ქოლგა უჭირავს, რომ ბ-ნი ბერიძე არ დაინამოს.

თუმცა, მეორე მხრივ, ავტონომიელი მაღალჩინოსანი თავს „დამნაშავედ“ არც ერთ ეპიზოდში არ მიიჩნევს და თავის არგუმენტებსაც გვაცნობს. ბულვარზე ავტოთი გასეირნების ფაქტს იმით ხსნის, რომ VIP პერსონაა და, ეკუთვნის, სადაც უნდა და როგორითაც მოესურვება, ისეთი ტრანსპორტით მივიდეს.

ქოლგიან ეპიზოდს კი შემდგენაირად ახასიათებს (მოვიხმობ ციტატას მისი ინტერვიუდან): „როგორც ჩანს, თქვენ არ იცით ბათუმელების სულისკვეთება, აქ ქოლგა არის ცხოვრების ატრიბუტი. ახლა, როცა მანქანით ვმგზავრობ, თითქმის აღარ მიწევს ქოლგის გამოყენება, მაგრამ, როცა მიდიხარ კონფერენციაზე, წვიმიანი ამინდია და მანქანა გაჩერდა 100 მეტრში, ამოლუმპული ხომ არ შეხვალ დასასწრებად (მერე და, თვითონ დაიკავე, დალოცვილო, ქოლგა!)?!“

ჰოდა, რაკი ვერ შევა, ბ-ნი ბერიძე ასკვნის, რომ, თუ ხელები დაკავებული აქვს, ქოლგას ვერ დაიჭერს (აი, მესმის ლოგიკა!), და მერე რა, რომ არც ერთ ფოტოზე არ აქვს დაკავებული ხელები.

მეტიც, გაოცებული კითხულობს: „რაა ამაში გასაკვირი, რომ თქვენზე ასაკით უმცროსმა დაიკავოს ქოლგა?“

ამთავითვე აშკარაა, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე არ დაუტოვებს შთამომავლობას „გალობანი სინანულისანნ“ (ცხადია, ამ დანაკლისს ვაჟკაცურად გადავიტანთ), თუმცა, მაინც უპასუხოდ რჩება კითხვა: თანამდებობა ჩამოერთმევა, თუ ორიოდ ნაბიჯს საკუთარი ორთავ ფეხით გაივლის, ან, ქოლგას, ასევე, საკუთარი ორთავ ხელით ჩაეჭიდება?! ხოლო, თუ უფრო პოეტურად ვიტყვით: პატივს ხედავს, მაგრამ, აი, პატიჟისა არ ეშინის.

# ადეკვატური გამტაცებლები

## დამაიმედებელი კრიმინალი

გასული კვირა არა მხოლოდ არარსებულ



ბომბთა ცვენით იყო დასამახსოვრებელი, არამედ, ისეც მოხდა, რომ, ოფიციალური ინფორმაციით, გურჯაანის რაიონში ახალგაზრდა მამაკაციც გაიტაცეს.

სამართალდამცველებს, ბომბისგან განსხვავებით, ორი გამტაცებელი დაუკავებიათ (განსხვავებით-მეთქი, ვინაიდან, რეალურ ბომბს ჯერჯერობით ვერსად მივაკვლიეთ და ნურც მიგვიკვლევია). გატაცებულის ვერსიით, უცნობებს ის მოტყუებით ჩაუსვამთ მანქანაში და მთელი დღის განმავლობაში დაუტყვევებიათ, თუმცა, მას მოუხერხებია და დღის ბოლოს თავი გამოუხსნია.

გამტაცებლები, არც მეტი, არც ნაკლები, გატაცებულის გასათავისუფლებლად 300 ლარს ითხოვდნენ და თუმცა ამ ტიპის დანაშაულისთვის (გამოსასყიდი გინდა 300 იყოს, გნებავთ, 300 000), თუ დაუმტკიცდათ, თავისუფლების აღკვეთა მთელი 10 წლით ემუქრებათ, ყველაზე საინტერესო მაინც გამოსასყიდის საფასურია. საინტერესოა, რადგან, გამტაცებელთა მადა ქვეყანაში არსებული სიდუხჭირის ადეკვატურია და, თუნდაც, ხავსსმოჭიდებული წყალწაღებულის პრინციპით, დამაიმედებელი (რაღაცაში მაინც თუ ვყოფილვართ ადეკვატურები).

# აღმართმოხნულები VS ასთვალგამოსხმულები

## ანუ, „ყველაფერს ვხედავთ“

მართალია, ყვითელი სამარშრუტო ტაქსების მძღოლები კვლავ ჩივიან, მეპატრონისთვის ჩასათვლელი ყოველდღიური გადასახადი არაადეკვატურიაო, ხოლო მგზავრებს კვლავაც არ ეპიტნავებათ 80-თეთრიანი ტარიფი, მაგრამ, რაკი ძალა აღმართს ხნავს, ერთნიცა და მეორენიც მორჩილად იქცევიან.



ამიტომაც, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, „თბილისის მიკროავტობუსში“ ასი თვალისა და ყურის გამოსხმა განიზრახეს. სახელდობრ, კომპანიის ხელმძღვანელს უბრძანებია, რომ ყვითელ სამარშრუტო ტაქსებში ვიდეოკამერების დამონტაჟებას აპირებენ. სხვათა შორის, როგორც თავად განმარტავენ, ფრიად კეთილშობილური მიზნით – მგზავრთა ნაკადის დასათვლელად, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაადგინონ, რამდენი უნდა იყოს მძღოლთა დღიური გადასახადი.

ზედაც, ირწმუნებიან, რომ ვიდეოკამერები მხოლოდ იმ სამარშრუტო ტაქსებში დამონტაჟდება, რომელთა მძღოლებიც გადასახადის სიძვირეს უჩივიან, ხოლო „პრობლემის აღმოფხვრის შემდეგ“ კამერებს ჩამოხსნიან.

თუ გავიხსენებთ, რომ მომხმარებელი დასუფთავების გადასახდელის სიძვირესაც უჩივის, იმედია, ვიდეოკამერებით არც ფეხსალაგებს აღჭურვავენ – დაბინძურების ხარისხის ადეკვატური სურათის დასადგენად.


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




განყოფილებები

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუწუნიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „შენი იყო, ახლა ჩემია“

## უდროოდ შეწუხებული

ცნობილი ფაქტია, რომ **სასამართლო რეფორმით, დემოკრატიულობითა და დამოუკიდებლობით ფრიად ამაყობდნენ „ნაციონალები“** (და მერე რა, რომ მოსაახლეობის დიდი ნაწილი სხვაგვარად ფიქრობდა?!), მაგრამ, **ხანი გამოხდა და, თუმცა მოსამართლეთა კორპუსი არ შეცვლილა** („დიდი მწვანე ველისა“ არ იყოს, „ისევ ისე მენახირეები“ არიან), **იგინივეთ „თვალი აეხილათ“ და ახლა უკვე მიკერძოებულ სამართალზე ალაპარაკდნენ.**



სულ ბოლოს **ამგვარი განცხადება კახეთის ყოფილმა გუბერნატორმა**, მანამდე კი ჯანდაცვის მინისტრმა ბ-ნმა **ჭიაბერაშვილმა გააკეთა**. ამ უკანასკნელს პროკურატურამ ბრალი წაუყენა „დასაქმების პროგრამაში“ ფულის, მარტივად რომ ვთქვათ, „მოტეხვაში“.

ბუნებრივია, **ნაგუბერნატორალი ბრალს არ აღიარებს,** მეტიც, **მიიჩნევს, რომ ჩინ-მენდლებიც ეკუთვნის ეგზომ კეთილი საქმის ქმნისთვის**. მომყავს ციტატა: **„ნორმალური ხელისუფლების პირობებში ეს პროგრამა დანაშაულს არ უნდა წარმოადგენდეს, თუმცა, ამ ხელისფლების პირობებში არაფერი უნდა გაგიკვირდეს** (პოეტური პათოსით: კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდესო...).“

**რაკი სასამართლოს ვერდიქტი ჯერ არ გამოუტანია**, ბუნებრივია, გადაჭრით ვერც **ჩვენ ვიტყვით ვერაფერს**, თუმცა, თუ მოარულ ხმებს გავიხსენებთ, თუ **რა ნიშნით საქმდებოდნენ იმ ავადსახსენებელ „დასაქმების პროგრამაში“,** წესით, **ნორმალურ ხელისუფლებას ამგვარი პროგრამა საერთოდაც არ უნდა წამოეწყო.**

ასეა თუ ისე, უნდა დაველოდოთ, ბოლოს და ბოლოს, **სამართალი ჭამს პურს,** თუ **უკვე ნაჭამებს ტკბილად შეერგებათ.** მანამდე კი **თავად** ბ-ნი **ჭიაბერაშვილი ელის**, რომ (მომყავს ციტატა): **„თუკი სასამართლო დამოუკიდებელი იქნება, რისიც მე ამ ქალაქში** („ამ ქალაქში“ ქუთაისი იგულისხმება) **არ მჯერა, მოსამართლემ უნდა გაგვამართლოს.“** მეტიც, მან თავისი ვერდიქტიც გამოიტანა და დაადგინა, რომ **„ქუთაისის სასამართლოში მოსამართლეებს დაბალი დონე აქვთ.“**

თუ გავიხსენებთ, რომ ეს ის ქუთაისის სასამართლოა, რომლის რეფორმირებითაც, ასევე, ამაყობდა თავის დროზე ბ-ნი **ჭიაბერაშვილი,** გამოდის, რომ **ან მაშინ თვალთმაქცობდა, ან – ახლა**, რადგან, **მარტივი ლოგიკაა: ის, რაც დამოუკიდებელი არ იყო, დამოუკიდებლობას ვერ დაკარგავდა.**

# მგრგვინავი ბარიტონი

## „სადაც შენი დაიკვეხნო“, ანუ, ისევ ჩანგალზე

ადრეც მოგახსენებდით, რომ, **უცნობ მიზეზთა გამო, განსაკუთრებით ხშირად მოიხმარენ** (მართლაცდა რომ **სიგრძე-სიგანით)** **ყოფილი ხელისუფლების აწ მოქმედი ჩინოვნიკნი სოციალურ სქელებს**. გამონაკლისი **არც** პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ბ-ნი **ბარნოვია, რომელიც სულ ბოლოს სოციალური ქსელით დიცში მომხდარ მოვლენებს გამოეხმაურა.**



რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, **იგი უბნობს, რომ „მხოლოდ ბრიუსელსა და ჟენევაში ნაზი ხმით წარმოებული მოლაპარაკებების იმედად ყოფნა არ შეიძლება“.** უცნაურია, რადგან, გაუგებარი დარჩა: ადმინისტრაციის ხელმძღვანელს **ჟენევისა და ბრიუსელის მოლაპარაკებების დონე არ აკმაყოფილებს,** თუ, **დისკომფორტს „ნაზი ხმა“ უქმნის** (რაც მართალია, მართალია, ცოტა თუ დაიკვეხნის მგრგვინავი ბარიტონით და, საერთოდაც, ეს „ნდობის ტელეფონია“ თუ მოლაპარაკებები?!)?

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მოუწოდებს შსს-ს (გთავაზობთ ამონარიდს): „შესაძლოა“ არა, ბატონებო, **უნდა გააძლიეროთ და, მხოლოდ პატრულირება კი არ უნდა გააძლიეროთ, არამედ მოსახლეობა რეალურად უნდა დაიცვათ**.“

სამწუხაროდ, **აღარ დაუკონკრეტებია დაცვის მეთოდები**: ვითომ, **იმ მეთოდს სთავაზობს, ომის დროს იმდროინდელმა ადმინისტრაციამ რომ გამოასწრო მოსახლეობას?!** თუმცა, ისიცაა, რომ **ყოფილთა ხმაში აშკარა გამამაცების ნოტები შეიმჩნევა,** ხოლო, **რადგან მას შემდეგ, რაც თავად აღარ „უკვეთენ მუსიკას“,** კიდევ ერთხელ **დასტურდება გაცვეთილი ჭეშმარიტება**, **რომ სხვა მხოლოდ სხვის ომშია ბრძენი.**

მოკლედ, **მხდალია თუ მამაცი**, ბ-ნი **ბარნოვი** მოგვიწოდებს (ჩვენ რა, **ხელისუფლებას მოუწოდებს**): **„თქვენი მოდუნებულობისა და მშიშარა მთავრობის გამოა, რომ რუსები ამდენს ბედავენ**.“ ლოგიკა, რბილად რომ ვთქვა, **კოჭლია**, თუმცა, **ჩვენ რა შეღავათი, თუ მაშინ ტერიტორიის 20 პროცენტზე იყო ლაპარაკი, ახლა კი – 400 მეტრზე, რადგან, ზღვა კოვზით დაილიაო.**

ხოლო, თუ კვლავ იმ პასაჟს დავუბრუნდებით, სადაც ბ-ნი ბარნოვი ბრძანებს, „**მოსახლეობა რეალურად უნდა დაიცვათ“,** არც ისაა გამორიცხული, თავდაცვის გაუმჯობესებად შეიარაღების **არსენალში ჩანგლების ჩართვასაც გულისხმობდეს.**

# სიგრძე-სიგანით მოსახმარი

## ანუ, ვის სჭირდება მეტყველების კულტურის კურსები

რაკი ისევ გვიჭირს, სავსებით **ბუნებრივია, რომ გარე მოვაჭრეებსაც უჭირთ**: ანუ, **ისევ ქუჩაში ვაჭრობა ურჩევნიათ სავაჭრო ცენტრებში განთავსებას** (და არა იმიტომ, რომ კომფორტი არ უყვართ, ფრიად პროზაული მიზეზების გამო) და არა მხოლოდ თბილისში.

მაგალითად, გასულ კვირას, **ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირზე მომუშავე გარე მოვაჭრეები ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელთან** (ბ-ნ ლომიძესთან) **შეხვედრას ითხოვდნენ**. მას შემდეგ, **რაც გზა გადაკეტეს, ბ-ნი ლომიძე მათ შეხვდა** (ესეც პროგრესია, რადგან, მაგალითად, აქამომდე ქუჩის გადამკეტავ მოვაჭრეებს სულ წიწილებივით დაიფრენდა პოლიცია).

**გარე მოვაჭრეებს კვლავ გარეთ უნდათ ვაჭრობა,** თუმცა, ბ-ნ ლომიძეს **დათანხმდნენ, რომ სავაჭრო ცენტრ „კიდობანში“ შევიდოდნენ** მერის მოვალეობის შემსრულებლის **დაპირების საპასუხოდ, რომ 2 თვეს გადასახადის გარეშე იმუშავებენ.**

ფაქტია, რომ **ჩინოვნიკსა და გარე მოვაჭრეებს შორის კოაბიტაცია ფრიად მისასალმებელია** (ისიც, რომ პოლიცია აღარ ვგევლინება დამწიოკებლის როლში) და ისიც, რომ **გარე ვაჭრობა**, ადრე თუ გვიან, **უნდა აიკრძალოს, სულ მცირე, სასურსათო უსაფრთხოებისა და სანიტარული თვალსაზრისით**. თუმცა, **ამ მშვიდობიანად დასრულებულ ინციდენტში არანაკლებ საიტერესოა მერის მოვალეობის შემსრულებლის სამეტყველო ლექსიკა** (თუმცა, ეს, ზოგადად, ყოველთვის იყო ჩვენს ჩინოვნიკთა აქილევსის ქუსლი, რისი კლასიკური მაგალითი ჩვენივე პრეზიდენტია).

კერძოდ, ბ-ნმა **ლომიძეს კოაბიტაციური შეხვედრის შემდეგ უბრძანებია:** „სხვა დანარჩენი **რაც შემიძლია, კანონის ფარგლებში აქ ვარ და ჩემი სიგრძე-სიგანით მომიხმარეთ**.“ ჩვენ არ ვიცით, **კონკრეტულად რას ელის ბ-ნი მერის მოვალეობის შემსრულებელი „სიგრძე-სიგანით მოხმარებისგან“,** თუმცა, თუ გავიხსენებთ ქუთაისის ახლახან გადამდგარი მერის განცხადებას, ფაქტია, **ურიგო არ იქნებოდა, თუკი თანამდებობებზე დანიშვნამდე ამ ჩვენს სკამზე დასხდომის მსურველებს წერისა და მეტყველების კულტურის კურსებს გაატარებდნენ.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

# როგორ გადაინაწილეს რუსმა ოკუპანტებმა და ოსმა სეპარატისტებმა ცხინვალის რეგიონი და სად აპირებენ „სახელმწიფო საზღვრის“ გავლებას რუსეთსა და „იუჟნაია ოსეტიას“ შორის

**გავრცელებული ინფორმაციით, რფ და მის მიერ მხოლოდაღიარებული „იუჟნაია ოსეტია“ „საზღვრის დემარკაციისთვის“ ემზადებიან. შესაბამისი განკარგულება უკვე გამოსცა რფ-ის პრეზიდენტმა ვლ. პუტინმა და შეთანხმებაც რატიფიცირებულია ამღიარებლისა და აღიარებულის მიერ. ბუნებრივია, აქტი უკანონოა, რადგან საერთაშორისო თანამეგობრობა ისეთ სახელმწიფო წარმონაქმნს, როგორიც „იუჟნაია ოსეტიაა“, უბრალოდ არ აღიარებს. ქართულმა მხარემ მომხდარი დაგმო, თუმცა თავად დოკუმენტის შინაარსის ანალიზით თავი თითქმის არავის შეუწუხებია. იმის გათვალისწინებით, რომ ცხინვალის რეგიონი საქართველოს განუყოფელი ტერიტორიაა (შესაბამისად, რის დემარკაციასაც გეგმავენ, ეს რფ-საქართველოს საზღვარია), საინტერესოა, კონკრეტულად სად უპირებს გავლებას ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საზღვრის ამ მონაკვეთს, ანუ როგორ გადაინაწილეს ქართული მიწა ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა. თემას ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი სიმონ კილაძე განგვიმარტავს.**



**საინტერესოა, რომ ხელშეკრულების ტექსტში ტერმინი „კავკასიის მთავარი ქედი“ მოცემულია როგორც რუსულ, ისე ოსურ ენაზე**

**– რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაცია არ მომხდარა, ამიტომ საკითხს ოპტიმისტურად შევხედავ და ვიგულისხმებ, რომ ამ პროცედურით რუსეთის ფედერაცია საქმეს გვიიოლებს. სად გადის, მათი აზრით, ცხინვალის რეგიონის მონაკვეთზე რუსეთ-საქართველოს შორის საზღვარი?**

– ცოტა შორიდან დავიწყებ: თავდაპირველად, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ეს დოკუმენტი, რომლის ხელმოწერაც იგეგმება, თავისი მიზნებითა და შინაარსით ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, რადგან არ შეიძლება დაიდოს ხელშეკრულება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ნაწილთან იმ დროს, როდესაც ეს ნაწილი სეპარატისტულ რეგიონს წარმოადგენს და ოკუპირებულია. მით უმეტეს, რომ ეს ოკუპირებული ნაწილი შეადგენს მეორე სახელმწიფოს განუყოფელ ტერიტორიას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. მე იმასაც ვიტყვი, რომ ქართულ მასმედიაში კომენტარები გაკეთდა მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტ პუტინის 12 სექტემბრის განკარგულებაზე და ეჭვი მაქვს, განკარგულების წინამძღვარ აქტებზე, რუსეთის მთავრობის 2 სექტემბრის დადგენილებისა და თვით ხელშეკრულების ტექსტზე, კომენტარის გამკეთებელი საზოგადოებას თვალით არ უნახავს.

**– განვიხილოთ ხელშეკრულების პროექტი, რომლის ხელმოწერასაც გეგმავენ რფ და ცხინვალის რეგიონი.**

– ეს ხელშეკრულება, დავარქვათ მას ანტისამართლებრივი დოკუმენტი, შედგება პრეამბულისგან, რომელშიც აღნიშნულია რუსეთის და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ სურვილი მეგობრობის განმტკიცებაზე, სახელმწიფო საზღვრის საერთაშორისო-სამართლებრივ განსაზღვრაზე და ასე შემდეგ; ძირითადი 7 მუხლისგან და დასკვნითი ნაწილისგან. როგორც რუსეთის მთავრობის დადგენილებიდან ჩანს, ხელშეკრულების ტექსტი მხარეთა წარმომადგენლების მიერ უკვე პარაფირებულია და არ შეიცვლება, ანუ მზადაა ხელმოსაწერად და პუტინმაც სწორედ ამიტომ გასცა 12 სექტემბრის განკარგულება. ჩვენთვის, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტის ძირითადი ნაწილი, ანუ ის მუხლები, რომლებშიც რუკის მიხედვითაა აღწერილი ეგრეთ წოდებული სახელმწიფო საზღვრის მიმართულება, ანუ დელიმიტაცია, ჯერ დემარკაციაზე საუბარი არ არის; გეოგრაფიული ტერმინები და ასე შემდეგ.

**– რით იხელმძღვანელეს საზღვრის ამ მონაკვეთის დადგენისას ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა?**

– ჩვენთვის ამ ხელშეკრულების ძირითად ნაწილში ყველაზე საინტერესოა მეორე მუხლი, რომელიც ეხება საზღვრის აღწერას. მივყვეთ ტექსტს: საზღვარი იწყება რუსეთის ფედერაციის, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შეპირაპირების წერტილიდან – იქ, სადაც იწყებოდა ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვარი, არის რუსეთის საზღვარი და დანარჩენი საქართველოს საზღვარი. შემდეგ ვკითხულობთ, რომ ამ შეპირაპირების წერტილიდან საზღვარი მიჰყვება კავკასიის მთავარ წყალგამყოფ ქედს და საინტერესოა, რომ ტექსტში ტერმინი „კავკასიის მთავარი ქედი“ მოცემულია როგორც რუსულ, ისე ოსურ ენაზე. ერთი სიტყვით, აღწერილობა ძალიან ვრცელია, ამიტომ მოკლედ ვიტყვი: ფაქტობრივად, დოკუმენტში მოცემული საზღვრის ხაზი შეესაბამება საქართველო-რუსეთის საზღვრის იმ მდგომარეობას, რომელიც იმ მონაკვეთში იყო საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ანუ 1992 წლამდე.

**– რომელიც მიჯნავდა საქართველოსა და რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკებს?**

– დიახ. ხელშეკრულების მესამე მუხლში ნათქვამია, რომ საზღვრის აღნიშვნა რუკაზე უნდა მოხდეს მთლიანი წითელი ხაზით და ტექსტს თან ერთვის რუკის ნიმუში. ტექსტში კიდევ ერთი საინტერესო მომენტია: რადგანაც საზღვრის შეპირაპირების საწყისი და დამამთავრებელი წერტილები, სადაც ერთად თავმოყრილია რუსეთის, დანარჩენი საქართველოსა და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორია, შეხებაშია რუსეთთან, საქართველოსთან და „სამხრეთ ოსეთთან“, ამ წერტილების ზუსტი ადგილმდებარეობა „უნდა განისაზღვროს საქართველოს, რუსეთის ფედერაციასა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის დადებულ ცალკე სამმხრივი შეთანხმებით“.

**როდესაც არსებობდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, რუსეთმა ჯერ ეგვიპტე აღიარა, შემდეგ – სირია, გაერთიანების შემდეგ კი – ორივე ერთად. დაშლის შემდეგ გამოაცხადა, ჩემი აღიარება უკან მიმაქვსო და ისევ ეგვიპტედ და სირიად აღიარა**

**– რომელიც ჯერ არ არსებობს და იმედი მაქვს, არც არასდროს იარსებებს.**

– მოკლედ რომ ვთქვათ, შეთანხმების ტექსტში ნათქვამია, რომ საზღვრის დელიმიტაციის სრულყოფისთვის აუცილებელია დამატებითი შეთანხმება, ანუ საქართველოს დასტური, რასაც, ბუნებრივია, ჩვენი ხელისუფლება არ დათანხმდება.

**– თუ ამ ეტაპზე შეუძლებელია „საზღვრის“ საწყისი და საბოლოო წერტილების დადგენა, როგორ იწყებენ სადელიმიტაციო სამუშაოებს?**

– რუკაზე სამუშაოები დასრულებულია, მაგრამ დემარკაცია როდის იქნება, არავინ იცის. საქართველო-რუსეთის საზღვარი არც დანარჩენ მონაკვეთებზეა დემარკირებული, ამიტომ, რადგან ეს მთიანი რელიეფია, ჩათვალეს, რომ საკმარისია დოკუმენტი ხელმოსაწერად და გაამზადეს ეს დოკუმენტი.

გავაგრძელოთ: დოკუმენტის მეოთხე და მეხუთე მუხლები ეხება საზღვრის სამომავლო დემარკაციას, ადგილზე გატარებას, რაც უნდა გააკეთოს პარიტეტულ საწყისებზე შექმნილმა ერთობლივმა კომისიამ. მეექვსე მუხლში აღნიშნულია, რომ საზღვარზე არსებული კომუნიკაციების, ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი რესურსების, წყალსაცავებისა და ბუნების დაცვის საკითხების რეგულირება უნდა მოხდეს ცალკე შეთანხმებებით. ხელშეკრულება შედგენილია ორ ენაზე და ორივე ავთენტურია. ხელშეკრულების ტექსტში რუსეთ-„სამხრეთ ოსეთის“ „სახელმწიფოს საზღვრის“ სიგრძე, დაახლოებით, 74 კილომეტრია.

**– რა მიზნით გაუჩნდათ „საზღვრის“ დაზუსტების იდეა?**

– გასაგებია, როგორც კი რუსეთმა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ აღიარა ჩვენი სეპარატისტული რეგიონი, მათ დაიწყეს ფიქრი ეგრეთ წოდებული საზღვრის დელიმიტაციაზე. 2009 წლის აპრილში ორივე მხარემ შექმნა საზღვრის სადელიმიტაციო კომისიები, რომლებიც ერთმანეთს სულ 4-ჯერ შეხვდნენ. აქ კიდევ ერთ მომენტს უნდა შევეხოთ: საქართველოში არანაირი „სამხრეთ ოსეთი“ აღარ არსებობს ჯერ კიდევ 1990 წლის დეკემბრიდან, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე. როგორც ვიცით, ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორია გადანაწილდა ახალგორის, გორის, ჯავის, ქარელის, ონისა და საჩხერის რაიონებზე, ხოლო, საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, ყოფილი ავტონომიის ტერიტორია შედის რაჭა-ლეჩხუმქვემო სვანეთის, შიდა ქართლისა და მცხეთამთიანეთის მხარეებში.

**– თავის დროზე, საბჭოთა დროს რის მიხედვით დადგინდა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ეს მონაკვეთი?**

– ეს მონაკვეთი შედის რუსეთ-საქართველოს საზღვრის მთელი პერიმეტრის შემადგენლობაში, რომელიც იურიდიულად, საერთაშორისო სამართლის წესით, ჯერ კიდევ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით დადგინდა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მესამე მუხლით, საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვარი გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუზე, ანუ მიჰყვება ყოფილი შავი ზღვის გუბერნიის, ასევე, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვარს ზაქათალის ოკრუგამდე. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ჩრდილოეთი საზღვარი კი ჯერ კიდევ რუსეთის იმპ-

# აზა დავითაშვილი - ნათელმხილველი, ვის შესახებაც თბილისში ლეგენდები სამი ათეული წლის წინ შეიქმნა

## როგორ „ხატავს“ აზა დავითაშვილი ადამიანების მომავალს და რატომ გადაიღეს მასზე ფილმი

*აზა დავითაშვილი თბილისში ცნობილი ნათელმხილველია. მისი ფენომენალური უნარის შესახებ ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერილა. მის ამოუცნობ ფენომენზე ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა, ერთ-ერთმა ცნობილმა რეჟისორმა კი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა აზა დავითაშვილის ნათელხილვის უნარი, მასზე ფილმიც კი გადაიღო. წლების განმავლობაში ქალბატონი აზა აბანოთუბანში ცხოვრობდა, რის გამოც მას „აბანოთუბნელ აზას” უწოდებდნენ. მოგვიანებით, მას ჰქონდა კერძო მიწვევები: რუსეთიდან, ისრაელიდან, უკრაინიდან, თუმცა, თბილისისთვის მაინც „აბანოთუბნელ აზად” დარჩა. ის ერთადერთი ნათელმხილველია, ვინც თქვენი მომავლის „დახატვას” შეძლებს. თავად არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი – ხშირად არც იმას აღნიშნავს, რომ ნათელხილვის უნარი ბებიისგან გადაეცა, რომელიც ყარსში ცნობილი ნათელმხილველი იყო. სწორედ მისგან გადმოცემული უნარით ამზადებს უნიკალურ თილისმებს მათთვის, ვისაც პირადი, ინტიმური თუ ფინანსური პრობლემები აქვს. მის მიერ ჩატარებული სეანსები ხსნის ჩაკეტილ ბედს, ძლევს უბარაქობას, ხელს უწყობს წარმატებულ კარიერას.*

**აზა დავითაშვილი**: 40 წელია, ამ საქმეს ვემსახურები, მაგრამ ახლა განსაკუთრებულად რთულ გარემოში გვიწევს ცხოვრება. ბოლო პერიოდში ბევრი ადამიანი მოდის ჩემთან პირადი და ფინანსური პრობლემებით. მათ სურთ ოჯახის აღდგენა და დაკარგული პიროვნების დაბრუნება, ჯადოს მოხსნა, ბედის გახსნა, ფინანსური პრობლემების მოგვარება...

**– ქალბატონო აზა, როგორც ვიცი, თქვენ „ხატავთ” არა მხოლოდ ადამიანის მომავალს, ასევე მის სახეს, ვინც ჯადოს უკეთებს ადამიანს.**

–. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ეს პროცესი ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს. თუმცა, არ მქონია შემთხვევა, მომავალი თუ ადამიანის სახე ზუსტად არ დამეხატოს. ჯადოს სასწაული ენერგეტიკა აქვს, ბევრს არ სჯერა ჯადოს ზემოქმედების. ზუსტად ასეთ ადამიანებზე ხდება ბოროტი ძალების ზემოქმედება, მაგრამ მინდა დაგამშვიდოთ, არსებობს უამრავი საშუალება, რომლითაც ჯადოს და გათვალვის განეიტრალება შეიძლება.



***აზა დავითაშვილთან უამრავ ადამიანს შეხვდებით. ისინი ქალბატონი აზას შესახებ საოცარ ისტორიებს ყვებიან. ზოგი აქ მადლიერების გამოსახატავად არის მოსული, ზოგიც იმისთვის, რომ ქალბატონი აზას დახმარებით ცხოვრების მორიგი რთული ეტაპი გადალახოს.***

**მარინა** *(40 წლის, ქუთაისი):* ერთ დღეს, მოულოდნელად შეიცვალა ჩემი ცხოვრება – ჯერ სამსახური დავკარგე. ამას როგორმე გადავიტანდი, მაგრამ კიდევ ერთი უბედურება დამატყდა თავს. მეუღლემ ორი შვილით მიმატოვა და სხვა ქალთან გადავიდა საცხოვრებლად. საშინელი დეპრესია დამეწყო, ფიზიკურადაც ძალიან ცუდად ვიყავი. ქალბატონ აზასათან ახლობელმა მომასწავლა. მათ ოჯახს ფინანსური კრიზისის მოგვარებაში დაეხმარა. მაშინვე აქეთ გამოვეშურე. ქალბატონმა აზამ მომცა სპეციალური თილისმები, რომელშიც სხვადასხვა საშუალება იყო ჩადებული. მალე ყველა პრობლემა მოგვარდა. სწორედ ეს არის ქალბატონი აზას ფენომენალური უნარი, რომელიც სიტყვებით არ გადმოიცემა.

**მარინა კ-შვილი** *(58 წლის, ხაშური):* აზა დავითაშვილს დიდი ხნის განმავლობაში ვეძებდი. რადგან, მასზე ბევრი რამ გამეგონა. ბოლოს, როგორც იქნა, თქვენი ჟურნალის მეშვეობით მივაგენი. ჩემს შვილს 35 წელი შეუსრულდა და ბედს ვერ ეწია, მჯეროდა, რომ აზა დამეხმარებოდა. მე ვიცი, რამდენად ძლიერია ის ჩაკეტილი ბედის გახსნაში. მართლაც, სულ რაღაც 2-3 ვიზიტი დამჭირდა მასთან და ჩემს შვილს მოულოდნელად ისეთი საქმრო გამოუჩნდა, მთელი ცხოვრება რომ გვეოცნება, ამას ვერ წარმოვიდგენდით. დღეს ბედნიერია და შვილიც ჰყავთ, თქვენი ჟურნალის მეშვეობით, მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ აზას იმ სიკეთისთვის, რაც მან ჩვენს ოჯახს გაუკეთა.

**გსურთ, მოაგვაროთ თქვენი საქმიანი და პირადი პრობლემები? დათარსული ხართ?**

**გსურთ დაამარცხოთ ბოროტი ძალა, გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი და მოიზიდოთ ბარაქა?**

*ქალბატონ აზასთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 2 74-63-08, 593 56-10-39 მისამართი: მეტროს სადგური „სამასი არაგველი”, გუთნის №42.*

**თამარ ჩხენკელი**

---

ერიის დროს დადგინდა. სხვათა შორის, 7 მაისის ხელშეკრულება რომელიმე იურიდიული აქტით არც საქართველოს და არც რუსეთის ხელისუფლებებს საბჭოთა პერიოდში არ გაუუქმებია. მეტიც, საბჭოთა ხელისუფლება პირველ წლებში 7 მაისის ხელშეკრულების სასაზღვრო, ანუ მესამე მუხლს, ორივე მხარე – საბჭოთა რუსეთიც და საქართველოც აღიარებდა. საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის საზღვარი რფსსრ-სთან თითქმის ემთხვეოდა მის მიმართულებას და ზოგად აღწერილობას.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს აღიარების შემდეგ დღის წესრიგში დადგა რუსეთთან საზღვრის ზუსტად დადგენის აუცილებლობა. რადგან ამ საზღვარმა უკვე სახელმწიფო საზღვრის სტატუსი მიიღო, უკვე ზუსტად უნდა განსაზღვრულიყო, თუ რომელ მთასა და მდინარეზე გადიოდა ის. ამიტომ ორივე მხარემ ჩამოაყალიბა სადელიმიტაციო კომისიები, რომლებმაც, მე ვიტყოდი, მნიშვნელოვანი სამუშაო გასწიეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ მაშინ იქნა დადგენილი საქართველო-რუსეთის საზღვრის ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსური“ მონაკვეთი.

**– რაც ახლა უნდათ, რომ „სახელმწიფო საზღვრად“ აქციონ?**

– დიახ და ამას მაშინ მოსკოვი დაეთანხმა, იმიტომ რომ, როგორც ვიცი, როდესაც გაყვნენ საზღვრის მთელ ამ პერიმეტრს, აფხაზეთთან გაჩერდნენ. შემდეგ სიტუაცია გართულდა, 2008 წლის ომი დაემთხვა და დღესაც რუსეთსა და აფხაზეთს შორის საზღვარი სადავოა. მაგრამ ცხინვალის რეგიონთან გამავალ საზღვრის მონაკვეთს მაშინ მოსკოვი დაეთანხმა, ამიტომ რუსებსა და ოსებს დიდი შრომა არ დასჭირვებიათ, იმიტომ რომ საზღვარი, ფაქტობრივად, დადგენილი იყო. ჩვენ, რასაკვირველია, ოპტიმისტები უნდა ვიყოთ და იმედი არ უნდა დავკარგოთ, რომ, როცა იქნება, ცხინვალის რეგიონზე საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია აღდგება, საზღვრის დელიმიტაციის პრობლემა აღარ იქნება. რუსეთი დათანხმებულია საზღვრის ამ მონაკვეთს.

**– თავად ცხინვალის რეგიონიში მცხოვრებმა ოსებმა, ჩემი ინფორმაციით, ეს ფაქტი – ეგერთ წოდებული საზღვრის დელიმიტაციისა, აღიქვეს რუსეთის მიერ იმის დემონსტრირებად, რომ პატივს სცემს „იუჟნაია ოსეტიას“ დამოუკიდებლობას და არ აპირებს მის მიერთებას.**

– ეს რუსეთის მხრიდან შეიძლება, იყოს შორს მიმავალი განზრახვა.

**– თან, ჩვენ ვიცით, რად ღირს რუსეთის აღიარება: მან ორჯერ აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა გასულ საუკუნეში და ორჯერვე დაარღვია.**

– რუსეთისთვის შეთანხმების დარღვევა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა, თუ ოპტიმისტები ვიქნებით, შეიძლება, ეს მართლაც მივიღოთ იმის ნიშნად, რომ ორი ოსეთის გაერთიანებას, რაზეც დიდი ხანია, ლაპარაკია, ოფიციალური ნაბიჯები არ მოჰყოლია. საერთაშორისო პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევა, რომ აღიარება უკან წაეღოს რომელიმე სახელმწიფოს, მით უმეტეს, რუსეთს. თუმცა, მაგალითად, როდესაც არსებობდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, რუსეთმა ჯერ ეგვიპტე აღიარა, შემდეგ – სირია, გაერთიანების შემდეგ კი – ორივე ერთად. დაშლის შემდეგ გამოაცხადა, ჩემი აღიარება უკან მიმაქვსო და ისევ ეგვიპტედ და სირიად აღიარა. არ მგონია, ჩვენს შემთხვევაშიც იგივე მოხდეს, მაგრამ შესაძლოა, მოლაპარაკებამ ან რაღაც სხვა ფორმატმა გადაწყვიტოს ეს პრობლემა, ამას მომავალში ვნახავთ, მაგრამ საზღვარი თითქმის დადგენილი იქნება. ამით რუსეთი თითქოს გვაგრძნობინებს, არ ვიერთებ და შესაძლოა, უკანაც წავიღო ჩემი აღიარება. არ ვიცი, ამას რა დავარქვა: იმედი...

**– თუ წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო?**

– თუ კარგი პერსპექტივა, თუმცა, საბოლოოდ, მაინც არასასიამოვნოა, რომ ეგრეთ წოდებულ საზღვარს ადგენენ. საერთოდ, მოსაზღვრე სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ერთმანეთს აღიარებენ, ყოველთვის დგება საზღვრის საკითხი. ოღონდ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ეს უკანონო და უსამართლოა. ცნობილია, რომ ჩვენმა სახელმწიფომ ამაზე პროტესტი განაცხადა და შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით გადასცა რუსეთს, რომ რამენაირ სახელმწიფო საზღვარზე რუსეთსა და ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთის“ შორის ლაპარაკი ზედმეტია და რომ ეს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა.

**– ორი მიმართულებით გაშალა ფრონტი რფ-მ: იქით „საზღვარს“ ადგენს, აქეთ – მავთულხლართებით შემოდის საქართველოს სიღრმეში.**

– ჩემი აზრით, სხვაა, რომ რუსეთმა საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის დელიმიტაციის იურიდიულად დადასტურების პროცესი დაიწყო, რაც შეიძლება, ვიგულისხმოთ საქართველო-რუსეთის საზღვრად, მაგრამ, რაც შეეხება ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ სამხრეთ საზღვარს, რასაც ოსი სეპარატისტები თავიანთ „სახელმწიფო საზღვრად“ მიიჩნევენ, ყველანაირი დარღვევა და ანტიქართული ქმედებაა. ეს რუსეთის მხრიდან უხეში დარღვევაა, თუმცა თავს იმით იმართლებენ, რომ 2009 თუ 2010 წელს ეგერთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთთან“ დადეს ხელშეკრულება „სახელმწიფო საზღვრის“ ერთობლივი დაცვის შესახებ.

**– თან, სცილდებიან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიასაც კი.**

– მეტიც, ამბობენ, თრუსოს ხეობაც ჩვენიაო. ამ შემთხვევაში რუსეთის ნაბიჯები არის აბსოლუტურად გაუმართლებელი და აგრესიულიც კი.

**ნინო ხაჩიძე**



**„ბოზი“ საგინებელი სიტყვაა. ამ სიტყვის ქვეშ იგულისხმება არა ის, ვინც ამაში ფულს იღებს, ანუ როსკიპი, არამედ ის, ვინც ვნების გამო არის ვინმესთან. ვნებიანობა კი ისჯება ქართულ ყოფიერებაში**

**მთლად საჯარო გამოსვლებისას არა, მაგრამ ქართველი მამაკაცები არ მალავენ, რომ ქართველ ქალბატონებს სექსუალობა აკლიათ, სწორედ ამით ხსნიან და ამართლებენ თავიანთ მიდრეკილებებს სლავი ქალებისადმი და, მეტიც, თავიანთ არაერთგულებასაც. მეორე მხრივ, ფაქტია, რომ ჩვენებური სტერეოტიპებით, ქალი და შვილების დედა, ქალი და ცოლი ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებებია, ხანდახან – ურთიერთგამომრიცხავიც. ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძესთან ვისაუბრებთ თემაზე, რას მოელის ქართველი ქალისგან ქართველი კაცი და რა როლს ასრულებს ეს უკანასკნელი ქართველი ქალის სექსუალობის დათრგუნვაში.**

# რატომ იზიდავთ ქართველ მამაკაცებს სლავი ქალები, რა პრეტენზიებს უყენებენ ქართველ ქალებს და რატომ რჩებათ ცოლისადმი მხოლოდ მეგობრული გრძნობები

**– სამართლიანია ეს პრეტენზია ქართველი ქალისადმი და, საერთოდაც, შეუძლია, ქალს თავისთავად იყოს სექსუალური, თუ ხელი არ შეუწყო მან, ვინც მისგან სექსუალობას მოითხოვს?**

– სექსუალობა ძალიან ფაქიზი თემაა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ინტიმურ სამყაროს ეხება, არამედ იმის გამო, რომ ეს არის ურთიერთქმედების ფუნქცია ქალსა და მამაკაცს შორის. სექსუალობის ნებისმიერი შეფასებისას საფუძველი უნდა იყოს არა ის, თუ რანაირი ადამიანია, არამედ ის, თუ რა ურთიერთობაშია ჩართული, როგორია მისი პარტნიორი, მასთან როგორ ურთიერთობს პარტნიორი და თვითონ როგორ ურთიერთობს პარტნიორთან. ჰორმონული თვალსაზრისით, ყველა ქალშია შესაბამისი ჰორმონები, რაც ქალის სექსუალობას უზრუნველყოფს, მამაკაცში კი ის ჰორმონები, რომლებიც მამაკაცის სექსუალობას უზრუნველყოფს. მეტიც, ყველა ქალში არის მამაკაცის ჰორმონული ბაზა, რომელიც მამაკაცურია თავისი წარმოშობით და ყველა მამაკაცშია მოცემული ქალურობა თავისი ჰორმონული საწყისითურთ. ამ თვალსაზრისით, თითოეული ადამიანის სექსუალური პოტენციალი უსაზღვროა, უბრალოდ გააჩნია, რა ურთიერთობებში ჩაერთვება. ხშირად იმპოტენციაც კი განსაზღვრულია არა ორგანული დარღვევით, არამედ იმით, თუ რა ურთიერთობები ვერ ააწყო ან რა ტრავმები მიიღო ამ ურთიერთობების დროს მამაკაცმა. ქალი კი უფრო მეტად არის განსაზღვრული ურთიერთობათა კონტექსტით, ვიდრე მამაკაცი.

**– იმიტომ რომ უფრო ემოციურია?**

– ქალი ატარებს ნაყოფს, ანუ იმთავითვე აქვს თანაარსებობის ბიოლოგიური ვალდებულება. ამიტომ არის, რომ ქალები უფრო ხშირად ჭორაობენ, ვიდრე მამაკაცები. ამ თვალსაზრისით, ქალის სექსუალობას განსაზღვრავს ურთიერთობათა კონტექსტი. თუ ქალს აქვს ანორგაზმია ან ფრიგიდულობა, ან სხვა სექსუალური პრობლემა, ეს მეტწილად დაკავშირებულია იმასთან, თუ ვისთან აქვს ურთიერთობა, რა გავლენას ახდენს მის პიროვნებაზე ეს ურთიერთობები.

**– ანუ ქართველი ქალი მივიღეთ ისეთი, როგორიც უნდოდა ქართველ კაცს?**

– თუ მამაკაცი ამბობს, ჩემი ცოლი თუ პარტნიორი ფრიგიდულია ან აქვს ანორგაზმია, ამის მიზეზად შეიძლება, თავისი თავიც იგულოს და არა მხოლოდ თვითონ ეს ქალი. ამ თვალსაზრისით, მხარეებს ერთმანეთისადმი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ.

**– თუმცა ქართველ კაცებს მოსწონთ სლავი ქალები. სლავი ქალები კი შეიქმნა სლავი მამაკაცების მონაწილეობით. თვითონ რატომ არ უნდათ, შეიქმნან ასეთივე ქალი? ჩვენთან ხომ ქალი და ცოლი დაშორებული ცნებებია.**

– თქვენ გგონიათ, მარტო ჩვენთან? ბევრგანაა ასე. ჯერ გატაცების რომანტიკული პერიოდი აქვთ, ამიტომ ქალს ხედავს, შემდეგ ის ნელნელა მასში ხედავს ცოლს, თავისი შვილების დედას, თავისი შვილიშვილების ბებიას.

**– რატომ გამორიცხავს შენი შვილების დედა ქალს?**

– იდეაში არ გამორიცხავს, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ხდება ისე, რომ მამაკაცი სექსუალურ ინტერესს კარგავს თავისი ცოლისადმი, როგორც ქალისდამი, თუმცა შეიძლება, არ დაკარგოს ინტერესი, როგორც მეგობრისადმი.

**– რატომ კარგავს? ვერ აკადრებს ქალობას, რადგან მისი შვილების დედაა?**

– ადამიანის ყველაზე გამახვილებული უნივერსალური მექანიზმია ადაპტაციის მექანიზმი. არსებობს ადაპტაციის დონეები, თვით ბედნიერებასაც კი, თუკი ის ხშირად გეძლევა, ეგუები და ის თავის მნიშვნელობას კარგავს. ბედნიერება მანამდეა ბედნიერება, სანამ ის წუთი, საათი თუ დღეები ამოვარდნილია კალაპოტიდან და არ არის ჩვეული. როგორც კი ის ჩვეული ხდება, კარგავს მიზიდულობას. დაახლოებით, იგივეა სექსუალური მიზიდულობის შემთხვევაში. ეგრეთ წოდებული, ლიბიდო, სექსუალური სწრაფვა საპირისპირო სქესისადმი, ქვეითდება. შეიძ-

**ადრე კონკურენცია მამაკაცებს შორის იყო და მოტაცებაც ამის გამოვლინებაა: ვიღაც ვიღაცასართმევდა პოტენციალურ ცოლს, ქალი ითვლებოდა მონაპოვრად. დღეს პირიქითაა**

ლება, ზოგიერთმა გადალახოს ეს ჩვეულებრიობა და თავის ცოლში აღმოაჩინოს რაღაც განსხვავებული, მაშინ ეს ლიბიდო აღდგება და ყველაფერი დალაგდება.

**– ანუ შვილები არ უნდა გაუჩინო, სხვა სახლში იცხოვრო და ლიბიდო შენარჩუნდება?**

– ანუ ჩვეულება დარტყმას აყენებს ლიბიდოს, ამიტომ, რადგან ლიბიდო ქვეითდება მეუღლისადმი, მამაკაცი გადაინაცვლებს სხვაზე. ეს ლიბიდონალური ენერგია ექვემდებარება ენერგიის მუდმივობისა და შენახვის კანონს. ეს უკლებლივ ყველა მამაკაცს ეხება: ნურავინ იტყვის, რომ არ შეჩვეულა ცოლთან სექსუალურ ურთიერთობას და ლიბიდო არ დაქვეითებია. სხვა საქმეა, რომ ყველა არ იჩენს საყვარელს და არ დადის პროსტიტუტკებში.

**– გამოდის, ხშირად უნდა იცვალო პარტნიორები?**

– შეიძლება, ერთი და იგივე ადამიანი სხვადასხვანაირად გარდაისახოს. ისიცაა, რომ ცოლების უმეტესობა კარგავს სიფრთხილეს ქმრისადმი და არ ცდილობს, მისთვის მიმზიდველი იყოს ყოველთვის.

**– დასავლურმა საზოგადოებამ მოაგვარა ეს პრობლემა იმით, რომ თანაბარ მოთხოვნებს უწესებს ურთიერთობისას ქალსაც და კაცსაც. მათი ურთიერთობა ერთგულებასა და ნდობაზეა აგებული. ჩვენთან კი არის კატეგორია ქალების, რომელიც მოქმედებს მოტივით, კაცია და რა ქნას.**

– თვითონ ქალებიც არიან ყაბულს. მართალია, რუსთაველი იყენებს, მაგრამ ჩვენთან „ბოზი“ საგინებელი სიტყვაა. ამ სიტყვის ქვეშ იგულისხმება არა ის, ვინც ამაში ფულს იღებს, ანუ როსკიპი, არამედ ის, ვინც ვნების გამო არის ვინმესთან. ვნებიანობა კი ისჯება ქართულ ყოფიერებაში. ორმაგი სტანდარტით მუშაობს ქართული საზოგადოება: ერთი მხრივ, უნდა, რომ ქალი იყოს ასექსუალური და, მეორე მხრივ, უნდა რომ იყოს სექსუალური.

**– ერთად გამოვა ეს?**

– მახსოვს, ბებიაჩემი მეუბნებოდა, რომ ქალს უნდა ჰქონდეს წვრილი და მოკუმული ტუჩები, რადგან მიაჩნდათ, რომ მოკუმული ტუჩი არის უფრო ლამაზი. მაშინ, როდესაც დღეს სპეციალურ სითხეს უშვებენ ტუჩებში, რომ გაზარდონ მისი მოცულობა. ტუჩები არის სექსუალობის გამოხატულება, ვინაიდან ასოცირდება ვაგინალურ სფეროსთან და პომადაც ამასთანაა დაკავშირებული. სხეულის ენის სპეციალისტების თქმით, პომადა სექსუალური ცდუნების ელემენტია. ანუ მეცხრამეტე საუკუნეში იყო მოთხოვნა, რომ ქალი ყოფილიყო ასექსუალური, ახლა კი გაჩნდა მოთხოვნა, ქალი იყოს სექსუალური. მაგრამ, საუკუნეების განმავლობაში რაც შეიქმნა, ის არსად მიდის, რჩება ადამიანის ტვინში, ოღონდ ემატება ახალი. აი, ასეთი ორმაგი სტანდარტისაა ჩვენი თანამედროვე ყოფა.

**– და ასე გადანაწილდა: ასექსუალური ცოლი და სექსუალური საყვარელი?**

– ესეც არ არის ძალიან გავრცელებული. ნუ გგონიათ, რომ ყველა მამაკაცს ჰყავს საყვარელი. ამ სიტუაციაში ქალს უფრო მიუძღვის წვლილი, ვიდრე კაცს, იმიტომ რომ ქალმა უფრო გაიხადა. კაცს ისევ შარვალი აცვია, ქალმა კი გამოაჩინა, რაც ადრე დამალული ჰქონდა. ქალის ფეხები, მკერდი და ტუჩები მამაკაცისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამღიზიანებელია. მეტიც, არა მხოლოდ გამოაჩინა, არამედ, კულტურა ისე აიგო, რომ, რაც უფრო გამოაჩენს, მით უკეთესია. და ქალი სთავაზობს მამაკაცს ქცევის შემდეგ ნიმუშს: შენ გახდი ასექსუალური, თვალს ნუ გამომაყოლებ ან, თუ გამომაყოლებ, ნუ ამეტორღიალები, იყავი გულგრილი და მე გავიხდიო. მამაკაცების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქალი ზედმეტად გახდილია.

**– ჩვენთან თუ ზოგადად?**

– ზოგადად და ყველა ქვეყანაში მამაკაცს თვალი გაურბის. თუ არ გაურბის, ესე იგი, ლიბიდო დაქვეითებული აქვს. თვალი ყოველთვის

# რა სამეწარმეო საქმიანობას ეწევა განათლების მინისტრის მეუღლე და რატომ ჯაბნის მას ხელფასის ოდენობით ჩინოვნიკი ცოლი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, თამარ სანიკიძე, 1978 წლის 30 აგვისტოსაა დაბადებული თბილისში. უმაღლესი განათლება თსუ-ში მიიღო 1995-1999 წლებში, სადაც დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე სწავლობდა. 2000 წელს „ჯიპაში" ეუფლებოდა ცოდნას და მაგისტრის ხარისხი სახელმწიფო მმართველობაში მიიღო, 2003-2007 წლებში გლაზგოს უნივერსიტეტის პროგრამა გაიარა სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციაში.

ქ-ნი მინისტრის პროფესიული ბიოგრაფია კი შემდეგნაირია: მისი კარიერა საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს საზღვაო დეპარტამენტში დაიწყო 1998 წელს, სადაც 1999 წლის ივლისამდე წამყვან სპეციალისტად იმუშავა; შემდეგ, 2000-2001 წლებში, თბილისის გამრიცხველიანების პროექტში საქმიანობდა სამშენებლო სამუშაოების შემფასებლად; 2001-2003 წლებში კი თბილისის გამრიცხველიანების პროექტის ფინანსური დირექტორის მოადგილეც გახდა; 2003-ში „თელასში" გადავიდა, სადაც 2005 წლამდე ეკონომისტად იმუშავა; 2005 წელს ურბანული ინსტიტუტის წარმომადგენლობაში გადაინაცვლა, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროექტში – რესურსების მართვის პროგრამის კოორდინატორად, მოგვიანებით კი – შესყიდვების მენეჯერად; 2006 წელს ფინანსური დირექტორიც გახდა და ამ თანამდებობაზე 2009 წლამდე იმუშავა; 2008 წლიდან დღემდე „სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოცოაციის" ლექტორია კორპორაციულ და ბიზნესსამართალში; 2010 წლამდე „ჯიპას" აგრარული განვითარების პროგრამის ფინანსური მენეჯერი იყო; 2010 წლის მარტში „ჯიპას" ფინანსურ დირექტორად დაინიშნა; 2012 წლის ივლისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველ მოადგილედ გადაიყვანეს, 2013 წლის ივლისში კი მინისტრიც გახდა.



ქ-ნი მინისტრის მეუღლე, დავით ბარძიმაშვილი, 1973 წელსაა დაბადებული. მათ ორი შვილი ჰყავთ: 2004 წელს დაბადებული ანასტასია და 2011 წელს დაბადებული სესილი.

თამარ სანიკიძის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა ბათუმში (91 კვადრატული მეტრი ფართობის), დავით ბარძიმაშვილს კი ეკუთვნის მიწის ნაკვეთი მცხეთის რაიონში, კერძოდ, კოტორაანთკარში (1 000 კვადრატული მეტრი ფართობის). დავით ბარძიმაშვილს სამი ავტომანქანა ჰყავს: 1993 წლის Toyota Landcruiser, 1996 წლის Mitsumishi Lancer და 2005 წლის Nissan Patrol. ქ-ნ მინისტრს კი, სულ რაღაც ერთი ავტომანქანა – 2007 წლის BMW X5, ოღონდ, დეკლარაციაში მითითებულია, რომ ავტომანქანა სხვა პიროვნებაზეა გაფორმებული.

თამარ სანიკიძეს დეკლარაციის შევსების მომენტში, 2013 წელს, „თი ბი სი" ბანკის სადებეტო ანგარიშზე 4 771 აშშ დოლარი ერიცხებოდა; ნაღდი ფულიც მხოლოდ მას ჰქონდა – 10 000 ლარი.

დავით ბარძიმაშვილი სს „საქორგაზის" დირექტორია (2007 წლიდან) და მისმა ანაზღაურებამ 2012 წლის განმავლობაში 16 000 ლარი შეადგინა; აგრეთვე, არის შპს „საქზაპროექტის" დირექტორიც (ასევე, 2007 წლიდან) და მისმა შემოსავალმა გასული წლის განმავლობაში 21 000 ლარი შეადგინა.

ქ-ნმა მინისტრმა კი, 2012 წლის განმავლობაში, როგორც „ჯიპას" ფინანსურმა დირექტორმა, 48 060 ლარი მიიღო; ხოლო, როგორც ურბანიზაციის ინსტიტუტის წარმომადგენლობის კონსულტანტმა ფინანსურ საკითხებში – 4 837 ლარი. გასულ წელს ქ-ნმა სანიკიძემ ავეჯიც შეიძინა, რაც მას 1 800 ლარი დაუჯდა.

**ნინო ხაჩიძე**

## ჩასწორება

*„თბილისელების" 38-ე ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, ირაკლი ხმალაძის ბიოგრაფიისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის ელექტრონული საიტის სისტემური შეცდომის გამო (იმ მიზეზით, რომ ამავე სახელისა და გვარის სხვა ჩინოვნიკიც არის), ენერგეტიკის მინისტრის ამჟამინდელ მოადგილეს მიეწერა მისი სეხნიისა და მოგვარის მონაცემებიც. ამიტომ, მოგახსენებთ, რომ ზემოხსენებული ბ-ნი ხმალაძე 2005 წლიდან მუშაობს საჯარო სამსახურში (კერძოდ, ენერგეტიკის სამინისტროში) და არასდროს უმუშავია არც ფინანსთა და არც ჯანდაცვის სამინისტროებში. მეუღლეც მხოლოდ ერთი ჰყავს. იმედია, თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის ბიურო აღმოფხვრის ხარვეზს და სრულყოფს მონაცემებს დეკლარანტების შესახებ.*

გარბის იმ საგნებისკენ, რომლებიც მიმზიდველია, ქალი კი ამ დროს ეუბნება, მე გავშიშვლდები და შენ გულგრილად იყავიო. ანუ, თუ საუკუნეების განმავლობაში ქალი ითვლებოდა ასექსუალურ და მიუწვდომელ არსებად, ახლა გეუბნება, მისაწვდომია, მაგრამ, აბა, გადმოდგი ნაბიჯი, მაშინვე პოლიციას დავუძახებ.

**– დიახ, „112" ძალიან ეფექტიანია აბეზრებისგან თავის დასაცავად.**

– შეიძლება, მე ახლა ცოტას ვაჭარბებ, მაგრამ ეს კომპონენტიც არის: ქალი იყენებს თავის მიუწვდომლობას, მაგრამ თან იხდის. ადრე კონკურენცია მამაკაცებს შორის იყო და მოტაცებაც ამის გამოვლინებაა: ვიღაც ვიღაცას ართმევდა პოტენციალურ ცოლს, ქალი ითვლებოდა მონაპოვრად.

**– კონსტანტინე გამსახურდია ამბობს, ქალი ნაალაფარივით დასწრებაზეაო.**

– ასეა, ახლა კი ქალიც ჩაერთო კონკურენტულ ბრძოლაში მამაკაცებისთვის და ითვლება, ვინც მეტად გაიხდის, მით უფრო მეტ მამაკაცს მოიპოვებს.

**– და იმას არ აქვს მნიშვნელობა, რასაც აჩენს, როგორი სანახავია?**

– ქალი, საერთოდ, თავიდან ბოლომდე მაკიაჟია. ქალი ყოველთვის შეკეთებულია. ეს მამაკაცია ისეთი, როგორიც არის.

**– მამაკაცებმა ახლა უკვე დაიწყეს ეპილაციის გაკეთებაც, წარბების ამოქნაც, ბოტოქსით ნაოჭების ამოვსებაც.**

– ყოველ შემთხვევაში, ეს მასქულინურ, ანუ მამაკაცურ თვისებებში არ შედის. საკუთარი თავის შეკეთება ფემინური, ქალური თვისებაა. უამრავ რამეს იკეთებენ ქალბატონები, რომ მომხიბვლელები იყვნენ, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა. ქალი უფრო აქტიურობს იმ თვალსაზრისით, რომ თავისკენ მიიზიდოს მამაკაცი, ვიდრე მამაკაცი, რომ მიიზიდოს ქალი. თუმცა მამაკაციც ცდილობს მასქულინური თვისებებით იმავეს: ვგულისხმობ, „მაჩო" ტიპებს. ერთი სიტყვით, ბრძოლაა: ქალები იბრძვიან მამაკაცებისთვის, მამაკაცები – ქალებისთვის. ამიტომ ანორგაზმია თუ ფრიგიდულობა არ არსებობს, უბრალოდ არსებობს მამაკაცი, რომელიც ამ პრობლემებს იწვევს.

**– ცნობილია, რომ ქართველი ქალები ქვეყნის გარეთ საკმაოდ გახსნილად იქცევიან. სოციუმი აიძულებს, იყოს ასეთი მიუწვდომელი და კდემამოსილი?**

– არა მარტო გარეთ, ამა თუ იმ ვიწრო კამპანიაშიც თუ აიწყვიტა, ველარ გააჩერებ. ამ დროს კი შეიძლება, მოკრძალებულ ქალბატონად გაასაღოს თავი. ქალი მოთამაშეა.

**– რაც იყიდება, იმას ასაღებს.**

– ბიბლიაში რომ არის მინიშნება, ღმერთმა ქალი კაცის ნეკნიდან შექმნაო, მართლა ნეკნისგან ხომ არ შეუქმნია. ეს ნიშნავს, რომ მამაკაცი ქმნის ქალს. ქალს აკლია თვითკმარობა და ის ვიღაცამ უნდა შექმნას. ამიტომ ქალი უნდა გამოაქანდაკოს მამაკაცმა, რადგან ქალს არ შეუძლია თავისი თავის გამოქანდაკება, სჭირდება შემქმნელი გარედან, ვინც უჩურჩულებს, შენსავით კარგი არავინ არისო. ქალს გარეთ ეგულება სტიმულატორი, რომელიც დაადგენს მის კარგობას ან ცუდობას. ავიღოთ სექსუალობა: სექსუალობა ხომ გენეტიკურად მოდის იმ ჰორმონებიდან, რომლებიც განაპირობებს გამრავლებას. დღე-ღამეში მამაკაცის ორგანიზმში იქმნება მილიარდობით სპერმატოზოიდი. კვერცხუჯრედი კი ერთადერთია, რაც ქალს გამოუმუშავდება თვეში ერთხელ. ერთ კაცობრიობას მოიცავს ერთი კაცის სხეული, ამდენად, ის სავსეა, ქალს ეს სისავსე არ აქვს. ქალის სხეული სავსეა, როდესაც ის ატარებს ბავშვს და მაშინაა მატარებელი მთელი კაცობრიობის. მაგრამ ის ერთი ბავშვია.

**– მაგრამ, თუ ის თვეში ერთი კვერცხუჯრედი არ იქნა, იმ მილიარდს, კაცობრიობას რომ იტევს, ხომ საერთოდ ეკარგება აზრი?**

– მართალია, მაგრამ ამით მოცემულია მამაკაცის სისავსე. ქალი კი არ არის თვითკმარი. ეს რაც შეეხება ბიოლოგიას, მაგრამ ამას არ იმეორებს ადამიანური ეროტიზმი. ერთია, გამრავლების ინსტიტუტი, თავისი იმ კანონებით, რაც გენეტიკამ შესანიშნავად იცის და მეორე, ეროტიზმი, რომელსაც ასეთი კანონზომიერი ხასიათი არ აქვს. მას გამოუცნობი, ირაციონალური და ხშირად არაბუნებრივი გამოვლენები აქვს. სად – ნაზი სიყვარული, სად – სადისტური სიყვარული, არადა, ორივე სიყვარულია. ბერძნებმა სიყვარულის 5 ნაირსახეობა ჩამოთვალეს, ვიღაც უფრო მეტს ასახელებს: ეროსის ღვთაება მდიდარია თავისი სახეებით და ვერ დაიყვანება მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიურ საწყისზე. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანია" საინტერესო, ბევრი სახეობის სიყვარულია აღწერილი.

მომისმენია მამაკაცებისგან, რომ საქართველოში ქალს, რომელიც თავისუფალ სექსუალურ ურთიერთობაში შედის, მიზნად აქვს ოჯახის შექმნა ამ მამაკაცთან. ანუ ის სექსუალობას ამჟღავნებს ოჯახის შექმნის პერსპექტივისთვის, თან, ეს ეხება ყველა ასაკის ქალს.

**– მგონია, ქართველ მამაკაცებს იმიტომ მოსწონთ სლავი ქალები, რომ მათგან ცოლად მოყვანის საფრთხეს ვერ ხედავენ.**

– როდესაც მამაკაცები მიდიან ქვეყნის გარეთ, სლავი ქალები მათგან არაფერს ითხოვენ სამაგიეროდ. ცნობილია საკურორტო რომანის ცნება, რაც გულისხმობს ურთიერთობას ყოველგვარი ვალდებულების გარეშე.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან



ზარი ფასიანია

**დაპირება იყო, თუმცა ბანკის მოვალეების პრობლემა კვლავაც გადაუჭრელია: უამრავმა ადამიანმა დაკარგა საცხოვრებელი და ამდენივე იმავეს მოლოდინშია. მეორე მხრივ, არც იურიდიული პირების საქმეა უკეთ: ბანკის ვალებმა მათი ბიზნესებიც გააკოტრა. განსაკუთრებით დამძიმდა ვითარება 2008 წლის შემდეგ: თუკი მანამდე ბანკები ლამის ძალადობრივად აიძულებდნენ კლიენტებს სესხების აღებას, მათი გასტუმრება ომისა თუ მსოფლიო კრიზისის გამო ვეღარ მოხერხდა, რამაც ჯარიმებითა და საურავებით ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. აჭარის მთავრობამ პრობლემის მოგვარება დაიწყო და იმ კრედიტორებს, რომლებსაც კრედიტები საოჯახო სასტუმროების მოსაწყობად აიღეს, ვალდებულებები შეუმსუბუქა. რა ბედი ელით ბანკების დანარჩენ მოვალეებს, მიუხედავად პრობლემებისა, მაინც რატომ არის მიმზიდველი ბანკებიდან თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან კრედიტების უპრაგონოდ აღება, რატომ არ მცირდება სესხების საპროცენტო განაკვეთი ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთის კლების პარალელურად და რატომ რჩება მიკროსაფინანსო ბიზნესი კვლავ ყველაზე სარფიან საქმიანობად? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემაში „აფბას“ პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე დაგვეხმარება.**

# როგორ ახერხებენ ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ღარიბ ქვეყანაში ყოველწლიურად რამდენიმე ათეულმილიონიანი მოგების მიღებას

**– უამრავი ადამიანი დაზარალდა და უამრავი დაზარალდება უახლოეს მომავალში გაუსტუმრებელი საბანკო ვალების გამო. რა მდგომარეობაა, ამ მხრივ, ქვეყანაში და რა შეიძლება, იყოს გამოსავალი?**

– უპირველესი ნაბიჯი, რომელიც გადასადგმელია ამ პრობლემის მოგვარების დასაწყებად, არის ის, რომ უნდა დაზუსტდეს მონაცემები: რამდენი ადამიანია დაზარალებული, რამდენია მათგან ფიზიკური თუ იურიდიული პირი, როგორია მათი დაზარალებულობის ხარისხი, ვისი პრობლემაა უფრო მწვავე და ასე შემდეგ. ამ ინფორმაციის მოპოვება და დახარისხება არის პირველი რიგის ამოცანა

**– ანუ ასეთი სტატისტიკა არ არსებობს?**

– ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ასეთი ინფორმაცია არსად შემხვედრია და არც ის ინფორმაცია მაქვს, რომ ასეთი მონაცემები არსებობდეს. ძალიან მოუწესრიგებელია ეს სტატისტიკა, რაც, ჩემი აზრით, მეტყველებს იმაზე, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად გეგმის შემუშავება ჯერ არც ერთ ორგანოს არ დაუწყია და, მით უმეტეს, არც რამე კონკრეტული ქმედებები მიმდინარეობს.

**– ის, რომ აქტიურად არ დაწყებულა ამ პრობლემის მოგვარება, ვის აზარალებს: გასაგებია, რომ ბანკები ვერ დარჩებიან დაზარალებულები, რადგან მიიღებენ სესხს უზრუნველყოფილი ქონებით, მაგრამ სახელმწიფოს ხომ კიდევ უფრო ემატება საზრუნავი გაკოტრებული მოქალაქეების სახით?**

– ეს მიანიშნებს იმაზე, რომ პასიურად მიმდინარეობს პროცესი, იმიტომ რომ პრობლემა მწვავეა და მოიცავს ინტერესთა კონფლიქტს. ისეთი საკითხია, რომლის გადაჭრით ყველა ვერ დარჩება კმაყოფილი. კონკრეტულად რომ ვილაპარაკოთ, საქმე ეხება აღებულ სესხებს, რომლის დაფარვაც ვერ მოხდა და ამით ზარალდება საკრედიტო დაწესებულება, რომელიც თავისი ზარალის მინიმუმამდე დასაყვანად მიმართავს უზრუნველყოფის მექანიზმს, ანუ რეალიზაციას. ამის ლეგიტიმური უფლება მას გააჩნია. ამ უფლების შეზღუდვა, პირადად მე კატეგორიულად მიუღებლად მიმაჩნია. ანუ მივდივართ ორ წინააღმდეგობასთან: მსესხებელი ვარდება სავალალო მდგომარეობაში და რჩება საცხოვრებლის გარეშე და, მეორე, საკრედიტო დაწესებულებას, რაც ბიზნესის ერთ-ერთი სახეობაა, თუ შეეზღუდება უზრუნველყოფის მექანიზმი, ის დგება ძალიან დიდი რისკის წინაშე. ამაში სახელმწიფო შეიძლება, ჩაერიოს, როგორც ამ ზარალის გარკვეული დონით შემმცირებელი, ანუ გარკვეული ვალდებულებები: პროცენტი თუ სესხის რეფინანსირება, აიღოს თავის თავზე, რითაც ორივე მხარეს შეუმსუბუქებს ზიანს, თუმცა ბოლომდე კმაყოფილი მაინც არც ერთი მხარე არ დარჩება.



**დეფლაციის პირობებში ბანკის მიერ გადახდილი რეალური სარგებელი არის უფრო მაღალი და, ამდენად, ისინი ცდილობენ, შეამცირონ ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთი, რომ მათ მიერ გაცემული სიკეთე იყოს ნაკლები**

**– და აქ არის მესამე მხარეც: მე, გადასახადის გადამხდელს, არ მეკითხებიან, მინდა თუ არა გავისტუმრო ვიღაცის ვალდებულებები, იმიტომ რომ მან ვერ გათვალა თავისი შესაძლებლობები?**

– სახელმწიფო ამ შემთხვევაში ამ ტვირთს დაადებს გადასახადის გადამხდელს, რადგან თვითონ სახელმწიფოს არაფერი გააჩნია, გარდა მოქალაქეებისა და ბიზნესსუბიექტების მიერ გადახდილი გადასახადებისა. ამიტომ ვამბობ, რომ ამ პრობლემის მოგვარება ისე, რომ ყველა კმაყოფილი დარჩეს, შეუძლებელია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, წავა თუ არა დათმობაზე რომელიმე მხარე და რამდენს დათმობს. ანუ, კარგი გაგებით, ვაჭრობაზე. თუმცა რომელიღაც მხარე მაინც მიიღებს ზიანს: მსესხებელი, გამსესხებელი ან გადასახადის გადამხდელი.

**– დახარისხებისას სიმწვავის კრიტერიუმი რა უნდა იყოს?**

– სიმწვავეს ყველა სხვადასხვანაირად აღიქვამს, ყველაზე ცუდი შედეგია, როდესაც მსესხებელს შეიძლება, გამსესხებელმა ჩამოართვას უძრავი ქონება.

**– როგორია ამ ტიპის პრობლემის მოგვარებისას სხვა ქვეყნების გამოცდილება?**

– რა თქმა უნდა, არსებობს ასეთი გამოცდილება და ყველაზე მასშტაბური და თვალსაჩინოა ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი, როდესაც იმ ქვეყანაში იპოთეკური კრიზისი მოხდა, ბინათმესაკუთრეების ძალიან დიდი რაოდენობა საცხოვრებლის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა და მაშინ დამტკიცდა ობამას ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამა. საბოლოოდ, 100 მილიარდამდე დოლარი გამოიყო იმისთვის, რომ ბინათმესაკუთრეები ბინების გარეშე არ დარჩენილიყვნენ; ოღონდ ეს არ ნიშნავდა, რომ ამ თანხით დაიფარა სესხები. ეს თანხა გადაეცა ბანკებს, რომ მათ მოეხდინათ ამ სესხების რესტრუქტურიზაცია. მაქსიმალურად შეუმცირეს გადასახადები როგორც ძირითადი, ისე საპროცენტო. იქაც დახარისხდა დაზარალებულების პრობლემები და ყველას დაუწესდა შეღავათები: ზოგს პირველ წლებში გადაუვადდა კრედიტის მომსახურება, ზოგს – შეუმცირდა გადასახადები. თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რა შედეგს გამოიღებს ეს პროგრამა, იმიტომ რომ არ დასრულებულა, ვინც შეძლებს ამ საშეღავათო პერიოდით სარგებლობას, ის გამოისყიდის თავის ვალდებულებებს.

**– მიუხედავად ამ პრობლემებისა, ისევ გახშირდა სარეკლამო რგოლები, რომლებიც მომხმარებლებს სთავაზობენ სესხებს მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე თვეში 2,5 პროცენტიდან და იქვე ხმადაბლა ამატებენ, უძრავი ქონების უზრუნველყოფით. აღარ ფრთხილობენ მიკროსაფინანსოები?**

– არ ფრთხილობენ იმის გამო, რომ აღსრულების უფლება შენარჩუნებული აქვთ. საჭიროების შემთხვევაში, აქვთ ქონების რეალიზაციის უფლება სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და, ამდენად, მათი რისკი არის მინიმალური. ვფიქრობ, საკმარისია, რამე მსგავსი ქმედება განხორციელდეს, მორატორიუმი ან შეზღუდვა დაწესდეს აღსრულების პროცესზე, ერთი პრეცედენტი თუ მოხდა, გაცილებით თავშეკავებულები იქნებიან როგორც ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ისე კერძო გამსესხებლები, იმიტომ რომ, თუ ერთხელ დაუშვა მსგავსი რამ ხელისუფლებამ, შეუზღუდა აღსრულებაზე ხელმისაწვდომობა, გაუჩნდებათ შიში იმისა, რომ ეს შეიძლება, განმეორდეს და მათ მიერ გაცემული სესხი ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდეს უზრუნველყოფის გარეშე. რამაც შეიძლება, სავალალო შედეგი გამოიწვიოს მათთვის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ხელისუფლება ასეთ ნაბიჯზე არ უნდა წავიდეს, რადგან, მეორე მხრივ, ეს მსესხებლებსაც გაუჩენს მოლოდინს, რომ, თუ ისინიც დადგებიან ამ პრობლემის წინაშე, მთავრობა მათაც გადაუვადებს. ჩარევის გარეშე უნდა თვითრეგულირდებოდეს ეს პროცესები, იმ ხელშეკრულებით, რომელსაც მსესხებელი და გამსესხებელი აფორმებენ.

**– მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რომ იმ ხელშეკრულებებში არაადეკვატური ჯარიმები ადეკვატურით შეიცვალოს?**

– ეს კანონით დაშვებული პრაქტიკაა, რომ კრედიტორებმა მსგავსი პირობებით გასცენ სესხები. ჩემი აზრით, ეს პრობლემა თავისით უნდა მოგვარდეს. არ ვარ მომხრე, რომ სახელმწიფომ დაადგინოს სესხების ზედა ზღვარი. ჯანსაღმა კონკურენციამ უნდა აიძულოს ფინანსური ინსტიტუტები, რომ შეამცირონ საპროცენტო განაკვეთები: თუ მაღალი განაკვეთები მექნა, ჩემთან არავინ მოვა.

**– მაგრამ თითქმის ყველას ერთნაირი პირობები და ფაშისტური საურავები აქვს?**

– იმიტომ რომ ეკონომიკაში ფულის მასა ცოტაა, არადა, მოთხოვნა არის და, ხშირ შემთხვევაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირს იმ საპროცენტო განაკვეთადაც კი ულირთ სესხის აღება, რაც არის. არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველო საპროცენტო განაკვეთების სიდიდით, მსოფლიო ათეულშია, როდესაც ასეთი არაკონკურენტული გარემოა ფინანს-



# სწორად შერჩეული, ძვირფასი კაბა და ყველა პრობლემა გადაჭრილია





ნებისმიერმა ჭეშმარიტმა ქალმა იცის, რა მნიშვნელობა აქვს სამოსს. გემოვნებით და სწორად შერჩეულ კაბას ძალუძს, მთლიანად შეცვალოს არათუ თქვენი გარეგნობა, არამედ გუნება-განწყობაც. აამაღლოს თვითშეფასების კრიტერიუმი, რაც, თითქოს ჯადოსნური ჯოხის შეხებით, გაცილებით ეფექტურს გაგხდით. როცა საკუთარი თავი მოგწონს, შეუძლებელს შეძლებ და გაცილებით ადვილად გახდები წარმატებული. მთავარია, იპოვო ის, რაც მართლა შენია... მთავარია, კაბამ ჯერ შენ მოგანიჭოს სიამოვნება და სხვებიც არ დატოვოს გულგრილი.

თბილისში, პეკინის №17-ში ქალებისთვის საოცარი და განსაკუთრებული გარემოა. აქ ბინა დაიდო მაღაზია „მაჟორმა“ და მაღაზია „ექსტრიმი XXL-S-მა.“ იქნებ იფიქროთ, რა შეიძლება იყოს განსაკუთრებული ტანსაცმლის მაღაზიაში – რა თქმა უნდა, უპირველესად, ხარისხიანი, ძალიან მოდური, თანამედროვე და გემოვნებიანი სამოსი. თუმცა, ესეც არ არის მთავარი – თქვენს განკარგულებაში პროფესიონალთა გუნდია, რომლებიც მთლიანად დააკმაყოფილებენ თქვენს კაპრიზებს და ისეთ სამოსს შეგირჩევენ, სრულად შეგიცვლით იმიჯს უკეთესობისკენ. აღნაგობასაც კი არა აქვს მნიშვნელობა. სწორად შერჩეული, ძვირფასი კაბა და ყველა პრობლემა გადაჭრილია. კაბა კოქტეილისთვის, დღესასწაულისთვის, საქმიანი შეხვედრებისთვის... დიდი არჩევანი და თქვენზე მორგებული ფასები...

**ნინო წულუკიძე**

ურ ბაზარზე და ერთგვარი თავკომბალაა საფინანსო სფერო, თან, თვითონ საბანკო სექტორშიც არ არის ეს კონკურენცია, იმიტომ რომ ბაზრის ძალიან დიდ ნაწილს ორი ბანკი ფლობს, ორმაგად იზღუდება კონკურენცია და ასეთ პირობებში არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საპროცენტო განაკვეთები მაღალია და საკრედიტო ხელშეკრულებებში არის ისეთი მუხლები, რომლებიც მსესხებელზე ათი თავით მაღლა აყენებს გამსესხებელს. პირადად ჩემთვის ამ პირობებში შექმნილი პრობლემები გასაკვირი არ არის.

**– სესხებზე თითქმის არ შეცვლილა საპროცენტო განაკვეთები, ოდნავ შემცირდა იპოთეკურ სესხებზე, მაგრამ მიკროსაფინანსოებმა შეამცირეს განაკვეთები ვადიან ანაბრებზე: „რიკო კრედიტმა“ 18-დან 12-მდე, „კონსტანტამ“: 17-დან 13-მდე. ანაბრები აღარ იხსნება თუ რა არის ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირების მიზეზი?**

– საერთოდ, ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება ერთ-ერთი ფაქტორია იმისთვის, რომ შეამცირონ საპროცენტო განაკვეთი სესხებზე. რადგან, თუ ანაბარზე იგივე განაკვეთი დარჩა, სესხებზე კი შეამცირეს, მათი მადა ნაკლებად დაკმაყოფილდება, თუმცა კლება პროპორციულად შეინიშნება სესხის და ანაბრების განაკვეთებზეც.

**– ანაბრებზე 5-6 პროცენტით შემცირდა საპროცენტო განაკვეთი, რაც არც ისე ცოტაა. დასავლეთში, საერთოდაც, აიღებ 5 პროცენტად სესხს.**

– ჩვენთან არა მხოლოდ სესხების საპროცენტო განაკვეთია მაღალი, არამედ სხვაობა სესხისა და დეპოზიტის საშუალო საპროცენტო განაკვეთებს შორის. ამ მხრივაც, საქართველო ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში. გარდა ამისა, ანაბრის პროცენტის შემცირებასთან დაკავშირებით მინდა, ვთქვა, რომ უკვე წელიწად-ნახევარზე მეტია, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს დეფლაცია, რაც ზრდის რეალურ განაკვეთს დეპოზიტზე. მაგალითად, თუ ორი წლის წინათ ვადიან ანაბარზე საპროცენტო განაკვეთი იყო 18 პროცენტი და იყო 6-პროცენტიანი ინფლაცია, ანაბრის მფლობელი რეალურად იღებდა 12 პროცენტის ოდენობის სარგებელს. დღეს თუ 12 პროცენტზეა ჩამოსული დეფლაცია, სხვადასხვა თვეებში სხვადასხვა მაჩვენებელია, თუმცა, საშუალოდ, 2-პროცენტიანი გვაქვს, რეალური საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც ბანკი აძლევს მეანაბრეს, არის 10 პროცენტი. ერთი სიტყვით, დეფლაციის პირობებში ბანკის მიერ გადახდილი რეალური სარგებელი არის უფრო მაღალი და, ამდენად, ისინი ცდილობენ, შეამცირონ ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთი, რომ მათ მიერ გაცემული სიკეთე იყოს ნაკლები.

რეალურად, არც სესხის განაკვეთი შემცირებულა, არც ანაბრის, მოხდა ის, რომ ფასების დონე შემცირდა, რამაც რეალური განაკვეთი დატოვა, ოღონდ შესაძლოა, ნომინალურად შეცვლილი.

**– მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა: ამდენ ადამიანს აქვს ვალი და შეიძლება, დარჩეს საცხოვრებლის გარეშე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა რამდენიმე თვე 36-მილიონიანი მოგებით დაასრულეს, აღარაფერს ვიტყვი ბანკების მოგებაზე. ჩვენი მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა და საიდან ამოაქვს ჩვენს მოსახლეობას ამდენი ფული?**

– მიკროსაფინანსო სექტორი, ანუ საკრედიტო ორგანიზაციების ეს ფორმა 2005 წლიდან გამოჩნდა და დღეს 70-მდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა, რომლებიც საკმაოდ მსუყე მოგებას ნახულობენ ყოველდღიურად. ისინი აი, ამ არასახარბიელო ვითარებაშიც კი პოულობენ კლიენტებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს ეკონომიკაში ფულის მასა არის ძალიან დაბალი, ფულზე მოთხოვნა კი დიდია. სულ უფრო მეტი და მეტი ფიზიკური თუ იურიდიული პირი საჭიროებს ფულად რესურსს, რომლის მოძიებაც, განსაკუთრებით, 2008 წლის მოვლენების შემდეგ გაურთულდათ, რადგან ურთიერთობა გაუფუჭდათ ბანკებთან და იქ კრედიტის მიღება აღარ შეეძლოთ, მიმართეს ალტერნატიულ წყაროს. მართალია, თითქმის ორჯერ და მეტჯერ ძვირს, მაგრამ უფრო ხელმისაწვდომს. მიკროსაფინანსო სექტორის ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, ერთი მხრივ, ის, რომ ბანკებზე ხელმისაწვდომობა შეეზღუდათ და, მეორე მხრივ, ის, რომ არ არსებობს კრედიტის აღების ალტერნატიული წყარო. ამას ადასტურებს ისიც, რომ რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თავად ბანკებმა დააფუძნეს ან ბანკები თავად იღებენ კრედიტებს მათგან, რომელსაც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით გასცემენ და ამით ნახულობენ მოგებას.

**– საბჭოთადროინდელი სპეკულანტებივით ყოფილან ეს ჩვენი ევროდონის ბანკები.**

– ბანკს აქვს შესაბამისი უზრუნველყოფები და უფრო სტაბილურია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან კრედიტს იღებს 11-12 პროცენტად და სხვადასხვა შემთხვევაში, მინიმუმ, 30 პროცენტად გასცემს, თუ სამომხმარებლო და სალომბარდო სესხია, უფრო მეტადაც, ავტოსესხის შემთხვევაში კი, ზოგჯერ წლიური საპროცენტო განაკვეთი 100 პროცენტზეც ადის. ამიტომ, ვისაც ჰქონდა მეტ-ნაკლებად შესაბამისი კაპიტალი ამ საქმის დასაწყებად, დაიწყო და პირადად მეც რომ მქონოდა შესაბამისი თანხა, აუცილებლად მოვკიდებდი ხელს ამ ბიზნესს, იმიტომ რომ თითქმის მინიმალური რისკის ფასად, მინიმუმ, აორმაგებ ჩადებულ თანხას, რადგან საპროცენტო განაკვეთები არის ძალიან მაღალი და ძალიან მიმზიდველი სექტორია ინვესტორისთვის.

**ნინო ხაჩიძე**

# რა ურთიერთობა ჰქონდა სირიელ ინტელექტუალებთან პრეზიდენტ ბაშარ ასადს ლონდონში ყოფნის დროს და რა პლაკატები გააკრეს სირიელმა „ზომბებმა” დამასკოში

***სირიაში განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიო ორ პოლუსად დაყო. ამერიკა და საფრანგეთი სამხედრო ინტერვენციისთვის ემზადებიან და ბაშარ ასადის რეჟიმს ქიმიური იარაღის გამოყენებაში ადანაშაულებენ; ხოლო რუსეთი და ჩინეთი, პირიქით სირიის მხარეს იჭერენ და დაუშვებლად მიიჩნევენ უცხო ქვეყნების ჯარების ჩარევას სირიის შიდა საქმეებში. ქიმიური იარაღის გამოყენებას კი ამბოხებულებს აბრალებენ. ამ დაპირისპირების ფონზე ბაშარ ასადის პერსონის მიმართ ინტერესი მატულობს და გთავაზობთ მის შესახებ გავრცელებულ საინტერესო ფაქტებს.***

* ბაშარ ასადი 1965 წლის 11 სექტემბერს დაიბადა დამასკოში, სირიის სამხედრო საჰაერო ძალების გენერლისა და მოგვიანებით, სირიის პრეზიდენტის, ჰაფეზ ასადის ოჯახში. დაწყებითი და საშუალო განათლება ბაშარმა ელიტარულ არაბულ-ფრანგულ ლიცეუმში – „ხურიაში” მიიღო, რომელიც 1982 წელს დაამთავრა ბაკალავრის დიპლომით. 1988 წელს კი წითელ დიპლომზე დაამთავრა დამასკოს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი „ექიმ-ოფთალმოლოგის” სპეციალობით. მოგვიანებით, ბაშარი დამასკოს გარეუბანში, ტიშრინის სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა თვალის ექიმად. საინტერესოა, რომ ჰაფეზ ასადის ნამდვილი გვარი ალ-ვახში იყო, რაც არაბულად „გარეულ საქონელს” ნიშნავს. შემდგომში მან გვარი გადაიკეთა და გახდა „ასადი”, რაც არაბულად „ლომს” ნიშნავს.

* 1991 წელს, სხვა ვერსიით კი 1992-ში ბაშარ ასადი სტაჟირებაზე გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში, ლონდონში, პადინგტონში მდებარე „ვესტერნ აი ჰოსპიტალის” ოფთალმოლოგიურ ცენტრში. ლონდონში ბაშარი ფსევდონიმით ცხოვრობდა, რათა, არავის გაეგო, რომ ის სირიის პრეზიდენტის შვილი იყო. ასადი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებში მონაწილეობდა და დროის უმეტეს ნაწილს სირიელ ინტელექტუალებთან საუბარში ატარებდა. ოფთალმოლოგიის გარდა, ასადი ინფორმატიკითაც იყო გატაცებული.

* 90-იანი წლების შუა პერიოდში ბაშარის მამამ, პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა რამდენიმე ინფარქტი გადაიტანა. ამბობდნენ, რომ იგი თავის მემკვიდრედ უფროს შვილს, ბასელს ამზადებდა. ბასელი პროფესიით ინჟინერია და ასევე, წარმატებები ჰქონდა სპორტში: სროლასა და პარაშუტით ხტომაში. ბასელი სირიელ ახალგაზრდებს შორის საკულტო პიროვნება იყო და მამა დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. თუმცა, ყველასთვის მოულოდნელად, 1994 წელს ბასელ ასადი საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა. არაოფიციალური ვერსიით ავარია მოწყობილი იყო და ჰაფეზ ასადი იძულებული გახდა თავის მემკვიდრედ შუათანა ვაჟი, ბაშარ ასადი დაესახელებინა. ცნობისთვის, ბაშარ ასადს ჰყავს ორი უმცროსი ძმა – მაჰერი და მაჯიდი და უფროსი და, ბუშრა. მაჯიდ ასადი სხვადასხვა დროს რამდენიმე სკანდალში იყო გახვეული, მათ შორის ნარკოტიკებთან დაკავშირებით, ხოლო მაჰერს სადამ ჰუსეინის ვაჟს, უდეი ჰუსეინს ადარებდნენ – ერაყელივით ფეთქებადი და მძიმე ხასიათის პიროვნება გახლდათ. სწორედ ამის გათვალისწინებით, თავისი არჩევანი ჰაფეზ ასადმა ბაშარზე შეაჩერა.

* 2000 წლის 10 ივნისს გულის უკმარისობით გარდაიცვალა ჰაფეზ ასადი და პრაქ-



ტიკულად, მეორე დღესვე ბაშარ ასადს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიაკუთვნეს და სირიის არმიის მთავარსარდალად დანიშნეს. სირიის პარლამენტმა კი სპეციალური ცვლილება შეიტანა კონსტიტუციაში და პრეზიდენტობის კანდიდატისთვის ასაკობრივი ზღვარი 40 წლიდან 34 წლამდე დაწია. ამით ბაშარ ასადს საშუალება მიეცა პრეზიდენტობაზე შეეტანა განაცხადი. 20 ივნისს სირიაში გამართულ რეფერენდუმზე, ხმათა 98 პროცენტით, ბაშარ ასადი სირიის პრეზიდენტად აირჩიეს. იგივე რეფერენდუმი ჩატარდა 2007 წელს და ბიულეტენში მხოლოდ ერთი კითხვა იყო დასმული: „ენდობით თუ არა ბაშარ ასადს და ემხრობით თუ არა მისი პრეზიდენტობის ვადის გაგრძელებას 2014 წლამდე”. ამ კითხვაზე დადებითი პასუხი სირიის მოსახლეობის 97 პროცენტმა გასცა.

* თავისი პრეზიდენტობის დროს ბაშარ ასადს არაერთხელ დასდეს ბრალი ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერაში. კერძოდ, გავრცელებული ვერსიის თანახმად ასადი ფინანსებითა და იარაღით „ჰეზბოლას”, „ჰამასს”, „ისლამურ ჯიჰადს” და სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებს ამარაგებდა. გარდა ამისა, 2003 წელს გავრცელდა ვერსია, რომ ასადის რეჟიმი იარაღით ამარაგებდა ერაყის დიქტატორს, სადამ ჰუსეინს და თავის ტერიტორიაზე მალავდა მასობრივი განადგურების იარაღს, რომელსაც ბუშის ადმინისტრაცია ერაყში ეძებდა. 2002 წლიდან ასადს გართულებული ჰქონდა ურთიერთობა ამერიკასთან და დასავლეთის ქვეყნებთან. გარდა ამისა, ბაშარ ასადს ბრალს სდებდნენ ლიბანის პრეზიდენტის, რაფიკ ჰარირის მკვლელობის ორგანიზებაში, თუმცა მოგვიანებით, ეს ბრალდებები ასადს მოუხსნეს.

* 2001 წლის 1 იანვარს ბაშარ ასადი ასმა ალ-აჰრიზე დაქორწინდა. ასმა სირიის ქალაქ ჰომსის სუნიტური კლანის შთამომავალია და ცხოვრების დიდი ნაწილი დიდ ბრიტანეთში აქვს გატარებული. ნისლიან ალბიონზე გაზრდილმა ასმამ სირიაში ჩასვლისთანავე უარი განაცხადა ტრადიციული მუსლიმანური სამოსელის ტარებაზე. ის მსოფლიოში ცნობილ დიზაინერებთან იკერავს ტანსაცმელს, ხოლო თავისუფალ დროს ჯინსებსა და მაისურით მოგზაურობს მსოფლიოს მასშტაბით ისე, რომ მას ვერავინ ამჩნევს. ასმა გემოვნებიან ქალბატონად მიიჩნევა და ჟურნალმა „ელმა” ის ერთხელ ერთ-ერთ ყველაზე ელეგანტურ და მოდურ პირველ ლედად დაასახელა. ამბობენ, რომ ასმა დიდ გავლენას ახდენს თავის მეუღლეზე. წყვილს სამი შვილი ჰყავს – ჰაფეზი, ზეინა და ქარიმი. ბოლო ცნობებით, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გამო, ევროკავშირმა სანქციები დაუწესა სირიის პირველ ლედის – მას აკრძალული აქვს შესვლა ევროკავშირის ქვეყნებში და ასევე, მისი ყველა საბანკო ანგარიში ევროპულ ბანკებში დაყადაღებულია.

* ერთ-ერთმა პირველებმა პრეზიდენტ ბაშარ ასადის გადადგომა სირიელმა „ზომბებმა” მოითხოვეს. ინტერნეტში გავრცელდა ვიდეორგოლი, რომელზეც მკვდრების ფორმაში გამოწყობილმა ახალგაზრდებმა პროტესტი გამოხატეს მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ. ამასთან ერთად, დამასკოს ქუჩებში გავრცელდა პლაკატები, რომელზეც წითელი საღებავით ეწერა: „მკვდრები ითხოვენ რეჟიმის შეცვლას”.

* სირიის რევოლუციურ საბჭოს ხელში ჩაუვარდა ბაშარ ასადის პირადი ელექტრონული ფოსტა. ასადის წერილებიდან ცნობილი გახდა მისი პირადი ცხოვრების რამდენიმე საინტერესო ფაქტი. კერძოდ, წერილებში საუბარია შესაძლო გადადგომაზე – ამასთან დაკავშირებით ბაშარი მოლაპარაკებებს მართავდა ყატართან, სადაც შესაძლო თავშესაფარს ითხოვდა. გარდა ამისა, ცნობილი გახდა ბაშარ ასადის გატაცებების შესახებ. იმის მიუხედავად, რომ კონფლიქტის დაწყების შემდგომ სირიაში დაიბლოკა ინტერნეტით სარგებლობა, ბაშარ ასადი რეგულარულად სარგებლობს გლობალური ქსელით. პრეზიდენტი ასადი „აიფონის” მომხმარებელი ყოფილა და რეგულარულად შედის „ეფლ აითიუნზის” ვებგვერდზე, სადაც რამდენიმე დასავლელი მო-

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# რატომ აყადაღებს სასამართლო დიმიტრი რიბოლოვლიევის ქონებას და რამდენ მილიარდს ითხოვს ქმრისგან მისი ყოფილი ცოლი



დიმიტრი რიბოლოვლიევი ახალი სახეა ევროპის საფეხბურთო სამყაროსთვის. რუსმა ოლიგარქმა 2011 წელს ფრანგული „მონაკო” შეიძინა და მისგან, რომან აბრამოვიჩის მსგავსად, სუპერკლუბის შექმნა დაიწყო. რიბოლოვლიევმა უკვე შეიძინა რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი, მათ შორის კოლუმბიელი – რადამელ ფალკაო და წლევანდელ სეზონში გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა. ფეხბურთის გარდა, რიბოლოვლიევი ბიზნესშიც ცნობილი პიროვნებაა და ჟურნალ „ფორბსის” 2013 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია. რომელსაც ამავე ჟურნალის ყოველწლიური რეიტინგის მიხედვით, 9,1 მილიარდი დოლარის კაპიტალი გააჩნია.

დიმიტრი ევგენის ძე რიბოლოვლიევი 1966 წელს დაიბადა ქალაქ პერმში. მომავალი მილიარდერი ექიმების ოჯახში იზრდებოდა – მისი მშობლები პერმის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრაზე მუშაობდნენ. დიმიტრიმ პატარაობიდანვე გადაწყვიტა ექიმობა და სკოლის დამთავრების შემდეგ, პერმის სამედიცინო უნივერსიტეტში მოეწყო. მეორე კურსიდან ის კარდიოლოგიურ რეანიმაციაში სანიტარად, ხოლო შემდგომში მედძმად მუშაობდა. 1990 წელს რიბოლოვლიევმა წარჩინებით დაამთავრა სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში კარდიორეანიმაციის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო კარდიოლოგიურ რეანიმაციაში ექიმად, პერმის მე-2 კლინიკურ საავადმყოფოში. იმ დროს ექიმი-ინტერნის შემოსავალი ძალზე მწირი იყო და ოჯახის შენახვის მიზნით (რიბოლოვლიევი ჯერ კიდევ მე-3 კურსზე დაქორწინდა და ბავშვიც ეყოლა), მან მეწარმეობას მიჰყო ხელი. დააფუძნა მცირე საწარმო „მაგნეტიქსი”, რომელიც ხელშეკრულებებს დებდა მსხვილ საწარმოებთან მათი მომსახურე პერსონალის ახალი მეთოდით მკურნალობაზე. ამ მეთოდის არსი, რომელიც დიმიტრის მამის, ევგენი რიბოლოვლიევის გამოგონება იყო, გახლდათ შემდეგი: ორგანიზმის გარკვეულ წერტილებზე ზემოქმედებას ახდენდნენ მაგნიტური ველის მეშვეობით.

1992 წელს რიბოლოვლიევმა რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროსგან ფასიან ქაღალდებთან მუშაობის უფლების ატესტატი მიიღო. იმავე წელს დააფუძნა საბროკერო-საინვესტიციო კომპანია „ინკომბროკი” და საინვესტიციო ფონდი „კამენნი პოიას”. პარალელურად რიბოლოვლიევი საინვესტიციო კომპანია „ფინანსოვი დომის” ხელმძღვანელიც გახდა. დროთა განმავლობაში რიბოლოვლიევი კონცენტრაციას ქიმიური მრეწველობის სფეროზე ახდენდა და ინვესტიციებს დებდა საწარმოებში, რომლებიც მუშაობდნენ სხვადასხვა ნედლეულთან, ნავთობისა და გაზის გარდა. რიბოლოვლიევის თქმით, სანამ ის მოვიდოდა ბიზნესში, ეს ორი სეგმენტი უკვე სხვების მიერ იყო ათვისებული. თავის პარტნიორთან, ვლადიმირ შევცოვთან ერთად, დიმიტრი ინვესტიციას ახორციელებდა პერმის მხარის საწარმოებში და მათი უმეტესობის დირექტორთა საბჭოს წევრიც გახლდათ. 1994 წელს რიბოლოვლიევი რუსეთში უმსხვილესი, კალიუმის სასუქის მწარმოებელი, სააქციო საზოგადოება „ურალკალიუმის” დირექტორთა საბჭოს წევრი გახდა, 1996 წელს კი, ამავე საწარმოს საბჭოს – თავმჯდომარე. გარდა ამისა, რიბოლოვლიევი რიგი საწარმოების („სილვინიტი”, „ნეფტეხიმიკი”) აქციათა საკონტროლო პაკეტების მფლობელიც იყო. იმავე წელს რიბოლოვლიევი და მისი პარტნიორი შევცოვი სკანდალური ბრალდებით დააპატიმრეს, ტექნიკური სპირტის მწარმოებელი საწარმოს „ნეფტეხიმიკის” გენერალური დირექტორის ევგენი პანტელეიმონოვის მკვლელობის გამო. საგამომძიებო სტრუქტურები რიბოლოვლიევს პანტელეიმონოვის მკვლელობის ორგანიზებაში ადანაშაულებდნენ. რიბოლოვლიევის წინააღმდეგ ჩვენება მისცა მკვლელობის უშუალო შემსრულებელმა ოლეგ ლომკინმა. მისი თქმით, რიბოლოვლიევმა და პანტელეიმონოვმა ვერ გაიყვეს მოგება, თუმცა მოგვიანებით, მან შეცვალა ჩვენება და უარყო რიბოლოვლიევის მონაწილეობა ამ მკვლელობის ორგანიზებაში. ძიების მასალებიდან ცნობილი გახდა, რომ რიბოლოვლიევის გარდა, „ნეფტეხიმიკის” მიმართ ინტერესი პერმის კრიმინალურ სტრუქტურებსაც ჰქონდათ და მკვლელობა მათ დაბრალდათ. 11-თვიანი პატიმრობის შემდეგ, რიბოლოვლიევს ერთი მილიარდი რუბლი გადაახდევინეს და თავდებით გაათავისუფლეს. თუმცა, პანტელეიმონოვის მკვლელობის ორგანიზატორის დადგენა გამოძიებამ დღემდე ვერ შეძლო. ამბობენ, პატიმრობაში მყოფ რიბოლოვლიევს გათავისუფლების სანაცვლოდ, „ურალკალიუმის” აქციების საბაზო პაკეტის დათმობას სთხოვდნენ. განთავისუფლების შემდეგ რიბოლოვლიევმა განაგრძო მუშაობა ქიმიური ნედლეულის სფეროში. არსებობს ვერსია, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში მისი ბიზნესის დაპატრონებას პრიკამიეს გუბერნატორი ვლადიმირ იგუმნოვი ცდილობდა. ის აიძულებდა, რომ დიმიტრის „ურალკალიუმის” აქციები თავის შვილზე, ელენა არზუმანოვაზე გადაეფორმებინა. თუმცა, სამთავრობო რეკეტმა რიბოლოვლიევზე ვერ გაჭრა. ბოლო ცნობებით, დიმიტრი რიბოლოვლიევს კომპანიების – „ურალკალიუმის” 63 პროცენტი და „სილვინიტას” 25 პროიცენტი გაყიდული აქვს.

2005 წელს დიმიტრი რიბოლოვლიევის „ურალკალიუმსა” და ბელარუსის რესპუბლიკის უმსხვილეს კალიუმის სასუქის მწარმოებელ კომპანია „ბელარუსკალიუმს” შორის თანამშრომლობის პაქტი გაფორმდა, რის შედეგადაც შეიქმნა მსოფლიოში უდიდესი, კალიუმის სასუქის იმპორტიორი კავშირი. ამბობენ, ამ კავშირის ჩამოყალიბების შექმნაზე რიბოლოვლიევი პირადად ახორციელებდა მოლაპარაკებებს ბელარუსიის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოსთან.

2008 წელს დიმიტრი რიბოლოვლიევმა ამერიკელი მილიარდერისგან, დონალდ ტრამპისგან 100 მილიონ დოლარად პალმ-ბიჩში, გვიანდელი შუასაუკუნეების ფრანგულ სტილში ნაგები ციხესიმაგრე – „მეისონ დელ’ამიტე” შეიძინა. იმ დროისთვის, ეს იყო ყველაზე ძვირად ღირებული კერძო სახლი, რომელიც სარეკორდო ფასად გაიყიდა. ვილა 1990 წელს არის აშენებული. ციხესიმაგრის ფართი 3 ათასი კვადრატული მეტრი, ხოლო მიწის ნაკვეთი 2,5 ჰექტარია. ვილას ეკუთვნის საკუთარი 145-მეტრიანი „პლაჟი”. ციხესიმაგრეში 18 საძინებელია, რამდენიმე „ზალა“, ზამთრის ბაღი და დახურული აუზი. თავის დროზე დონალდ ტრამპს „მეისონ დელ’ამიტეს” რემონტზე 25 მილიონი დოლარი დაეხარჯა. დიმიტრი რიბოლოვლიევი ასევე ფლობს უილ სმიტის ყოფილ აპარტამენტებს ჰავაის კუნძულებზე, რაც მას 20 მილიონი დოლარი დაუჯდა.

დიმიტრი რიბოლოვლიევს ორი შვილი ჰყავს და ისინი შვეიცარიაში ცხოვრობენ. რაც შეეხება მეუღლეს, 2008 წელს ელენა რიბოლოვლიევამ განქორწინებაზე შეიტანა საბუთები და ქმრისგან ქონების გაყოფა მოითხოვა. საუბარი დაახლოებით 3-4 მილიარდ ამერიკულ დოლარს ეხება. განქორწინების პროცესი ჯერაც არ დასრულებულა და რამდენჯერმე სასამართლომ ელენას მოთხოვნით დიმიტრის ქონებას ყადაღაც კი დაადო. თუმცა, რიბოლოვლიევის ადვოკატები ჯერჯერობით ახერხებენ ყადაღის მოხსნისთვის საჭირო ოპერაციების ჩატარებას.

დიმიტრი რიბოლოვლიევის პირადი გატაცებების შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. ამბობენ, რომ ის ზამთრის მთიანი კურორტების ხშირი სტუმარია და თხილამურებზე სრიალი უყვარს. პრესასთან თითქმის არ აქვს ურთიერთობა, რის გამოც ჟურნალისტებმა მას „დიადი ჩუმჩუმელა” უწოდეს.

**უშანგი რუხაძე**

---

მღერლის მუსიკალურ ალბომს იძენს. მათ შორისაა, კრის ბრაუნის, ჯგუფ LMFAO-სა და ქანთრის მომღერლის, ბლეიკ შელტონის ალბომები. წერილებიდან ასევე, ცნობილი გახდა, რომ ბოლო პერიოდში სირიის პირველმა ლედიმ რამდენიმე ათასი დოლარის ღირებულების დეკორატიული მცენარეები და ჰოლივუდური ფილმები გამოიწერა ინტერნეტით.

* საუდის არაბეთის გავლენიანმა რელიგიურმა ლიდერმა ალი ალ-რაბიეიმ სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის მოკვლისთვის ჯილდო დააწესა. ის, ვინც ასადს სიცოცხლეს გამოასალმებს ავტორიტეტული საუდელი იმამისგან 450 ათას დოლარს მიიღებს. ასადის მოკვლის სურვილი იმამს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც შეიტყო, რომ სირიაში 116 უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები გამოსალმეს სიცოცხლეს. საგულისხმოა, რომ არეულობების დაწყების დღიდან სირიაში 13 ათასი ადამიანია გარდაცვლილი. ყველა უბედურებაში ასადი „ალ ქაიდას” ადანაშაულებს, ხოლო დასავლეთი სირიის პრეზიდენტს გონიერებისკენ მოუწოდებს და ურჩევს თანამდებობა დატოვოს.

* ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიუხედავად, ბაშარ ასადმა გამონახა დრო და ჩრდილოეთ კორეის ლიდერს, კიმ ჩენ ინს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 65 წლის იუბილე მიულოცა, რომელიც ფხენიანში გრანდიოზულად აღინიშნა 2013 წლის 9 სექტემბერს. 1948 წლის 9 სექტემბერს იალტის კონფერენციაზე კორეის ნახევარკუნძული ორად გაიყო და შეიქმნა ორი კორეა – ჩრდილოეთი და სამხრეთი. ბაშარ ასადის თქმით, ის იმედოვნებს, რომ მომავალში ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა გაგრძელდება, მათ შორის სამხედრო საქმეშიც.

**უშანგი რუხაძე**

# ვის ხვდებოდა ინგა გრიგოლია საკუთარ სახლში საიდუმლოდ და რაში ამზადებდა მას ფინანსთა მინისტრი

***ინგა გრიგოლია** სამწლიანი ტაიმაუტის შემდეგ ჟურნალისტიკას დაუბრუნდა – მისი ახალი თოქ-შოუ – „დიდი პოლიტიკა" – ყოველა სამუშაო დღეს გავა „ტვ 3-ზე," სადაც ინგა გრიგოლია დიდი ხნის მეგობრის მიწვევით მოხვდა. როგორი იქნება უკვე დიდპოლიტიკაგამოვლილი, ცნობილი ტელესახის ახალი სატელევიზიო იმიჯი, ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა ის, რომ ინგა გრიგოლიას ახალი თოქ-შოუ ბევრი სიურპრიზით იქნება სავსე მაყურებლისთვის ქართულ ტელესივრცეში, ამას ბევრი მტკიცება ნამდვილად არ სჭირდება.*

**– ინგა, სამწლიანი ტაიმაუტის შემდეგ კვლავ ბრუნდები „დიდ ავიაციაში". როგორი განცდა გაქვს?**

– ეს სამი წელი ძალიან მენატრებოდა ჩემი საქმე – საქმე, რომელიც ძალიან მიყვარს. სამუშაო, საქმიანი განწყობა მაქვს. არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ ჩემი გადაცემა იქნება არაჩვეულებრივი და განსაკუთრებული – არა, ეს იქნება ჩვეულებრივი გადაცემა, წავიყვან იმავე სტილში, როგორც მიმყავდა სხვა გადაცემები. „დიდ პოლიტიკაში" იქნება როგორც დებატები, ასევე, „ჰარდთოქი" – ვფიქრობ, რომ ეს ჩემთვის მაინც ყველაზე საინტერესო ფორმატია. სტუმართან ერთად ვისაუბრებთ აბსოლუტურად ყველაფერზე, რაც იმ დღეს იქნება მნიშვნელოვანი ჩვენი საზოგადოებისთვის. გადაცემის გასვლამდე, რა თქმა უნდა, მაქვს შინაგანი ფორიაქი, მე არ მახსენდება ჩემი არც ერთი გადაცემა, ეთერში გასვლამდე რომ არ მენერვიულა. სანამ ეკრანზე საათი იყო, გული გამალებით მიცემდა ხოლმე, მაგრამ როგორც კი ვიტყოდი „გამარჯობას", ეს მღელვარება მაშინვე ქრებოდა. ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, როცა ხელახლა, მეექვსედ იწყებ საქმეს სრულიად ნულიდან, მაგრამ, მაქვს იმ გუნდის იმედი, რომელიც ჩემთან ერთად მუშაობს.



მე ხომ ძალით არ ვაყაჩაღებდი ვინმეს, მიხდიდნენ იმ ხელფასს, რაც ულირდათ

**– თოქ-შოუს წაიყვან ტელევიზიაში, რომელიც ახლა იწყებს მაუწყებლობას. როგორ ფიქრობ, მისი რეიტინგი შენი გადაცემის პოპულარობას ხელს არ შეუშლის? ხომ არ რისკავ?**

– ვიცი, რომ ჩემმა არჩევანმა ბევრი გააკვირვა, მაგრამ, გეტყვით, რომ ნულიდან დაწყების „მუღამი" ნამდვილად მაქვს – მჯერა, რომ „ტვ 3" იქნება ძალიან სერიოზული ტელევიზია, რომელიც უკვე სრული დაფარვით იმუშავებს. ჩემთვის აღარ არსებობს დიდი და პატარა ტელევიზიების ცნებები: მიმუშავია ასპროცენტიანი ყურებადობის არხზეც და ისეთზეც, საერთოდ რომ არ იყო შექმნილი. მაგალითად, როცა გადაცემის გაკეთება დავიწყე „მზეზე", მაშინ ტელევიზია საკაბელო მაუწყებლობითაც კი არ ვრცელდებოდა; იყო ძალიან ბევრი სირთულე, როდესაც მუშაობა დავიწყე „პირველ არხზე," რომლის რეიტინგიც მაშინ ნული იყო. მე მქონდა ძალიან ბევრი წინადადება, მათ შორის – პოპულარული არხებიდან, თუმცა, არჩევანი „ტვ 3-ზე" გავაკეთე. გარდა იმისა, რომ ყოველდღიური ეთერი ჟურნალისტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როცა საქმეს იწყებ ნულიდან, ეს მეტად საინტერესოა. „ტვ 3" ძალიან სერიოზული პროექტებით იქნება წარმოდგენილი, თუმცა, არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება, ვისაუბრო სხვების პროექტებზე მათ ნაცვლად. ვიცი, რომ გადაცემები, რომლებიც გაკეთდება ამ ტელევიზიაში, ძალიან საინტერესო იქნება მაყურებლისთვის. ერთს გეტყვით: ჩემი დაბრუნება ჟურნალისტიკაში არის სამუდამო, თუ ისევ რამე პრობლემა არ შეიქმნა ჩემ ირგვლივ და კიდევ ახალი გადაცემის დაწყება არ მომიწია ნულიდან. ეს ბევრჯერ მაქვს გავლილი – თუ არ ვცდები, ექვსჯერ დაიხურა ჩემი გადაცემა. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ რეკორდსმენი ვარ *(იცინის)*. ჩვენთან ტელევიზიების რეიტინგი ხომ პოლიტიკური პროცესების მიხედვით იცვლება; ან ერთი არხი ხდება მაღალრეიტინგული, ან მეორე. მე აქ მაქვს სრული თავისუფლების გარანტია – თავიდანვე ასეთი პირობები შემომთავაზეს. ამ ტელევიზიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ლაშა ჩხენკელი, ჩემი დიდი ხნის მეგობარია, სწორედ მისგან წამოვიდა წინადადება. გაგიკვირდებათ, მაგრამ, გეტყვით, რომ კახა ბაინდურაშვილი აქ გავიცანი, მე მასთან არასდროს მქონია საქმიანი ურთიერთობა, რესპონდენტადაც კი არ მყოლია.

**– „ოფიციალურად" მუშაობდი „პირველ არხზე," სადაც შენს გადაცემას გასვლა აღარ ეღირსა...**

– ხუთი თვე ვიყავი „პირველი არხის" თანამშრომელი, ვიღებდი ხელფასს, მაგრამ, არ მიშვებდნენ ეთერში. პირდაპირ გეტყვით: მე მაქვს ეჭვი, რომ „პირველ არხზე" დამბლოკეს. ვინ დამბლოკა და რატომ – ამაზე საუბარს ვერ დავიწყებ. იმ ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, რაც ახლა ხდება „საზოგადოებრივ მაუწყებელში," ბუნებრივია, რომ ვიღაცას არ აწყობდა იქ ინგა გრიგოლია. მე არ მომწონს ის პროცესები, რაც ხდება „საზოგადოებრივ მაუწყებელზე," არ მომწონს თავდასხმები ჟურნალისტებზე – ეს არ არის ნორმალური პროცესი.

**– საზოგადოებისთვის ყოველთვის სალაპარაკო ხდება შენი მაღალანაზღაურებადი ხელფასები. აქ დაკმაყოფილდა ინგა გრიგოლიას „სახელფასო სტანდარტი"?**

– როცა ჩემს გადაცემაში 20-25 წუთიანი და უფრო ზრდადი სარეკლამო ჭრები იყო, მე, რა თქმა უნდა, მოვითხოვდი ძალიან მაღალ ხელფასს. მე ხომ ძალით არ ვაყაჩაღებდი ვინმეს, მიხდიდნენ კარგ ხელფასს – იმას, რაც ულირდათ. ძალიან დიდ გოიმობად მიმაჩნია, როდესაც ცუდ ტონად ითვლება მაღალ ხელფასზე საუბარი. ვფიქრობ, ვისაც უჩნდება ასეთი ტიპის შეკითხვა – რატომ აქვს ინგა გრიგოლიას ხელფასი, – თვითონ ვერასდროს მიაღწევს ვერაფერს და არ აქვს შანსი ცხოვრებაში, რომ, დაუღალავი, პირდაპირ გეტვით – ვირული შრომით მიიღოს კარგი შემოსავალი. თუ გაინტერესებთ, აქ რამდენია ჩემი ხელფასი გეტყვით – მაქვს ძალიან ნორმალური ანაზღაურება, რაც ჩემთვის მისაღები ჰონორარია და მიღირს, ვიმუშაო ამ ანაზღაურებაზე ყოველდღე; მაგრამ, იმასაც გეტყვით, რომ ამაზე ბევრად მეტი ხელფასიც მქონია და ნაკლებიც, თუმცა, არც ეს ყოფილა პრობლემა.

**– შენი თოქ-შოუ სკანდალებისა და ხმაურის გარეშე წარმოუდგენელია. რა სიურპრიზებს ჰპირდები მაყურებელს?**

– ვერ გეტყვით, რომ ხმაურს ვგეგმავ. პირველი გადაცემისთვის რასაც ვგეგმავდი, ცხრაჯერ ამიყირავდა. ამას ახლა არ ვიტყვი, მაგრამ, რამდენიმე სტუმარმა უკვე შეიკავა თავი ჩემს გადაცემაში სტუმრად მოსვლაზე. მაგრამ, თუ შევატყვე, რომ ეს ტენდენციად იქცა, ამის შესახებ აუცილებლად ვიტყვი. არ მოვა ერთი სტუმარი, მოვა მეორე – ამის მეტი რა მინახავს. ისეთი პერიოდიც მქონია, გადაცემა „ცარიელი სკამებით" მიკეთებია. ვფიქრობ, პირველი გადაცემა არ იქნება უინტერესო, პირიქით, ძალიან კარგი გამოვა. საბედნიეროდ, მე ყოველთვის მყავდა ჩემი ინფორმაციის წყაროები და, იმედი მაქვს, წყაროს ნაკლებობას არც ახლა განვიცდი. მე აღარ ვაპირებ დავკომპლექსდე იმით, რომ ვინმეს ჩემი რომელიმე შეკითხვა არ მოეწონება. ნაციონალები სულ მაბრალებდნენ ხოლმე, ოპოზიციაზე მუშაობო; როგორც კი გადაცემაში დასმული კითხვა არ მოეწონებოდა მეორე მხარეს, ახლა ისინი იწყებდნენ ბრალდებებს. სულ ვცდილობდი ლავირებას და ეს მუდმივად იყო ჩემი ტანჯვა, რისგანაც საბოლოოდ გავთავისუფლდი. ჩემდა გასაოცრად, ალბათ, ძალიან გავიზარდე და ეს კომპლექსები აღარ მაწუხებს. ასე პოლიტიკურად ნეიტრალური ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ, სრულიად დაცლილი ვარ ემოციებისგან.

**– ამაში, ალბათ, შენი პოლიტიკური გამოცდილებაც გამოგადგა.**

– რა თქმა უნდა. იმის მიუხედავად, რომ მე დღესაც ვფიქრობ – პოლიტიკაში ყოფნა იყო ჩემი შეცდომა, ამას ბევრი დადებითი მომენტიც ახლდა. ბევრი ისეთი საინტერესო ამბავი „დავინახე", რაც გარედან არ ჩანს. მე ვმუშაობდი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში და, შესაბამისად, ძალიან კარგად შევისწავლე სოციალური საკითხები, ბიუჯეტი. იმდენად სერიოზულად ვმუშაობდი ხოლმე ყველა საკითხზე, როცა ბიუჯეტი გამქონდა ფრაქციაზე, დებატების წინ ორი დღე მამეცადინებდა ნოდარ ხადური და, ისე გავიტანე ბიუჯეტი, რომ, კარგი მასწავლებლის წყალობით, დებატებში ჩემი ჩაფლავება ვერავინ შეძლო.

**– თუმცა, პოლიტიკამ ძალიან დააზარალა შენი იმიჯი.**

– ასე ვერ ვიტყვი. ვის თვალში დაზარალდა? – იმ ადამიანების, ვინც გუშინ ნაციონალები იყვნენ, დღეს „ოცნებაში" არიან და ხვალ „ბურჯანაძეები" ან სხვები გახდებიან?! ჩემი შეცდომა ის იყო, რომ არ უნდა დამეტოვებინა საქმე, რომელიც ძალიან მიყვარდა, თორემ, ამ არჩევნების წინ მქონდა შემოთავაზებები და მეც შემეძლო, ავმდგარიყავი და გადავმხტარიყავი სხვა გუნდში, რაც პრინციპულად არ გავაკეთე. მე თვითონ, როგორც ჟურნალისტს, ყოველთვის მქონდა მწვავე რეაქცია, როცა ადამიანები არჩევნების წინ იცვლიდნენ პოლიტიკურ გუნდებს, აქედან გამომდინარე, მივიღე გადაწყვეტილება, საერთოდ დამეტოვებინა მანდატი და წამოვსულიყავი. მე ეს ნაბიჯი არც კეკლუცობისთვის გამიკეთებია და არც იმისთვის, რომ სადმე, რომელიმე სხვა ორბიტაზე მოვხვედრილიყავი. იმდენი რამ დამანახვა პოლიტიკამ, იმდენი ემოცია გადავხარშე, იმდენი პატარა ადამიანების თამაში ვნახე დიდ პოლიტიკაში, ჩემი რამით გაკვირვება წარმოუდგენელია, პოლიტიკურად სრულიად გაფილტრული დავრჩი. აღმოვაჩინე, რომ ქართული პოლიტიკა ერთი და იმავე ადამიანებით, რომლებიც სხვადასხვა წრეზე ტრიალებენ, ჩემს ემოციებს აღარ იწვევენ. დღეს მე მირჩევნია, მათთან ვისაუბრო ჩემი ჟურნალისტური ამპლუიდან. ვერც იმას დაგიმალავთ, რომ იმ პერიოდში, როცა მე პოლიტიკაში ვიყავი პოლიტიკოსებისგან ყოველთვის ვგრძნობდი დამოკიდებულებას ჩემ, როგორც ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას მიმართ და თითქმის არ მახსოვს მათგან პოლიტიკური თავდასხმები; უფრო მეტიც – ისინი მაინც „მინდობდნენ" როგორც ჟურნალისტს. ამ გადაცემაში მე არ ვიქნები ჟურნალისტი პოლიტიკური გამოცდილებით; მე ვიქნები მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტი. ამისთვის მყავს საუკეთესო მაგალითი – გიორგი თარგამაძე, რომელმაც თავის დროზე დატოვა „აღორძინება" და მერე ამ ქვეყნის ყველაზე რეიტინგული

# რა კომპლექსი მოუხსნა „ფეისბუქმა“ ადამიანებს და უკავშირდება თუ არა მათი გამოქვეყნებული სტატუსები მათ შინაგან სამყაროს

*მართალია, ბოლო წლებში სხვადასხვა სოციალური ქსელი ძალიან პოპულარულია, მაგრამ მათ შორის „ფეისბუქმა” ყველანაირი რეკორდი მოხსნა. მას, ფაქტობრივად, კონკურენტი აღარ ჰყავს. „ფეისბუქზე” უამრავი ადამიანია დამოკიდებული და ის ცხოვრების წესად ექცათ. დღევანდელ ინტერვიუში, აქცენტს გამოქვეყნებულ სტატუსებზე შევაჩერებთ, რომელსაც მომხმარებელთა ერთი კატეგორია დღეში რამდენჯერმეც კი აქვეყნებს. აქვს თუ არა გამოქვეყნებული სტატუსის შინაარს, მისი ავტორის ბუნებასთან კავშირი, ამის შესახებ ფსიქოლოგ* **ანა ცინაძისგან** *შევიტყობთ.*

**ანა ცინაძე**: გამოქვეყნებული სტატუსები, რა თქმა უნდა, კავშირშია მისი ავტორის ბუნებასთან. როგორც კალიგრაფიაა ადამიანისთვის დამახასიათებელი და ტიპური, ასევეა, ამ შემთხვევაშიც. თქვენი მეგობრის მიერ გამოქვეყნებული სტატუსის წაკითხვისას, ავტორსაც რომ არ მიაქციოთ ყურადღება, ისედაც მიხვდებით, ვისი დადებულია ეს „პოსტი.”

**– ხშირად ისეთ პირადულ სტატუსებს ვაწყდებით, რომლის საჯაროდ გამოტანა, წესით, ავტორს არც უნდა უნდოდეს. ეს შეიძლება, იყოს ადამიანის შინაგანი კომპლექსი, ან თუნდაც სპეციალურად, სხვის დასანახად დაწერილი, რომ ძალიან კარგად ხარ და ასე შემდეგ.**

– რა თქმა უნდა, ეს ასეა. შეიძლება, ადამიანმა იმიტომ დადოს მსგავსი სტატუსი, რომ სხვას მიზანმიმართულად აჩვენოს თუ რა კარგად არის ის, ან პირიქით. ეს ალბათ მაინც ყურადღების მიქცევის სურვილია.

**– ვინც დღეში ძალიან ბევრ სტატუსს აქვეყნებს სოციალურ ქსელში, როგორი ადამიანია ის?**

– ეს მარტივადაც შეიძლება აიხსნას. ის არის ადამიანი, რომელსაც აქვს ძალიან ბევრი თავისუფალი დრო.

**– იმასაც ამბობენ, საკმარისია, ფსიქოლოგთან საკუთარი სტატუსების ამონაწერი მიიტანო, ის დასკვნას გამოიტანსო, მართალია?**

– ეს მხოლოდ პირველი სეანსისთვის იქნება საკმარისი, ანუ ზედაპირულად. უფრო კონკრეტული დასკვნისთვის კი, ამ სტატუსთა ამონაწერი საკმარისი ნამდვილად არ იქნება.

**– დღის რომელ მონაკვეთში გამოქვეყნებულ სტატუსს შეიძლება ჰყავდეს უფრო მეტი მკითხველი? თუ არ აქვს საერთოდ ამას მნიშვნელობა?**

– დასავლეთში ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, სადილამდე გამოქვეყნებული სტატუსები 65 პროცენტით უფრო მეტად და ხშირად იკითხება, ვიდრე სხვა დანარჩენი. განსაკუთრებით აქტიურია პარასკევი. შაბათ-კვირას კი ინტერესის დაცემა შეიმჩნევა. შაბათ-კვირას მომხმარებლის პასიურობა, ჩემთვის, როგორც ფსიქოლოგისთვის, ძალიან კარგის ნიშანია. ანუ, ადამიანები ბოლომდე არ არიან გადავარდნილი ვირტუალურ სამყაროში და დასვენების დღეებში სხვა საქმითაც ინტერესდებიან.



**შეიძლება, ადამიანმა იმიტომ დადოს მსგავსი სტატუსი, რომ სხვას მიზანმიმართულად აჩვენოს, თუ რა კარგად არის, ან – პირიქით. ეს ალბათ მაინც ყურადღების მიქცევის სურვილია**

**– რა განსხვავებაა, ტექსტურ, ფოტო და ვიდეო დართულ პოსტებს შორის?**

– ყველაზე პოპულარულია პოსტები თანდართული ფოტოთი ან ვიდეოებით. ამ შემთხვევაში ფოტო 22 პროცენტით პოპულარულია ვიდეოსთან შედარებით, ხოლო 54 პროცენტით უფრო პოპულარული, ვიდრე ტექსტური. გარკვეულ შემთხვევებში, ვიდეოებსაც აქვს უპირატესობა, თუმცა საერთო ჯამში, მაინც ეს მონაცემებია.

**– დღეს ბევრი ფოტოს სწორედ იმისთვის იღებს, რომ შემდეგ „ფეისბუქში“ ატვირთოს.**

– კი, ასეა. იტყვიან ხოლმე, ეს ზუსტად „ფეისბუქისთვის“ გადასაღები ფოტოაო.

**– რაც შეეხება სხვადასხვა ადგილმდებარეობის გამოქვეყნებას დღის განმავლობაში?**

– ესეც იმას აღნიშნავს, აქტიური ხარ თუ არა – სულ მომართული ხარ თუ არა და დღეში რამდენ რამეს ასწრებ. შესაბამისად, ეს ყველაფერი იწვევს სხვა ადამიანების ინტერესს და ყურადღებას.

**– მათზე რას გვეტყვით, ვინც საერთოდ არ წერს სტატუსს?**

– ასეთები უფრო დამკვირვებლის როლში არიან. ჩემი აზრით, ასეთი ადამიანები ცხოვრებაშიც უფრო მეტად აკვირდებიან მოვლენებს და სიტუაციებს. ინერტული პოზიცია კი აქვთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ არიან აქტიურნი. ასეთ ადამიანებს, უბრალოდ, არ უნდათ, რამე დაწერონ და გამოაქვეყნონ.

**– გამოქვეყნებული პოსტების თანახმად, შესაძლებელია თუნდაც ზედაპირული ანალიზი გაკეთდეს ადამიანის ფსიქოლოგიაზე?**

– რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია. მაგალითად, არიან ადამიანები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ პირად და ცოტა ეროტიკული ელფერის ფოტოებს დებენ. ამით ისინი აუდიტორიის ყურადღებას იზიდავენ. არიან ისეთებიც, პატარა, საყვარელი ბავშვების ფოტოების დადებას რომ არჩევენ. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში, მათ ბავშვი არ ჰყავთ და ამით ერთგვარად იმის კომპენსაციას ახდენენ, რაც რეალურ ცხოვრებაში აკლიათ. ასევე, არიან ისეთებიც ფლორისა და ფაუნის ლამაზ ფოტოებს რომ ტვირთავენ თავის გვერდზე. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება, ამ ადამიანს ესთეტიკური გემოვნება აქვს, ან უბრალოდ, უნდა, ცხოვრებაში მხოლოდ ლამაზი და კარგი დაინახოს. ანდა, ამის პროპაგანდას ახდენენ საზოგადოებაში.

საერთოდ, სოციალურმა ქსელებმა ადამიანებს ის კომპლექსი მოუხსნა, რასაც ისინი რეალურ ცხოვრებაში განიცდიან. ვინც ცხოვრებაში მორცხვი და თავშეკავებულია, ვირტუალურ სამყაროში გაცილებით თამამი ხდება. ეს კი მათ თვითრეალიზაციაში ეხმარება.

**მარიკა ხიდურელი**

---

გადაცემის ავტორი გახდა. ასე რომ, ძალიან წელგამართული ვბრუნდები ტელესივრცეში.

**– როგორი იქნება შენი ახალი სატელევიზიო იმიჯი?**

– ჩვეულებრივი. მომინდა და თმა შევიჭერი, ცოტა გავალიავე კიდეც თმის ფერი. ამაზე მებრძოდნენ, მაგალითად, ნოდარ მელაძე, ვინც ჩვენი გადაცემის პროდიუსინგში ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა, – მეხვეწებოდა, ისევ გაიმუქე თმა და ისე დაჯექი ეთერშიო ***(იცინის).*** ამჯერად დავარღვიე ტრადიცია და გადაცემის წინ ვერ დავიცავი სასტიკი დიეტა – ჯანმრთელობის გამო ჩემთვის არ შეიძლებოდა მძიმე დიეტის დაცვა და, გადავწყვიტე, რომ არ მომეკლა თავი შიმშილით. არსებობს შენიღბვის ძალიან კარგი საშუალებები: მაკიაჟი, ჩაცმულობის სტილი, რაც ჩემს დარღვეულ ტრადიციას „გამოასწორებს”; სამაგიეროდ, ძალიან ჯანმრთელი და ენერგიული ვბრუნდები ეთერში.

**– ამბობენ, შენს პირად ცხოვრებაშიც სიახლეებია.**

– ამბობენ ***(იცინის)*** იმას გეტყვით, რომ ძალიან კარგად ვარ. ვისაც არ ვუყვარვარ, შეუძლია, ინერვიულოს; ვისაც ვუყვარვარ, შეუძლია, გაიხაროს – ბოლო დროს ბევრჯერ არ მქონია პერიოდი, რომ ასეთი ბედნიერი ვყოფილიყავი. ამას წინათ ვთქვი რაღაც ჩემს პირადზე და ლამის ქვეყანა დაინგრა – როგორ შეიძლება, შენ ამ თემაზე ილაპარაკოო? რატომღაც, ჩემთან დაკავშირებული ყველა დეტალი განხილვის თემა ხდება. მაგალითად, ჩემი გადაცემის ერთ-ერთი პირველი სტუმარი იქნება ლევან პირველი, რომელიც ახლახან დაბრუნდა საქართველოში. მასთან შესახვედრად წავედი სასტუმრო „შერატონში”, რადგან, ტერიტორიულად ორივეს გვაწყობდა. დამალვა რომ მდომებოდა, როგორმე სხვა ადგილს მოვძებნიდი – გამოცდილება დიდი მაქვს: ისეთი ადგილებიც ვიცი, სადაც მალულად უნდა შევხვდე რესპონდენტს, რომელსაც გადაცემის დეტალები თავად უნდა შევუთანხმო ***(იცინის).*** როგორც კი შეხვედრიდან გამოვედი, ორმა საინფორმაციო სააგენტომ დამირეკა – ლევან პირველს რატომ შეხვდითო. მე ვუთხარი: აბა, გამოიცანით, რატომ შევხვდებოდი ლევან პირველს, როცა ორშაბათს ეთერში გავდივარ-მეთქი ***(იცინის).***

**– და, ის საიდუმლო ადგილები სადაა, სადაც პოლიტიკოსებს მალულად ხვდებოდი?**

– საკუთარი სახლი საიდუმლო შეხვედრებისთვის ყველაზე სანდო ადგილია. არ ვიცი, ვინმემ, შეიძლება, რაიმე ტექნიკური საშუალება დამალა კიდეც სადმე, მაგრამ, ასეთი ტიპის შეხვედრებისთვის სახლი მაინც ყველაზე შესაფერისი ადგილია. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემს კორპუსში ბევრი ცნობილი, პოლიტიკასთან დაკავშირებული ადამიანი ცხოვრობს, ვერავინ მიხვდებოდა, ჩემი „საიდუმლო სტუმრები” ჩემთან მოდიოდნენ თუ სხვასთან ***(იცინის).***

**თამუნა სამადაშვილი**


დარეგისტრირდით OXFORD HOUSE-ში

23 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე ზოგადი ინგლისურის კურსზე და ისარგებლეთ 45% ფასდაკლებით, გადაიხადეთ თვეში 55 ლარი.

სწავლება მიმდინარეობს საერთაშორისო New English File პროგრამით.

ალნიშნული კურსები მაქსიმალურად ორიენტირებულია 4 ძირითადი უნარის: მეტყველების, მოსმენის, წერისა და კითხვის გაუმჯობესებაზე.

OXFORD HOUSE-ში თქვენ გეძლევათ საშუალება დაესწროთ 1 საცდელ გაკვეთილს სრულიად უფასოდ.

თითოეული საფეხურის შემდეგ გაიცემა საერთაშორისო სტანდარტების სერტიფიკატი.

ასევე გთავაზობთ TOEFL, IELTS, FCE, ბიზნეს ინგლისურის და აბიტურიენტის მოსამზადებელ პროგრამას.

იყავი წარმატებული ოქსფორდელი და გაემგზავრე ლონდონში williams college-ში.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მის: თბილისი, რ.თაბუკაშვილის N 1
ტელ: 0790 115 115; (+995 32) 2 99 56 76
oxfordhousecentre@gmail.com www.oxford.ge
http://www.facebook.com/oxford.ge

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

ანატოლ ფრანსი

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რეკლამის განთავსების დროს ნებადართულია თუ არა მისი შინაარსის ნებისმიერი ფორმა; ასევე, რა მოთხოვნები უნდა იქნეს დაცული ზოგადად რეკლამის დამზადებისა და გამოყენების შემთხვევაში?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ რეკლამა მისი წარდგენის მომენტშივე გასაგები უნდა იყოს სპეციალური ცოდნისა და ტექნიკური საშუალებების გამოუყენებლად, როგორც უშუალოდ რეკლამა. რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე, არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა; ხოლო, საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის, ლოგოტიპის მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო, სურვილის შემთხვევაში, ის შეიძლება შესრულდეს უცხოურ ენაზეც. უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ყველა შემთხვევაში, ზომითა და რაოდენობით, გარდა ტელეპროდუქციისა, არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ ფორმას. ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა იყოს ერთნაირად განათებული და ადვილად წასაკითხი. რეკლამაში ენობრივი ნორმების დაცვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, კონკრეტულად რა სახის რეკლამის დამზადება და გამოყენებაა აკრძალული ან შეზღუდული საქართველოში ქვეყნის კანონმდებლობით?**

**პასუხი:** დაუშვებელია იმ საქონლის რეკლამირება, რომლის წარმოება და რეალიზაციაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით ან საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, ლიცენზიას, მაგრამ, ასეთი ნებართვა არ არის მიღებული; აგრეთვე, იმ ეკონომიკური აგენტის რეკლამირება, რომლის საქმიანობაც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, მაგრამ, ასეთი ნებართვა არ არის მიღებული. იმ საქონლის რეკლამას, რომლის სერტიფიცირებაც აუცილებელია, უნდა ახლდეს აღნიშვნა – „სერტიფიცირებულია“; აკრძალულია არასათანადო რეკლამის განთავსება და გავრცელება – ეს ჩადენილი ქმედების, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ხასიათის შესაბამისად, იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას; აკრძალულია რეკლამაში ფიზიკური პირის გამოსახულების ან სახელის გამოყენება მისი ნებართვის გარეშე; რეკლამა არ უნდა უბიძგებდეს მოქალაქეებს ძალადობის, აგრესიისა და ქაოსისკენ, არ უნდა მოუწოდებდეს მათ საშიში ქმედებისკენ, რომელსაც შეუძლია, ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან დაემუქროს მის უსაფრთხოებას; აკრძალულია რეკლამის გადასახდელის დიფერენცირება რეკლამირებადი საქონლის სახეების მიხედვით. უცხო ქვეყნიდან საქართველოში გავრცელებული, ტრანსლირებული რეკლამა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას რეკლამის შესახებ, უნდა აღიკვეთოს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად; ასევე, აკრძალულია სექსუალური ხასიათის პროდუქციის რეკლამირებისას არასრულწლოვანთა გამოსახულების ან ხმის ნებისმიერი ფორმით გამოყენება.




**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ვინ ითვლებიან მეორე რიგის კანონით მემკვიდრეებად და როგორ გადაწყდება საკითხი, თუ მეორე რიგის მემკვიდრე გარდაცვლილია, მაგრამ მას დარჩა შვილები? მიიღებენ თუ არა მისი შვილები მემკვიდრეობას?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მეორე რიგის კანონით მემკვიდრეები არიან გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდათ.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ვინ ითვლებიან მესამე რიგის კანონით მემკვიდრეებად?**

**პასუხი:** მესამე რიგში კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან ბებია და ბაბუა, ბებიის დედ-მამა და ბაბუის დედ-მამა როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და ბაბუის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისთვის ბებია და ბაბუა ცოცხლები აღარ არიან.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ვინ ითვლებიან მეოთხე და მეხუთე რიგის კანონით მემკვიდრეებად?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მეოთხე რიგის კანონით მემკვიდრეები არიან ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები; მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო, თუ ეს უკანასკნელნი ცოცხლები არ არიან, მაშინ – მათი შვილები.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, კანონით აქვს თუ არა რაიმე სახის შეზღუდვა ადვოკატს ბრალდებულთან შეხვედრისას და შეიძლება თუ არა ადვოკატის ბრალდებულთან შეხვედრა ისმინებოდეს ან ვიდეოთვალით ხდებოდეს ამ შეხვედრის კონტროლი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია. კონფიდენციალურია, ასევე, პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან. დაკავებული ან დაპატიმრებული ბრალდებულის ურთიერთობა თავის ადვოკატთან შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით.

**კითხვა: ჩემი ახლო ნათესავის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, წინასწარი გამოძების პროცესში, პროკურორმა პირად საუბარში მოგვთხოვა ადვოკატის შეცვლა და გვითხრა, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმებას არ გააფორმებდა. გთხოვთ მაცნობოთ, აქვს თუ არა პროკურორს ამგვარი მოთხოვნის უფლება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით – მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს ამგვარი მოთხოვნის არათუ უფლება არ აქვთ, არამედ, უფლება არ აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული, მისი ახლო ნათესავი ან ადვოკატის ამყვანი სხვა პირი და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ მხოლოდ მათ შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე.

# ინტიმური საუბრები

## ცოლმა ახალგაზრდა საყვარელში გამცვალა

37 წლის ვიყავი, ცოლი რომ შევირთე. მაკა სწორედ ქორწილის დღეს გახდა 18-ის. მაშინ მეც და მაკასაც ამხელა ასაკობრივი სხვაობა რომანტიკულად გვეჩვენებოდა, მით უმეტეს, რომ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ჩემს მშობლებს ძალიან გაუხარდათ ჩემი დაოჯახება, რადგან, უკვე ასაკში ვიყავი, თან, ისე თავაშვებულად ვცხოვრობდი (ქალებს ვგულისხმობ), ეშინოდათ, ან საერთოდ უცოლოდ არ დავრჩენილიყავი, ან ვინმე „ნაგულავები“ ქალი არ მომეთრია სახლში (ზუსტად ასე ამბობდა ხოლმე დედაჩემი). მაკა რომ გავაცანი, დედა სიხარულისგან კინაღამ გაგიჟდა – პატარა გოგოა, ლამაზი, წესიერი და შენ თვითონ გამოზრდი შენს ჭკუაზეო. მამაც ძალიან კმაყოფილი იყო, მხოლოდ ბებიაჩემმა აზიდა ცალი წარბი (რა თქმა უნდა, მაკა რომ გავაცილე, მას მერე) და მითხრა: 15-20 წლის შემდეგ შენ უკვე ხანში შესული იქნები, შენი ცოლი კი – ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა. როგორი მოსიყვარულე და ერთგულიც არ უნდა იყოს, ფრთხილად იყავი, განზე არ დაიწყოს ყურება. ახალგაზრდებს თავიანთი ინტერესები, გატაცებები და შეხედულებები აქვთ; უჭირთ ნაადრევად დაბრძენება, ამიტომ, შენც მუდამ ძალიან ახალგაზრდა უნდა იყო ყველა გაგებით და ყველა ასპექტშიო. მაშინ ბებიაჩემის ამ სიტყვებისთვის დიდი ყურადღება არ მიმინიჭებია, ისე ვიყავი მაკას სიყვარულით ატაცებული, მაგრამ...

ქორწილის დღიდანვე გადავწყვიტე, ჩემი ცოლი ყველაზე განებივრებული და ყველაზე ბედნიერი ქალი ყოფილიყო ამქვეყნად: შევუქმენი მაქსიმალური კომფორტი, ავუყვანე მოსამსახურე და მზარეული; ბავშვი რომ გააჩინა, სადღეღამისო ძიძაც დავიქირავე, ჩაცმა-დახურვაზე, აგარაკებსა და უცხო ქვეყნებში სეირნობაზე აღარაფერს ვამბობ. სტუდენტი რომ გახდა (ბავშვი რომ გააჩინა, მეორე წელს ჩააბარა), მძღოლიანი მანქანა ემსახურებოდა. უნივერსიტეტის დამთავრების აღსანიშნავად კი მანქანა ვუყიდე და თვითონ დაჯდა საჭესთან. არაფერში ვზღუდავდი, ნატვრას ვერ ასწრებდა, რომ უკვე ასრულებული მქონდა. თვითონაც ხედავდა ყველაფერს და სითბოსა და ზრუნვას არ მაკლებდა. ერთადერთი, იმაზე ვერ დავითანხმე, რომ მეორე შვილი გაეჩინა. თვითონ მრავალშვილიან ოჯახში იყო გაზრდილი და, მეუბნებოდა, დედაჩემივით ვერ მოვიქცევი. მთელი ცხოვრება შვილების მოვლას შესწირა, მაგრამ, როგორც ქალს, როგორც პიროვნებას არასდროს გაუხარიაო.

რადგან ასე კატეგორიულად არ უნდოდა მეტი შვილი, მეც შევეგუე ბედს და თავი დავანებე. ასე იყო თუ ისე, ბედნიერები ვიყავით, მაგრამ ზუსტად ათი წლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მაკა მანქანით გავუშვი თავის დაქალებთან ერთად დასასვენებლად. ორი კვირით წავიდნენ და თვე-ნახევრის შემდეგ ჩამოვიდნენ. ზაფხული იყო, ბავშვი დედაჩემს და მამაჩემს ჰყავდათ აგარაკზე წაყვანილი, მაგრამ, მე სამსახურის გამო თბილისში დავრჩი და ნაწყენი ვიყავი, რომ ამდენი ხნით მიმატოვა. მართალია, დღეში ორჯერ მირეკავდა, მაგრამ, ყოველ დარეკვაზე იმას მთხოვდა, კიდევ რამდენიმე დღე დავრჩები, მინდა, კარგად დავისვენო, რომ მთელი წელი კარგად მოგიაროო. ახლა რომ ვფიქრობ, ვერ ვხვდები, რითი იყო დაღლილი – არც საოჯახო საქმეები ეხებოდა, არც ქმარ-შვილის მოვლა; სამსახურიც ისეთი ვუშოვე, მხოლოდ გასართობად და თავისი ტანსაცმლის საჩვენებლად თუ წავიდოდა. მაშინ კი მაინც ვცდილობდი, გამეგო, გამემართლებინა და ყველაფერზე ვთანხმდებოდი. ბოლოს რომ დამირეკა, წესით, მეორე დღეს უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ, ამჯერად თხოვნის ნაცვლად, პირდაპირ მითხრა – კიდევ ერთი კვირა უნდა დავრჩეო და ყურმილი დამიკიდა. ერთი კვირის განმავლობაში კი არც ერთხელ არ დაურეკავს. მე რომ ვურეკავდი, უკმაყოფილო ხმით მეუბნებოდა: კარგად ვარ, ნუ შემაწუხე ამდენი რეკვით, არ მცალიაო.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოვიდა, მაგრამ, ეს ის მაკა აღარ იყო, რომელსაც მე ასე ვაღმერთებდი. პრაქტიკულად, აღარც კი მეკონტაქტებოდა, ბავშვსაც საკმაოდ ცივად ეპყრობოდა. სულ ვიღაცეები ურეკავდნენ და სულ სადღაც გარბოდა – ერთი სიტყვით, ოჯახი აღარ აინტერესებდა. იმდენად დაბრმავებული და დაყრუებული ვიყავი, ეჭვიც არაფერზე ამიღია. ვიფიქრე, ქალებს სჩვევიათ ასეთი რამეები-მეთქი და, მისი გული რომ მომეგო, უძვირფასესი საჩუქრებს ვაყრიდი თავზე. მართალია, არც ერთ საჩუქარზე არ უთქვამს უარი, მაგრამ ყველაფერს ემოციის გარეშე იღებდა, მადლობასაც კი არ მეუბნებოდა.

ერთ დღეს, სამსახურიდან სახლში რომ დავბრუნდი, მაკა არ დამხვდა, არადა, დილიდან ლოგინში იწვა – ცუდად ვარო. ძიძას რომ ვკითხე, სად არის-მეთქი, მითხრა, ჯერ დაქალმა დაურეკა, მერე კი ვიღაც კაცმა მოაკითხა ძვირფასი მანქანით და იმასთან ერთად წავიდაო. მაშინ კი რეჩხი მიყო გულმა, მაგრამ, ძიძასთან ცოლზე ლაპარაკი არ ვიკადრე და მის მოსვლას დაველოდე, რომ სერიოზულად დაველაპარაკებოდი. მაგრამ, იმ ღამეს მაკა სახლში არ მოსულა. მთელი ღამე ვეძებდი, ვისთან აღარ დავრეკე, მაგრამ მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. ბოლოს ერთმა დაქალმა მითხრა, მაკა სახლში აღარ დაბრუნდება, რადგან, ისეთი კაცი შეუყვარდა, იმას არ მიატოვებსო.

მეორე დღეს მაკამ თვითონ დამირეკა და მითხრა, გეყრებიო. რატომ-მეთქი, რომ ვკითხე, მიპასუხა: დავიღალე ბებერ კაცთან ურთიერთობით. ჩემს ტოლ კაცს შევუყვარდი და მასთან მივდივარ. ბავშვი შენთან დარჩეს, მე შაბათ-კვირას წავიყვან ხოლმეო.

აი, ასე დამთავრდა ჩემი სიყვარულის ისტორია. ბებიაჩემის სიტყვები მოხდა, ოღონდ, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ის ვარაუდობდა. ახლა რომ ვუფიქრდები, ჩემი ბრალიც არის – როგორც არ უნდა გიყვარდეს, ცოლი ისე არ უნდა გაანებივრო, რომ სხვა კაცის ძებნის მეტი საფიქრალი არ ჰქონდეს და, რაც მთავარია, შვილის ტოლი გოგო არ უნდა მოიყვანოს კაცმა ცოლად, თორემ, ან მარტო დარჩება, ან რქებდადგმული ივლის მთელი ცხოვრება.

**ანრი, 47 წლის.**

## მამიკო, დაგვიბრუნდი!

ძვირფასო „თბილიელებო“, ძალიან გთხოვთ, ეს წერილი დაგვიბეჭდოთ. ჩვენ ჯერ პატარები ვართ და, ამიტომ, ამ წერილის დაწერაში ჩვენი უფროსი დეიდაშვილი დაგვეხმარა, რომელიც 18 წლისაა.

მე ელენე მქვია და მალე 9 წლის გავხდები, ჩემი და, მარიამი კი ივლისში 7 წლის გახდა. სამი წლის წინ ჩვენ მამამ მიგვატოვა და მას მერე აღარ გამოჩენილა. ახლა დედა ძალიან მძიმედ არის ავად და, შეიძლება, ვერც კი გადარჩეს, რისაც ძალიან გვეშინია. რამდენიმე დღის წინ შემთხვევით გავიგონეთ, დეიდაჩვენს რომ ეუბნებოდა: დათო რომ დაბრუნდეს (დათო მამაჩვენს ჰქვია), ყველაფერს ვაპატიებდი, და, ალბათ, ავადმყოფობაც გამივლიდა. მე რომ რამე დამემართოს, ბავშვები უპატრონოდ დარჩებიანო. დეიდაჩემმა უთხრა, კარგა ხანია, ვეძებ, მაგრამ, ვერსად მივაკვლიეო. ეს რომ გავიგეთ, ძალიან ბევრი ვიტირეთ. ამ წერილის დაწერა ჩვენმა დეიდაშვილმა გადაგვაწყვეტინა. გვინდა, მივმართოთ ჩვენს მამიკოს, რომ ძალიან გვიყვარს და გვენატრება. ჩვენც და დედასაც გვინდა, რომ დაგვიბრუნდეს და ჩვენთან იცხოვროს.

მამიკო, გელოდებით! მხოლოდ შენი დაბრუნება გადაარჩენს ჩვენს დედიკოს. ჩვენ ისევ იქ ვცხოვრობთ, სახლის ტელეფონის ნომერიც იგივე გვაქვს. ნუთუ შენ არ მოგენატრეთ ან არ გაინტერესებს, როგორები გავხდით?

**ელენე, 9 წლის,**
**მარიამი, 7 წლის.**







**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**ცნობილ ტელეწამყვანსა და მსახიობს, ია ფარულავას, სულ ორი კვირაა, ახალი რჩეული ჰყავს – გერმანიაში მოღვაწე ქართველი გიტარისტი, მუსიკოსი ტარიელ სუარი (ხოსროშვილი). წყვილმა საზოგადოებას ურთიერთობის შესახებ სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საშუალებით ამცნო.**

# როგორ შეაყვარა თავი ტარიელ სუარმა ია ფარულავას და გაჰყვება თუ არა ქართველი დივა ახალ სიყვარულს ევროპაში

**ტარიელ სუარი (ხოსროშვილი):** საქართველოში კონცერტი ბოლოს სამი წლის წინ მქონდა. გერმანიაში ცნობილი ვარ, როგორც ბახის შემსრულებელ-ინტერპრეტატორი. საერთოდ, გერმანელები ბახის ინტერპრეტაციას ძალიან ერიდებიან, მიაჩნიათ, რომ ეს მათი კომპოზიტორია და უნდა შესრულდეს კანონიკურ ჩარჩოებში – ძნელია მისი ზუსტად შესწავლა, მაგრამ მე გავრისკე და ბედმაც გამიღიმა, აღიარეს ჩემი შესრულება. 5 წელი ამ კომპოზიტორს ინტენსიურად ვუკრავდი, მერე გადავწყვიტე, რეპერტუარი შემეცვალა – ცოტა ქართულ მუსიკასაც დავახლოებოდი. ამიტომ, გია ყანჩელის კლასიკური ნაწარმოებებისა და მეოცე საუკუნის არგენტინელი კომპოზიტორის – პიაცოლას დამუშავება გადავწყვიტე. ამას სჭირდებოდა სერიოზული შრომა. რამდენიმე საორკესტრო ნაწარმოები გადმოვიტანე გიტარაზე.

სხვათა შორის, ბახის ინტერპრეტაციის ჩემეულ შესრულებას გერმანულ პრესაში ყველაზე დადებითი გამოხმაურება მოჰყა – თორემ, გერმანელებმა ისეთი კრიტიკა იციან, თუ ერთ წუთს შეგაქეს, შეიძლება, მეორე წუთში „დაგმარხონ“ და ყველაფრის ხალისი დაგიკარგონ.



**ტარიელი: „ქალს რაც აქვს ლამაზი, უნდა გამოაჩინოს – იმაზე საშინელი არაფერია კაცისთვის, როცა მის გვერდით მყოფ ქალს არავინ უყურებს“**

**– კლასიკურ მუსიკასთან შეხება თავიდან როგორ მოგიხდათ?**

– რა ვიცი, ბავშვობიდანვე უცნაური ტიპი ვიყავი. წარმოგიდგენიათ, ათი-თერთმეტი წლის ბავშვი, რომელიც შარვალსა და პიჯაკში გამოწყობილი, ბაფთით, შლაპით ან ცილინდრით დადის? ***(იცინის)*** ათი წლიდან მხოლოდ და მხოლოდ კლასიკურ მუსიკას ვუსმენდი, სხვათა შორის, არც დაცინვის მეშინოდა. მამა მოკრივე მყავდა და ვაპირებდი კიდეც წასვლას კრივის განხრით – ჩემი უსაყვარლესი სპორტია, ასე რომ, თავის დაცვა არ მიჭირდა, ბოლოს ისინიც მბაძავდნენ ხოლმე ***(იცინის).*** მაგრამ იყო სხვა მომენტიც – აი, მაგალითად, გრძელ ფრჩხილებს რომლითაც გიტარაზე ვუკრავ – ვმალავდი. უცნაური რეაქცია ჰქონდათ – რა უმსგავსობააო. კიდევ ჯვრის ტარების გამო მცემდნენ სკოლაში, ერთხელ ჩამომგლიჯეს კიდეც, ათი წელი ვიყავი მედავითნე სამებაში, მუსიკალური სმენის წყალობით, დავითნს სულ სხვანაირად ვკითხულობდი. რამდენჯერმე ბახის ფონზეც მილოცია ***(იღიმება).***

**– რამდენი წლის წინ წახვედით გერმანიაში?**

– 12 წელია, იქ ვარ. აქ ჩამოსულები იყვნენ უძლიერესი გიტარისტები – ძმები კვარაცხელიები. დავინტერესდი, მომეწონა და სიდი გავგზავნე ფრანკფურტში. ერთ კვირაში მომივიდა მიწვევა და პასუხი, რომ მიღებული ვიყავი. უმაღლესი ქულით ჩავაბარე. თავიდან ცოტა რთული იყო – ენაც არ ვიცოდი თითქმის, მაგრამ გერმანელები თბილი ხალხია და მალე ვისწავლე . ორი სიტყვა ვიცოდი გერმანული – „შპილენ“ და „ზო“. ასე ვაგებინებდი მოსწავლეებს როგორ უნდა დაეკრათ ***(იცინის).*** ვმუშაობდი მცხობელად, პურს და ფუნთუშებს ვაცხობდი, მაგრამ 2 კვირაში გამათავისუფლეს სამსახურიდან, არაა პურის ცხობა შენი საქმეო. გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატის დროს დაცვაში ვმუშაობდი. ვიყავი ფრანკფურტის მუსიკალური აკადემიის დოცენტი, ახლაც ვკითხულობ ლექციებს.

**– დაოჯახებული არ ყოფილხართ აქამდე?**

– როგორ არა, არაჩვეულებრივი ქართველი მეუღლე მყავდა, 4 წელი ვიყავით ერთად, მეგონა, მიყვარდა, მაგრამ თურმე ვცდებოდი... წლინახევრის მანანიკო გვყავს, ფრანკფურტში ცხოვრობენ. ჩემი ბრალია, ხასიათებით ვერ შევეწყვეთ. ***(იცინის).*** ქალები ყოველთვის ძალიან მაინტერესებდა, მაგრამ, ნამდვილი სიყვარული ახლა ვიპოვე, როცა ვფიქრობდი, რომ სიყვარული არ არსებობს, თითქოს ბედმა დამცინა... მოკრივე ვიყავი, გიტარისტი და ქალების ნაკლებობა არ განმიცდია არასდროს.

**– ახლა თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რამ ხდება, ია ფარულავასთან გაქვთ რომანი...**

– დაახლოებით ორი კვირაა, რაც ერთად ვართ. ია შორიდან მიყვარდა დიდი ხნის განმავლობაში, მიყვარდა კი არა, ვაღმერთებდი! მისი ფილმები, შოუები... არაჩვეულებრივი ქალია. ვნახე, რომ „ფეისბუქზე“ პოლიტიკური ამბების გამო ადამიანები შეურაცხყოფას აყენებდნენ, ლანძღავდნენ. აღვშფოთდი და გადავწყვიტე, გამოვხმაურებოდი, თორემ თვითონ იას პირადში მიწერას როგორ გავუბედავდი. ერთადერთი, ვოცნებობდი, ავტოგრაფი მოეცა. ვოცნებობდი, თუნდაც, მოსაწვევვი გამეგზავნა და ჩემს კონცერტზე მოსულიყო. ამ კომენტარების მერე უცებ პირადში იასგან მომდის წერილი: „ჩვენ აქამდე როგორ არ ვიცნობდით ერთმანეთს? აუცილებლად უნდა ვიმეგობროთ“. გავგიჟდი სიხარულით, მთელი დღე დავრბოდი აქეთ-იქით, ადგილს ვერ ვპოულობდი! რასაც დღემდე თავს ვერ ვპატიობ ისაა, რომ იაში ეჭვი შემეპარა – თავიდან ბახზე რომ მწერდა, ვიფიქრე, ტრაბახობს-მეთქი. მერე აღმოჩნდა, რომ მართლა ზედმიწევნით კარგად იცის კლასიკური მუსიკა.



**– პირადად როდის შეხვდით ერთმანეთს პირველად?**

– ახლახან, რაც თბილისში ჩამოვედი. იას დავურეკე და ძალიან გაუკვირდა, ეგონა, ისევ ფრანკფურტში ვიყავი. რომ შევხვდით, გამომლანძღა – მისაყვედურა, რა იყო ეს „რუსთავი 2-ზე“ აკომპანიატორად გამოსვლა, ბარემ, „ნიჭიერშიც“ გამოსულიყავი. შენი დონის მუსიკოსისთვის ეს კატასტროფააო ***(იცინის).*** მე რომ ვიცი, ია როგორია, ამიტომაც არ მწყინს მისგან. შეიძლება, ადამიანმა გაგაკრიტიკოს, იმიტომ, რომ უყვარხარ. იათი აღფრთოვანებული ვარ, ეს არის ადამიანი, რომელიც გულს ამოიღებს და სხვას მისცემს. მისი ყველაფერი მომწონს – შეიძლება, გარედან უხეში ჩანს, მაგრამ ძლიერი და კეთილი ქალია, თან, ლამაზი!

**– როგორ უთხარით, რომ გიყვარდათ?**

– არ ვიცი, ამის თქმა საჭირო იყო თუ არა – ნელ-ნელა ეს თემა გახდა ინტიმური და მისი მხრიდანაც წამოვიდა საპასუხო გრძნობა. არადა, ძნელია, მისგან პასუხი მიიღო, როდესაც მითხრა, მიყვარხარო, მაშინ კარგად დავინახე იას შინაგანი სამყარო. გამჭრიახი, ნიჭიერი და კეთილშობილი ქალია, თან, უბრალო და ბავშვური – ყველაფერმა ამან ჭკუიდან გადამიყვანა! რაღაც ენერგეტიკაა, რომელსაც ერთმანეთს ვუცვლით.

**– არ არის ძნელი ასეთი ცნობილი და ლამაზი ქალის გვერდით ყოფნა? არ ეჭვიანობთ?**

– არა, რატომ? იასთან პიარის გამო ნამდვილად არ ვარ. ეჭვიანობის საბაბს არც ის მაძლევს. მე მომწონს მისი გარეგნობა, ჩაცმულობა, ვფიქრობ, უფრო თამამადაც უნდა ეცვას. ქალს რაც აქვს ლამაზი, უნდა გამოაჩინოს. იმაზე საშინელი არაფერია, კაცისთვის, როცა მის გვერდით მყოფ ქალს არავინ უყურებს ***(იცინის).*** მე ვერ წარმომიდგენია იას გარეშე ცხოვრება. ადრე, მეუღლეც რომ მყავდა, სხვა ქალებსაც ვუყურებდი, ახლა მის გარდა ვერავის ვამჩნევ, მაშინაც კი, როცა მეუხეშება, ისეთი ხიბლით აკეთებს ამას, მეცინება და უფრო მიყვარდება, პატარა ბიჭივით მომივიდა. ია ჩემთვის ქალი კი არა – ქალღმერთია და მის შეურაცხყოფას არავის ვაპატიებ!

**– სუარი რატომ აირჩიეთ ფსევდონიმად?**

– სუარიძეები ვართ ჩვენ, წესით, დუშეთიდან და არა ხოსროშვილები! თან „სუარი“ ფრანგულად ჟღერს ***(იცინის).***

**– როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი და იას საერთო მომავალი?**

– წარმოდგენა არ მაქვს, 23-ში ფრანკფურტში უნდა დავბრუნდე და უბრალოდ, იას გარეშე ვერ გავძლებ!

**– თავდაყირა დააყენა ახალმა სიყვარულმა თქვენი გეგმები.**

– ეგრე გამოდის, მაგრამ, თუ არჩევანზე მიდგა საქმე, იას გამო კარიერას მივატოვებ. იმიტომ, რომ ის ამას იმსახურებს, თვითონ ძალიან მიდგას მხარში და უნდა, კიდევ უფრო მეტს მივაღწიო. ამბობს: მე მაგისთვის არ მცალია, კარიერას უნდა მიჰხედოო ***(იცინის).*** დაქორწინებაზე ჯერ არ გვისაუბრია, თუმცა მას სერიოზულ გეგმებს ვუკავშირებ.

***სიახლეზე კომანტარისთვის ია ფარულავასაც დავუკავშირდით.***

**ია ფარულავა:** ყველაფერი დაახლოებით სამი თვის წინ დაიწყო, მგონი, მაისი იყო. საერთოდ, ძალიან მიყვარს ბახი და კლასიკური მუსიკა, ყოველდღე ვუსმენ – ამან შემაყვარა ეს ადამიანი. 3 თვის წინ „ფეისბუქზე“ მწვავე პოსტებს ვაქვეყნებდი და ხალხი ამის გამო კრიტიკის ქარ-ცეცხლში მატარებდა. ვნახე, რომ უცნობი ახალგაზრდა კაცი რაინდულად მიცავდა, თავგამოდებით, თან, ისე, რომ პირადშიც კი არ „მეჩალიჩებოდა“. არადა, „ინბოქსში“ ძალიან ბევრი მწერს, შენი გაცნობა მინდაო, 1 500 მეგობრობის თხოვნა მაქვს მარტო! მერე მე „პროფილზე“ შევედი და ვნახე, რომ ჩემი ბავშვობის ფოტოები ჰქონდა გაზიარებული. ძალიან მომეწონა მისი თვალები. მისი შესრულებით ბახი რომ მოვისმინე, საერთოდ გადავირიე! ვაღიარებ, რომ მე გამოვიჩინე ინიციატივა და პირადში მივწერე. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიმეგობროთ-მეთქი. ჯერ მეგობრულად ვიყავით, მერე ნელ-ნელა შემიყვარდა. ძალიან მომწონს მისი აზროვნება, საოცრად კულტურული და კარგი ადამიანია. ამბობს, რომ ჩემს უხეშობაზე საერთოდ არ რეაგირებს, პირიქით მხიბლავსო ***(იცინის).*** მე ხშირად ვბილწსიტყვაობ და ისე მოსწონს, გიჟდება. სულ მეუბნება, რომ არ იგინები, თითქოს რაღაც მაკლიაო. ძალიან მაგარი მუსიკოსია, შემიძლია, საათობით ვუსმინო. ჩვენ ხანგრძლივი განშორება გველის წინ. თუმცა, ვაპირებ, ჩავიდე ფრანკფურტში და დავესწრო სიდის ჩაწერას, რომელსაც ტარიელი მე მიძღვნის.

**ქეთი დიდებულიძე**

**ყველა ადამიანს აქვს ოცნება, რომლის ახდენასაც ცხოვრებაში, ხშირად ვერ ახერხებს. დიზაინერ ავთანდილ ცქვიტინიძეს კი ბავშვობის ყველა ოცნება აუხდა, თავს ბედნიერ და იღბლიან ადამიანად მიიჩნევს და ამბობს, რომ თავისი მიზანდასახულობით, ბევრის გაკეთება შეძლო. თუ რატომ ხატავდა ის სკოლის მერხზე შიშველ ქალებს, რაში დაემსგავსა თავისი პატარა გოგონა და ვინ არის მისი მთავარი მუზა, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რას ხვდება ქალში ერთი შეხედვით ავთანდილ ცქვიტინიძე და როგორ აბალანსებს ის ურთიერთობას ლიდერ ცოლთან

**ავთანდილ ცქვიტინიძე**: ბავშვობაში, ძალიან მინდოდა, რომ გავიზრდებოდი, მხატვარი ვყოფილიყავი, მოდელირებაზე არასდროს მიფიქრია. ეს სიტუაციიდან გამომდინარე მოვიდა. მახსოვს, სკოლის პერიოდში, მერხზე სულ შიშველ ქალებს ვხატავდი ***(იცინის).*** ყველა ბავშვი რაღაცეებს წერდა მერხზე, მათ შორის, ზოგი უზრდელურ სიტყვებს, მე კი უზრდელური სიტყვების ნაცვლად, იმ დროისთვის უზრდელ, ანუ შიშველ ქალებს ვხატავდი ***(იცინის).*** ამის გამო, წლის ბოლოს, ჩემი მერხი აუცილებლად უნდა გადაელებათ, რაც ჩემი მშობლების ხარჯზე ხდებოდა.

**– როდესაც მერხთან იჯექი და შიშველ ქალებს ხატავდი, წარმოიდგენდი, რომ ერთ დღესაც ცნობილი ადამიანი გახდებოდი?**

– კი, ყოველთვის ვიცოდი, რომ ცნობილი ადამიანი ვიქნებოდი და ახლა მინდა, კიდევ უფრო წარმატებული ვიყო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრის გაკეთება მოვასწარი, ვფიქრობ, ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზე ვარ. ის რომ ბრენდი „ავთანდილი" თხუთმეტი წელია, არსებობს, მოთხოვნადია, წარმატებული, განვითარებადი და ამდენ ხანს გაძლო, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში, ეს პატარა წარმატება არ არის და ცოტას არ ნიშნავს. ყოველთვის, ჩემი თავისგან მოვითხოვ მაქსიმუმს, ვცდილობ, განვვითარდე, ვაკეთო ჩემი საქმე და არ ვიყო ვინმეზე დამოკიდებული.

**ყველა ბავშვი რაღაცას წერდა მერხზე, მათ შორის, ზოგი უზრდელურ სიტყვებს, მე კი უზრდელური სიტყვების ნაცვლად, იმ დროისთვის უზრდელ ქალებს ვხატავდი**

**– შემოქმედი ადამიანისთვის მუზა ძირითადად, ღამის სტუმარია. შენს შემთხევაშიც ასეა?**

– ვცდილობ, ღამით კარგად მეძინოს, მაგრამ როცა მუზა მოდის, დილაა ეს თუ შუაღამე, მნიშვნელობა არ აქვს, ვდგები და ვიწყებ ხატვას. მართალია, შუაღამის „წამოხტომები" ხშირად არ მაქვს, მაგრამ, როცა მუზა მოდის, მას არ აინტერესებს შენი გამოძინება (იცინის). სხვათა შორის, ჩემი გოგონა, ანასტასია, რვა წლისაა და ძალიან კარგად ხატავს, ფერებსაც კარგად ხედავს. ამაში ნამდვილად მგავს. ძალიან აინტერესებს ის საქმე, რასაც მე ვაკეთებ. თუმცა, რა პროფესიას აირჩევს, ეს მისი ნებაა. ჩვენ მას ხელს შევუწყობთ, მაგრამ მისი გადასაწყეტია, რა გამოვა მომავალში. ლიდერი ბავშვია და ამაშიც დედ-მამას დაემსგავსა ***(იცინის).***

**– გამოდის, ოჯახში სამი ლიდერი ხართ?**

– ასე გამოდის ***(იცინის).*** ჩემი მეუღლე იურისტია, საკმაოდ კარგი ლიდერული მონაცემები აქვს, მეც ასეთი ვარ, მაგრამ ოჯახში სიტუაციას ვაბალანსებთ და იდეალურად ვეწყობით ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთს არ ვებრძვით ***(იცინის).*** ჩემი მეუღლე, ჩემი მუზაა და სადაც არ უნდა ვიყოთ, ყველგან ყურადღების ცენტრშია. ის, ყველზე კარგად იხდენს ჩემს სამოსს. ჩემი მეუღლე იდეალურად წარმოაჩენს ჩემს შექმნილ ტანსაცმელს და ის ერთადერთი მუზაა ჩემთვის. რასაკვირველია, მის გარდეროზში მხოლოდ „ავთანდილის" ბრენდის ტანსაცმელი არ არის, მაგრამ ყველაზე მეტია. ხათუნასთვის, ყოველთვის ექსკლუზიურად ვქმნი სამოსს და მასში, ის ნებისმიერ საზოგადოებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.



მიმაჩნია, რომ საქართველოს უნდა ჰყავდეს ავთანდილი

**– რამდენად ერევა ხათუნა შენს საქმიანობაში? რჩევებს თუ გაძლევს?**

– მუშაობის პროცესში, ჩემს კოლექციას ვერავინ ხედავს. ბევრი მოდელიდან შემდეგ ირჩევა საუკეთესო ნამუშევარი და როცა ეს გადარჩევა ხდება, მაშინ ხათუნა აქტიურად ერთვება ამ პროცესში. მის ხედვას და რჩევას, ამ დროს, აუცილებლად ვითვალისწინებ და ხშირ შემთხვევაში ემთხვევა კიდეც ჩემს აზრს.

**– ბავშვობის ყველა ოცნება აგიხდა, თუ დაგრჩა აუხდენელი?**

– ზოგადად, ძალიან მიზანდასახული ადამიანი ვარ. ყოველთვის ვიცი, რა მინდა ცხოვრებისგან. ზუსტად ვიცოდი, რისი გაკეთება შემეძლო და რისი არა. ასე რომ, ბოლომდე შემდგარი ადამიანი ვარ და ყველაფერი გავაკეთე ცხოვრებაში, რისი გაკეთებაც იმ დროისთვის შემეძლო, რა დროშიც დავიბადე.

**– მიზანდასახულობასთან ერთად, იღბალიც ხომ საჭიროა?**

– რასაკვირველია, იღბალიც საჭიროა, მაგრამ ნებისმიერ ადამიანს ეძლევა ბევრი რამის შანსი და ეს შანსი, აუცილებლად უნდა გამოიყენო. არ უნდა იჯდე და იყო მოლოდინის რეჟიმში, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ვიღაცა რაღაცას გაგიკეთებს. რისი გაკეთებაც შეგიძლია თავად, უნდა გააკეთო და სხვას არ უნდა ელოდო. საკუთარ თავთან უნდა იმუშაო და მიხვდები, რისი გაკეთება შეგიძლია, რომ ცხოვრებაში წინ წაიწიო. ასე რომ, მე მიზანდასახულობასთან ერთად, იღბლიანიც ვარ ალბათ.

**– არასოდეს გიფიქრია, უცხოეთში წასულიყავი საცხოვრებლად?**

– როგორ არა. როცა ძალიან მძიმე პერიოდი იდგა საქართველოში, ძალიან მინდოდა, უცხოეთში წასვლა, მაგრამ ეს რთული იყო. თუმცა, დღეს ჩემი ქვეყნიდან წასვლა არ მინდა. მიმაჩნია, რომ საქართველოს უნდა ჰყავდეს ავთანდილი. იმდენად ხშირად მიწევს უცხოეთში წასვლა ჩემი საქმიდან გამომდინარე, რომ იქ ცხოვრება, ნამდვილად არ მინდა. მირჩევნია, ჩემი ქვეყნის სახელი გავიტანო უცხოეთში.

**– დაბოლოს, არ შემიძლია არ გკითხო, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, როგორი სტილის და ფერის სამოსია მოდაში?**

– გეტყვით, რომ ყველა ადამიანის სხეული ინდივიდუალურია და თუ პრეტენზია აქვს, იყოს გამორჩეული, მოდის ტენდენციიდან ის უნდა აიღოს, რაც მისთვის და მისი სხეულისთვის მისაღებია. და არა, დაუფიქრებლად ატაროს ის ყველაფერი, რასაც სთავაზობს გლამურული ჟურნალები და ინტერნეტი. სხვათა შორის, ჩემი დაკვირვებით საქართველოში ძალიან ბევრი ლამაზი, გემოვნებით ჩაცმული გოგონა დადის, რომელმაც იცის რა არის სტილი, რა უხდება და რა არის მოდაში. ამ შემოდგომა-ზამთრის სეზონზე, როგორც არასდროს, კუბოკრული სამოსის ბუმია, მაგალითად, კუბოკრული ქსოვილი შეხამებული ყვავილებიან ქსოვილთან. მოკლედ, დიდი, გრანდიოზული პრინტებია მოდაში და ეს ქმნის ასოციაციას, თითქოს ცოცხალ ადამიანს ატარებ. ასეთი ეფექტის სამოსი ძალიან მოდაშია წელს ამ სეზონზე. დიდი პრინტი კუბოკრულ ქსოვილთან ძალიან აქტუალურია და ფერებიდან კი – ნაცრისფერი, შავი, წითელი, მწვანე. სხვათა შორის, ქართველი მომხმარებელი ძალიან პრეტენზიულია. თუმცა, მე ქალს რომ შევხედავ, ზუსტად ვიცი, რა მოუხდება, როგორი სტილი შეესაბამება და რა იმოქმედებს მასზე დადებითად. ერთი შეხედვით ვხვდები, კონკრეტული ქალი ფსიქოლოგიურად რა მდგომარეობაშია და რა მოუხდება მას. ქალის ხასიათსა და კონფიგურაციაში ექსპერტი ვარ ***(იცინის).*** არ არის აუცილებელი, „ავთანდილი" მოგწონდეს, მას უნდა ენდობოდე.

**ნონა დათეშიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



# რატომ მჟღავნდება ცოლის ღალატზე გაცილებით სწრაფად ქმრის ღალატი

**მამაკაცის ღალატს გაცილებით სწრაფად ეხდება ხოლმე ფარდა, ვიდრე ქალისას. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მამაკაცებს, უბრალოდ, უჭირთ ენაზე კბილის დაჭერა – არ შეუძლიათ საიდუმლოს შენახვა?! ეს საკითხის მარტივი გადაწყვეტა იქნებოდა, მაგრამ, რეალობა გაცილებით რთულია. მამაკაცები ხშირად ვერ აცნობიერებენ, ისე ებმებიან მახეში, თანაც, ორივე ფეხით და უნებლიეთ ხდებიან ცბიერების მსხვერპლი. საყვარელი ყოველთვის არ არის უანგარო და გულწრფელი; ზოგჯერ კი საერთოდაც არ იცის რა არის სიყვარული...**

**ძალიან დიდი, სიფრთხილეა საჭირო, რომ არ დავანგრიოთ ის, რაც მართლაც ღირებულია; გული არ ვატკინოთ იმას, ვისაც მართლაც ვეძვირფასებით...**

**სოფიკო *(39 წლის):*** საყვარლის როლს მორგებული ქალები რომ განსაკუთრებულ, უცნაურ კასტას ქმნიან და რომ ისინი ძალიან შორს არიან ქალური სოლიდარობისგან, ცოლებს, მინიმუმ, გაგონილი მაინც აქვთ. ალბათ, არ არსებობს ცოლი, ამის შესახებ რომ არ სმენოდეს.

**– ანუ, ყველა ქალი, რომელიც ცოლიან კაცთან დადის, კუდიანია?!**

– თქვენ ხუმრობთ, მაგრამ, კეთილი სულის ადამიანი სხვის ოჯახს დაანგრევს?! ვიცი მაგათი ლოგიკაც – რომ, ინგრევა ის, რაც დასანგრევია და რომ მესამე პირი აქ არაფერ შუაშია – სრული სიცრუეა. ჩემს მაგალითზე ვიტყვი, რომ სწორედ ამ „უწყინარი“ ქალბატონების მიზეზით ინგრევა ოჯახებიც და ურთიერთობებიც. მათ ინტერესებშია სკანდალები, ჩხუბი და აყალმაყალი. ძალიან ბევრ ქალს საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი ქმრის პერანგზე მოცხებული პომადით დაწყებული კოშმარი; ასეთ ქალებს „შემთხვევით“ ავიწყდებათ ხოლმე საყვარლის მანქანაში ნივთები – უფრო სწორად, ნივთმტკიცებები... სუნამოსაც კი სპეციალურად ბევრს ისხამენ, რომ საცოდავი მსხვერპლი ანუ, საყვარლის ცოლი, ბოლომდე დაამცირონ და წყობიდან გამოიყვანონ. სპეციალურად „ატერორებენ“ ცოლებს და, ფაქტობრივად, მათ ფსიქოლოგიურ განადგურებაზე მუშაობენ.

**– როგორ გგონიათ რა მიზნით?**

– ეს რომ ზუსტად ვიცოდე... მე ხომ ცოლი ვარ და არა საყვარელი. ფაქტია, რომ აღწევენ მიზანს – ახდენენ სკანდალის პროვოცირებას, იმ სკანდალისა, რომელიც მათი საყვარლის ოჯახში იწყება – სწორედ ეს მიმაჩნია სხვის ქმრებზე ნადირობის ჟინის მთავარ მამოძრავებლად. ზუსტად ვიცი, რომ ამაზე „კაიფობენ“. ცოლმაც თუ კეთილგონიერება არ გამოიჩინა და წამოეგო მის პროვოკაციაზე, ანუ, ქმრის საყვარელი თმით ითრია – ეს ხომ „კაიფის“ მწვერვალია. მერე უკვე ცოლია გოიმი, ქაჯი, „სტერვა“, მესაკუთრე, რომელიც ქმარს თავისუფლად სუნთქვის საშუალებასაც კი არ აძლევს. მოკლედ, მარაგში უამრავი საზიზღრობა და აკრძალული იარაღი აქვთ ცოლების წინააღმდეგ. მთავარია, კაცს ცოლის გვერდით ცხოვრება კოშმარად ექცეს და გამოიქცეს მისგან. სხვათა შორის, ხშირად ამას ძალიან ადვილად აღწევენ.

**– თქვენ თქვით, რომ საკუთარ თავზე გამოსცადეთ ამ კატეგორიის ქალების „გამოხტომები“, ანუ, თქვენს ქმარს საყვარელი ჰყავდა?**

– დავიწყოთ იმით, რომ „გამოხტომები“ კი არა, საშინელებები... დიახ, ჩემს ქმარს ჰყავდა საყვარელი, ზუსტად ისეთი, როგორზეც უკვე გელაპარაკეთ. ყველაფერი მოიმოქმედა, რომ თავისი შანსები გაეზარდა. იცით, რა დღეში ჩამაგდო? ფსიქიკურ აფეთქებამდე მიმიყვანა, მარტო მე კი არა, ჩემი ახლობლებიც... ნამდვილი ურჩხული იყო, გაქნილი და ეშმაკი. თქვენი აზრით, შეიძლება, ჩვეულებრივი, სახლის ტელეფონი წამების იარაღად იქცეს? ეჭვიანი არ ვიყავი, მიყვარდა ჩემი ქმარი და ვენდობოდი მას. თან ვყვებოდი, ვანებივრებდი... ზედმეტი შეკითხვა არასდროს დამისვამს მისთვის. როცა სახლში მის დაბრუნებას ველოდებოდი, განსაკუთრებულ კერძებს ვუმზადებდი... ვაჟბატონი კი, თურმე, სხვას აბედნიერებდა თავისი ყურადღებით... გეფიცებით, მერჩივნა, საერთოდ არაფერი მცოდნოდა ამის შესახებ. სულიერი სიმშვიდე ძალიან ღირებული ყოფილა. მოკლედ, საღამოა, ველოდები ქმარს, მშვენიერ გუნებაზე ვარ და, უცებ, რეკავს ტელეფონი. ქალის ხმამ მბრძანებლურად და კატეგორიულად გაიჟღერა. ჩემი ქმრის სახელი წარმოთქვა – სასწრაფოდ დაუძახეთო. რა ხდება, ვინ ბრძანდებით-მეთქი. შენი საქმე არ არის, შენ არავინ გეკითხება, ახლავე დამალაპარაკეო. გავბრაზდი, ვიფიქრე, ეს თავხედი ვინ არის, ასეთ ლაპარაკს რომ მიბედავს-მეთქი. ვუთხარი კიდეც – როგორ მელაპარაკები, შე უზრდელო-მეთქი. ვინც ვარ, შენს ქმარს ჰკითხე, შე საცოდავო და ის გიპასუხებსო, – მომახალა და ყურმილი დამიგდო. გეფიცებით, ღალატი ერთი საშინელებაა, მაგრამ, ღალატზე კიდევ უარესი საშინელებაა, ასე რომ გამცნობენ ამ ფაქტის შესახებ. უცებ ტელეფონმა ისევ დარეკა – არ დაგავიწყდეს, შენს ქმარს ჩემ შესახებ ჰკითხოო – და ისევ დაკიდა. როგორც იტყვიან ხოლმე, „ჩორტი“ შემოაგდო.

**– არ უნდა აჰყოლოდით...**

– ვაიმე, ეს მარტო სათქმელად არის ადვილი! არ ავყევი, ბატონო და, მაშინვე არ მიფიქრია, რომ ჩემი ქმრის საყვარელს ველაპარაკებოდი, მაგრამ, არ დაგიმალავთ, ძალიან ავფორიაქდი. ქმარი რომ მოვიდა, მოვუყევი. ცოტა კი დაიბნა, მაგრამ, მხრები აიჩეჩა – წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არისო.

**– დაუჯერეთ?**

– როგორ გითხრათ... ყოველ შემთხვევაში, ეჭვის მარცვალი ჩაითესა. სულ ერთი აზრი მიტრიალებდა თავში: შეუძლებელია, სრულიად უცხო ადამიანს ვინმე ასე დაელაპარაკოს; თუნდაც უზრდელი იყოს, მაინც მეტისმეტია-მეთქი. გავყევი ფიქრებს... გავყევი და... მოკლედ, ჩემს ქმარს უკვე ეჭვის თვალით დავუწყე ყურება. იმავე კვირის ბოლოს, შაბათ დღეს, დილის შვიდ საათზე დარეკა ტელეფონმა. ძილიდან ძლივს გამოვერკვიე. „ვინ არის ასეთი უსინდისო, ამ უთენია რომ რეკავს, – ჩემი ძვირფასი ქმარიც გაბრაზდა, – თავხედი თუ მოიქცევა ასე უტიფრადო. აპარატთან, რა თქმა უნდა, მე მივედი. ნაცნობი ხმა რომ გავიგონე, მუხლებში უცნაური სისუსტე ვიგრძენი. თითქოს შინაგანად ველოდი კიდეც ამ ზარს. რომ იტყვიან, „დავიშალე“.

**– რა გითხრათ?**

– ახლა ხომ სახლშია შენი ქმარი, დაუძახეო. გავბრაზდი – ასეთი რა საქმე გაქვს, რომ დილაუთენია წამოგვახტუნე ლოგინიდან-მეთქი და, იცით, რა მიპასუხა? – წამოგახტუნე, შენც ახლა ქმართან სექსით არ ყოფილიყავი დაკავებულიო და საზიზღრად ახარხარდა. გავგიჟდი, ლამის გავიგუდე აღშფოთებისა და სიმწრისგან. ვუყვირე ჩემს ქმარს, მობრძანდი აქ, შენ უნდიხარ-მეთქი. არც კი ადგა, ისე მითხრა – უთხარი, რომ არ ვიცი, ვინ არის, მაგასთან საერთო არაფერი მაქვსო. სიტყვასიტყვით გადავეცი ქმრის ნათქვამი და ვთხოვე, აღარ დაერეკა. როცა მომინდება, მაშინ დავრეკავ და, თუ საჭიროდ ჩავთვლი, სახლშიც მოგადგებითო. როგორ გგონიათ, როგორი რეაქცია მექნებოდა?!

**მერე ცოლია გოიმი, ქაჯი, „სტერვა“, მესაკუთრე, რომელიც ქმარს თავისუფლად სუნთქვის საშუალებასაც არ აძლევს**

**– ეჩხუბეთ, ალბათ, ქმარს.**

– რა თქმა უნდა, თანაც საშინლად. ჯიუტად იმეორებდა – წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არისო. როგორ დავუჯერებდი?! ან, საერთოდ, ვინ დაუჯერებდა ჩემს ადგილას?! მერე, რამდენიმე დღის განმავლობაში, ვცდილობდით, ისე მოვქცეულიყავით, თითქოს არაფერი მომხდარა. ვატყობდი, ჩემზე მეტად ჩემს ქმარს უნდოდა ამ ყველაფრის დავიწყება, მაგრამ, ვინ გაცადა?! ზარები ჩემს სახლში ყოველდღიურ „სიამოვნებად“ იქცა.

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ძალიან უცნაური ცოლი მყავს. თავიდან მეცინებოდა მის ახირებებზე, მაგრამ, ნელ-ნელა ვრწმუნდები, რომ სამხიარულოდ სულაც არ მაქვს საქმე. დღეს რომ დარწმუნებული ვარ მის ერთგულებაში, ხვალ ისეთ რაღაცას ჩაიდენს, ნორმალური არ მგონია. უცხო თვალმა რომ შეხედოს, იტყვის, ამ უზნეო დედაკაცს პატრონი არ ჰყავს? ქმარი როგორ უთმენსო. იქნებ, ჩუმად მღალატობს კიდეც? რა ვქნა, ვუთვალთვალო?!**

**გამოხმაურება:** თქვენ არ აკონკრეტებთ, რას აკეთებს თქვენი მეუღლე, ასე რომ ღიზიანდებით და ნერვიულობთ. იქნებ, მას ასეთი იუმორი აქვს? თუ თვალშისაცემად გამომწვევად იქცევა, მაშინ, მშვიდად და ზომიერად დაელაპარაკეთ. თუ ერთმანეთი გიყვართ და პატივს სცემთ, პრობლემა მოგვარდება.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როზაქიძე**

# როგორ დაეხმარა ქალი ქმარს რუსეთში მცხოვრები 8 წლის შვილის მოძებნაში და რა სიხარული ეწვია მანავში მცხოვრებ 47 წლის კაცს

***40 წლის თინიკო ავსაჯანიშვილი და 47 წლის აკაკი მაზიაშვილი ეძებდნენ: 25 წლის ირინა პუზანესცა და 8 წლის ნინა პუზანესც.***

**ისტორია**: ვეძებ ჩემი მეუღლის შვილსა და მის დედას: 8 წლის ნინა პუზანესცს და 25 წლის ირინა პუზანესცს. მათ შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ისინი ცხოვრობდნენ მურმანსკის მხარის ქალაქ კოლგორში. აკაკიმ ნინას დედა კოლგორში გაიცნო რუსეთში ყოფნის დროს, დაახლოებით 2004-2005 წლებში. მათ შეეძინათ გოგონა – ნინა. მალე აკაკი საქართველოში დეპორტით გამოუშვეს და ასე დაკარგა მან ირინასთან და ნინასთან კავშირი, რამდენიმე ხანში კი მე შემირთო ცოლად. ყოველთვის ვატყობდი ქმარს სევდიანობას და, ვიცოდი, რომ ეს ბავშვის გამო იყო. აკაკი ძალიან განიცდის ნინას უნახაობას. ძალიან გთხოვთ, დაგვეხმაროთ ბავშვის მოძებნაში

**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია რუბრიკა „დაკარგულების" წინა ნომერში დაიბეჭდა. ჩემს რუბრიკაში სასწაულები ხშირად ხდება – დაკარგული ირინა და ნინა ერთ დღეში ვიპოვეთ. თუმცა, ირინა პუზანესცის მოძებნაზე რთული აკაკისთან მის დაკავშირებაზე დათანხმება აღმოჩნდა. ჩემს პრაქტიკაში ჯერ არ მომხდარა ისე, რომ ნაპოვნი ადამიანისთვის ამდენ ხანს მეხვეწოს თანხმობის მოცემა დაკავშირებაზე. მაგრამ, ირინა მაინც დავითანხმე და დაკარგული ჩემს რესპონდენტთან დავაკავშირე, დანარჩენს კი მკითხველი სტატიიდან თავად შეიტყობს. პირადად მე კი, მინდა, ვუსურვო თინიკოს, რომ მასაც მალე შეეძინოს შვილი და მანაც იგრძნოს დედობით მინიჭებული ბედნიერება. მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს ქალბატონი, რომელმაც მეუღლეს დაკარგული შვილის პოვნაში გაუწია დახმარება, ამას მართლაც იმსახურებს.

**– თინიკო, რა რეაქცია გქონდათ, როდესაც გითხარით, რომ ირინა და ნინა ვიპოვეთ?**

– ძალიან რთულია სიტყვებით იმ გრძნობის გადმოცემა. თქვენ ზუსტად ამიწერეთ ირინა, შემდგომ მეუღლეს ჩავეკითხე და მანაც დამიდასტურა – ირინას გარეგნობა ზუსტად ემთხვეოდა თქვენ მიერ აღწერილს. მასთან დაკავშირებამდე დარჩენილ მოლოდინის წუთებს ვითვლიდით, რადგან, ვიცოდით, რომ ირინას თანხმობის გარეშე აკაკი ნინას ვერ დაუკავშირდებოდა. თქვენ რომ არა, ჩვენ მათ ვერც ვიპოვიდით, პოვნის შემთხვევაში კი თანხმობას ვერ მივიღებდით. ნამდვილად გაოცებული ვარ, როგორ იპოვეთ ისინი ასე მოკლე ხანში, ან როგორ დაითანხმეთ ირინა აკაკისთან საუბარზე.



**– მინდა გითხრათ, რომ ეს არც ისე იოლი იყო, მაგრამ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.**

– აკაკი იმ დღესვე ესაუბრა ნინას და ბავშვმა უთხრა, რომ მას არ ახსოვს მამა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, ბოლოს რომ ნახეს ერთმანეთი, ნინა 1,5 წლის იყო, ახლა კი ის მეორე კლასში გადასულა. ირინა მამით გერმანელია და, ალბათ, ამითაც არის გამოწვეული მისი ამგვარი პრინციპულობა და შეუვალობა. მადლობა ღმერთს, ის საბოლოოდ დაგვთანხმდა ნინასთან საუბარზე, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ეს თქვენი დამსახურებაა. დღემდე გვაინტერესებს მე და ჩემს მეუღლეს, რა ელაპარაკეთ ირინას და როგორ დაითანხმეთ ის ტელეფონის ნომრის მოცემაზე. დიდი მადლობლები ვართ თქვენი. ნეტავი განახათ, რა ბედნიერი იყო ჩემი ქმარი, როდესაც ტელეფონით თავის შვილს ესაუბრებოდა.

**– თინიკო, არ შემიძლია, არ გკითხოთ: ხომ არ გიეჭვიანიათ, როდესაც თქვენი მეუღლე თავის ყოფილ ცოლს ესაუბრებოდა?**

– თავიდან კი გავიფიქრე: ნახე, როგორ გავიდა გარეთ და ჩემი თანდასწრებით საუბარი არ განაგრძო-მეთქი, მაგრამ, შემდეგ მივხვდი, რომ მას ისეთი ემოციური განწყობა ჰქონდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. ისეთი აღფრთოვანებული და გახარებული იყო, ერთ ნახვად ღირდა. ასეთი ბედნიერი მე ის არასდროს მინახავს. ახლა მან თავისი შვილის ხმაც გაიგო და დიდხანსაც ესაუბრა და, ამაზე დიდი მადლი თუ არსებობს ქვეყნად, არ ვიცი. მე მოხარული ვარ, რომ შევძელი და გვერდში ამოვუდექი მას შვილის მოძებნაში. ის ამისთვის ჩემი მადლობელია და მე სხვა არაფერი მინდა, გარდა მისი ბედნიერებისა. იმედი მაქვს, ირინა არ ინანებს, რომ ჩვენთან დაკავშირებაზე დაგვთანხმდათ. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ნინას კეთილდღეობა გვამოძრავებს. კოლგორი საქართველოდან ძალიან შორსაა და, ბუნებრივია, აკაკიმ ნინა, შეიძლება, კიდევ დიდხანს ვერ ნახოს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მან უკვე იპოვა შვილი და ეს მისთვის ყველაფერს ნიშნავს. ვფიქრობ, ჩვენი ოჯახი ამ ამბის მერე უფრო გამყარდება. ჩემი მეუღლე კი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, როგორ მიყვარს ის.

**– სამომავლოდ თუ გეგმავთ ერთმანეთის ნახვას თქვენ და ირინა, ან, ნინას ჩამოყვანას თუ აპირებთ საქართველოში?**

– მათი ურთიერთობა ჯერ ახალი დაწყებულია. კაკოს დიდი დრო დასჭირდება, რომ შვილის სიყვარული მოიპოვოს. მე კი დიდი მადლობელი ვარ ირინასი, რომ გაგებით მოეკიდა ჩვენს ისტორიას და ქალურ ეგოიზმს ბავშვის სიყვარული არჩია. ბუნებრივია, თუკი ირინა წინააღმდეგი არ წავა, ჩვენ დიდი სურვილი გვექნება მისი ნახვის და მანავში მისი დაპატიჟების. ჩვენი გამოჩენით მას ცხოვრებაში არანაირი დისკომფორტი არ შეექმნება – ამას ჩვენ თქვენც გპირდებით.

***თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

**– რეკავდა და ითხოვდა, შენს ქმარს დამალაპარაკეო თუ, სხვა მოთხოვნებიც ჰქონდა?**

– ძირითადად ეს ერთი მოთხოვნა იყო – შენს ქმარს უნდა ველაპარაკოო. ჩემი ქმარი კი ტელეფონს არ ეკარებოდა, ხან კი სახლში საერთოდ არ იყო. ვის ეშლებოდა ნერვები – მე!

**– ცოტა უცნაურია, რომ ქმარი ასე კატეგორიულად უარყოფდა მასთან ნაცნობობას.**

– ეს მისი სტრატეგია იყო და, პრინციპში, სწორი – ცეცხლზე ნავთი აღარ დამისხა. სიტუაცია იქით მიდიოდა, რომ მე მალე ფსიქიკური პრობლემები დამეწყებოდა, ან, საერთოდ გავეყრებოდი ქმარს, რადგან ძალა და ენერგია გამომეცალა. ახლა ძალიან მიკვირს, როგორ გავუძელი ამ ყველაფერს. რამდენჯერმე მართლა მქონდა სახლიდან ჩემი ქმრის გაგდების სურვილი. ისიც ვიფიქრე, რომ ეს ქალი, ამ ფორმით, შესაძლოა, რაღაცისთვის სამაგიეროს უხდის ჩემს ქმარს-მეთქი, მაგრამ, განტევების ვაცი მე რატომ აღმოვჩნდი და ყველაზე მეტად მე რატომ დავზარალდი, დღესაც არ მესმის. რა დავუშავე? ის იყო ჩემი ქმრის საყვარელი და კიდევ ჩემზე იყო დაბოღმილი?! სად არის ლოგიკა? ჩემი ოჯახი კრახის პირას იყო. ვგრძნობდი, ჩემი ქმარი ლაჩრულად იქცეოდა; ძალიან უნიჭოდ ცრუობდა, რომ არ იცოდა, ვინ იყო ეს ქალი. ბოლოს კულმინაციურ მომენტამდეც მივედი და ვიფეთქე – ქმარი საშინლად გამოვლანძღე, ტელეფონზე კი ნომრის ამომცნობი დავაყენე და, ბოლოს და ბოლოს, გავიგე, საიდან იყო ზარი. მისამართით ხელში თავზე დავადექი ჩემს ქმარს და დავემუქრე, რომ საშინელებას დავატრიალებდი... მაშინ კი გატყდა... ისეთი საცოდავი იყო, ბოდიშებს რომ მიხდიდა, ისეთი უსუსური... ეს კაცები მაოცებენ – ბოდიში და, ოჯახში არაფრის „ერთი ადგილი" არ აქვთ, საყვარლებს კი იჩენენ. მერე ცოლები ვიხდით მათი ცერცეტობისა და ქარაფშუტობის საფასურს.

> **ეს კაცები მაოცებენ. ბოდიში და, ოჯახში არაფრის „ერთი ადგილი" არა აქვთ, საყვარლებს კი არჩენენ**

**– არ გიფიქრიათ, რომ ღალატისთვის ქმარი უნდა დაგესაჯათ? მით უმეტეს, რომ ორმაგად დაზარალდით.**

– როგორ არ მიფიქრია, მაგრამ, თხუთმეტწლიანი ურთიერთობის დანგრევა ასეთი მარტივი არ აღმოჩნდა. ცხელ გულზე, თუ გონებას ცოტა არ „გააგრილებ", აუცილებლად შეუკრავ ქმარს ბარგს და გააგდებ. იმ ქალბატონს უკვე ქმარიც ჰყოლია – ეტყობა, ჩემი ქმრის პარალელურად სხვა კაციც ჰყავდა და იმასთან უკეთესად გამოუვიდა ჩანაფიქრი... ჩემი ქმარი ისეთ დღეში ჩავაგდე, დღესაც ახსოვს. ახლაც არ ვარ ბოლომდე შერიგებული. დღესაც შემომცინცინებს, იმიტომ, რომ ხვდება, ჯერ კიდევ ვერ ვაპატიე – არ არის ასე ადვილი. ყოფილი საყვარელიაო, იმდენ ხანს მიმტკიცა, ამით უარესად მომიშალა ნერვები და იქამდე მიმიყვანა, რომ სამაგიეროს გადახდის სურვილი გამიჩინა.

**– ვის გადაუხადეთ სამაგიერო?**

– იმ ქალბატონს. მამაკაცი მეგობრები მყავს, მართლა მეგობრები რომ ჰქვიათ და ისინი დამეხმარნენ. იგივე მეთოდი გამოვიყენე: მასთან, სახლში რეკავდნენ და მის დედამთილს ეუბნებოდნენ, შენს რძალს დაუძახეო. გააგიჟეს. საერთოდ არ ვნანობ, არც ერთი წუთით. ის მიიღო, რაც დაიმსახურა. ისევ ჩემი ქმარი მომიგზავნა – შემეშვას შენი ცოლი. ცუდად მოვიქეცი და აღარ გავაკეთებ ამასო. მაგას რა გამოასწორებს, მაგრამ, ჩემს ქმარს რომ ერთ ნაბიჯზე აღარ ვენდობი, ფაქტია!

**დალი მიქელაძე**


**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მ ი ი ღ ე თ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**პარიზში დატვირთული სამუშაო გრაფიკის შემდეგ, ქრისტინე ძიძიგური საქართველოში ჩამოვიდა დასასვენებლად. ამისთვის კი მან ჯერ ბათუმს მიაშურა, შემდეგ კი რამდენიმე დღე სვანეთში გაატარა.**

# ვინ აჩუქა ავტომობილი ქრისტინე ძიძიგურს და რა გამოცდა ჩააბარა მან დედასთან წარმატებულად



**ფრანგ ბიჭებში რაც მხიბლავს, ეს არის მათი „დასტოინი“, „კლასნი“ ქცევები. გოგონას მიმართ საოცარ ყურადღებას იჩენენ, თუ ვინმე შეუყვარდებათ, ზედ გადაჰყვებიან**

**ქრისტინე ძიძიგური**: სვანეთში ვიყავი ცოტა ხნის წინ მესტიაში ახალი ეკლესია გაიხსნა, თავად პატრიარქი იყო ჩასული მის გახსნაზე. თან, იმ დღეს ისტორიული ფაქტი მოხდა: კათოლიკოს-პატრიარქმა ორი ერთმანეთზე გადაკიდებული სვანური გვარი შეარიგა. მუზეუმი ვნახე კიდევ და გავოგნდი, ისეთი საოცარი რაღაცეები ინახება: მეცხრე, მეათე საუკუნის წიგნები, უძველესი ხატები – სულ სხვა სამყაროში ხვდები. ბუნება ხომ საოცარია, ძველი კოშკები, თავად მესტიაც ძალიან კარგად არის გაკეთებული. „კანატკიდან“ ადიხარ რესტორანში, იქ შეგიძლია, დაჯდე და უყურო უშბას. ჯდები და ვერ წყდები იქაურობას, ტკბები ბუნების, მთების, ცის ცქერით, ბოლომდე მშვიდდები. „კანატკიდან“, ანუ მთის წვერიდან, ბოლომდე ჩადიხარ, საოცარი ეფექტი აქვს, ასე გგონია, დაფრინავ. პირველად ვიყავი სვანეთში და ძალიან მოვიხიბლე, გამაოგნა. თან, ასეთ ადგილებში სწყდები ყოველდღიურ, რუტინულ ცხოვრებას და აბსოლუტურად, თავიდან ბოლომდე ისვენებ ყველაფრისგან, სულ სხვა სამყაროში ხარ. საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ დასასვენებლად ჩამოვედი. მანამდე ბათუმში ვიყავი, თან ვისვენებდი, თან ვვარჯიშობდი, თანაც მართვის მოწმობის საგამოცდო საკითხებს ვმეცადინეობდი. ზემო აჭარაშიც ვიყავი: ქედაში, შუა ხევში, ძალიან მომეწონა. ზოგადად, როცა ვისვენებ, მირჩევნია, ბუნებასთან ახლოს ვიყო, ზღვაზე ხომ აღარაფერს ვამბობ.

**– აიღე მართვის მოწმობა?**

– კი, ავიღე და მერე ვხუმრობდი: ისე კარგად ჩავაბარე გამოცდები, სვანეთის გზაზე ღამეც დავდიოდი მანქანით-მეთქი.

**– გყავს ავტომობილი?**

– დედაჩემმა ახალი იყიდა და თავისი მე მომცა – „პაჯეროს ჯიპი“. მანამდეც ვიცოდი ტარება, მაგრამ ბათუმში კიდევ უფრო კარგად ვისწავლე. ზოგადად, წესრიგის მოყვარული მძღოლი ვარ. როცა იცი, რომ ქალაქში ეს წესია, ამას აუცილებლად უნდა დაემორჩილო. შენ თუ სიჩქარე გიყვარს, წესების დარღვევა გინდა, ამისთვის სპეციალური ადგილები არსებობს და შეგიძლია, იქ წახვიდე – ეს ჩემი პირადი აზრია. როცა საჭესთან ვზივარ, უპირველეს ყოვლისა, იმაზე ვფიქრობ, რომ სხვა არ დავაზიანო, მით უმეტეს, ქვეითი. ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით, „ქალწული“ ვარ. სიმართლე რომ გითხრათ, ზოდიაქოსი ნაკლებად მჯერა, მაგრამ რაღაც თვისებები დაემთხვა. ანუ, „ქალწულები“ წესრიგის მოყვარულები არიან და მეც ასეთი ვარ. ამაზე პარიზმაც მოახდინა გარკვეული გავლენა, რადგან ევროპაში უყვართ წესრიგი, კანონების დაცვა. ეს წესები, უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის არის და რატომ არ უნდა დავიცვათ? ადრე ღვედს ვერ ვიტანდი, მაგრამ ახლა ველარ წარმომიდგენია ღვედის გარეშე.

**– ხომ არ აპირებ საფრანგეთში ავტომობილის ყიდვას?**

– ვფიქრობ, ხომ არ ვიყიდო. იმედია, ჩემები არ გაბრაზდებიან. დედაჩემმა შეიძლება, ინერვიულოს, მაგრამ ნახა როგორ დავდივარ, თან, ბათუმიდან მე ვიჯექი საჭესთან. სიჩქარე არ მიყვარს ტრასაზე და ქალაქში, რადგან, ამით საკუთარ თავსაც უქმნი საფრთხეს და სხვასაც.

**– ანუ, დედასთან გამოცდა წარმატებულად ჩააბარე.**

– კი, წარმატებულად ჩავაბარე. ეს იყო მთავარი და მერე მართვის მოწმობის გამოცდაც მაშინვე ჩავაბარე.

**– „ფეისბუქზე“ ვნახე შენი ფოტოები, სადაც დელფინთან ერთად ცურავ. წარმომიდგენია, რა სასიამოვნო იქნებოდა ასეთ საყვარელ არსებასთან ერთად ცურვა.**

– ძალიან მიყვარს ცხოველები, მაგრამ დელფინებზე გავგიჟდი და გადავირიე. ამის შემდეგ გამიჩნდა ოცნება, რომ მქონდეს ზღვასთან ახლოს სახლი, ან ვილა და მყავდეს ერთი დელფინი. საერთოდ, დელფინი ხელის მოძრაობაზე რეაგირებს. მწვრთნელი ხელს გაუქნევდა, ისიც ამოხტებოდა და ჰაერში სალტოებს აკეთებდა. ჩემთვის ვფიქრობდი: სახლში, რომ მეყოლება დელფინი, მოვლენ სტუმრები, არ ეცოდინებათ, უცებ მე გავუქნევ ხელს და ის ბასეინიდან ამოხტება. წარმოიდგინე, რა იქნება?! ზედმეტ მოძრაობას არ აკეთებს, რომ შენ არ დაგაფრთხოს. ასეთი სიამოვნება არსად მიმიღია. ხელი უნდა მოჰკიდო ზურგის ფარფლზე და მიჰყავხარ, მთელ ბასეინს მოგატარებს, არც გეხება. მე ცოტა დავიძაბე და შუა ბასეინში ჩამოვხტი. მწვრთნელმა მითხრა: ახლა მოვა, დაელოდე, უკან წამოგიყვანსო. მართლაც მოვიდა და წამომიყვანა უკან. თუ არ შეგიძლია, რომ უკან გაჰყვე, მაშინ ამოტრიალდება, გულზე გიწვენს და ისე მიყავხარ. საოცარი არსებაა, ასეთი არაფერი მინახავს, მთელი ცხოვრება არ დამავიწყდება ეს შეგრძნებები. კიდევ, ცხენი მიყვარს ძალიან და მინდა, მყავდეს.

**– ესე იგი, შენ ერთი ვილა გინდა სანაპიროზე და კიდევ რანჩო – თავისი ცხენებით.**

– კი, ბუნებაში – რანჩო და ზღვის პირას – ვილა. რომ მეყოლება ცხენი, მერე უფრო კარგად ვისწავლი ჯირითს.

**– როდესმე წარმოგიდგენია საკუთარი თავი, მაგალითად, 20 წლის მერე?**

– სიმართლე გითხრათ, წინასწარ არ ვფიქრობ ასეთ რაღაცეებზე. ყველაფერი ღვთის ნებაა. მოცემულ მომენტში მიყვარს მაქსიმალურის გაკეთება და შემდეგ ამ ყველაფერს განვითარების მიხედვით მივყვები. ერთადერთი, რაზეც ვფიქრობ და რაც მინდა, ეს არის, ვიყო უბერებელი და ყველა ასაკში – საინტერესო ადამიანი. სამომავლოდ ერთი მნიშვნელოვანი იდეა მაქვს. მოდელობას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, აქტიურად გავაგრძელებ, მაგრამ, რაც შეეხება იდეას: შემდეგი წლიდან მინდა, ევროპის რომელიმე ქალაქში – პარიზში ან მილანში – ჩავაბარო მაგისტრატურაში და ვისწვლო კულტურის მენეჯმენტი. სორბონაში არის ასეთი ფაკულტეტი, რომელშიც შედის თეატრი, მუსიკა, ცეკვა... ყველაფერი, რაც ხელოვნებას, კულტურას ეხება. ძალიან საინტერსო ფაკულტეტია, თან, ჩემთვის ახლოსაა: ვუკრავ ბავშვობიდან, ვცეკვავ. თან, სოციოლოგიის შემდეგ ამ ფაკულტეტზე სწავლა ლოგიკური გაგრძელება იქნება. ყველაფერი გარკვეული მაქვს, თემაზეც დავიწყე მუშაობა, იდეებიც ჩამოვყარეთ, ლექტორებს მინდა შევხვდე და მომავალი წლის სექტემბრიდან დავიწყებ ალბათ სწავლას. თბილისშიც ჩავაბარე მაგისტრატურაში – საერთაშორისო ურთიერთობებზე.

**– არსებობენ ადამიანები, რომლებიც ბავშვობიდან ოცნებობენ რომელიმე კონკრეტულ ქალაქში ცხოვრებაზე, ან იქ წასვლაზე. შენ გქონდა ასეთი ოცნება?**

– პარიზი იყო ჩემი ოცნები ქალაქი. 12 წლის ვიყავი, „ჰოტელ კოსტის“ სიმღერებს, რომ ვუსმენდი და ვოცნებობდი პარიზზე, შანზელიზეზე მათი სიმღერების მოსმენაზე. მაშინ არც ვიცოდი, რომ ეს პარიზში სასტუმროებისა და რესტორნების ქსელი იყო და ჩემი საყვარელი ჯგუფი თურმე ამ ქსელის რესტორნის ჯგუფია. ჟიბერტ კოსტი, რომლისაცაა ეს სასტუმრო-რესტრონების ქსელი ჩემი უახლოესი მეგობრის მეგობარია და მისგან გავიცანი. ისე ახლოს გავიცანი, დავმეგობრდით. მის რესტორანშიც ხშირად დავდივარ, რადგან პარიზში ერთ-ერთი საუკეთესი რესტორანია. მოვუყევი ყველაფერი, როგორ ვუსმენდი მათ ჯგუფს. ჩემი სახლის წინ არის მის ერთ-ერთი სასტუმრო და იქ დავდივარ სავარჯიშოდ. ეს რომ გაიგო, სხვადასხვა ფასდაკლება და საჩუქრები შემომთავაზა. ძალიან საინტერესო ადამიანია, კლასიკური ფრანგი. პარიზში ისეთ ადამიანებთან მიწევს ურთიერთობა, თუნდაც ჩემი დიასახლისიც რომ ავიღოთ, ძალიან ბევრს ვსწავლობ მათგან: დიდი კულტურის მქონე ერია, ფრანგები არისტოკრატული მანერებით, საუბრით ძალიან მხიბლავენ.

**– არ მოგწონს ფრანგი ბიჭები?**

– ფრანგ ბიჭებში რაც მხიბლავს, ეს არის მათი „დასტოინი“, „კლასნი“ ქცევები. გოგონას მიმართ საოცარ ყურადღებას იჩენენ. თუ ვინმე შეუყვარდებათ, ზედ გადაჰყვებიან. თან, ეს ყველაფერი ძალიან დახვეწილად გამოსდით, ზომიერად. ზუსტად იციან, რა დროს, როგორ უნდა მოიქცნენ. უბრალოდ, ამ ეტაპზე არ ვფიქრობ არც ოჯახის შექმნაზე და არც სერიოზულ ურთიერთობაზე, არაფერს არ ვცდილობ ამ კუთხით. ჩემს საქმეს ვაკეთებ: ვსწავლობ, ვმუშაობ და ეს ყველაფერი კი, ალბათ, თავის დროზე მოვა, მაშინ, როდესაც საჭირო იქნება. ჩემი მხრიდან ამ კუთხით არაფერი არ ხდება.



**ასეთი სიამოვნება არსად მიმიღია. თან, ხელი უნდა მოჰკიდო ზურგის ფარფლზე და მიჰყავხარ, მთელ „ბასეინს“ მოგატარებს, არც გეხება**

**ნათია უტიაშვილი**

# ვისი მიბაძვით დაიწყეს ქალის ფეხსაცმლიდან ღვინის სმა თბილისელმა კინტოებმა და რა ლექსი მიუძღვნა მათ რაფიელ ერისთავმა

*ძველი თბილისის ქუჩების ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა თავზე ხილით სავსე თაბახით ან ვიწრო ქუჩაში ვირშებმული პატარა ურიკით მიმავალი კინტო იყო. ცუღლუტი, ლაზღანდარა, მასხარა, აფერისტი, ვაჭარი – ასეთი ეპითეტებით ამკობდნენ კინტოს თბილისის მცხოვრებლები. კინტოების შესახებ არაერთი საინტერესო ცნობა მოიპოვება, რომელთა შესახებ ძველი ფოტოების დახმარებით მოგაწვდით ინფორმაციას.*

**კინტო**



კინტოები მეცხრამეტე საუკუნის თბილისის ბაზარში (დავით გურამიშვილის ფოტო)

სიტყვა „კინტო“ ნიშნავს კინწით, კისრით თაბახის მზიდველს. კინტოს აცვია ჩითის პერანგი – წინწკლებიანი და მაღალსაყელოიანი, რომელსაც შესაკრავი გვერდზე აქვს, მარცხენა მხარეს. საყელოზე ოთხი ღილი აკერია, მაგრამ საკინძე ყოველთვის ჩამოხსნილი აქვს. აცვია შავი ნაშურის ახალუხი, ლასტიკის განიერი შარვალი, რომლის ტოტებს ხშირად ფარფარი გააქვს; თავზე – ქეჩის ქუდი, ან „კაზიროკიანი შლიაპკა“, ფეხზე – უქუსლო ჩუსტები, გულზე – საათი ძეწკვით, წელზე – აბრეშუმის სარტყელი ან ვერცხლის ვიწრო ქამარი, ქამარში – უბრალო ხელსახოცი; ჩოხას სულ არ ხმარობენ. კინტოების კასტა შუა საუკუნეების ირანში ჩამოყალიბდა. სპარსეთის სახელმწიფოში კინტოთა ორი ძირითადი კატეგორია არსებობდა: ერთნი იყვნენ ეგრეთ წოდებული ხელის ბიჭები, რომლებიც დიდგვაროვნების კარზე მსახურობდნენ ან ქალაქში წყლის მზიდავებად და თამბაქოს გამყიდველებად მუშაობდნენ; სპარსეთში მცხოვრები კინტოების მეორე ნაწილი ვაჭრობითა და აფერისტობით ირჩენდა თავს. აი, რას წერს ერთ-ერთი ძველი ირანელი ისტორიკოსი: „კინტომ რომ არ მოიტყუოს, ალბათ, მოკვდება. მაგათ ტყუილი და აფერისტობა ისე აქვთ გვამში გამჯდარი, რომ ერთმანეთსაც ხშირად ატყუებენ და ეს არც კი უკვირთ”. მკლევრების აზრით, კინტოს ნაციონალობის იდენტიფიკაცია არ აქვს, უფრო სექტას წარმოადგენდა, რომელთა რიგებს ყველა დეკლასირებული ფენის ხალხი ავსებდა (მათ შორის – გადაჯიშებული და დასაჭურისებული ქართველებიც).



კინტოები თბილისის ქუჩაში

თბილისში კინტოები სპარსეთის ბატონობის პერიოდიდან არსებობდნენ. ისინი როსტომ მეფემ ჩამოიყვანა ქართლის ზნეობრივი გახრწნის მიზნით, რათა ირანს გაადვილებოდა ამ ქვეყნის ინტეგრირება. კინტომ ჩვენთვის კარგად ნაცნობი სახე მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში შეიძინა, როდესაც ირანი რუსეთმა შეცვალა და კინტოები ახალ ცხოვრებასთან შეგუებას ცდილობდნენ. თუკი ირანში კინტოების ორი კატეგორია არსებობდა, თბილისელმა კინტოებმა ყველა ის თვისება გააერთიანეს საკუთარ თავში, რომელიც იმ ორ კატეგორიას ჰქონდა, ანუ, ქართველი კინტო ვაჭარიც იყო, აფერისტიც და ხელზე მოსამსახურეც.

ირანელი მოგზაური მეჯოდ-ოს-სალტანე 1865 წელს წერდა: „კავკასიაში ბევრი ირანული ყოფის ხალხია. ტფილისში ყველგან გადააწყდებით ირანელი კინტოებივით გამოწყობილ ნახევარკაცებს, რომლებიც ხალხს ატყუებენ”. დავით ორბელიანის თქმით: „რაც თურქებმა ვერ ქნეს, იმას კინტოები გვიშვრებიან, ქალაქელებს რყვნას ასწავლიან, ჩვენ კი ხმას არ ვიღებთ”. იაკობ გოგებაშვილი გაზეთ „კვალში” წერდა: „ტფილისში დღეს იმდენი სასირცხვო ხალხი ცხოვრობს, სათვალავი რო აერევა კაცსა. ქალაქში კინტო-მატრაბაზები ყველას ყველიფავენ და შავზე თეთრს იმტკიცებიან”.



ხილით მოვაჭრე კინტო

ძველ თბილისში ხელზე მოვაჭრე კინტო, განეკუთვნებოდა წვრილ ვაჭართა კლასს. გამოირჩეოდა მოსწრებული სიტყვა-პასუხითა და თავისებური ჩაცმადახურვით. კინტო თბილისის ყოფას მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე შემორჩა. კომუნისტების დროს კინტოების უაზრო იდეალიზება ხდებოდა და ყველას ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს კინტო წმინდა ქართული მოვლენა იყო, რეალურად კი ჩვენ სულ სხვა ფენომენთან გვაქვს საქმე. „კინტოს“ ვაჟკაცური არაფერი ეცხო: თვალმანკიერი, ჩიკორა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, სიარული დამტვრეული და ოკრო-ბოკრო, ცუღლუტი, გაქსუებული, დაღლარა, თახსირი და მცირე უნარისა. ყარაჩოხელის გადაგვარებულ სახეს კინტო ეწოდა („კვინტო“ ძველად „კუდიანს“ ნიშნავდა). მიუხედავად იმისა, რომ



ქეიფის მოყვარული კინტო (დ. ერმაკოვის ფოტო)

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)



პატარა კინტო



ხილით მოვაჭრე კინტო (დ. ერმაკოვის ფოტო)

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ადამიანს, დროთა განმავლობაში, სხვა პიროვნების, საგნების, მოვლენების მიმართ გარკვეული განწყობა უჩნდება, რაც შემდეგში მათ მიმართ უარყოფით ან დადებით დამოკიდებულად ყალიბდება, ეს კი საბოლოოდ, ცრურწმენის სახეს იღებს, რომელსაც განსაკუთრებულად ემორჩილება. როგორია ეკლესიის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, ამის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# რატომ არ უნდა უთხრას სასულიერო პირმა მრევლს ჯვარდაუწერლობის გამო ზიარებაზე უარი და რა გადაცდომებს უშვებენ სასულიერო პირები

— ცრურწმენები სათავეს წარმართობიდან, წარმართული შეხედულებებიდან იღებს, როდესაც ადამიანი არ იყო ჭეშმარიტებაში — ვგულისხმობ ქრისტიანობამდე სამყაროს. იმ დროს მთელი სამყარო ამ ქაოსში, ანუ, წარმართობაში, მრავალღმერთიანობაში იყო ჩაფლული. გავიდა დრო, კაცობრიობას მხსნელად ქრისტე მოევლინა და მან ჭეშმარიტი, გადარჩენის რელიგია დაამკვიდრა, რასაც ჩვენ ქრისტიანობას ვეძახით. ქრისტიანობა კი ადამიანს ასწავლის, როგორ და საით უნდა იყოს მიმართული მისი ორიენტირი, ფიზიკური, სულიერი ძალები: მან ეს ყველაფერი უნდა მიმართოს ერთი რამისკენ — საკუთარი თავისკენ. მთელი პროცესი სწორედ საკუთარი თავის გამოსწორებაა, ხოლო შედეგი — გამოსწორების საზღაური, ანუ, მიმსგავსება ქრისტესთან. გასაგებია ის, რომ ცრურწმენები წარმართობიდან მოდის, მაგრამ, ამ ყველაფრის სათავე ადამიანის აზროვნებაშია. ძალიან მნიშვნელოვანია საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობა, მაგრამ, ეს მხოლოდ და მხოლოდ საშუალებებია, რაც ადამიანს მიიყვანს და დააყენებს სწორ გზაზე; იმის საშუალებას მისცემს, რომ პირადი ცხოვრების სწორი, სულიერი ფუნქციონირება შეძლოს, ანუ, ეს მაინც გარეგნული ფაქტორებია, შინაგანი ფაქტორი და ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის: მე, ადამიანი, ვფიქრობ, გამოვსწორდე და გავხდე უკეთესი. შედარებასავით მოვიყვან ერთ მაგალითს: როცა ცოლი და ქმარი მართლმადიდებლები არიან, მათ, როგორც წესი, ჯვარი უნდა დაიწერონ, რომ ჯვრისწერამ შეკრას მათი ცოლქმრული ურთიერთობა, დაკანონდეს ეკლესიურად, ანუ, სამართლებრივად. მაგრამ, ხშირად ხდება ამ საიდუმლოს აღქმიდან გადაცდომა. საეკლესიო საიდუმლოში მონაწილეობა აუცილებელია, ამიტომაც დადგინდა ეკლესიაში, მაგრამ, უფრო მეტად მნიშვნელოვანია ადამიანის ცოცხალი მონაწილეობა ამ საიდუმლოში. როცა ჩვენ ამ საკითხს არასწორად ვუდგებით, ამ დროს სწორედ ცრურწმენასთან გვაქვს საქმე. ანუ, მთავარი ამ ყველაფრისადმი მიდგომაა, რასაც ხშირად სასულიერო პირებიც არასწორად ვაკეთებთ. როცა ჯვარდაუწერელ წყვილს ვეუბნებით, რომ აუცილებლად უნდა დაიწერონ ჯვარი, იმ დროს ჩვენ მათ არ ვეკითხებით: სწამთ თუ არა ღმერთი ისე, როგორც უნდა სწამდეთ, რატომ უნდა დაიწერონ ჯვარი, რატომ არის ეს აუცილებელი და მნიშვნელოვანი.

**— იგივე შეიძლება ითქვას ნათლობის საიდუმლოზე.**

— ადამიანები პირველ საუკუნეებში 40-50 წლის ასაკში და კიდევ უფრო უხუცესები ინათლებოდნენ, ანუ, ჯერ აცნობიერებდნენ სარწმუნოების მრწამსს და შემდეგ ხდებოდა მათი მონათვლა. დროთა განმავლობაში ეს წესი შეიცვალა და დღეს უკვე ჩვილ ბავშვებს ვნათლავთ. ისინი ვერ აცნობიერებენ ნათლობის საიდმულოს, სამაგიეროდ მის არსს, მნიშვნელობას უნდა აცნობიერებდნენ მისი მიმრქმელები, რომლებიც მის მაგივრად იღებენ პასუხისმგებლობას უფლის წინაშე. ჯვრისწერის საიდუმლოშიც მხოლოდ ცოლქმრის მონაწილეობა კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ, ამ ყველაფერში მათი მეჯვარეებიც ცოცხალ მონაწილეობას უნდა იღებდნენ სარწმუნოებით. თუ ამ ადამიანებს არ გააჩნიათ შინაგანი განწყობა, ასევე მათ, ვინც ნათლობის საიდუმლოში მონაწილეობს, როგორც წმიდა მამები ამბობენ, ასეთ დროს, ჩვენ, მღვდელმსახურები, კი აღვასრულებთ ამ საიდუმლოს, ვნათლავთ ბავშვს ან დიდს, ისინი კანონიკურად მონათლულებად ითვლებიან, მაგრამ, სულიწმიდა მათ არ ნათლავს. რა თქმა უნდა, ის მართლაც მონათლულია, მაგრამ, თუ მოსანათლი ან მისი ნათლიები ამ ყველაფერში არ მონაწილეობენ პირადი, ცოცხალი სარწმუნეობით, მაშინ ეს საიდუმლო მთელი თავისი მნიშვნელობით არ არის ბოლომდე აღსრულებული.



**მე, შეიძლება, სულ არ ავიღო ეს პასპორტი, შიგ არ ეწეროს სამი ექვსიანი, მაგრამ, ისეთ გარყვნილ ცხოვრებას ვეწეოდე, ისეთი აღვირახსნილი ვიყო, რომ, რომელ ცხონებასა და გადარჩენაზეა აქ საუბარი?!**

**— დღეს კი ჯვრისწერაც და ნათლობის საიდუმლოც თითქმის ასე სრულდება — მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური სახით.**

— ეს ნიშნავს იმას, რომ დღეს, როგორც საუკუნეების წინ, ადამიანებს ამ ყველაფრისადმი ოკულტური მიდგომა აქვთ. თუ არ სწამს, არ აქვს გაცნობიერებული: რატომ არის აუცილებელი ჯვრისწერა ორი ადამიანის ცხოვრებისთვის, ან, რა მნიშვნელობა აქვს ნათლობის საიდუმლოს, მაშინ, ჯობია, მათ გაიარონ კატეხიზაციის თუნდაც მცირე პერიოდი და მერე დაიწერონ ჯვარი და, პირიქით — ჯვარდაუწერლობის გამო არ განვაყენოთ ისინი ზიარებისგან, სხვა საიდუმლოებებისგან — ზოგიერთი სასულიერო პირი უშვებს ასეთ გადაცდომებს. თუმცა, პარადოქსია, როდესაც ადამიანი წლების განმავლობაში კარგი აღმსარებელია, ეკლესიის მრევლია, ჰყავს მეუღლე და კიდევ ვერ აცნობიერებს, რატომ არის საჭირო ჯვრისწერა. მეორე საკითხია: შეიძლება, ადამიანს არ ჰქონდეს ჯვარი დაწერილი, მაგრამ, მოძღვარმა მისცეს ზიარების უფლება, აღსარება ჩაიბაროს, ან, პირიქით, არ ვაძლევთ ამის საშუალებას. რა შუაშია ერთმანეთთან აღსარების თქმა, ზიარება და ჯვრისწერა?! მთლიანობაში, ეს ყველაფერი ადამიანის რელიგიურ ცხოვრებასთანაა კავშირში, მაგრამ, რა შუაშია აღსარებასთან და ზიარებასთან: მე, მოძღვარი, სანამ ჯვარს არ დაიწერ, არ მოგცემ ზიარების უფლებასო?! სასულიერო პირების ვალდებულება, პასუხისმგებლობაა, ვასწავლოთ ქრისტიანებს, როგორ ჯობია, რა არის უკეთესი მისი სულიერი ცხოვრებისთვის, მაგრამ, მისი თავისუფალი ნება არ უნდა შევზღუდოთ; მან თავად უნდა გადაწყვიტოს, სახარებისეული სწავლებით თავად გადადგას ესა თუ ის ნაბიჯი.

**— არიან ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში დადიან ეკლესიაში, ზედმიწევნით იცავენ საეკლესიო წესებს, მაგრამ, ცრურწმენებს მაინც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.**

— ბევრი ფიქრობს ასე: მე კი ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, მაგრამ, სანთელი მარცხენა ხელით კი არ უნდა მივაწოდო სხვას, არამედ, მარჯვენა ხელით; აუცილებლად ლუწი სანთელი უნდა ვიყიდო და არა კენტი; ანალოღიას წინ რომ გადავუარო, ხატი გამიწყრება და რაღაც დამემართება და ასე შემდეგ. იქაც კი, სადაც ჭეშმარიტებაა, ვეძებთ რაღაცას ოკულტურს, წარმართულს. ჩვენთვის ციფრებიც ძალიან მნიშვნელოვანია, თუნდაც, პირადობის მოწმობის თემას რომ შევეხოთ: თუ ვინმე აიღებს — სატანის მსახური იქნება, თუ არ აიღებს, ესე იგი, წმიდანი იქნება და გადარჩება. მე, შეიძლება, სულ არ ავიღო ეს პასპორტი, შიგ არ ეწეროს სამი ექვსიანი, მაგრამ, ისეთ გარყვნილ ცხოვრებას ვეწეოდე, ისეთი აღვირახსნილი ვიყო, რომ, რომელ ცხონებასა და გადარჩენაზეა აქ საუბარი?! ან, პირიქით — 30 პასპორტი მქონდეს სამი ექვსიანით, მაგრამ, კარგი ქრისტიანი ვიყო, მოწესრიგებული, ზნეობრივი, რელიგიურად ვცხოვრობდე, რომ ცხონების ამბიცია მქონდეს და ამისთვის ვილვწოდე, ეს კი ოდესღაც გამართლდეს. ანუ, გარეგნულ ნიშნებს უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ და არა ჩვენს შინაგან მდგომარეობას. მთავარი ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა — როგორ შრომობს და ილვწის ის და არ აქცევს იმას ყურადღებას: დილით რომელ ფეხზე ადგა, წინ ვინ შემოხვდა, ან, სუფრაზე მარილი რომ დაებნა, ამიტომ ვილაცას ეჩხუბება...

**— თუმცა, ამ კუთხით, დამთხვევები ხშირად ხდება.**

— კაცობრიობის მტერი — ეშმაკი — ამაზე კარგად მუშაობს და, როგორც წმიდა მამები ამბობენ, ძალიან კარგი ფსიქოლოგია. ის საუკუნეებია, ცხოვრობს და ადამიანებთან ურთიერთობის უდიდესი გამოცდილება აქვს. იყო დრო, როდესაც ის პირდაპირ ეცხადებოდა ადამიანებს, აშინებდა... ახლა გვემალება, მაგრამ, ჩვენს ცნობიერებაში შემოდის არასწორი, არამართებული აზროვნებითა და მსოფლმხედველობით: გვთავაზობს ცუდს კარგი შეფერილობით. ის ეხმარება ადამიანს იმაში, რომ ყურადღება გარეგნულ ფაქტორებზე გადაიტანოს, რომ არარეალობა რეალობად წარმოუჩინოს. ამიტომ, ამ ყველაფერზე უნდა დავფიქრდეთ. ცრურწმენები კი არ განაპირობებს ჩვენს ცხონებას, არამედ, ჩვენი შინაგანი მდგომარეობა — თავმდაბლობა, სიყვარულის მდგომარეობა. და, კიდევ ერთი რამ არის აუცილებელი ადამიანის გადარჩენისთვის, რაც დღეს ნელ-ნელა იშვიათობა ხდება — ეს არის უშუალობა. ცნობილი ფრანგი ფსიქიატრი ასეთ რამეს ამბობს: ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ამქვეყნად აღარ იარსებებენ ნახევრად ნორმალური ადამიანები, კაცობრიობა დაიღუპება არა სიბრძნის, არამედ. უშუალობის უკმაროსობით. ჩვენი წმიდანები, თავიანთი ცხოვრებით გაოცებაში რომ მოვყავართ დღემდე, არა მხოლოდ სიყვარულით გამოირჩეოდნენ, არამედ იმით, რომ იყვნენ უშუალოები და მარტივები ურთიერთობაში. როცა ადამიანი უშუალობას კარგავს, ის ნორმალური ადამიანი აღარ არის და, თუ ადამიანი ნორმალური აღარ არის, მაშინ, რომელ ქრისტიანობაზე და ცხონებაზე ვსაუბრობთ?!

**ნათია უტიაშვილი**

# ჩვენი დროის სასწაული

ეს ამბავი 1993 წლის 23 მაისს, ზედაზნობის მესამე დღეს მოხდა. 10-12-კაციანი ჯგუფი მსუბუქი მანქანებით ესტუმრა ზედაზენს. ტაძარს სწრაფად შემოურბინეს ირგვლივ, მერე ეკლესიის მსახურებს მაგიდა სთხოვეს, სუფრა გაშალეს და ქეიფი გააჩაღეს. შესანიშნავი ამინდი იდგა, მაგრამ, მოულოდნელად მოიღრუბლა და გაწვიმდა. მთაში ამინდი ხშირად იცვლება, ამიტომ, სუფრასთან მსხდომებს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. წვიმამ უფრო და უფრო იმატა. მოქეიფეებმა ღვთისმსახურებს ტაძარში შეშვება სთხოვეს. მათ, რა თქმა უნდა, უარი უთხრეს, მაგრამ, სტუმრებმა არ დაიშალეს. მაშინ ღვთისმსახურმა მიუგო: როგორც სინდისმა გიკარნახოთ, ისე მოიქეცითო. უგუნურებმა ეს თანხმობად მიიღეს და სმა-ჭამა სტოაში განაგრძეს. სადღეგრძელოს სადღეგრძელო ცვლიდა. სენაკს თავშეფარებული ღვთისმსახურნი მწუხრის ლოცვისთვის ემზადებოდნენ, როცა საშინლად იელვა და არემარე გამაყრუებელმა გრუხუნმა შეძრა. ბერებმა დაინახეს, როგორ დაეცა მთის წვერს მეხი (ზედაზნის მთა სამიარუსიანია. პირველი მთის წვერია, ტაძარი კი მესამეზე დგას). ცოტა ხნის შემდეგ კვლავ იელვა და მეხი მთის მეორე იარუსს დაეცა. სტოადან არეული „კრიმანჭული“ მოისმა და... მთავარი მოსახდენიც სწორედ ამ დროს მოხდა.

ამ ამბავს თხუთმეტივე თვითმხილველი ერთნაირად იხსენებს და მათი მონათხრობი ისე ჰგავს ერთმანეთს, მცირეოდენ ეჭვსაც კი არ ტოვებს.

ტაძრის უკანა მხარეს, გალავანსა და სალოცავს შორის, სივრცეში დიდი ცეცხლოვანი დისკო გამოჩნდა, რომელიც ალის უზარმაზარ ენად გადაიქცა და ტაძარი მთლიანად შთანთქა. ცეცხლს ძლიერი, გამაყრუებელი ხმა ახლდა. ეკლესიის კედლები გავარვარებული ლითონისფრად აელვარდა. მოქეიფეები არაადამიანური ღრიალით გამოცვივდნენ ეზოში. ისე იყვნენ თავზარდაცემულნი, თვითონაც არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ. ზოგი მუხლებზე დაეცა და ხელაპყრობილი ზეცას შეჰღაღადებდა, ზოგი, შეძრწუნებული, წინ და უკან დარბოდა და შველას ითხოვდა. ცეცხლოვანი დისკო გასკდა თუ არა, წვიმაც შეწყდა. ყველამ აღიარა, რომ მოხდა ნამდვილი სასწაული, რომელსაც ცოცხლები გადაურჩნენ. თუმცა, ორმა სტუმარმა თქვა, დამწვრები ვართო. მართლაც, პერანგები რომ გაიხადეს, ზურგზე დიდი წრის მსგავსი დამწვრობა აღმოაჩნდათ, რომელზე უმნიშვნელო შეხებაც კი აუტანელ ტკივილს ჰგვრიდათ. საოცარი კი ის იყო, რომ ტანსაცმელს არაფერი ეტყობოდა.

შეძრწუნებული თანამესუფრეები ყვებოდნენ, თუ როგორ შეზანზარდა ტაძარი და კედლებიდან გადმოცვენილი ქვები მაგიდაზე დაცვივდა. სტოა არაგვის ჭალის სიპებითაა ნაგები, თანაც, გაულესავია. ამიტომ, იმ ადგილებს, საიდანაც ქვები ამოცვივდა, აშკარად ემჩნეოდა დაზიანება, თვით სიპები კი მაგიდაზე ეყარა. მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის გახლდათ, რომ არც ერთი იატაკზე არ დაცემულა.

აი, კიდევ რას ყვებოდნენ: ცეცხლი სტოაში უზარმაზარი ხელივით შემოიჭრა, სუფრას მოეხვია, ჭახაჭუხითა და ლიწინ-ლიწინით მოიგრაგნა და ისევ შესასვლელ თაღში გაილიაო. ყველამ შეამჩნია, რომ ჭურჭელი, უბრალოდ, დამტვრეული კი არა, დამსკდარი იყო.

რაკი ცოცხლები გადავრჩით, მცხეთაში რესტორანს ვკისრულობთო, – თქვეს მოქეიფეებმა და ეკლესიის მსახურნიც მიიწვიეს. ბერებმა მადლობა გადაუხადეს, ხელი ჩაიქნიეს და უსიტყვოდ დასცილდნენ ხალხს, რომლებსაც ლამის ცა ჩამოექცათ თავზე, მაგრამ, მაინც ვერაფერს მიხვდნენ.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როგორ უყურებს ეკლესია ურწმუნო ადამიანის ქრისტიანულ ტაძარში შესვლის ფაქტს?**

**პასუხი:** ჩვენს მაცხოვართან, მიწიერ ცხოვრებაში უამრავი ურწმუნო ადამიანი მიდიოდა, რჩევას სთხოვდა, ხელით ეხებოდა და კურნებას იღებდა. ტაძარი უფლის სხეულია და ყველას შეუძლია იქ შესვლა; ყველა ადამიანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მიუახლოვდეს ქრისტეს, რათა უფლის სიდიადე შეიცნოს. მართლმადიდებლურ ტაძრებში ურწმუნოები მოძღვართა საუბრებს ისმენენ, თუმცა, მათ ეკრძალებათ საეკლესიო წესებში მონაწილეობა და ტაძარში ყოფნისას მოკრძალება და ეკლესიის პატივისცემა განსაკუთრებით მოეთხოვებათ.

**კითხვა: საჭიროა თუ არა ეკლესიასთან ჩავლის დროს ტრანსპორტში მყოფმა მამაკაცმა პირჯვრის გადაწერისას ქუდი მოიხადოს?**



**პასუხი:** მამაკაცი ქუდის მოხდით ღვთის სახლის მიმართ მოწიწებას გამოხატავს. ძველად, ქართველები ქუდს არა მარტო ეკლესიაში შესვლისას, არამედ უფროსების წინაშეც იხდიდნენ.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ეკლესიაში არ შევიძინო სანთელი, გარედან შევიტანო და ისე დავანთო?**

**პასუხი:** ეკლესიაში შეიძლება, ჩვენივე ხელით ჩამოქნილი სანთელიც დავანთოთ – სანთელი არის შესაწირავი ღვთისადმი, მაგრამ, როდესაც ეკლესიაში იქვე შეძენილ სანთელს ვანთებთ, ეს მოწყალების გაღებაც არის იმ ტაძრისა და ტაძრის მსახურთა მიმართ, ასეთ დროს უფალსაც ვწირავთ და მოწყალებასაც გავიღებთ. ამიტომ სჯობს, სანთელი ეკლესიაშივე შეიძინოთ.

**კითხვა: როგორ შეაფასებს ეკლესია ისეთ ადამიანს, რომელიც არც არავის ვნებს, მაგრამ არც არავის უკეთებს სიკეთეს?**

**პასუხი:** საკმარისი არ არის სიავისგან შორს იდგე, ქრისტიანმა არა მარტო ავი საქმეები არ უნდა აკეთოს, არამედ ის აუცილებლად უნდა იყოს ქრისტიანულ ღვაწლში – მოყვასს გაუკეთოს სიკეთე.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## წმიდა სპირიდონის საქციელი ქურდებთან

ერთხელ წმიდა სპირიდონ მღვდელმთავრის სახლში ქურდები შეიპარნენ, რამდენიმე ცხვარი მოიპარეს და წასვლას აპირებდნენ. მაგრამ, უფალს უყვარდა თავისი მოსაგრე და მისი მამულის საკუთრებას იცავდა. მან უხილავი ძალით შეკრა ქურდები ისე, რომ მათ ადგილიდან დაძვრა არ შეეძლოთ და ასე დარჩნენ დილამდე. გამთენიისას ღირსი სპირიდონი თავისი სენაკიდან გამოვიდა და ისინი ამგვარ საბრალო მდგომარეობაში იხილა. მან ქურდები დამოძღვრა, რომ სხვისი არ უნდა მიეტაცებინათ და საკუთარი შრომით უნდა ერჩინათ თავი. შემდეგ ლოცვით გახსნა მათი შემბოჭავი ჯაჭვი და გაუშვა, თან ერთი ცხვარი აჩუქა და დაამატა: „წაიყვანეთ ის, რათა ამაოდ არ ჩაიაროს თქვენმა შრომამ და ღამისთევამ“.

## უძველესი პატერიკიდან

ამბა აგათონის შესახებ ამბობდნენ, რომ ძალიან გონიერი იყო. ერთხელ მის გამოსაცდელად უცნობები მივიდნენ და უთხრეს: „ეს შენ ხარ აგათონი? შენ შესახებ გვსმენია, რომ ამპარტავანი და მემრუშე ხარ?“ „დიახ, ეს მართალია“, – მიუგო ამბა აგათონმა. მათ კვლავ ჰკითხეს: „აგათონ, ცილისმწამებელი და ამაოდმეტყველიც ხარ?“ „ვარ“, – თავმდაბლად უპასუხა ღირსმა მამამ. „აგათონ, მწვალებელი ხარ?“ „არა, მე მწვალებელი არა ვარ!“ – მტკიცედ მიუგო წმიდა მამამ. მაშინ მას ჰკითხეს: „რატომ გვეთანხმებოდი ყველაფერში, ბოლო ბრალდება კი ვერ აიტანე?“ მამა აგათონმა მიუგო: „ამ ვნებათა აღიარება სასარგებლოა ჩემი სულისათვის. ხოლო მწვალებლად თავის მიჩნევა ღვთისგან განდგომას ნიშნავს. მე არ მსურს, განვუდგე ჩემს უფალს“. მისმა გამომცდელებმა მოისმინეს ბერის სიტყვები. გაუკვირდათ და მიიღეს ეს დარიგება.

## სიკვდილისწინა აგონია

წმიდა მთის ბერი გაბრიელი, რომელიც თავისი სულიერი შვილის, ბერი კირილეს უკანასკნელ წუთებს ესწრებოდა, იშვიათი სულიერი გამოცდილების ღირსი გახდა.

მამა კირილე წინასასიკვდილო აგონიაში იყო. თავის მარცხენა მხარზე მან ქაღალდის ფურცელი დაინახა, რომლის შინაარსიც მისთვის უცნობი იყო. მის მარჯვენა ხელთან თეთრად შემოსილი ორი ანგელოზი იდგა, მარცხნივ კი – ეშმაკები. მამა გაბრიელი გამოცდილი მოძღვარი იყო და კირილეს წაქეზება დაუწყო:

– ჰკითხე ანგელოზებს, რა წერია ქაღალდზე.

მალე ბერმა უპასუხა: იქ ჩემი ორი ცოდვა წერია, რომლებიც დამავიწყდა და აღსარებაში არასოდეს მითქვამსო.

მოძღვარმა მაშინვე წაუკითხა შენდობის ლოცვა და მამა კირილემ მშვიდობიანად მიაბარა სული უფალს, ეუწყა რა ღვთაებრივი განგებულების შესახებ ზეციური ანგელოზებისგან.

# რა თემებზე არ უყვარს საუბარი „რეალის" ვარსკვლავ გარეთ ბეილს და რა უცნაური სახელი დაარქვა მან თავის შვილს

*2013 წლის მსოფლიო ფეხბურთის ნომერ პირველ „ნიუსად", სავარაუდოდ, გარეთ ბეილის მადრიდის „რეალში" გადასვლა დასახელდება, რადგან ეს არის ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული ტრანსფერი ფეხბურთის ისტორიაში. მადრიდული სუპერკლუბის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა 100 მილიონი ევრო გადაუხადა ლონდონის „ტოტენჰემს" და ამით თავის მიერვე 2009 წელს დამყარებული რეკორდი მოხსნა. მაშინ პერესმა „მანჩესტერ იუნაიტედს" კრიშტიანუ რონალდუს სანაცვლოდ 94 მილიონი ევრო გადაუხადა.*

* გარეთ ბეილს შესაძლოა, ინგლისის ნაკრებში ეთამაშა. ერთ-ერთ ინტერვიუში გარეთმა განაცხადა, რომ ბებია ინგლისელი ჰყავს. თუმცა, ინგლისის ფეხბურთის ფედერაციიდან მას არავინ დაკავშირებია და არავის შეუთავაზებია, რომ მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონების ნაკრების კეპი მოერგო. საბოლოოდ, გარეთ ბეილმა უელსის ნაკრებში ასპარეზობა არჩია.




* 14 წლის ასაკში გარეთ ბეილი კარდიფის ერთ-ერთი სკოლის გუნდში თამაშობდა და 100 მეტრს 11,4 წამში გარბოდა, რითაც ადგილობრივი მწვრთნელების აღფრთოვანებას იწვევდა. მისი პირველი მწვრთნელი იხსენებდა, რომ გარეთი სწავლაშიც საუკეთესო იყო, რადგან პირველობა მისი ცხოვრების მთავარი მიზანია.

* 2012 წლის 21 ოქტომბერს გარეთ ბეილი მამა გახდა. მისმა მეგობარმა გოგონამ და ამჟამინდელმა საცოლემ, ემა-რუს ჯონსმა გარეთს ქალიშვილი გაუჩინა. მას მშობლებმა უჩვეულო სახელი – ალბა-ვიოლეტი დაარქვეს. საინტერესოა, რომ ამ დღეს „ტოტენჰემს" შეხვედრა ჰქონდა „ჩელსისთან" და გარეთ ბეილს ძირითად შემადგენლობაში უნდა ეთამაშა. მატჩის დაწყებამდე მას შეატყობინეს, რომ ემას მშობიარობა დაეწყო და გარეთიც მაშინვე სამშობიაროში გაქანდა. ის თამაში „ტოტენჰემმა" 2:4 წააგო.

* გარეთ ბეილს არ უყვარს ინტერვიუების მიცემა. ერთხელ რეპორტიორმა მას ოჯახზე დაუსვა კითხვა და გარეთმა განუცხადა, რომ ამ თემაზე პრესასთან არასდროს ისაუბრებს.

* გარეთი არ მოიხმარს ალკოჰოლს. მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი ერთი შემთხვევის შემდეგ აღარ ეკარება ალკოჰოლურ სასმელებს. „ტოტენჰემში" გადასვლის შემდეგ გარეთმა მეგობრებთან ერთად ამ მოვლენის აღნიშვნა გადაწყვიტა და იმ დღეს ძალიან ბევრი დალია. შედეგად, ცუდად გახდა და მას შემდგომ პირობა დადო, რომ ალკოჰოლს აღარ გაეკარება.

* „ტოტენჰემში" გადასვლიდან ერთ წელში გარეთ ბეილის სხვა გუნდში გადასვლის შანსი გაჩნდა. „დეზების" ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო უელსელი ვინგერის თამაშით და მისი გაყიდვა სულ რაღაც 3 მილიონ გირვანქა სტერლინგად იგეგმებოდა. თუმცა, მაშინ მყიდველი არ გამოიძებნა და ბეილის გაყიდვის ეპოპეა ხუთ წელს გაიწელა... თუ როგორც დასრულდა, ყველას მოეხსენება.

* ბავშვობიდან გარეთ ბეილი ლონდონის „არსენალის" ქომაგი იყო და ლონდონურ გუნდში თამაშზე ოცნებობდა. თუმცა, მაშინ არსენ ვენგერმა „საუთჰემპტონის" მეორე ტალანტზე თეო უოლკოტზე შეაჩერა არჩევანი, ხოლო გარეთი მეორე ლონდონურ კლუბში, „ტოტენჰემში" გადაბარგდა. ცნობისთვის, თეო და გარეთი საუკეთესო მეგობრები არიან.

* „ტოტენჰემში" თამაშისას გარეთ ბეილმა ოთხჯერ გაიხანგრძლივა კონტრაქტი, მათ შორის, უკანასკნელად გასულ წელს.

* გარეთ ბეილს არაერთ ინტერვიუში განუცხადებია, რომ მადრიდის „რეალის" ქომაგია და ოცნებობდა, კრიშტიანუ რონალდუსთან ერთად ერთ გუნდში ეთამაშა. როგორც ხედავთ, გარეთის ეს ოცნება ასრულდა.

* გარეთ ბეილის ტრანსფერი „ტოტენჰემიდან" „რეალში" 2013 წლის გინესის რეკორდების წიგნში მოხვდება, როგორც მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული ტრანსფერი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

* სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ლონდონურ და მადრიდულ კლუბებს შორის გარეთ ბეილის ტრანსფერის თაობაზე. ზუსტად ამდენ ხანს მოუნდნენ მადრიდელები თავის დროზე კაკას „მილანიდან", რუუდ ვან ნისტელროის „მანჩესტერიდან" და მაიკლ ოუენის „ლივერპულიდან" გადმოყვანას.

* გარეთ ბეილის ხელფასი სიდიდით მესამეა მადრიდის „რეალში". ბეილზე მეტს აიღებენ მხოლოდ იკერ კასილასი და სერხიო რამოსი – წელიწადში 6 მილიონ ევროს და კრიშტიანუ რონალდუ – 9,5 მილიონ ევროს. ბეილის ანალოგიური ხელფასი აქვს ქარიმ ბენზემას.

* გარეთ ბეილი ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული უელსელი ფეხბურთელია. რაიან გიგზი, კრეიგ ბელამი, აარონ რემზი, გარი სპიდი – ამ ცნობილი უელსელი ფეხბურთელების სატრანსფერო ღირებულება იმდენად სასაცილოა ბეილის ტრანსფერთან შედარებით, რომ უადგილოა ციფრების დასახელება.

* გარეთ ბეილი ერთადერთი უტიტულო ფეხბურთელია მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში, რომელშიც 50 მილიონზე მეტი ევრო გადაიხადეს. საკლუბო დონეზე ბეილს არც ერთი ტიტული არ აქვს მოგებული.

* გარეთ ბეილის კარიერაში პირველი პროფესიული კლუბი „საუთჰემპტონი" იყო. 2006-2007 წლების სეზონში ბეილმა 40 მატჩი ითამაშა კლუბში და 5 გოლი გაიტანა. ამის შემდეგ ის 10 მილიონ გირვანქა სტერლინგად „ტოტენჰემში" გადავიდა.

* „საუთჰემპტონში" გარეთ ბეილი კარიერას, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელი მარცხენა მცველის პოზიციაზე იწყებდა. მცველად შეიძინა ის „ტოტენჰემმა", სადაც საბოლოოდ, შემტევ ვინგერად ჩამოყალიბდა და მსოფლიომაც ასე გაიცნო.

* გარეთ ბეილის ნიჭის აღმომჩენად ჰარი რედნაპი სახელდება, რომელმაც შეამჩნია „ტოტენჰემის" სათადარიგო სკამზე მჯდომი ახალგაზრდა ფეხბურთელი და შანსი მისცა. ბეილმა კი გამოიყენა.

* პირველი მატჩი უელსის ნაკრების რიგებში გარეთ ბეილმა 2006 წლის მაისში ჩაატარა, როცა 16 წლის და 315 დღის იყო. პირველად ის ჯონ ტოშაკმა მიიწვია და ტრინიდადი და ტობაგოს ნაკრებთან ათამაშა. ბეილი ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტია უელსის ნაკრების ისტორიაში. მის აქტივში ამჟამად 41 მატჩია ნაკრებში და ახალგაზრდული ასაკიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ყველა შანსი აქვს, ლეგენდარული უელსელი მეკარის, ნევილ საუთჰოლის რეკორდი მოხსნას – 92 მატჩი ნაკრებში. ამჟამად ყველაზე მეტი კეპი უელსის ნაკრებში კრეიგ ბელამის აქვს მოხვეჭილი – 65 მატჩი.




* გარეთ ბეილმა თავისი საფირმო ნიშანის გამოყენების უფლება მიიღო – ხელებით გაკეთებული გულის ფორმა: ჟესტი, რომლითაც ბეილი გატანილ გოლებს აღნიშნავს. გულის ფორმაში ჩაწერილი ციფრი 11 ბეილის ოფიციალური სავაჭრო ნიშანი გახდა, რომელსაც „ილევენ ოფ ჰართს" ეწოდა.



# „მის იტალია“ „იუვენტუსში“ მოეწყო სამუშაოდ

„მის იტალია 2004“ – კრისტინა კიაბოტო ტურინის „იუვენტუსის“ ტელეარხზე მოეწყო სამუშაოდ. იტალიელი მოდელი დიდი ხანია, თანამშრომლობს ტურინულ სუპერკლუბთან, კერძოდ, რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა სასმელი წყლის სარეკლამო რგოლში ალესანდრო დელ პიეროსთან ერთად. კრისტინა ტურინში დაიბადა და ბავშვობიდან „იუვენტუსს“ ქომაგობს. სულ ახლახან კი, ქალაქ ჩერვერაში გაიხსნა ტურინული კლუბის ფანკლუბი, რომლის საზეიმო გახსნას გუნდის ფეხბურთელებთან – სიმონე პეპესთან, მარკო სტორარისთან ერთად, კრისტინა კიაბოტოც დაესწრო. საზეიმო ცერემონიალზე სიმონე პეპემ ლამაზმანს ჰკითხა: თუ გაშიშვლდებოდა „იუვენტუსის“ გაჩემპიონების შემთხვევაში, რაზეც კიაბოტომ უპასუხა – „რატომაც არა“.




# ჭორები ირინა შეიკის ლალატზე

შემოდგომის დასაწყისში ევროპულ პრესაში გავრცელდა ცნობა, რომ 27 წლის რუსი სუპერმოდელი ირინა შეიკი დაშორდა თავის ბოიფრენდს, პორტუგალიელ კრიშტიანუ რონალდუს. დაშორების მიზეზად კი სახელდება ირინას რომანი კუბელ მოდელთან, ხუან ბეტანკოსთან. ირინამ ის ფეხსაცმლის კომპანია „XTI“ სარეკლამო ფოტოსესიაზე გაიცნო. ამბობენ, რომ ირინა მოიხიბლა კუბელმა სექსსიმბოლომ და მათ ურთიერთობა ტელეფონით და სოციალურ ქსელში განაგრძეს. ჭორს დაშორებაზე ის ფაქტიც ამყარებს, რომ შეიკს გადაწყვეტილი ჰქონდა, პაუზა აეღო გადაღებებისას. თუმცა, კუბელის გამო გამონაკლისი დაუშვა, რამაც „ყვითელ პრესას“ ჭორის გავრცელების საბაბი მისცა.

# დევიდ ბექჰემი და უსაინ ბოლტი დიდ კინემატოგრაფში

ჰოლივუდის მსახიობი, სამუელ ელ ჯექსონი იმედოვნებს, რომ ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სპრინტერი უსაინ ბოლტი მონაწილეობას მიიღებს მეთიუ ვონის მხატვრული ფილმის, „საიდუმლო სამსახურის“ გადაღებებში. ფილმის პრემიერა 2014 წელს არის განსაზღვრული და ბრიტანული კომიქსების მიხედვითაა გადაღებული. მთავარ როლებს ფილმში ასრულებენ კოლინ ფერტი და მაიკლ კეინი. ცნობილია, რომ ფილმში მონაწილეობის თანხმობა უკვე მიიღებს დევიდ ბექჰემისგან. პროდიუსერები იმედოვნებენ, რომ ცნობილი სპორტსმენების მიწვევა დამატებით მოგებას მოუტანს ფილმს კინოგაქირავების დროს.



# რობინიო გაძარცვეს

მძარცველები „მილანის“ ბრაზილიელი ლეგიონერის, რობინიოს სახლში შეიპარნენ მილანში და ფეხბურთელის ძვირფასეულობა გაიტაცეს. საუბარია პრესტიჟული მარკის მაჯის საათზე, რომლის ფასი 30 ათასი ევროა და სხვა ძვირფასეულობაზე. რობინიომ სულ რამდენიმე წუთით დატოვა სახლი, მეუღლისა და შვილების დასახვედრად წავიდა აეროპორტში, რომელიც მის სახლთან ახლოსაა. სახლში დაბრუნებულს კი საძინებლის კარები გატეხილი დახვდა. პოლიციის ვერსიით, ფეხბურთელს დაავიწყდა სიგნალიზაციის ჩართვა, რამაც ყაჩაღებს მუშაობა გაუადვილა.

# ჟერარ პიკეს გატაცება პოკერით




„ბარსელონას“ და ესპანეთის ნაკრების მცველი – ჟერარ პიკე პოკერის დიდი მოყვარული აღმოჩნდა. ფეხბურთელი რეგულარულად მონაწილეობს სხვადასხვა ტურნირში და მოთამაშეებს შორის აზარტულობითა და იღბლიანობით გამოირჩევა. ამჟამად პიკე 10-ათასევროიან ტურნირში მონაწილეობს და ლიდერის პოზიციებს იკავებს.

# კალათბურთის ხორვატი სექს-სიმბოლო

ანტონია მისურა 25 წლის ხორვატი კალათბურთელია, რომელმაც მსოფლიოს მარტო დამაჯერებლი თამაშით კი არა, შესანიშნავი გარეგნობითაც დაამახსოვრა თავი გასული წლის ოლიმპიურ თამაშებზე. ანტონია ხორვატიის სამხრეთში, პატარა ქალაქში დაიბადა და კარიერა კლუბ „ვიდიჩიდან“ დაიწყო, საიდანაც ქვეყნის ყველაზე წარმატებულ საკალათბურთო კლუბ „ჯოლი სიბენიკში“ გადავიდა. ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ანტონია ყველაზე ლამაზ ქალ სპორტსმენად დასახელდა. თუმცა, ხორვატიაში ის დიდი ხანია, ქვეყნის ნომერ პირველ სექსსიმბოლოდ ითვლება. ამჟამად ანტონია საფრანგეთში, ტულუზის გუნდში თამაშობს და ამბობენ, რომ არაერთი ტულუზელი მამაკაცია უგონოდ შეყვარებული მასზე.



გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



### როდის ხდება ალკოჰოლი სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება

დიდი რაოდენობით და ხანგრძლივად მიღებისას, ალკოჰოლი ადამიანის ორგანიზმს ანადგურებს და ბევრი უკურნებელი დაავადების მიზეზი ხდება. მცირე რაოდენობით კი ის სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებაა.

არყის საშუალებით, შეგიძლიათ, ბევრ დაავადებას უმკურნალოთ სახლის პირობებში. მაგალითად:

* ფაღარათის დროს დალიეთ ერთი პატარა ჭიქა მარილიანი არაყი. ასევე, ამ დროს კარგი ეფექტი აქვს კაკლის სპირტხსნარს: ბოთლში ჩაყარეთ რამდენიმე დანაყილი კაკალი (თავისი მწვანე კანით), დაასხით არაყი და გააჩერეთ რამდენიმე დღის განმავლობაში. ფაღარათის დროს დალიეთ დღეში 2 სადილის კოვზი.

* ბუასილის დროს 800 გრამ ჭვავის გამხმარ პურს დაასხით არაყი და დადგით თბილ ადგილას. გააჩერეთ ოთხი დღის განმავლობაში. მიიღეთ 2 ჩაის კოვზი დღეში ორჯერ, ჭამის წინ. ეს კარგი მატონიზებელი საშუალებაცაა.

* ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს კარგია არყისა და მჟავე კომბოსტოს წვენის ნარევის დალევა.

* პირველი და მეორე ხარისხის დამწვრობის დროს, დაგეხმარებათ ყურძნის თბილი ღვინის და არყის ნარევის საფენები.

* ანგინის დროს, ერთ სადილის კოვზ კრაზანას დაასხით ჭიქა-ნახევარი მდუღარე წყალი და გააჩერეთ ორთქლზე ათი წუთით. გააცივეთ, გადაწურეთ და დაამატეთ დინდგელის 10-პროცენტიანი სპირტხსნარი – ერთ ჭიქა ნაყენზე 50 წვეთი. ეს ხსნარი გამოივლეთ ყელში.

* თრომბოფლებიტის დროს, 1 ჭიქა არაყში ჩაყარეთ 20 გრამი დაქუცმაცებული ცხენის წაბლი (კანის გარეშე). გააჩერეთ 5 დღე ბნელ ადგილას. დროდადრო შეანჯღრიეთ, გადაწურეთ და მიიღეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, 30 წვეთი, წყალთან ერთად. კარგია ვარიკოზის დროსაც.

### გაიმაგრეთ სისხლძარღვები და მოიხსენით ნერვული სტრესი

ცხოვრების არანორმალური რიტმის გამო, ბევრი უჩივის ქრონიკულ დაღლილობას. არსებობს სპეციალური წესები, რომ შრომამ ძალიან არ გადაგღალოთ და თავი მხნედ და ჯანმრთელად იგრძნოთ მთელი დღის განმავლობაში. კერძოდ:

* ყოველდღე დაიზილეთ ტანი ცივი წყლით და მიიღეთ B ვიტამინი; ძილის წინ კი გაიკეთეთ ფეხების აბაზანა;

* დიდი რაოდენობით მიირთვით ის საკვები, რომელიც კალციით არის მდიდარი: ნედლი ბოსტნეული, ხილი, რძე, კვერცხის გული;

* თუ გონებრივად დატვირთული სამუშაო გაქვთ, ჭამეთ ნიგოზი, ნუში და თევზი;

* თუ საღამოს ფეხებში ტკივილი იგრძენით, ესე იგი, სისხლძარღვების სპაზმი გაქვთ. ეს ძირითადად იმ ადამიანებს აწუხებთ, რომელთაც დიდხანს უწევთ სამსახურში ფეხზე დგომა. სახლში დაბრუნებისას, დაახლოებით ნახევარი საათით დაჯექით სკამზე და ფეხები მეორე სკამზე შემოაწყვეთ;

* ყოველ დილით დალიეთ ერთი ჩაის ჭიქა რძე, რომელშიც ერთი ჩაის კოვზი თაფლი იქნება გარეული. კარგია, ასევე, პიტნის ჩაი;

* დალიეთ დღეში 1 ჩაის ჭიქა ყურძნის ნატურალური წვენი (წყალში გაზავებული);

* ინტელექტუალური შრომით გამოწვეული თავის ტკივილისას კარგია, თუ სადილად ქაშაყს მიირთმევთ.

სისხლძარღვების გასამაგრებლად სასურველია, ორი კვირის განმავლობაში ჩაიტაროთ პროფილაქტიკური კურსი და ჭამოთ დღეში ერთი კბილი ნიორი (უზმოზე). სისხლძარღვების გამაგრებით ტვინთან და გულთან დაკავშირებული პრობლემებიც მოგეხსნებათ.

ასევე, სისხლძარღვების გასამაგრებლად და ნერვული სტრესის დროს, თბილ რძეში გახსენით კვერცხის გული, დაუმატეთ ცოტა თაფლი და დალიეთ დღეში ორჯერ.

### ნუ გააზარმაცებთ კუჭს

ბუნებამ საჭმლის მომნელებელი სისტემა შერეული საკვებისთვის დააპროგრამა. კუჭსა და ნაწლავებში გამომუშავებული ფერმენტების ჯგუფი იწყებს საკვების დაშლას. როცა ადამიანი იღებს ერთფეროვან საკვებს, თანაც, მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობით, ორგანიზმი იწყებს გაზარმაცებას და მხოლოდ ის ფერმენტი გამოიყოფა დიდი რაოდენობით, რომელიც აუცილებელია ამ ერთი სახეობის საკვების დასაშლელად. დროთა განმავლობაში ეს სიზარმაცე ისე ძლიერდება, რომ ერთფეროვანი საკვებიდან ნებისმიერი გადახვევა აღიქმება როგორც კატასტროფა და ზარმაცი კუჭი შერეულ საკვებზე უარს აცხადებს.

სწორედ ასეთივე მექანიზმი მოქმედებს ხანგრძლივი შიმშილობის დროსაც. ერთფეროვანი და არაკალორიული საკვების შემდეგ მრავალფეროვანი და მსუყე საკვების მიღება არ არის რეკომენდებული, რადგან, ფერმენტთა უკმარისობის გამო, ორგანიზმის მიერ მრავალფეროვანი პროდუქტის გადამუშავება ვერ ხერხდება.

### კოლიტის, ბუასილისა და ღვიძლის დაავადების დროს ხალხური მედიცინა დაგეხმარებათ

ხალხურ მედიცინაში არის რეცეპტები, რომლებსაც ჩვენი წინაპრები ამა თუ იმ დაავადების დროს იყენებდნენ. მაგალითად:

კოლიტის დროს, მრავალძარღვას ახლად გამოწურულ 1 სადილის კოვზ წვენსა და 1 სადილის კოვზ მშრალ, დაფხვნილ ფოთლებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. დადგით თავდახურული, დაახლოებით 10-15 წუთით. ნაყენი სვით დღეში ერთხელ, ჭამის წინ. მკურნალობის კურსი 2 კვირაა.

წყლულოვანი კოლიტის დროს ზემოთ მოყვანილი ნაყენი უნდა მიიღოთ 3 თვის განმავლობაში და თან, დაიცვათ დიეტა, რომელიც ამ დაავადებისთვისაა მისაღები. ყოველი ჭამის წინ, წყლის ნაცვლად უნდა დალიოთ სელის თესლის ნაყენი. შედეგი შესამჩნევი გახდება ერთი თვის შემდეგ.

ნაწლავების პოლიპოზის დროს ნაძვის ნედლი ტოტები დაგეხმარებათ: ნახევარ ჩაის ჭიქა დაქუცმაცებულ ტოტებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 საათით და შემდეგ გადაწურეთ. მიიღეთ დღეში ერთხელ. უკეთესია, თუ ამ კურსს სექტემბერში ჩაიტარებთ.

თუ ბუასილი გაწუხებთ, დანაყეთ მინდვრის შვიტა. 2 სადილის კოვზს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ 1 საათით. სვით ეს ნაყენი მთელი დღის განმავლობაში, ყლუპ-ყლუპით.

კვანძოვანი ბუასილის დროს კი კარგია, თუ გაიკეთებთ გამწმენდ ოყნას, რომელშიც შერეული იქნება გვირილა და 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი.

ღვიძლის დაავადების დროს, აიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა კომბოსტოს მწნილის წვენი და შეურიეთ ნახევარი ჩაის ჭიქა პომიდვრის ახალგამოწურული წვენი. ეს ნაზავი მიიღეთ დღეში ორჯერ, ორი თვის განმავლობაში. ამ დროს კარგია, თუ წყლის ნაცვლად ასკილის წვენს დალევთ.

### როგორი ტიპის ადამიანს რა დაავადება ემუქრება

ისინი, ვინც საკუთარ თავს ყველაზე ჭკვიანად და წარმატებულად მიიჩნევენ, ვერც კი წარმოიდგენენ, რომ ეს ყველაფერი შეიძლება, ფსიქიკური დაავადებების ან კუჭის წყლულის განვითარების მიზეზი გახდეს. ასეთი ადამიანები მუდმივად აღგზნებულნი და დაძაბულები არიან. სხვებთან შედარებით, ისინი უფრო ხშირად ავადმყოფობენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებით, წყლულებით, ფსიქიკური დარღვევებით.

მომჭირნე ადამიანებს ხშირად აწუხებთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები. ძუნწის ორგანიზმში კი, ეგრეთ წოდებული, განგაშის ჰორმონის დონე მუდმივად მაღალია, რაც თავის მხრივ, სისხლძარღვთა ქრონიკულ სპაზმს იწვევს. ამაზე პირველად რეაგირებს ტვინის ყველაზე მგრძნობიარე სისხლძარღვები და შედეგიც არ აყოვნებს. ამ დროს ხშირია თავის ტკივილები და იზრდება ინსულტის ალბათობა.

ისინი, ვინც ძალიან ადვილად ბრაზდებიან, კარგავენ წონასწორობას, სიამოვნებას იღებენ ჩხუბისა და დაძაბული ურთიერთობის შედეგ-

ად, ალერგიისადმი არიან მიდრეკილნი. ნერვული სისტემის პერიოდული გადიზიანება იმუნიტეტს აიძულებს, მუდმივად საბრძოლო მდგომარეობაში იყოს. ვისაც სპეციფიკური ფერმენტების სიჭარბე აქვს გაბრაზების, გაღიზიანების მომენტში, გარკვეულ დრომდე, შეიძლება, არც კი იცოდეს, რომ ალერგიისადმია მიდრეკილი.

ხარბებს ყველაფერი უნდათ, თანაც ძალიან ბევრი. ასეთებს ხშირად აღენიშნებათ ნივთიერებათა ცვლის პროცესის დარღვევები, აწუხებთ კუჭის შეკრულობა, ნაწლავთა გაუვალობა, დაქვეითებული აქვთ იმუნიტეტი. ამის გამო დარღვეულია ორგანიზმის თვითრეგულაცია, რაც ონკოლოგიურ დაავადებათა გამომწვევია. მოსალოდნელი საშიშროების პირველი ნიშნები შეიძლება იყოს ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონია და ხშირი გაციება, რაც ასევე, უარყოფითად მოქმედებს იმუნიტეტზე.

მუდმივი დარდი, წუხილი, მელანქოლია ცხოვრებით უკმაყოფილებას იწვევს, რის გამოც, ზიანდება სასუნთქი ორგანოები, მაგალითად, ფილტვები, ბრონქები, ტრაქეა. რადგან ადამიანის ემოციურ სფეროსთან სწორედ ეს ორგანოებია ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული. დარდისა და წუხილისადმი მიდრეკილება ადამიანებში სხვადასხვანაირად აისახება. ნეგატიური ემოციების ზეგავლენით, ზოგში ნივთიერებათა ცვლა ფერხდება, ზოგში კი ძლიერდება.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: 4 წლის წინ დამიდგინეს რკინადეფიციტური ანემია. მკურნალობის შემდეგ ყველა მაჩვენებელი ნორმაში ჩადგა და ახლაც ასეა, მაგრამ საშინლად მცვივა თმა და მემტვრევა ფრჩხილები. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** უპირველესად, ჩაიტარეთ ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა (ექოსკოპია, ფუნქცია), რადგან მსგავს ჩივილებს ყველაზე ხშირად ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია იწვევს. ხოლო რკინის და სხვა მიკროელემენტების (კალციუმი, თუთია, კალიუმი, მანგანუმი, სელენი...) დეფიციტის განსაზღვრისთვის შეგიძლიათ თმის სპექტრალური ანალიზის ჩატარება.

**კითხვა: შარშან გარუჯვისას მივიღე დამწვრობა. წელს, მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს არ გავჩერებულვარ მზეზე, ისევ დავიწვი. აწი სულ ასე ვიქნები? ვხმარობ თურმანიძის მალამოს, ცოტა უკეთ ვარ, ასევე დიდი ოდენობით სითხეს ვსვამ. ძალიან გთხოვთ, კიდევ მირჩიოთ რამე, რა გავაკეთო, რომ ბუშტუკები არ გამიჩნდეს და კანი არ გადამძვრეს.**

**პასუხი:** ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მზის მიმართ მგრძნობელობით. თქვენ, თქვენი კანის თავისებურებების გათვალისწინებით, მზეს უნდა მოერიდოთ, მზეზე გასვლის წინ უნდა გამოიყენოთ სპეციალური დამცავი კრემი, თავდაპირველად, მზეზე უნდა გაჩერდეთ მხოლოდ 1-2 წუთი და ეს დრო უნდა გაზარდოთ ეტაპობრივად, მაქსიმუმ 15 წუთამდე. ამჟამად თქვენ სწორად იქცევით, თუმცა ბუშტუკების გაჩენა და კანის აქერცლა გარდაუვალია.

**კითხვა: შუბლის მარჯვენა, ზედა კუთხეში აღმოვაჩინე პატარა, მრგვალი, მაგარი წანაზარდი. რა შეიძლება იყოს? საშიშია? ექიმს მივმართო?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, ექიმს (კანისა და რბილი ქსოვილების სპეციალისტს) უნდა მიმართოთ. შესაძლოა, ეს იყოს ათერომა – ხაჭოსმაგვარი სეკრეტით სავსე კისტა, რომელიც ცხიმოვანი ჯირკვლების გამომყოფი სადინარის დახშობის შედეგად წარმოიქმნება – მომრგვალო ფორმის მაგარი წარმონაქმნი.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, უჰაერობის შეგრძნების მიზეზი ნევროზი იყოს?**

**პასუხი:** ნევროზის დროს ჩივილები საკმაოდ მრავალფეროვანია, ერთ-ერთი ჩივილი უჰაერობაც შეიძლება იყოს. ნევროზის მკურნალობა ხორციელდება ინდივიდუალურად, დაავადების მიზეზის შესაბამისად, ხოლო მიზეზის დასადგენად ნევროპათოლოგს უნდა მიმართოთ.

**კითხვა: 35 წლის მამაკაცს ღვინის დალევის მეორე დღეს უშუპდება და სტკივა ფეხები. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** შესაძლოა, ჭარბი სითხე იწვევს ქვედა კიდურებში შეშუპებას და დისკომფორტიც ამას უკავშირდება.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## როგორ ავადდება ადამიანი პაპილომა ვირუსით და გადადის თუ არა ის სექსუალური კონტაქტით

პაპილომა ინფექციური პათოლოგიაა, რომელსაც პაპილომას ვირუსი იწვევს. ის მეტად გავრცელებული დაავადებაა, უფრო სწორად კი, მაღალკონტაგიოზური ქრონიკული დაავადება, რომელსაც კანსა და ლორწოვანზე პაპილომური წარმონაქმნების, მეჭეჭისმაგვარი წანაზარდების – კონდილომების გაჩენა ახასიათებს. სხვათა შორის, სქესობრივი კონტაქტის შემდეგ ამ ვირუსული ინფექციების გადაცემის ალბათობა, საკმაოდ მაღალია.

ადამიანის ორგანიზმში ვირუსების რაოდენობა და აქტივობა პირდაპირ უკავშირდება ორგანიზმის იმუნური სისტემის მდგომარეობას. ინფექცია რომ გამოვლინდეს და დაავადება განვითარდეს, ვირუსის გარკვეული რაოდენობაა საჭირო.

პაპილომის ვირუსი, ძირითადად, სასქესო და საშარდე ორგანოების ლორწოვან გარსსა და მიმდებარე კანის საფარველზე ჩნდება და აზიანებს. არ არის გამორიცხული, ასევე, სხეულის სხვა უბნის ლორწოვან გარსსა და კანზეც განვითარდეს. ინტენსიური გამრავლებისა და გააქტიურების ფონზე, ვირუსი ეპითელურ უჯრედებს აზიანებს და სახეს უცვლის მათ. შედეგად კი კანის შესაბამისი უბნები კონდილომებით იფარება. ასევე, ჩნდება ერთდროულად რამდენიმე კონდილომაც. მამაკაცებს კონდილომები შედარებით მეტად უვითარდებათ, ვიდრე ქალებს.



განსაკუთრებული მძიმე კლინიკური სურათით გამოირჩევა შარდსადენ მილში განვითარებული პაპილომა, რაც ორივე სქესის წარმომადგენლებს ემუქრებათ. ქალებს კონდილომები ზოგჯერ პირის ღრუში, ყელის ლორწოვან გარსზე, ქუთუთოებსა და კისრის მიდამოშიც უჩნდებათ.

არსებობს პაპილომა ვირუსის 2 ტიპი, კერძოდ, ონკოგენური და არაონკოგენური. ზოგიერთი ტიპის ვირუსით გამოწვეული წარმონაქმნი, შეიძლება ავთვისებიან სიმსივნედ გადაიქცეს. ეს კი რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად, ორგანიზმის ინდივიდუალურ იმუნურ სტატუსსა და პროცესის მიმდინარეობის აქტივობაზე, გარემოს ტიპსა და პაპილომური წარმონაქმნის თავისებურებაზე, ზრდის ფორმაზე და ასე შემდეგ. პაპილომას მკურნალობა შეიძლება ადგილობრივი და ზოგადი კომპონენტებით. ადგილობრივი მკურნალობა კონდილომებისა და ატიპურად შეცვლილი ეპითელიუმის მოსაცილებლად არის გამიზნული. ყველაზე პოპულარულია დღეს თხევადი აზოტით კონდილომების მოწვა, თერმოკოაგულაცია, ქიმიური კოაგულაცია, ლაზერული დესტრუქცია.

ზოგად მკურნალობაში კი შედის იმუნური სისტემის გაძლიერება და ორგანიზმში ვირუსის კონცენტრაციის შემცირება.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძე**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ მოხვდა „ბურთი და მოედანი" ბროდვეიზე და როგორ იგინებოდა გუგული მგელაძის თვალწინ ლენინი

*„ვერ შეცვლი ბუნების წესსა და რიგს! ვიბადებით, ვიზრდებით, ვწვალობთ, ვბერდებით! ბოლოს კი ვცხოვრობთ მოგონებებით, თითქოს ვიმეორებთ გზას და... ყველაფერი მთავრდება"... – ეს სიტყვები* **გუგული მგელაძეს** *ეკუთვნის. ბატონმა გუგულიმ კინომოღვაწეობა დაიწყო ფილმიდან „გიორგი სააკაძე", სადაც ის სააკაძის შვილს, ავთანდილს თამაშობს. დაამთავრა თბილისის ვაჟთა გიმნაზია, შემდეგ – მოსკოვის კინემატოგრაფიის სამსახიობო ფაკულტეტი, მოგვიანებით – ამავე ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. თამაშობდა სერგეი გერასიმოვის, პუდოვკინის, ბრაუნისა და სხვათა ფილმებში. 1961 წლიდან მოღვაწეობდა „ქართულ ფილმში". გადაღებული აქვს: „გაჭედილები", „ფესვები", „ბურთი და მოედანი", „სინათლე ჩვენს ფანჯრებში", „მაცივარში ვიღაც იჯდა", „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი"... ბატონ გუგულის თავისი ცხოვრების განმავლობაში ბევრ საინტერესო ადამიანთან მოუხდა ურთიერთობა, შესაბამისად, მოსაგონარიც ყოველთვის ბევრი აქვს, რაც მისი დღიურების ფურცლებს კიდევ უფრო ამდიდრებს. ჰყავს ვაჟი – გიორგი მგელაძე, კინორეჟისორი და რამდენიმე გრანპრის მფლობელი ევროპასა და ამერიკაში; უფროსი ქალიშვილი – ქეთევანი, ინგლისური ენის სპეციალისტია; მომდევნო – თამუნა – მხატვარი. ახლა კი, ერთად გადავავლოთ თვალი რეჟისორის დღიურებს. წინ კარგი ისტორიები გელით.*


გუგული მგელაძე – სოხუმი


გუგული მგელაძე და ჟანრი ლოლაშვილი „ბაგრატიონის" გადაღებების დროს

**– ბატონო გუგული, საუბარი თქვენი სიმამრით – პავლე ინგოროყვათი დავიწყოთ. თურმე, ახალგაზრდობაში ის და ექვთიმე თაყაიშვილი მეგობრობდნენ. რა იცით მათი ურთიერთობიდან?**

– ჩვენს ოჯახში ხშირად იყო საუბარი ექვთიმე თაყაიშვილზე. ბატონ პავლესა და ბატონ ექვთიმეს ახალგაზრდობაში დიდი მეგობრობა ჰქონიათ. აწ განსვენებულმა, მაშინ საფრანგეთიდან ახლად ჩამოსულმა სერგი წულაძემ, ჩვენთან სტუმრობის დროს გვიამბო, თუ როგორ გაიღო ფრანგმა მეცენატმა ქალმა ფული, რათა ექვთიმე თაყაიშვილის თვალებისთვის ემკურნალა (მხედველობას კარგავდა), ექვთიმემ კი ამ თანხით პარიზის ბუკინისტებში წინასწარ გადანახული ქართული მანუსკრიპტები შეიძინა. კიდევ ბევრი რამ ითქვა მაშინ მასზე. ბატონი პავლე დიდი პატივისცემით ლაპარაკობდა ექვთიმე თაყაიშვილზე, მაგრამ, ისიც მინდა გითხრათ, რომ მას სავსებით ნორმალურად მიაჩნდა განძთან დაკავშირებული ისტორია: ერთხელ გაკვირვებით თქვა კიდეც – აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყოო?! ახალგაზრდობაში ბატონი პავლე ისე თავდავიწყებით ყოფილა შეყვარებული ქალბატონ ქეთევანზე, რომ, ერთხელ, სასოწარკვეთილს, თავის მოკვლის მიზნით ტყვია უსვრია. მერე ეს ტყვია ექიმებს სხეულიდან არ ამოაღებინა – საფლავში ჩაიტანა. ისე, რა საოცარი ძალა აქვს ნაწერს, რამდენი რამის ამოკითხვა შეიძლება სტრიქონებს შორის! ბატონი პავლეს არქივში წავაწყდი ერთიბეწო ქაღალდს, სადაც ისტორიული მნიშვნელობის რამდენიმე სიტყვა წერია: „პავლე! ჩემთან მოსვლა უკვე საშიში აღარაა, შენი ექვთიმე." მას თარიღი არ აწერია, თუმცა, თარიღი არ სჭირდება, არც ახსნა. ერისკაცი, თავის დროზე გუშაგად რომ გაჰყვა საქართველოს აურაცხელ ქონებას, მის საგანძურს, სულს, მის ისტორიას, რათა ათეული წლები ეშიმშილა უცხო მხარეში და შემდეგ, ღრმად მოხუცებულს, კიდევ უფრო გამდიდრებული დაებრუნებინა ეს განძი თავისი ქვეყნისთვის, ეს კაცი სწერდა პავლე ინგოროყვას, რომ მასთან მისვლა უკვე საშიში აღარ არის, რომ ამისთვის მას არ დაიჭერდნენ, არ აწამებდნენ, სიკვდილით არ დასჯიდნენ... წარმოგიდგენიათ?! ბატონი პავლე ძერჟინსკის ძნელად იტანდა, ძერჟინსკის ქუჩა კი ენატრებოდა. ძერჟინსკის ქუჩას დღეს ინგოროყვას სახელი ჰქვია... უცნაურობაც სჩვევოდა: კარგა ხნის წინ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში სწავლულ მეცნიერებთან შეხვედრა ჰქონდა დანიშნული (ძველი საგალობლების სანოტო სისტემის გაშიფვრასთან დაკავშირებით). თავშეყრილი აკადემიკოსები ძალიან ღელავდნენ ამ სასწაულებრივი აღმოჩენის გამო. ბატონი პავლე იგვიანებდა. ბოლოს, როგორც იყო, გამოცხადდა თავისი უშველებელი პორტფელით, მაგიდაზე ამოალაგა განსახილველი შრომა, გადაშალა და, უცებ, რაღაც იდუმალმა ძალამ შეაკრთო. რა აზრი დაუტრიალდა თავში, ძნელი წარმოსადგენი იყო. ერთხანს იჯდა, მერე პაპიროსი ჩაიდო პირში და რამდენჯერმე ზედიზედ ნერვიულად აანთო და ჩააქრო ასანთი. ყველა იქ მყოფი მდუმარებამ მოიცვა. მერე ბატონმა პავლემ ოლიმპიური სიმშვიდით ჩაალაგა თავისი ნაშრომი პორტფელში, კრებას ბოდიში მოუხადა და სხდომა გააუქმა. რა მოხდა, ვერავინ გაიგო – წავიდა და წავიდა... სულ ცოტა ხანში (1962 წელს,), „იუნესკოს" პერიოდული ჟურნალი, – „კურიერ იუნესკო," ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის შესახებ მსოფლიოს აუწყებდა: „პავლე ინგოროყვამ ამოხსნა იეროგლიფებად შემორჩენილი სანოტო სისტემა, რის შედეგადაც უამრავი საგალობელი ახმოვანდა!"




ნიუ-იორკში

**– თქვენ მუშაობდით „მოსფილმში", რომლის ფილმებსაც 70-80-იან წლებში საბჭოთა კინოეკრანებზე, ფაქტობრივად, ბადალი არ ჰყავდა. რას გაიხსენებთ იმ წლებიდან?**

– „მოსფილმში" გახლდით. ჩემი ფილმის რუსულ ენაზე დუბლირება მიმდინარეობდა. ერთ-ერთ პავილიონთან გასაოცარი სცენის მომსწრე გავხდი: წითელ სტენდთან, სადაც გამორჩეული კინემატოგრაფისტების ფოტოები იყო გამოკრული (მათ შორის ორი ქართველის – გია დანელიასი და მხატვარ ლევან შენგელიასი), წევს უზომოდ მთვრალი ლენინი და გამვლელ-გამომვლელებს თვალებს უბრიალებს. ერთმა ქალმა უცებ შეჰკივლა: „კაკოი უჟას!.." – და გაიქცა, თან უკან იყურებოდა. ამ დროს პავილიონიდან მარქსი გამოვიდა. გალეშილი ლენინი რომ დაინახა, უყვირა: „ვსტან, სეჩასჟე, მერზავეც, ტი ჟე პოზორიშ ნას, აკტიოროვ!" ლენინმა კარგახანს უყურა მარქსს და ჩახლეჩილი ხმით დაუღრიალა: „იდი ნახ...ი!" შეშინებული მარქსი წამში გაუჩინარდა. ამ შემთხვევის შემდეგ, სამინისტროს ბრძანებით, ლენინის როლზე მსახიობებს დიდი სიფრთხილით არჩევდნენ.


მეგობრებთან ერთად (კიევის კინოსტუდია)

**– ერთხელ ჩვენთან ინტრევიუში თქვით, რეჟისორი რომ ვარ, სერგეი გერასიმოვის დამსახურებააო.**

– „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილის" გა-

დაღება შემიჩერეს „გოსკინოს” ბრძანებით (რაღაც ანტისაბჭოური მოელანდათ) და გერასიმოვი სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში, ჩემი ფილმის მასალა რომ ენახა (დიდი პედაგოგის თვისება ჰქონდა – მეტს ხედავდა მოწაფეების გადაღებულში, ვიდრე სინამდვილეში იყო). დამთავრდა მასალის ჩვენება და დირექციის გასაგონად თქვა: ვისაც რაიმე ეეჭვება ამ ფილმში, თვითონ ჩამობრძანდეს თბილისშიო. ასე რომ, მისით გადარჩა ეს ჩემი ფილმი, მისი დიდსულოვნების წყალობით გავხდი რეჟისორი. ჩემი სიმამრის, პავლე ინგოროყვას ბიბლიოთეკაში შემთხვევით წავაწყდი ერთ უნიკალურ წიგნს. მოსკოვში მივემგზავრებოდი სცენარის დასამტკიცებლად და თან წავიღე, რომ მისთვის მეჩუქებინა – ვიცოდი, გაუხარდებოდა (ახალი დამთავრებული ჰქონდა ფილმი „ლევ ტოლსტოი”, სადაც თვითონვე ითამაშა დიდი მწერლის როლი). ჩავედი, მოვეწყვე სასტუმროში, ავიღე ეს წიგნი და გავემართე მათი სახლისკენ, მაგრამ, დავაგვიანე: სასტუმრო „უკრაინის” უკანა მხარეს, პატარა მოედანი ხალხით იყო გადატენილი – გერასიმოვის გამოსვენებას ელოდებოდნენ... ერთ დროს ულამაზესი მისი მეუღლე, ტამარა მაკაროვა, გაფითრებული და დაბერებული მოჰყვებოდა ქმრის ცხედარს.


პარიზი („ფესვების” გადაღებებზე)


პავლე ინგოროყვა

**– ბატონო გუგული, ცხოვრებაში, ალბათ, სასაცილო სიტუაციაშიც აღმოჩენილხართ.**

– ერთხელ მიშა კობახიძემ ჩემს სამონტაჟო ოთახში უცხოელი ქალი შემოიყვანა – ლამაზი, გრძელი თმითა და ხელზე სამაჯურით. სკამიდან წამოვხტი და მის ხელს ვეცი საამბოროდ, ის კი შეცბა და ხელი გამომტაცა. „რას შვრები! – იყვირა მიშამ, – კაცია, ბიჭო, კაცი!“ მერე, ამ ამბავს სხვებს რომ ვუყვებოდი, სიცილით ვიგუდებოდით... კინოსტუდიაში გადაღებული პირველი ფილმი მიშას არ გამოუვიდა – ასე მხოლოდ მათ ემართებათ, ვინც ეძებს რაღაც ახალს. მოკლედ, ფილმი ჩაუვარდა. იქნებ, სწორედ ამ ჩავარდნამ განაპირობა „ქორწილის” დაბადება?! – ობერჰაუზენიდან სამი პრიზი ჩამოიტანა (1965 წელი), იმავე წელს კი მეოთხე პრიზი ჩამოიტანა კანიდან...

**– მართალია, რომ თქვენი ფილმი „ბურთი და მოედანი” ამერიკაში უჩვენეს?**

– 1965 წელს ამერიკიდან ნუგზარ შარია ჩამოვიდა. კინოსტუდიის ეზოში ვნახე, მანქანას რეცხავდა. – კაი რაღაც უნდა გითხრა! – მეუბნება შარია, – მოვდივარ ბროდვეიზე. კინოთეატრის თავზე ვხედავ რეკლამას – ხატია კოვბოი ფართო შლაპით. იპოლიტეა ზედგამოჭრილი. ერთი კი გავიფიქრე, იპოლიტეს რა უნდა ბროდვეიზე-მეთქი. ვკითხულობ წარწერას: „ბურთი და მოედანი”. იპოლიტეა! უკანასკნელი გროშებით ვყიდულობ ბილეთს, შევდივარ კინოთეატრში, სეანსი უკვე დაწყებულია და, რომ გამოჩნდა იპოლიტე და ინგლისურად დაილაპარაკა, ამივარდა ხარხარი. დარბაზი იცინოდა, მე კი ვხარხარებდი.

**– „ფესვებს”, ჩემს ერთ-ერთ უსაყვარლეს ფილმს, საფრანგეთში იღებდით, რაც იოლი საქმე არ იყო. როგორ მოახერხეთ ეს?**

– საფრანგეთში თერთმეტი დღით ვიყავით წასული თერთმეტი კაცი „ფესვების” გადასაღებად. ჩვენი სასტუმროს პირდაპირ იტალიელების რესტორანი იყო. ალბათ, იფიქრეს, რადგან კინოს იღებენ, მილიონერები იქნებიანო და, ორი-სამი დღის განმავლობაში უფასოდ გვეპატიჟებოდნენ იმ იმედით, რომ მერე თვითონ დავიწყებდით იქ სიარულს. მაგრამ, ბოლოს, როცა დარწმუნდნენ, რომ ჯიბეგამოფხეკილი საბჭოთა კინემატოგრაფისტები ვიყავით, ხელი ჩაიქნიეს. თუმცა, მერეც გვეპატიჟებოდნენ – დოდო აბაშიძე მოეწონათ (ფილმში მის შვილიშვილს 7 წლის ნიაზ დიასამიძე თამაშობს). სოსო ჯაჭვლიანი ბოლოს ისე გაშინაურდა, უკვეთავდა და უკვეთავდა ღვინოს, ფული კი არ ჰქონდა. მერე ფულიც გაგვიჩნდა. გადაღებებზე ორი-სამი კაცი მივდიოდით ხოლმე, დანარჩენები საყიდლებზე გარბოდნენ. ერთადერთი, ლევან აბაშიძე არ გაჰკარებია მაღაზიებს – ფრანგი გოგოები წაიყვანა რესტორანში და მთელი ფული მათ დაახარჯა.



**ეკა პატარაია**

(23-ე გვერდიდან)

# ვისი მიბაძვით დაიწყეს ქალის ფეხსაცმლიდან ღვინის სმა თბილისელმა კინტოებმა და რა ლექსი მიუძღვნა მათ რაფიელ ერისთავმა

უდარდელი და ზანტი კინტო მთელ სიცოცხლეს ლაზღანდარობასა და ყალთაბანდობაში ატარებდა, გულით მაინც სევდა და ნაღველი დაჰქონდა. ცხოვრებამ აიძულა იგი, ქუჩა-ქუჩა ეხეტიალა. ცოცხალი, მკვირცხლი, მოძრავი, „ლოთიანი” ქეიფის მოყვარული კინტო, რომელსაც თავზე ღვინით სავსე ბოთლი ედგა, არღანის ხმაზე ბაღდადით ხელში ცეკვავდა „კინტოურს“. კინტომ არც კი იცოდა იმ ჭურჭლის სახელები, რომლითაც ღვინოს სვამდა, იგი უარყოფდა ქამრიან ჭიქებსაც კი და, უცხოელი ბოჰემისტების მიბაძვით, ღვინოს ქალის ტუფლიდანა სვამდა. როგორც რუსეთში იყო „ბასიაკი”, ეს ლოთი მწიგნობარი, ისეც ჩვენმა თბილისმა, მხოლოდ თბილისმა წარმოშვა ეს ბედასლი, თავნები, ლევანდი და დაუდევარი ტიპი, რომელსაც იმათთან შედარებით, მაინცდამაინც დიდი სიბოროტის ჩადენა არ შეუძლიან.


ყველით მოვაჭრე კინტო

ცნობილია, რომ პოეტი რაფიელ ერისთავი, პირდაპირ ილაშქრებდა კინტოების წინააღმდეგ:

*„დახე, ჩვენი ქალაქი რარიგად*
*გამოცვლილა –*
*ვერავის ვსცნობ, არც მცნობენ,*
*კინტოებით გავსილა”...*

მკვლევართა აზრით, კინტოების ტანსაცმელი წმინდა სპარსული სამოსია და ქართულ კულტურასთან არავითარი კავშირი არ აქვს. ასევე შეიძლება ითქვას ცეკვა „კინტოურზეც“, რომლის ფესვები ძველ სპარსეთში უნდა ვეძებოთ. არსებობს ვერსია, რომ კინტოური თავიდან ქალების ცეკვა იყო და მამაკაცებმა მისი შესრულება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნიდან დაიწყეს.

კინტო, შედარებით გაკეთილშობილებული სახით, ავქსენტი ცაგარელის პიესაში და ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეში” ფიგურირებს; ასევე, მხატვრულ ფილმებში: „ქეთო და კოტე”, „რაც გინახავს ვეღარ ნახავ” და სხვა.

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ნაწყვეტები წიგნიდან: ი. გრიშაშვილი, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა” (გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა”, ბათუმი, 1986) და თენგიზ ვერულავას ბლოგიდან „ბურუსი”.**


კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



**ჩვენ გარშემო ბევრი ლამაზი, განათლებული, დახვეწილი ქალი დადის, მაგრამ ვერ თხოვდება, ოჯახს ვერ ქმნის. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ლამარა ამბობს, ბედის ასეთი წარუმატებლობა თავად ადამიანის ბრალიცაა და ამას, მარტო უიღბლობა არ განსაზღვრავს. ამქვეყნად უბრალოდ და შემთხვევით არაფერი ხდება. ამას ყოველდღიურად მომხდარი ფაქტები და მათი ანალიზიც გვარწმუნებს. როგორც ქალბატონი ლამარა ამბობს, მისთვის მთავარია, ადამიანებს თავდაცვის ის წესები ასწავლოს, უცხოეთში რომ შეისწავლა შესაბამის სპეციალისტებთან კონსულტაციით. ასევე, გვასწავლოს, თუ როგორ გავხდეთ უფრო წარმატებული, ბედნიერი და იღბლიანი. მისი თქმით, ნებისმიერი, ირგვლივ არსებული ნივთი, ჩვენზე ზემოქმედებს.**

# იცავს თუ არა ოჯახს დანგრევისგან ცოლ-ქმრის ერთიანი ველი და როგორ წარმოიქმნება ის

**– ქალბატონო ლამარა, რაშია ოჯახური ბედნიერების საიდუმლო და რატომ ინგრევა სიყვარულით შექმნილი ბევრი ოჯახი?**

– სხვათა შორის, ბევრი მეკითხება, ვერ გავიგეთ, რაშია ოჯახური ბედნიერების საიდუმლო – წყვილს ერთმანეთი უყვარდა, არც ეკონომიურად უჭირდათ, მაგრამ ოჯახური ურთიერთობის შენარჩუნება, მაინც ვერ შეძლესო. ოჯახები თითქმის უმიზეზოდ ინგრევა. აი, ეს არის დღევანდელი სამწუხარო რეალობა. საქმე ისაა, რომ ყოველ ოჯახს თავისი ენერგეტიკული ველი და აურა აქვს. ეს კი დამოკიდებულია სწორედ ცოლ-ქმრის აურაზე, მათ შორის არსებულ ენერგეტიკულ ურთიერთობებზე. ეს ქვეცნობიერად, ენერგიების დონეზე ხდება. თუ ეს ველი დაირღვა, მაშინ ყველა უსიამოვნება და უბედურება, რაც ოჯახში ხდება, სწორედ ამას უკავშირდება.

**– ესე იგი, თუ ოჯახს ერთიანი ველი აქვს, ის უფრო დაცულია და დანგრევის საფრთხე არ ემუქრება?**

– დიახ, თუ ოჯახს ერთიანი ველი აქვს, ის ნებისმიერ დარტყმას, პრობლემას, წინააღობასა თუ ბარიერს გაუძლებს, გადალახავს. ბევრს აინტერესებს, როგორ წარმოიქმნება ის და გიპასუხებთ: ყველამ იცის, რომ ადამიანებს გარშემო აურა აკრავს. ის მოციმციმე გარსია და იქმნება ენერგიების იმ ნაკადით, რაც ადამიანის ორგანიზმის ენერგეტიკული ცენტრებიდან გამოდის. ასეთი შვიდი ცენტრი აქვს ადამიანს. თითოეულიდან გამოსული ენერგია კი ჩვენ გარშემო მოციმციმე ძლიერ ვიბრაციულ შრეს ქმნის. ბიოველში სულ შვიდი ენერგეტიკული შრეა. რაც უფრო კარგად მუშაობს ენერგოცენტრი, მით უფრო სქელია მისგან გამოსხივებული შრე. ცოლ-ქმარი კი ერთმანეთზე ზემოქმედებას ამ ბიოველების საშუალებით ახერხებს. როცა კავშირი ჰარმონიულია, ისინი ერთი მექანიზმით მუშაობენ, ერთმანეთისაც კარგად ესმით და იდილიაშიც ცხოვრობენ. მაგრამ, თუ ოჯახის საერთო ველი დარღვეულია, ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ უგებს – ხშირად კამათობენ, უმიზეზოდ ჩხუბობენ. როცა ოჯახი იქმნება, დიდი მნიშვნელობა აქვს, ეწყობა ერთმანეთს თუ არა წყვილი ენერგეტიკული თვალსაზრისით, რომ სამომავლოდ სირთულეები გადალახონ.

**– რამდენად შესაძლებელია ოჯახის საერთო ველის გაძლიერება და ამით მომავალი პრობლემების თავიდან აცილება?**

– თუ ხვდებით, რომ ადამიანთან ურთიერთობის დროს თავს უხერხულად გრძნობთ, იღლებით და გეწყებათ დისკომფორტი, მასთან ღრმად ნუ შეტოპავთ – ნუ აირჩევთ ცხოვრების მეგზურად და ამით საქმეს ნუ გაირთულებთ. ზოგი ამ დისკომფორტს თავიდანვე გრძნობს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს. არადა, ეს მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსია, შემდგომი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ამან, შესაძლოა, კრიზისულ სიტუაციამდე მიგიყვანოთ ოჯახური თანაცხოვრების დროს. ნუ წამოიწყებთ რომანს იმ ადამიანთან, ვის გვერდითაც თავს კომფორტულად და მშვიდად ვერ გრძნობთ. მაგრამ, თუ ხვდებით, რომ კონკრეტულ ადამიანთან შეხვედრის შემდეგ, მშვიდდებით, დუნდებით, კმაყოფილებით ივსებით და გრძნობთ, მასთან განშორება გიჭირთ, ესე იგი, ეს ისაა, ვისთანაც საერთო ენერგეტიკული ველი მყარი იქნება. ეს იდეალური ოჯახური ცხოვრების საწინდარია. ეს მომავალ, შესაძლო პრობლემასაც აგაცილებთ თავიდან და არც ოჯახის დანგრევის წინაშე აღმოჩნდებით.

> **ეზოთერიკაში ნამდვილად არსებობს წესი, რომლითაც ცოლ-ქმარს შორის დაძაბული ურთიერთობის განეიტრალება შეიძლება**

**– ვფიქრობ, მთავარი უთანხმოების მიზეზი, ძირითადად, ფინანსური პრობლემებია, რაც ხშირად სკანდალებითა და ოჯახის დანგრევით მთავრდება. როგორ მოვიქცეთ, რომ ფულის პრობლემა თავიდან ავიცილოთ?**

– ფულის პრობლემა თავიდან რომ აიცილოთ, მას გონივრულად უნდა მიუდგეთ. მე მოგცემთ რჩევებს და გაგიზიარებთ ეზოთერულ გამოცდილებას, რომელიც ნამდვილად დაგეხმარებათ და ფინანსურ შემოსავლებსაც მოგცემთ. მაგალითად, არასდროს დაიბრუნოთ გასესხებული ფული ნაწილ-ნაწილ, რომ ასევე ნაწილ-ნაწილ არ გავიდეს თქვენი ჯიბიდან. თუ გინდათ, რომ ვალის დაბრუნება არ გაგიჭირდეთ, ფული სამშაბათს ან ხუთშაბათს ისესხეთ. სანამ ფულს სხვას ასესხებთ, სამჯერ შემოივლეთ თავზე და ისე მიეცით. მაშინ ამ ფულს მევალე დათქმულ დროს მოგცემთ. აგრეთვე, თუ გინდათ, მატერიალური გაჭირვების წინაშე არ დადგეთ, ყოველთვე, ხელფასიდან შეიძინეთ შაქარი, ბრინჯი და სანთელი. ჩაყარეთ შაქარი და ბრინჯი გამჭვირვალე მინის ქილაში და ჩადეთ მასში სანთელი. ყოველ დილით, სახლიდან გასვლამდე დაანთეთ სანთელი და მერე ჩააქრეთ. ერთი თვის შემდეგ, ეს შაქარი გამოიყენეთ ჩაიში, ბრინჯი კი – საჭმელში. შაქარი ოჯახში სიტკბოებას მოგიტანთ. ბრინჯი კი, როგორც იცით, სიმდიდრის სიმბოლოა. ასე მოიქეცით ყოველი ხელფასის აღებიდან, მომავალი ხელფასის აღებამდე. ასევე, თუ გსურთ, სახლში ფული არ გამოგელიოთ, შესასვლელის კუთხეებში დადეთ ხურდები და ბრინჯის მარცვლები.

**– თუ არსებობს ეზოთერიკაში წესი, რომელიც ცოლ-ქმარს დაძაბული ურთიერთობის განეიტრალებაში დაეხმარება?**

– ეზოთერიკაში ნამდვილად არსებობს წესი, რომლითაც ცოლ-ქმარს შორის დაძაბული ურთიერთობის განეიტრალება შეიძლება. მაგალითად, თუ ხვდებით, რომ მეუღლესთან სიტუაცია გეძაბებათ, აიღეთ შაქარი, გამჭვირვალე ღვინის ჭიქა, სამი წვეთი ვაშლის ძმარი და საქორწინო ბეჭედი. ჭიქაში ჩაასხით ონკანის წყალი, ვაშლის ძმარი, ჩაყარეთ ერთი ჩაის კოვზი შაქარი, ჩააგდეთ საქორწინო ბეჭედი და დადგით თქვენი საწოლის ქვეშ. დილით, გამოიღეთ ჭიქა, კარგად ამოურიეთ, ამოიღეთ ბეჭედი და ამ წყლით მომამზადეთ მეუღლისთვის ჩაი ან ყავა. ასე მოიქეცით კვირაში ერთხელ, ორშაბათ დღეს და ნახავთ, როგორ დატკბება თქვენი მეუღლე, როგორ დარეგულირდება სიტუაცია თქვენს შორის. ძალიან ძნელია, როცა საყვარელ ადამიანთან სიტუაცია რთულდება, ვეღარ უგებთ ერთმანეთს და ცდილობთ, მაქსიმალურად შორს დაიჭიროთ მისგან თავი. ამიტომ, შეგიძლიათ, ამ რიტუალით გააძლიეროთ თქვენს შორის ენერგიული ველი, დაარეგულიროთ სიტუაცია, დაიმკვიდროთ სიმშვიდე და იდილია სახლში.

**ნონა დათეშიძე**

## არც ისე მავნებელი

ჰარვარდის უნივერსიტეტის ზოგიერთი ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ უხეშობა და ბილწსიტყვაობა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. თუ მათ დავუჯერებთ, ეს „ღიად“ საუბარი ფსიქოლოგიური სტრესისგან გვათავისუფლებს, მაგრამ, როგორ შთაბეჭდილებას ვტოვებთ გარშემო მყოფებზე? ხომ არ ეტყვით მამაკაცს, რომელსაც თავს აწონებთ, იმიტომ ვიგინები, რომ სტრესი არ მივიღო ან სტრესის ჰორმონისგან თავი დავიცვაო?!

ინგლისელი მეცნიერებიც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არანორმირებული მეტყველება და ლექსიკა ნდობის განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის.

ვამტკიცოთ, რომ ლანძღვა-გინება არც ისე მავნებელია?! შეიძლება, ცოტა მოვეშვათ კიდეც, მაგრამ, მეტისმეტი არ უნდა მოგვივიდეს. დედა გვასწავლიდა – ცუდი სიტყვების თქმა არ შეიძლება, უზრდელობააო... ან დედას უნდა დავუჯეროთ, ან – ევროპელ ფსიქოლოგებს, თუმცა, ყოველთვის შეიძლება, იპოვო ოქროს შუალედი: ნურც მეტისმეტად მკაცრი, წესიერი და რაფინირებული იქნებით, ნურც ბოლომდე აიშვებთ – შეინარჩუნეთ ის სახე, რომელიც ოჯახიდან გამოგყვათ... ბუნებრივია, მამაკაცები გაცილებით მეტს და ხშირადაც იგინებიან, მაგრამ, „ორთქლის გამოშვება“ ზოგჯერ თქვენც შეგიძლიათ... რატომაც არა?!

## სიბრაზის თეორია

ვის არ უნერვიულია და ვისთვის არის უცხო სიბრაზე? მრისხანებისას ზიანს ვაყენებთ როგორც საკუთარ თავს, ისე გარშემო მყოფებს. გული აჩქარებით გიწყებთ ცემას, წნევა მაღლა იწევს, ხელებიც კი გიკანკალებთ, ფიქრის, აზრის კონცენტრაცია კი შეუძლებელი ხდება...

ნეგატიური ემოციები ზედმეტი ტვირთია ორგანიზმისთვის, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ურთიერთობას გიფუჭებთ საყვარელ ადამიანებთან. მით უმეტეს, ქალს არ უხდება მეტისმეტი მრისხანება. არავინ გეუბნებათ, რომ არ უნდა გაბრაზდეთ, მაგრამ, თუ საკუთარი თავი გიყვართ, შეეცადეთ, ჭარბ განცდებს მოერიდოთ. რატომ უნდა გაფლანგოთ ფუჭად ის ენერგია, რომელიც შეგიძლიათ, თქვენს სასარგებლოდ გამოიყენოთ?!

აღმოსავლური მედიცინა ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინ გვირჩევდა: ნუ გამოკვებავთ გარემოს თქვენი ენერგეტიკით; ნუ გააბნევთ მას ფუჭად; ნუ გაათბობთ კოსმოსს – ეს მას არაფერში სჭირდება, შემოინახეთ ეს ყველაფერი თქვენი ახლობლებისთვის, საყვარელი და ძვირფასი ადამიანებისთვის და, ასევე, კარგი საქმეებისთვის.

„სიბრაზის თეორია“ გვასწავლის: სტრესი ცეცხლის სტიქიასავით არის – ის არღვევს გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობას, ხელს უშლის ტვინს და აქვეითებს მეხსიერებას. იკლებს სექსუალური ლტოლვა და ცხოვრებაში ბედნიერი დღეების რიცხვი სულ უფრო იკლებს.

დაიმახსოვრეთ: უარყოფითი ემოციებისგან თავი უნდა დაიცვათ. ძნელია, მაგრამ, უნდა შეძლოთ. გული თქვენ უნდა დაიმორჩილოთ და არა – პირიქით!

## აიძულე და გამოგივა

ერთ დღესაც, გაიღვიძეთ და მტკიცედ გადაწყვიტეთ: „არავის მივცემ ჩემი დაჩაგვრის, დამცირებისა და იგნორირების უფლებას!“ პასუხის გაცემა უნდა იცოდეთ, თანაც, უნდა შეძლოთ ისე, რომ მოგებული დარჩეთ თქვენ და არა – ის, მაგრამ, პასუხმა არ უნდა მოახდინოს კატასტროფული ძვრები ურთიერთობაში... პირიქით, ამ ყველაფრის შემდეგ ადამიანებმა პატივი უნდა გცენ; მათ უნდა იგრძნონ ისიც, რომ, უპირველესად, თქვენ სცემთ პატივს საკუთარ თავს და თანაც, თვალსაჩინოდ.

აიმაღლეთ რეიტინგი – ცოტათი მაინც აიძულეთ თავი და აუცილებლად გამოგივათ. თანაც, ეს რეიტინგი როგორც შინაგან, ისე გარეგნულ შეფასებაში უნდა გამოიხატოს. არასდროს არაფერია დაგვიანებული. რა დღესაც გადაწყვეტთ, რომ თქვენი ცხოვრება უნდა შეცვალოთ, იმ დღიდან დაიწყეთ ამ მიმართულებით მუშაობა და გამოგივათ. რა არის მთავარი?! თქვენი კეთილი ნება, და არა იძულებით მოქმედება... ზოგჯერ დინების საწინააღმდეგოდაც უნდა იცუროთ; ზოგჯერ ხისტი და მკაცრი უნდა იყოთ... ზოგჯერ კი – დამთმობი, მიმტევებელი და დიდსულოვანი. პრინციპი მარტივია: ხან მედლის ერთი მხარე უნდა იყოთ, ხანაც – მეორე. როდის რომელია საჭირო, ეს უნდა იგრძნოთ. თუმცა, თუ მოინდომებთ, ყველაფრის სწავლას შეძლებთ.

მაგალითად, დაიწყეთ სიარული: ადამიანი, რომელიც წელში გამართული და ამაყად თავაწეული დადის, შეუმჩნეველი არავის რჩება. ეფექტის მოსახდენად ჩაიცვით ყოველთვის ლამაზად და ორიგინალურად – ის, რაც მართლა გიხდებათ და არა ის, რაც მოდაშია. აიძულეთ საკუთარი თავი, „შიგნიდანაც“ დაიწყოთ ცვლილებები და, შედეგი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის, აუცილებლად იქნება.

## მე მიყვარს „მე“

შეიძლება, გგონიათ, რომ ისედაც გიყვართ საკუთარი თავი და ეს მინიშნება სრულიად ზედმეტია, მაგრამ, ჩვენ ძალიან ხშირად ვუშვებთ შეცდომას, როცა საკითხს არ ვუღრმავდებით. რას ნიშნავს საკუთარი თავის სიყვარული? ეს სულაც არ გახლავთ ეგოიზმი, პირიქით, ძალიან შორს არის ამისგან. საკუთარი თავი უნდა მოგწონდეთ და გინდოდეთ ისეთი, როგორიც ხართ – თქვენი ნაკლითა და ღირსებებით, ვიზუალური ხარვეზებითა თუ ხასიათის თავისებურებებით. ეს გულწრფელი, უანგარო სიყვარული ფსიქოლოგიაში ერთი, კონკრეტული სახელწოდებით არის ცნობილი – „აუტოსიმპათია“. თუ უყვარხართ ახლობლებს, თუკი მოსწონხართ ნაცნობ-მეგობრებს, მაშინ, რატომ არ უნდა იყოთ კეთილგანწყობილი თავად?! როცა სახლში მარტო დარჩებით, იფიქრეთ თქვენს გარეგნულ თუ შინაგან ღირსებებზე, დაათვალიერეთ თქვენი ფოტოსურათები და, საერთოდაც, ისწავლეთ მარტოდ გატარებული წუთებისა და საათების ფასი. გამოიყენეთ ეს დრო თქვენს სასარგებლოდ და მიიღეთ სიამოვნება... იფიქრეთ სასიამოვნო



ეპიზოდებზე, მომავალზე... დალიეთ ყავა, უყურეთ საყვარელ ფილმს ან წიგნი წაიკითხეთ. გაინებივრეთ საკუთარი თავი ახალშეძენილი ნივთით – სულერთია, რა იქნება ეს ნივთი, მთავარია, მისი შეძენა ძალიან მოგინდეთ და მასთან ურთიერთობამ სიამოვნება მოგანიჭოთ. როცა საკუთარი ნაკლოვანებები აღარ შეგაშინებთ და დეპრესიაში აღარ ჩაგაგდებთ, თვითშეფასების კრიტერიუმიც გამყარდება. მერე კი, ნაბიჯი წინ – წარმატებებისკენ...

**გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ**

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მ ი ი ღ ე თ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ვინ არის მთავარი მოძალადე და ბოროტმოქმედი ჰოლივუდში და რომელ ფილმებში აქვს შესრულებული მას დასამახსოვრებელი როლები

***სულ მალე მსოფლიოს კინოთეატრებში რობერტ როდრიგესის მორიგი მძაფრსიუჟეტიანი ფილმის პრემიერა შედგება. საუბარია ლეგენდარული „მაჩეტეს" მეორე სერიაზე, სადაც მთავარ როლს, ტრადიციულად, როდრიგესის „საფირმო" მსახიობი დენი ტრეხო ასრულებს – ყველაზე ბრუტალური და ცივსისხლიანი იერისა და იმიჯის მქონე მსახიობი, რომლის კარიერა გვიანდელ ასაკში – ციხიდან გამოსვლის შემდეგ დაიწყო.***

* დენი ტრეხო დაიბადა 1944 წელს ლოს-ანჯელესში. მისი მშობლები – ელის რივერა და დანიელ ტრეხო – მშენებლობაზე მუშაობდნენ დილიდან გვიან ღამემდე და დენი მთელ დროს ლოს-ანჯელესის ექო-პარკის უბანში, ქუჩის კრიმინალურ დაჯგუფებებთან ატარებდა. ტრეხო ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობდა, ხოლო როცა საქმე გარჩევებს ეხებოდა, პირველი გადიოდა ცეცხლის წინა ხაზზე. ლიდერული თვისებების გამო, მისი მეტსახელი „უფროსი" იყო. ის იდეალურად ფლობდა ცეცხლსასროლ და ცივ იარაღებს. სწორედ მის მიერ იყო



დაგეგმილი სადაზღვევო ფირმის ოფისის დაყაჩაღება. დაყაჩაღებიდან ერთ თვეში დენი ტრეხო დააკავეს და მას შემდეგ ციხე მის მეორე სახლად იქცა. საერთო ჯამში, დენი ტრეხოს ამერიკის შეერთებული შტატების ცხრა ციხეში 11 წელი აქვს გატარებული. ყველაზე მეტი ხანი გატარებული აქვს შემდეგ სამ ცნობილ დაწესებულებაში: ტრეისიში – 1963-1965, სან-კვენტინში – 1965-1968 და სოლედადში – 1968-1969 წლები.

* ციხეში მყოფი დენი არ გამოირჩეოდა გაწონასწორებული ხასიათით და ხშირად მონაწილეობდა ჩხუბებსა და გარჩევებში. უნდა ითქვას, რომ დაპატიმრებამდე დენი კრივით იყო დაკავებული და, ციხეში მოხვედრის შემდეგ, დროის უმეტეს ნაწილს სპორტულ დარბაზში ატარებდა, სადაც მარჯვენა ხელით დარტყმას ამუშავებდა. კრივით გატაცებული ახალგაზრდა არ გამორჩენია ციხის ადმინისტრაციას და დენიმ ციხეებს შორის გამართულ კრივის ჩემპიონატში დაიწყო მონაწილეობის მიღება. 22 წლის ასაკში ტრეხო სან-კვენტინის ციხის აბსოლუტური ჩემპიონი იყო ორ წონით კატეგორიაში – ნახევრად მძიმე და მძიმე წონებში. სწორედ კრივს უკავშირდება მისი იარების ისტორია: ერთ-ერთი ბრძოლის დროს, მოწინააღმდეგე მოკრივის მწვრთნელი დანით ხელში თავს დაესხა ტრეხოს და მრავლობითი ჭრილობა მიაყენა სხეულსა და სახეზე. რამდენიმე თვის განმავლობაში მუმიასავით შებინტული დენი ციხის ლაზარეთში იწვა. როდესაც ექიმმა მას სახვევები მოხსნა და დენიმ სარკეში ჩაიხედა, იქიდან მას სულ სხვა სახე უყურებდა – სახე, რომელიც დენი ტრეხოს სავიზიტო ბარათად იქცა ჰოლივუდში. იარების დაფარვის მიზნით დენიმ თავისი ცნობილი ტატუირებები გაიკეთა: მკერდზე – ქალი სომბრეროთი, ბიცეფსზე კი – სისხლიანი ვარდები (ამ ტატუირებებმა ტრეხოს დიდი პოპულარობა მოუტანა). მოგვიანებით, როცა დენი ცნობილი მსახიობი გახდა, მან რამდენიმე კოსმეტიკური ოპერაცია ჩაიტარა სხეულზე, მაგრამ, სახეს არ შეეხო.

* ციხიდან გათავისუფლების შემდეგ დენი ტრეხო სახელმწიფო პროგრამაში ჩაეწერა და ანონიმური ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების კლუბში გაწევრიანდა. 1985 წელს, კლუბის წევრების შეხვედრაზე, ერთ-ერთმა ანონიმმა ალკოჰოლიკმა შეიტყო ტრეხოს საკრივო და ციხის წარსულის შესახებ და ანდრეი კონჩალოვსკის ფილმის – „გაქცეული მატარებლის" გადასაღებ მოედანზე მიიწვია ციხის მასობრივ სცენებში გადასაღებად. ედვარდ ბანკერმა, ფილმის სცენარისტმა და ტრეხოს ძველმა თანასაკნელმა, იცნო ძველი ნაცნობი, რომელთან ერთადაც სან-კვენტინის ციხეში რამდენიმე წელი გაატარა ერთ საკანში და, შესთავაზა ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლის ერიკ რობერტსის კრივში მომზადება. დღეში 350 დოლარის სანაცვლოდ ტრეხომ რობერტსი კრივის მატჩის სცენისთვის მოამზადა და ამავე სცენაში ეპიზოდური როლი შეასრულა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო დენი ტრეხოს სამსახიობო კარიერა ჰოლივუდში, სადაც მან უამრავი დასამახსოვრებელი პერსონაჟი განასახიერა.

* კლასიკური ბოროტმოქმედის ყველაზე დასამახსოვრებელ როლებად ტრეხოს კინოკარიერაში ითვლება რობერტ როდრიგესის (რომელიც მისი შორეული ნათესავი აღმოჩნდა), ორ ფილმში: „დესპერადოში" – დანების მსროლელი მკვლელის და „დაბინდებიდან გათენებამდე" – ვამპირი ბარმენის, ასევე, „ციხის თვითმფრინავში" – სექსუალური მანიაკის და „სიცხეში" – მაფიოზის როლები. აღსანიშნავია გადასაღებ მოედანზე მისი ვარსკვლავური პარტნიორები: ჯორჯ კლუნი, ანტონიო ბანდერასი, რობერტ დენირო, ალ პაჩინო, ჯონ მალკოვიჩი და ნიკოლას ქეიჯი. ნიკოლას ქეიჯთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ცნობაც არის გავრცელებული: საერთოდ, დენი ტრეხოსთან ურთიერთობას ჰოლივუდელი მსახიობების უმეტესობა გაურბის, ამიტომ ნიკოლას ქეიჯი გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ. ცნობილია, რომ გადასაღებ მოედანზე ქეიჯი სტანისლავსკის სისტემის მიმდევარია და მაქსიმალურად ცდილობს, რომ შევიდეს როლში. აქედან გამომდინარე, ურთიერთობა ნაციხარ ტრეხოსთან მისთვის იდეალური ვარიანტი იყო, რადგან, ფილმის სცენარის მიხედვით, მოქმედება ციხეში მიმდინარეობდა. ტრეხოს ყველაზე ცნობილი როლი ისევ რობერტ როდრიგესს უკავშირდება, საუბარია „მაჩეტეზე", რომელიც 2010 წელს გამოვიდა კინოეკრანებზე. დენი ტრეხოს კარიერაში ეს ფილმი იმით არის აღსანიშნავი, რომ მისთვის პირველად დაიწერა სცენარი, სადაც ის მთავარ როლს ასრულებდა. სულ მალე ამ ფილმის მეორე ნაწილის პრემიერა შედგება და დენი ტრეხოს პარტნიორები ჩარლი შინი და მელ გიბსონი იქნებიან.

* რაც შეეხება დენის პირად ცხოვრებას. ის დაქორწინებულია დები ტრეხოზე, რომელთანაც სამი შვილი ჰყავს. ყველაზე მეტად კი მას ის ფაქტი უკვირს, რომ, იმ ქუჩაზე, სადაც ის წარსულში კრიმინალურ საქმიანობას ეწეოდა წლების განმავლობაში, მას ბავშვები აჩერებენ და ავტოგრაფებს სთხოვენ.

**უშანგი რუხაძე**




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.................................

მარიკა 599 24 28 31

# რა მეთოდებით გამოჰყავდა მდგომარეობიდან სტალინს ტროცკი და როგორ აშვებინებდა მას შეცდომებს



1924 წლის იანვარი. ტროცკი, რომელიც, რა თქმა უნდა, ხვდებოდა, რომ სათავეში იყო გამომწყვდეული და უკვე არცთუ კომფორტულად გრძნობდა თავს, ყველანაირი ხრიკებით ცდილობდა, საკუთარი პოზიციები გაემაგრებინა, თუმცა, საპირისპირო კი გამოსდიოდა. 1923 წლის პოლიტბიუროს ბოლო სხდომაზე ტროცკი და ზინოვიევი კვლავ უმწვავესად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და საქმე ლამის მუშტიკრივამდეც კი მივიდა, რამაც „ცეკას" წევრები უკიდურესად აღაშფოთა. კონფლიქტი ტროცკის გამოხდომამ წარმოშვა, რომელმაც „ჩეკას" სტრუქტურებად დაყოფა და მათ სათავეებში კოლექტიური მმართველობების დანიშვნა მოითხოვა, რაც, ფაქტობრივად, ამ ორგანოს დაშლასა და მის შესუსტებას ნიშნავდა. ტროცკის ეს აბსურდული მოთხოვნა, პირველ ყოვლისა, იქიდან გამომდინარეობდა, რომ, ის, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რამხელა ძალას ფლობდა სტალინი „ჩეკას" სახით და ტროცკი ამ ძალის დასუსტების მცდელობით შეეცადა სტალინის დამარცხებას, რაც უკვე დაგვიანებული იყო. ზინოვიევმა, რომელიც გამოთქმების შერჩევით მაინცდამაინც არ იწუხებდა თავს, ტროცკის კონტრრევოლუციონერი და „საბოტაჟნიკი" უწოდა, რაზეც ტროცკი უკიდურესად აღშფოთდა და ზინოვიევს „უზნეო პროვოკატორი" დაუძახა. ასეთი გამოთქმები ძველი ბოლშევიკებისთვის ყველაზე დიდ შეურაცხყოფას ნიშნავდა და ამ კონფლიქტმაც ასეთი სიმწვავე სწორედ ამიტომ მიიღო. სტალინი, როგორც მოგვიანებით, თვითმხილველები ყვებოდნენ, საკმაოდ მშვიდად ადევნებდა თვალყურს ამ შეხლა-შემოხლას და მხოლოდ მას შემდეგ ჩაერია, რაც გაცეცხლებულმა ტროცკიმ პენსნე ესროლა ზინოვიევს. ჩემი აზრით, ამ კონფლიქტის უკან თავად სტალინი იდგა და, საგულისხმოა, რომ იგი საკმაოდ ოსტატურად ახერხებდა ტროცკის დამარცხებას მისივე იარაღით, ანუ, კულისებს მიღმა ბრძოლის შედეგად. ამ სხდომიდან ტროცკი გულის მწვავე შეტევით კრემლის კლინიკაში წაიყვანეს, ხოლო რამდენიმე დღეში, ექიმის რეკომენდაციით, სოხუმში, შავი ზღვის კურორტზე გაემგზავრა სამკურნალოდ. 1924 წლის პოლიტბიუროს პირველივე სხდომა ტროცკის გარეშე წარიმართა და მან საკმაოდ მშვიდობიანად ჩაიარა, რადგან მთავარი ამრევი სოხუმში იყო.

21 იანვარს, დაახლოებით საღამოს 6 საათზე, სტალინმა მოულოდნელად გორკში გამგზავრება გადაწყვიტა, რადგან, როგორც შემდგომ შევიტყვეთ, მისთვის პროფესორ ოსიპოვს დაურეკავს და უთქვამს, რომ ილიჩი უმძიმეს მდგომარეობაში იყო და მისი ხსნის იმედი ამჯერად უკვე აღარ ჰქონდათ. მიუხედავად დიდთოვლობისა, ჩვენ მაინც დაუბრკოლებლად ჩავედით ადგილზე, რადგან გზის ამ მონაკვეთზე გამწმენდთა ბრიგადები 24 საათის განმავლობაში მორიგეობდნენ. 19 საათსა და 15 წუთზე ჩვენ უკვე გორკში ვიყავით, მაგრამ ილიჩი ცოცხალი აღარ დაგვხვდა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე არ მოშორებიან პროფესორები – ფერსტერი, ოსიპოვი და ექიმი ელისტრატოვი; აგრეთვე, მეუღლე – ნადეჟდა და და – მარია. გარდა ამისა, იქაურობას არ შორდებოდნენ გენრიხ იაგოდა და მისი ერთგული მეომრები, რომლებიც ლენინს იცავდნენ. ლენინი თავის პატარა ოთახში, საწოლზე იყო დასვენებული, მას ნაცრისფერი შარვალი, ნაცრისფერი ჟილეტი და თეთრი პერანგი ეცვა. ჰალსტუხი არ ეკეთა, ფეხზე კი შავი ფერის, საკმაოდ გაცვეთილი ფეხსაცმელი ეცვა. მისი სახე სიმშვიდეს მოეცვა – ეტყობოდა, რომ მისი ყველა ბოლოდროინდელი ტანჯვა სიკვდილისგან მოგვრილმა შვებამ შეცვალა. სტალინს პირველად პროფესორი ფერსტერი შეეგება: „ამხანაგო სტალინ, ეს უმწვავესი შეტევა ზუსტად ერთი საათი გრძელდებოდა და ილიჩი უკიდურესად იტანჯებოდა. ჩვენ ყველა ზომა მივიღეთ მის გადასარჩენად, მაგრამ, ამაოდ. საბოლოო დიაგნოზს გაკვეთა გვიჩვენებს. ამჟამად კი, შემიძლია, ვთქვა, რომ ილიჩის სიკვდილის მიზეზი სუნთქვის დამბლა და ჰიპერთერმია (სხეულის გადახურება) გახდა. მას ტემპერატურა 42,3 გრადუსამდე აეწია, რისი დაგდებაც შეუძლებელი გახდა და ზუსტად 18 საათსა და 50 წუთზე ჩვენ სიკვდილი დავაფიქსირეთ". სტალინი მშვიდად ისმენდა ფერსტერის სიტყვებს და ბოლოს ბრძანა: „ილიჩის გაკვეთა ყველაზე მცოდნე, ყველაზე გამოცდილ ექიმებს დაავალეთ. ყველაფერი წვრილმანებამდე გამოიკვლიეთ ყოველმხრივ და დაუყოვნებლივ მომახსენეთ. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ილიჩის მოსკოვში გადმოსვენება". ლენინი პროფესორმა აბრიკოსოვმა მეორე დღეს უფრო სწორად, მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში, 22 იანვრის ღამეს გაკვეთა. ამ პროცესს, ექიმების გარდა, „ჩეკას" ფუნქციონერებიც ესწრებოდნენ. გაკვეთის შედეგებმა პროფესორ ფერსტერის დიაგნოზი დაადასტურა და, მცირედი მაკიაჟის შემდეგ, ლენინი გორკიდან მოსკოვში გადმოასვენეს. მთელ გზაზე რევოლუციის დიდ ბელადს ათეულ ათასობით ადამიანი მოაცილებდა, რომლებიც გულწრფელად გლოვობდნენ თავიანთ კერპს. ამ პროცესიას პოლიტბიუროს წევრები ედგნენ სათავეში, რომლებსაც სტალინი მეთაურობდა. მხოლოდ ტროცკი აკლდა ამ „ანსამბლს". ის შავი ზღვის პირას, განცხრომაში ატარებდა დროს და, არც კი უწყოდა, რა ხდებოდა შორეულ მოსკოვში. ტროცკიმ ლენინის სიკვდილი მხოლოდ 24 იანვარს, ღამით შეიტყო და, როგორც მოგვიანებით თავადვე აცხადებდა, მეორე დღისთვის აპირებდა დედაქალაქში სასწრაფოდ გამომგზავრებას, თუმცა, ვერ მოახერხა. როდესაც იგი მოსკოვში ჩავიდა, ლენინი უკვე დასაფლავებული დახვდა. მოგვიანებით, ტროცკი ამ ამბავს სტალინს აბრალებდა და აცხადებდა, რომ ეს ყოველივე მისი მოწყობილი იყო, თუმცა, საამისოდ მას არანაირი არგუმენტი არ გააჩნდა. ასეა თუ ისე, ტროცკი არ დასწრებია ლენინის დაკრძალვას და ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად შეარყია მისი ავტორიტეტი ხალხთა მასების თვალში.

23 იანვარს სტალინმა პოლიტბიუროს საგანგებო სხდომა მოიწვია, სადაც პარტიის ერთიანობის საკითხი იქნა განხილული; აგრეთვე, გადაწყდა, რომ დიდი ბელადი წითელ მოედანზე, სპეციალურ მავზოლეუმში (რომელიც მოგვიანებით აიგო) დაეკრძალათ. 28 იანვარს, საღამოს 16 საათზე, ლენინის ცხედარი კრემლიდან გამოასვენეს სტალინმა, ზინოვიევმა, კამენევმა, მოლოტოვმა, ბუხარინმა, რუდზუტაკმა, ტომსკიმ და ძერჟინსკიმ. მათ ბელადის ცხედარი ხელით ატარეს და სპეციალურ სამარხში ჩაასვენეს. დასაფლავებას რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი დაესწრო, ხოლო სამგლოვიარო მიტინგზე სტალინმა წინა დღით ლენინის ცხედართან დადებული ფიცი გაიმეორა, სადაც ის ლენინის გზით სიარულს ჰპირდებოდა ხალხს. ამრიგად, სწორედ 1924 წლის 28 იანვარს დაიწყო სტალინის ის გზა, რომელზეც იგი შემდგომი წლების განმავლობაში მიდიოდა და რომელსაც პირობითად შეიძლება ასე ეწოდოს: „ულენინოდ, მაგრამ, ლენინის გზით!"

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მომზადა ნიკა ლაშაურმა**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი
**მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# როგორ ხდება სამყაროდან საჭირო და უხილავი ინფორმაციის მიღება თმის ღერის მეშვეობით

თმა ადამიანის სილამაზის განუყოფელი ნაწილია. კარგად მოვლილი თმით ბევრი იწონებს თავს, მაგრამ, ცოტამ თუ იცის, რომ სწორედ მასში იმალება ის საიდუმლო, რაც ჩვენს ფარულ ზრახვებს გასცემს. თმა კოსმოსიდან მიღებულ ბევრ ისეთ ინფორმაციას აწვდის ქვეცნობიერს, რაც რეალურ სამყაროში წარმატებების მიღწევაში გვეხმარება. ადამიანის თმას უამრავი ცრურწმენა და ჩვეულება უკავშირდება. ძველად ქალს სწორედ თმის სიგრძითა და მოცულობით აფასებდნენ. უკან გადაწეული, ჩაწნილ-ჩაგრეხილი, გრძელი ნაწნავი უფრო მეტად გამოკვეთდა მისი პატრონის ჭკუას, სისადავეს, სისპეტაკეს, ერთგულებასა და მეოჯახეობას. ამიტომაც იყო, რომ ქალები სწორედ ასეთი ვარცხნილობით მეოცე საუკუნის შუა წლებამდე აწონებდნენ მამაკაცებს თავს. ასე რომ, თმა ქალის ხასიათს ამხელდა. გარდა ამისა, თმით ვამყარებთ კავშირს კოსმოსის უხილავ სამყაროსთან – ვიღებთ ინფორმაციას, ვაწვდით ტვინს და, შედეგად, ვაღწევთ წარმატებას.

ადამიანის თმა თავისი სტრუქტურით მაღალი სიხშირის რეზონატორია. მას შეუძლია, სამყაროდან დაიჭიროს და ჩვენს ქვეცნობიერს მიაწოდოს ულტრადაბალი ტალღები. ეს უკანასკნელი კი ტვინის ყოველდღიური განვითარებისთვის, უბრალოდ, აუცილებელია. სამყაროს ვიბრაციები თმის ძირიდან გადაეცემა სისხლს და იქ ჯერდება. ერთადერთი, ჭაღარა თმას უჭირს სამყაროდან ინფორმაციის მიღება და მისი გადაცემა ორგანიზმისთვის. აგრეთვე, თმის ტიპი – სქელი, თხელი, ხშირი, ხუჭუჭა, სწორი – დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიიღება და ნაწილდება ჩვენს ორგანიზმში ენერგია. ეს მის ხარისხსა და სტრუქტურაზე ახდენს გავლენას.

როცა ადამიანი ნერვიულობს, კეფაზე ან შუბლთან თმა იბურძგლება. საერთოდ, კეფაზე ამოსული თმა იღებს ინფორმაციას, შუბლთან ამოსული კი – გადამცემის როლს ასრულებს. თუ კეფაზე თმა გაცვენილი ან მოპარსულია, მაშინ სამყაროდან მოსული ინფორმაცია ადამიანს დამახინჯებულად მიეწოდება. ასე რომ, თუ თმა არ გაგცვენიათ, არ გადაიპარსოთ, თორემ, უხილავი სამყაროდან საჭირო ინფორმაციის მიღებას დააბრკოლებთ და ამით საკუთარ წარმატებასაც დაბლოკავთ.

თმის შეჭრისას, ბიოველი, რომელიც მის გარშემოა, საგრძნობლად იცვლება. ასე რომ, რაც უფრო მოკლედაა თმა შეჭრილი, მით უფრო უჭირს მას ინფორმაციის გადაცემა.

თუ თმა იწყებს ცვენას, ამას უხილავი სამყაროდან მიღებულ ინფორმაციასთან ან ორგანიზმში მიმდინარე ენერგეტიკული ცვლის დარღვევასთან პირდაპირი კავშირი აქვს. როცა ორგანიზმში ენერგიის ცვლა დარღვეულია, მაშინ არც სამყაროს უხილავი ენერგია მიიღება, იწყება თმის ცვენა და, საბოლოოდ, ამ ყველაფერს დესტრუქციამდე მივყავართ. როდესაც თმის გარკვეული ნაწილი ცვივა, ჩათვალეთ, რომ თქვენ ნელ-ნელა კარგავთ სამყაროდან საჭირო ინფორმაციის მიღებას, კავშირი დროდადრო ნელდება და ეს თქვენს ფსიქიკაზეც აისახება. სხვათა შორის, თუ დააკვირდებით, ვინც მოკლედ შეჭრილ თმას ატარებს, მას უფრო მეტად აქვს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა დარღვეული და აწუხებს კუჭის პრობლემები. გრძელთმიანები კი უფრო მეტად გამოირჩევიან აზროვნებითა და გონებაგამჭრიახობით. ეს თმის ინფორმაციულობის ბრალია და ასეთი ადამიანების გონება სამყაროდან შეუფერხებლად იღებს სრულ ინფორმაციას. თმა ისე იცავს უხილავი სამყაროდან მომავალი უხეში ვიბრაციებისგან, როგორც ცივ სეზონზე თბილი სამოსი – სიცივისგან.

უძველესი დროიდან გამოიყენებოდა, ხორბლის, ჭინჭრისა და მუხის ხის ქერქის ნახარში თმიდან ნეგატიური ენერგიის ჩამოსარეცხად. მაგალითად, ძველად ასეთი წესი იყო: თუ მამაკაცი მთელი დღის განმავლობაში ბევრს მუშაობდა და ძალაგამოცლილი, დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა შინ, ცოლი აუცილებლად დაახვედრებდა მუხის ქერქის ნახარშს – იმით დაბანდა თავს – ასე უხსნიდა მას დაღლილობას და სასიცოცხლო ენერგიით აავსებდა. ხორბლის ნახარშით კი, არა მარტო თავს, არამედ, მთელს ტანს იბანდნენ და, მიაჩნდათ, რომ მათ ოჯახში შთამომავლობა გამრავლდებოდა. ჭინჭრის ნახარშით თმას დღესაც იბანენ, მაგრამ, არ იციან, რომ, ის არა მარტო თმის ღერს ამაგრებს და თმის ცვენას აჩერებს, არამედ, თმის ღერს ასუფთავებს და წმენდს სამყაროდან მიღებული უსარგებლო ინფორმაციისგან. ის საჭირო ენერგეტიკული ძალით აგავსებთ და ყოველგვარი ავისგან დაგიცავთ. ჭინჭარი, ფესვის წყალობით, მიწიდან ისეთ უნიკალურ ნივთიერებებსა და ენერგეტიკულ მარაგს იღებს, რომლითაც ვერც ერთი მცენარე ვერ დაიკვეხნის. ასე რომ, ყოველდღე თუ არა, კვირაში ან თვეში ერთხელ მაინც, ჩამოირეცხეთ თმიდან უარყოფითი ენერგია. ამით გზა მიეცით სამყაროდან წამოსულ ენერგიას, ადვილად მოგაწოდოთ საჭირო ინფორმაციები სწორედ თმის დახმარებით.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1993 წლის 12 ოქტომბერს. რომელი პროფესია აირჩიოს, რომ სამომავლოდ ადვილად მიაღწიოს წარმატებებს ცხოვრებაში?**

**პასუხი:** თქვენი შვილისთვის პროფესიებიდან მისაღებია: მედიცინის ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, კომერციული, საფინანსო საქმე; პედაგოგიკა, ლინგვისტიკა, მთარგმნელობითი საქმიანობა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო საქმიანობა, პოლიტიკა, სამართალდამცავი ორგანოები, სამხედრო სტრუქტურები, უშიშროების სფერო, მშენებლობა, არქიტექტურა, საინჟინრო საქმე.

**კითხვა: დავიბადე 1997 წლის 8 მარტს, ღამის პირველის ნახევარზე. რომელი სპეციალობა იქნება ჩემთვის წარმატებების მომტანი ცხოვრებაში?**

**პასუხი:** თქვენ თევზების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ ხართ დაბადებული, ამიტომ, თქვენი კოსმიური მისიაა უცხოეთთან კავშირი: კარგია იქ გარკვეული დროით ცხოვრება, კაპიტალისა და ცოდნის დაგროვება – ამით უფრო მეტ წარმატებას მიაღწევთ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. პროფესიებიდან თქვენთვის სასურველია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ქორეოგრაფია, ფოტოგრაფიის ხელოვნება ან ბიზნესი, დიზაინი, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური ბიზნესი ან საქმიანობა, იურისპრუდენცია, სადალაქო საქმე, საკონდიტრო ინდუსტრია ან ბიზნესი, სოციოლოგია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ტურიზმი, პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, პედაგოგიური მოღვაწეობა, სპორტი – წინა პლანზე ეს სფეროები წამოწიეთ.

**კითხვა: დავიბადე 1978 წლის 19 ივლისს, შუადღის 3 საათზე. ვაპირებ ბიზნესის დაწყებას. გთხოვთ, მითხრათ, მაქვს თუ არა წარმატებების შანსი, ან, რა სფეროში გამიმართლებს?**

**პასუხი:** თქვენთვის კარგია საქმიანობა სამშობლოში და არა უცხოეთში. პროფესიებიდან კი სასურველია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმის ფართო სპექტრი; პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნება, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია; ნავთობისა და სასმელების ბიზნესი; მედიცინიდან – პედიატრია, ფსიქოლოგია; ფილოსოფია, სასტუმროების ბიზნესი ან შემოქმედება; საბავშვო ბაღების ბიზნესი, ფოტოგრაფია, სპორტის ფართო სპექტრი, მანქანათმშენებლობა, სახანძრო სამუშაო ან ბიზნესი.

**კითხვა: დავიბადე 1974 წლის 20 დეკემბერს, დღის 12 საათზე. მაინტერესებს, რა არის ჩემი კარმული მისია და უცხოეთის რომელი ქვეყნებია ჩემთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი:** თხის რქის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ ხართ დაბადებული და თქვენი კოსმიური მისიაა ისეთი თვისებების შერწყმა, როგორებიცაა: აქტიურობა, ენერგიულობა, ინიციატივის გამოვლენა, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება, ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების წარმოჩენა, უშიშარი, მებრძოლი სულისკვეთების გამოვლენა; უნდა იყოთ „მშვიდობის მტრედი“ და, სადაც შეხვალთ, სახლი იქნება ეს თუ სამსახური, სიმშვიდე, ჰარმონია, სილამაზე და იდილია უნდა შეიტანოთ, და არა დეპრესია და აგრესია – ყოველივე ეს თქვენი გამარჯვების ფაქტორია. ასევე, აუცილებლად უნდა დაეყრდნოთ კომუნიკაბელურობას, ცოდნის ბაზას, სამართლიანობას, დიპლომატიას. უცხოეთი თქვენი კოსმიური მისია არ არის, თუმცა, არც ცუდია – ზოგადად, საშუალოა. ქვეყნებიდან კი თქვენთვის მისაღებია: იტალია, არგენტინა, ბირმა, ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი, ეგვიპტე, სან-მარინო, ტიბეტი, ესპანეთის კატალონიის მხარე, მონაკო, ლატვია, ჰავაის კუნძულები, გვატემალა და ავსტრია.

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

25-26 სექტემბერი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 20.00 - **„გულივერის მოგზაურობა"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 10, 20, 25, 30, 40, 55 ლარი), ეროვნული თეატრი „რადუ სტანსა", რუმინეთი. რეჟისორი: სილვიუ პურკარეტე. მონაწილეობენ: ვერონიკა არიზანკუ, დიანა ფუფეზან, რალუკა იანი, ტომაჰიკო კოგი, ალეხანდრუ მალაიკუ, ადრიან მატიოკი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

28 სექტემბერი, **შაბათი** 19.45 - **„მტრის ნიღაბი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ბესო ზანგური, გაგი სვანიძე, ზაალ ბარათაშვილი, გელა ლეჟავა, მამუკა ლორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

29 სექტემბერი, **კვირა** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**მარჯანიშვილის ქუჩა №8,**
**ტელ.: 295-59-66.**

24 სექტემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„გოდოს მოლოდინში"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 15, 20, 35 ლარი), ეროვნული თეატრი „რადუ სტანსა", რუმინეთი. რეჟისორი: სილვიუ პურკარეტე. მონაწილეობენ: კონსტანტინ ჩირიაკი, მარიან რალეა, კრისტიან სტანსა, პალი ვეკსეი, ალექსანდრუ ნიკოარა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

25-26 სექტემბერი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 20.00 - **„ჩვენი კიდურების ნაწილები"** თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (მცირე სცენა) - (ბილეთის ფასი - 15 ლარი), კალო კოლექტივი, ფინეთი. იდეის ავტორები: ჯენი კალო, სამპო კურპა და ტომ მონკტონი. მონაწილეობენ: ჯენი კალო, სამპო კურპა და ტომ მონკტონი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 05 წუთი;***

27-28 სექტემბერი, **პარასკევი-შაბათი** 20.00 - **„დაკარგული"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 15, 20, 35 ლარი), კომპანია გეცკო, დიდი ბრიტანეთი. რეჟისორი: ამიტ ლაჰავი. მონაწილეობენ: ამიტ ლაჰავი, ანა ფინკელი, კრისტოფერ ევანსი, ჯორჯიანა რობერტსი, რიენ პერკინს-განგნესი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

29 სექტემბერი, **კვირა** 20.00 - **„მარსელი"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (მცირე სცენა) - (ბილეთის ფასი - 20 ლარი), ერევნის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი, სომხეთი. რეჟისორი: აკოფ კაზანჩიანი. მონაწილეობს: მარიამ კაზანჩიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 05 წუთი;***

**მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)**
**მარჯანიშვილის ქუჩა №5.**
**ტელ.: 2 955-966.**

27 სექტემბერი, **პარასკევი** 18.00 - **„ზენიტის AM/FM"** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 15 ლარი), კომპანია სპუტნიკი, დანია. ავტორი და რეჟისორი - მოა ასკლოფ პრესკოტი. მონაწილეობს: მოა ასკლოფ პრესკოტი. ***ხანგრძლივობა: 30 წუთი;***

29 სექტემბერი, **კვირა** 18.00 - **„რა უსასრულოდ, უსაზღვროდ ცივა..."** - თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - (ბილეთის ფასი - 15 ლარი), დამოუკიდებელი პროექტი, ისრაელი. ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი - ნანა ბერაძე. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21.**

24 სექტემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

25 სექტემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26-27 სექტემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„ძვირფასო პამელა"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6, 10, 13 ლარი), რეჟისორი: კოტე აბაშიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 სექტემბერი, **შაბათი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

29 სექტემბერი, **კვირა** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

**თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164.**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

28-29 სექტემბერი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„ბაკულას ღორები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მიხეილ თუმანიშვილი. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, რამაზ იოსელიანი, ლაურა რეხვიაშვილი, გვანცა გურგენიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, გიორგი ყიფშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

**გრიბოედოვის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2**
**ტელ.: 293-11-06.**

23 სექტემბერი, **ორშაბათი** 20.00 - **„მაკბეტი"** - (ბილეთის ფასი - 15, 20, 25, 35, 55 ლარი), თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2013 - იან კოხანოვსკის სახელობის თეატრი ოპოლე, პოლონეთი. რეჟისორი: მაია კლეჩევსკა. მონაწილეობენ: მიხალ მაჟნიცი, პრჟემისლავ კოზლოვსკი, ადამ სიოლეკი, მიროსლავ ბედნარეკი, მიხალ სვიტალა, ლეშეკ მალეცი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27-28 სექტემბერი, **პარასკევი-შაბათი** 18.00 - **„მაიაკოვსკი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ივანე ქურასბედიანი, ლუდმილა არტიემოვა-მღებრიშვილი, ნანა დარჩიაშვილი, მიხეილ არჯევანიძე, აპოლონ კუბლაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 სექტემბერი, **კვირა** 12.00 - **„ალისფერი იალქნები"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: მიხეილ ამბროსოვი, კარინა ყენია, მედეა მიმლაძე, ვასილ გაბაშვილი, ლერი გურგენიძე, არჩილ ბარათაშვილი, ირაკლი აფაქიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**



## ორშაბათი 23 სექტემბერი

ყველასთვის ცნობილია, რომ დიეტის დროს უნდა დავხარჯოთ მინიმუმ ორჯერ მეტი ენერგია, ვიდრე პროდუქტებიდან ვიღებთ; მაგრამ, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ 1 გრამი ცხიმი 9 კილოკალორიას შეიცავს. შემდეგ კი უბრალო არითმეტიკაა: თუ ორგანიზმს დღე-ღამეში 600 კილოკალორიამდე ენერგიას მივაწვდით, ცხიმოვანი მარაგი 70 პროცენტით შემცირდება; ხოლო, თუ ზედმეტ კალორიებს მივიღებთ, სწორედ იმ „ზედმეტს“ ორგანიზმი „მარაგში“ გადაიტანს. მაგრამ, აუცილებლად უნდა გახსოვდეთ, რომ ასეთი სუპერდაბალკალორიული დიეტის დაცვა საკმაოდ საშიშია, რადგან, შესაძლოა, მოხდეს ორგანიზმის გამოფიტვა და დასუსტება; გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ თავი იჩინოს რაიმე დაავადებამ. ამიტომ, ნებისმიერი დიეტა სიფრთხილით და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა დაიცვათ. შედარებით უსაფრთხო ვარიანტია ჰიპოკალორიული დიეტა კალორიების თანდათანობით შემცირება – ეს საშუალებას მოგცემთ, უმტკივნეულოდ შეცვალოთ კვების სტერეოტიპი და შესაბამისად, გართულებების გარეშე მიაღწიოთ შედეგს.

მენიუს შედგენის დროს უნდა იცოდეთ თითოეულ პროდუქტში ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შემცველობა. იდეალურია მათი შემდეგი პროპორცია: 1:1:4. თუ ამ ფორმულას დაიცავთ, თქვენი გახდომის პროცესის იდეალურად წარიმართება, ანუ, სხეულის მასა შემცირდება არა კუნთების, არამედ ცხიმების ხარჯზე (კუნთების მასის შენარჩუნება აუცილებელია).

ცნობილია, რომ ორგანიზმს აუცილებლად ესაჭიროება ცილები (რძე და რძემჟავა პროდუქტები, ხაჭო, კვერცხი, თხილი, ნიგოზი, პარკოსნები, თევზი, ქათამი, ინდაური, კურდღელი); თავისუფალი ცხიმები უნდა მივიღოთ მცენარეული პროდუქტებიდან; ხოლო, ნახშირწყლები – დიეტის აუცილებელი კომპონენტი – შეადგენს რაციონის 55-60 პროცენტს, ძირითადად, რთული ნახშირწყლების ხარჯზე („ხლებცი“, ფაფები, მაკარონის ნაწარმი). ეს პროდუქტები, გარდა იმისა, რომ ენერგიით უზრუნველყოფს ორგანიზმს, დიდი ხნით უნარჩუნებს დანაყრების შეგრძნებას.

სამწუხაროდ, ხშირად გვეშლება: მაშინ, როცა ძალიან გვწყურდება, გვგონია, რომ შიმშილმა შეგვაწუხა და წყლის დალევის ნაცვლად, ზედმეტ საკვებს ვიღებთ, არადა, ჯობია, პირიქით მოვიქცეთ: იმის გამო, რომ წყურვილისა და შიმშილის ცენტრები გვერდიგვერდ მდებარეობს, შიმშილის „შემოტევა“„ სითხის დალევით ჩავიცხროთ, ანუ, კუჭი „მოვატყუოთ“. ამ დროს, უმჯობესია, უპირატესობა ჩვეულებრივ სასმელ წყალს მივანიჭოთ, მაგრამ, ხანდახან დასაშვებია დაბალკალორიული ან არაკალორიული სასმელები, რომლებშიც გამოყენებულია შაქრის შემცველი პრეპარატები, მაგრამ, აუცილებლად უნდა დავიცვათ ზომიერება. აბსოლუტურად გამორიცხულია ალკოჰოლისა და ლუდის მიღება.

კატეგორიული მოთხოვნაა მარილის მაქსიმალურად შემცირება, რადგან ის ხელს უშლის ორგანიზმიდან სითხის გამოდევნას.

„ლაითი“ რეჟიმი ნიშნავს არა შიმშილს, არამედ, „ლაითი“ პროდუქტებით „ლაით“ კვებას: მიირთვით დაბალკალორიული კერძები დღეში 5-6-ჯერ, მაგრამ, ძალიან ცოტ-ცოტა რაოდენობით. ქალაქიდან გასვლის შემთხვევაში კი თან წაიღეთ ის პროდუქტები, რომლებსაც დიეტის პერიოდში მიირთმევთ – ნებისმიერი მიზეზის გამო დიეტის შეწყვეტა ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოთ. ხოლო, თუ მოხდა ისე, რომ ხელი წაგიცდათ უფრო კალორიულ საკვებზე (მაგალითად, ნაყინზე ან ერთ ნაჭერ ხაჭაპურზე), ხელი არ ჩაიქნიოთ, ამ პროდუქტებით მიღებული კალორიები, შეგიძლიათ 15-წუთიანი ვარჯიშით (ან – ძუნძულით) დაწვათ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორი ქლიბი გამოვიყენო, რომ ფრჩხილები არ დამიზიანდეს?**

**პასუხი:** ამ მხრივ, ყველაზე უსაფრთხოა ქლიბი მუყაოს კორპუსით. მაგრამ, აუცილებელია, იცოდეთ ქლიბის სწორად გამოყენება: ის უნდა დაიჭიროთ ფრჩხილის მიმართ პერპენდიკულარულად, ქვემოთა მხარეს ოდნავ დახრილი, მოძრაობა კი ერთ მხარეს უნდა იყოს მიმართული.

**კითხვა: როგორი შამპუნი უნდა გამოვიყენო, თუკი თმის ძირები ცხიმიანია, ღერების დაბოლოება კი – მშრალი?**

**პასუხი:** შამპუნი უნდა შეარჩიოთ თავის კანის ტიპის მიხედვით, ანუ, თუ თმის ძირებთან კანი ცხიმიანია, უნდა გამოიყენოთ შამპუნი ცხიმიანი კანისთვის, მაგრამ, ბალზამი და ნიღაბი, რომელიც თმის მთელ სიგრძეზე ისმევა – მშრალი თმისთვის განკუთვნილი.

**კითხვა: სახის კანის მოვლის რომელი პროცედურების ჩატარება არ არის მიზანშეწონილი ზაფხულში, მაგრამ, დასაშვებია შემოდგომით?**

**პასუხი:** ასეთი პროცედურებია: ლაზერი, ქიმიური პილინგი, ხილის მჟავებით გაწმენდა. ისინი ამაღლებს კანის მგრძნობელობას მზის მიმართ და, ხშირ შემთხვევაში, ახდენს პიგმენტური ლაქების გაჩენის პროვოცირებას. ზაფხულში დასაშვებია ნანოპერფორაციის გაკეთება – ის მთლიანად მოიცავს ლაზერული პილინგის შედეგებს და არ აქვს გვერდითი მოვლენები.

**კითხვა: შეიძლება თუ არა მაკიაჟის გაკეთება ტონალური კრემის გარეშე?**

**პასუხი:** თუ კანი იდეალურია – სიწითლის, მუქი წერტილების, პიგმენტური ლაქებისა და გამონაყარის გარეშე, შეგიძლიათ, ტონალური კრემი არ გამოიყენოთ.

**კითხვა: რუჟის რომელი ფერები ითვლება იდეალურად, ანუ რომელი უხდება ყველანაირ მაკიაჟს?**



**პასუხი:** იდეალურად (ანუ, როცა ყველანაირ მაკიაჟს უხდება) ითვლება: გარგარისფერი, ატმისფერი და მარჯნისფერი.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს კანონიერი ქურდები, რაც საშინელი ტრაგედიით დასრულდა

– მისაღები უნდა მივიღოთ, „პარტიზანო“. ამას წინ ვერაფერი დაუდგება. ფუფლო ჭრელია. შენი რანგის კაცს ეს არ უნდა ეშლებოდეს, – თქვა ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდამ და თავის ჭაღარა ოპონენტს მწველი მზერა შეავლო.

– ძალიან ხმამაღალი ნათქვამია „კაკი“ და დაატორმუზე! მე პარტიზანი ვარ და ჩემს სიტყვას ვერავინ გადავა. „პიკა“ ფულს მოგვიანებით გადაიხდის. ნუ უნაჟიმებ! – კბილებში გამოსცრა ჭაღარამ და ახალგაზრდა ოპონენტს თვალი თვალში გაუყარა.

**გამწარებული ბოდაველი მსხვერპლებს ძუძუსთავებს აჭრიდა და მილიციაში გზავნიდა**

– ხმამაღალი კი არა, ქურდული ნათქვამია და გიმეორებ, მას ვერაფერი, მათ შორის, ვერც შენ დაუდგები წინ. პიკა ან 100 ათასს ჩამაბარებს, ან ფუფლოა და ამას წყალი არ გაუვა. შენ ჩემზე ვზროსლი ხარ. სულ ესაა. ისე კი ორივე ქურდები ვართ და შენ არანაირი უფლება არ გაქვს, მიბრძანო.

ჭაღარას სახე წამოეჭარხლა და აშკარად შეეტყო, რომ შეურაცხყოფილი იყო. თუმცა, სიტყვა არ დაუძრავს და მხოლოდ ქურთუკის ჯიბეში ჩაიყო ხელი, თან ისეთი მოძრაობა გააკეთა, კაცი იფიქრებდა, იარაღი უდევს და იქიდან სროლას აპირებსო.

კაკის თავისი უფროსი კოლეგის ეს მოძრაობა არ გამოჰპარვია და მშვიდად უთხრა:

– რაო, პარტიზანო, ჯიბეში ხელები რატომ ჩაიყავი, რაშია საქმე?

პარტიზანს საბოლოოდ დაეკარგა მოთმინება და კაკის აღგზნებულმა მიუგო:

– რაშია საქმე და ჯიბეში დედაშენისთვის მაქვს რაღაც შენახული და მასთან უნდა გაგატანო.

კაკის ლიბრი გადაეკრა თვალებზე, გონება დაებინდა და შეშლილი გამომეტყველება მიიღო. სული შეეხუთა, პირი გაუშრა, მაგრამ ხელი არ აკანკალებია. ქამრიდან ბერეტა ამოაცურა, გადატენა და პარტიზანს ექვსი ტყვია ესროლა თავში. ბოლოს დანარჩენ ქურდებს მიუშვირა იარაღი და აიძულა, იატაკზე გაწოლილიყვნენ, თვითონ კი ოთახიდან გავიდა და მიიმალა.

მიშა ბოდაველმა იგივე კაკიმ, 25 წლის ქურდმა, მოკლა ნოდარ კურტანიძე, მეტსახელად „პარტიზანი“, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ ქურდად ითვლებოდა. ეს იყო 1973 წლის 29 მაისს ლენინგრადში, ნევის პროსპექტზე მდებარე ერთ-ერთ ქურდულ მალინაში.

### განაჩენი

პარტიზანი საქართველოში თავის მშობლიურ რაიონში დაკრძალეს. ამ პროცესიას ორმოცდაათი ქურდი დაესწრო, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ.

ქელეხმა პომპეზურად ჩაიარა. ქურდული „სხოდკის“ გადაწყვეტილებით, კაკის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, პარალელურად კი, ქურდის მკვლელ ქურდს ყველა რეგალია დაუსწრებლად აყარეს და თქვეს, ვინც მას მოკლავდა, ქურდი გახდებოდა.

ქურდების განცხადება იმდენად მაცდური იყო, რომ ქურდობის რამდენიმე მაძიებელმა ახალგაზრდამ კაკიზე ნადირობა განიზრახა. თუმცა, ორ მათგანს კაკიმ „ბერეტათი“ გაასხმევინა ტვინი, მესამეს კი ყურები დააჭრა ხანჯლით და სანამ წავიდოდა, უთხრა:

– შენს ნაბოზარ შეფებს გადაეცი, ყველას ასეთი და უარესი დღე დაადგება, ვინც ჩემს მოკვლას განიზრახავს.

### დასაფლავება

კაკის საქციელით უკიდურესად შეურაცხყოფილმა ქურდებმა სპეციალური „სხოდკა“ მოაწყვეს და 100 ათას მანეთად „კაგებეს“ ყოფილი თანამშრომელი, კაპიტანი ჟენია ფურცევა დაიქირავეს. ის 38 წლის გაუთხოვარი ქალი იყო, რომელიც უშიშროებიდან კონტუზიის გამო წამოვიდა. თავის დროზე ფურცევას ძალიან მნიშვნელოვან სპეცოპერაციებში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული და სახელმწიფო ჯილდოებსაც ფლობდა. დაქირავებულ მკვლელ ქალს წინასწარ 50 ათასი მანეთი გადაუხადეს. ქილერი კაკის ძებნას შეუდგა. მის მოსახელთებლად ძალიან ვერაგულ საშუალებას მიმართა.

ფურცევა კაკის დედას დაუახლოვდა, მისი ნდობა მოიპოვა და ქვრივი ქალი მოწამლა. ამით ის კაკის მოხელთებას ვარაუდობდა – დარწმუნებული იყო, რომ ქურდი აუცილებლად დაესწრებოდა დედის დასაფლავებას.

გამოცდილი მკვლელი არ შემცდარა. კაკის დედას საქართველოს ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში ასაფლავებდნენ. მიშა ბოდაველი ჭირისუფალთა შორის მიაბიჯებდა. ჟენია ფურცევა ხშირ ბუჩქებში იყო ჩასაფრებული. მან ხელსაყრელი მომენტი შეარჩია და კაკის გულში ესროლა. ბოდაველი დაეცა, თუმცა, ის ჯავშანჟილეტმა გადაარჩინა. ჟენია ფურცევამ გაქცევა სცადა, მაგრამ ქალი კაკის ნათესავებმა შეიპყრეს, გაკოჭეს და დაამწყვდიეს. დასაფლავების მეორე დღეს მიწურში გამომწყვდეულ ქილერს კაკი ეწვია. მან ქალი ჯერ გააშიშვლა, შემდეგ უზარმაზარი ხანჯლით შუაზე გააპო, მერე მთელი სხეული დაანაწევრა, ნაბადში გაახვია და ერთ-ერთ თბილისელ ქურდს გაუგზავნა. თან, წერილიც დაურთო: „თქვენს სისხლს დავლევ, თქვე ნაბოზრებო! დედაჩემის უდანაშაულო სიცოცხლეს ასგზის გაზღვევინებთ“.

### სადისტური მკვლელობები

ყოფილი კაგებეშნიკის მკვლელობის შემდეგ, კაკის უქვე ქურდებიც ეძებდნენ და უშიშროებაც. ის კვლავ მოუხელთებელი იყო. ჯერ თბილისში, შემდეგ კი ქუთაისსა და რუსთავში მან სამი ქურდის დედა და დები გამოასალმა სიცოცხლეს. კაკი მუქარას ასი პროცენტით ასრულებდა და თავის მსხვერპლს განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა. მოკლულებს ძუძუსთავებსა და სასქესო ორგანოებს კვეთდა, ქსოვილში ახვევდა და ადგილობრივი მილიციის განყოფილებაში გზავნიდა. იქ, სადაც კაკი ჩნდებოდა, ყველაფერი სისხლით იყო მორწყული. ამის გამო, შინაგან საქმეთა მინისტრმა სპეციალური თათბირი მოიწვია და ქართველ მილიციელებს კატეგორიული ტონით განუცხადა:

– კაკი დევნილ მგელს დაემსგავსა. ფაქტობრივად, მანიაკი გახდა. ის ახლა ასჯერ უფრო საშიშია, ვიდრე ადრე იყო. მას სისხლი სწყურია. თქვენი მოვალეობა მისი გაჩერებაა და თუკი ცოცხალს ვერ შეიპყრობთ, მისი თავი მაინც უნდა მოიტანოთო...

### ოპერაცია „ყაზბეგი“

მიშა ბოდაველი თითქმის ერთი წლის განმავლობაში ვერ მოიხელთეს, რაც იმ პერი-



ოდში ანომალია იყო. მით უმეტეს, რომ მასზე ქურდების გარდა, მილიცია და „კაგებე“ ნადირობდა.

მინისტრთან თათბირის შემდეგ ქართველმა ჩეკისტებმა და მილიციამ მთელი რიგი ღონისძიებები შეიმუშავეს ძებნილი კაკის ადგილსამყოფლის დასადგენად. მათ თითქმის მთელი აგენტურული ქსელი დააყენეს ფეხზე და შეიტყვეს, რომ კაკი კბილებამდე შეიარაღებული იყო, სისტემატურად იცვლიდა ბინას და მას მუდმივად თან ახლდა 4-5 ერთგული ადამიანი, რომლებიც მზად იყვნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ.

3 მაისს თბილისის „კაგებემ“ ინფორმაცია მიიღო, რომ 1974 წლის 4 მაისს კაკი ყაზბეგის რაიონის ერთ-ერთ სოფელში უნდა ასულიყო. ქართველმა ძალოვნებმა სრული მობილიზაცია გამოაცხადეს, საუკეთესო ძალები გადაისროლეს მაღალმთიანეთში და ოპერაცია „ყაზბეგი“ დაიწყო...

გამთენიისას, ყაზბეგის რაიონის ერთ-ერთ სოფელთან, ძალოვნებმა „გაზ 53-ის“ მარკის მანქანა ალყაში მოაქციეს და მასში მჯდომ კაკისა და მის ხუთ მეგობარს დანებება უბრძანეს. ალყაში მოქცეულებმა სროლა ატეხეს და მილიციელთა კორდონის გარღვევა სცადეს.

## კეფაგახვრეტილ „კაკის“ ძალოვნებმა 230 ტყვია დაახალეს

ურთიერთსროლისას მანქანა 890 მეტრის სიმაღლიდან ხევში გადავარდა, ცეცხლი წაეკიდა და აფეთქდა. შემთხვევის ადგილზე ჩასულ ძალოვნებს იქ ხუთი დანახშირებული ცხედარი დახვდათ. სამართალდამცველებმა ცხედრები ამოიტანეს, სპეციალურ ფურგონში მოათავსეს და ექსპერტიზაზე გაგზავნეს. ექსპერტიზის პასუხი ორ კვირაში გახდა ცნობილი. დადგინდა, რომ მოკლულებში მიშა ბოდაველი, იგივე კაკი, არ იყო.

### უკანასკნელი გასროლა

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ კაკი გადარჩა, მისი ძებნა გაასკეცდა. ძალოვნებმა ბოდაველის ახალი ადგილსამყოფელი დაადგინეს. ფეხში დაჭრილი და მარცხენა ხელმოტეხილი კაკი, მცხეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, ვინმე ოთარ ირემაშვილის სახლში იმყოფებოდა. ოთარი ახალგაზრდა ცოლთან და ერთი თვის ჩვილ ბავშვთან ერთად ცხოვრობდა. 1974 წლის 28 მაისს, ქართველმა ძალოვნებმა ალყაში მოაქციეს ირემაშვილების კარ-მიდამო და ორსართულიანი სახლის მიმართულებით ინტენსიური ცეცხლი გახსნეს. ხუთწუთიანი ტყვიების წვიმის შემდეგ მაიორმა კერესელიძემ, რომელიც ოპერაციას ხელმძღვანელობდა, პირზე მეგაფონი მიიდო და კაკის მიმართა:

– დაგვნებდი, ბოდაველო! ზუსტად ვიცით, რომ სახლში ხარ და თუკი ხელაწეული არ გამოხვალ და არ ჩაგვბარდები, ცოცხლად გამოგბუგავთ სახლში.

ბოდაველი მეორე სართულის აივანზე გამოვიდა. შემდეგ ხელები ტუჩებზე მიიდო და კერესელიძეს გამოსძახა:

– აღარ ისროლოთ! სახლში ჩვილია და არ მოკლათ. მე გნებდებით...

– მაშინ, ხელები ასწიე და გამოდი, თორემ არაფერს მოვერიდებით და არავის დავინდობთ, – მიუგო მეგაფონით კერესელიძემ.

კაკი პირველ სართულზე ჩავიდა. შემდეგ ხელები კეფაზე დაიწყო და ნელი სვლით გაემართა კარისკენ.

ძალოვნებს მოუხელთებელი ქურდი მიზანში ჰყავდათ ამოღებული და მზად იყვნენ გასროლისთვის.

როგორც კი კაკი ეზოს ჭიშკარს მიუახლოვდა, კერესელიძემ მეგაფონი ტუჩებზე მიიდო და კაკის უბრძანა:

– შეჩერდი და მუხლებზე დადექი!

კაკი მართლა შეჩერდა. ჯერ ცას ახედა, მერე კერესელიძეს, ბოლოს კი ზურგიდან „ზერეტა“ დააძრო და კეფა გაიხვრიტა.

სროლის ხმამ ძალოვნები დააბნია. უკვე მკვდარ ბოდაველს ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს და ისე დაცხრილეს, რომ მისი სხეული ნაკუწებად იქცა.

მოგვიანებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ კაკის 230 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი სხეულში, რომელთა შორის მხოლოდ 130-მა გაიარა, 100 კი – ჩარჩა.

**ნიკა ლაშაური**

# რა მოხდა ამ დღეს

### 23 სექტემბერი

1846 – იოჰან ჰალემ აღმოაჩინა მზის სისტემის მერვე პლანეტა – ნეპტუნი.

1913 – ფრანგმა პილოტმა როლან გაროსმა პირველმა გადაუფრინა ხმელთაშუა ზღვას.

1930 – იოჰან ოსტერმაიერმა დააპატენტა ფოტონაპერწკალი („ვსპიშკა“).

1952 – მსოფლიოს ჩემპიონი კრივში გახდა როკი მარჩიანო.

### 24 სექტემბერი

1852 – ცაში აიჭრა პირველი დირიჟაბლი.

1960 – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ექსპლუატაციაში გაუშვა პირველი ატომური ყინულმჭრელი „ენტერპრაისი“.

1989 – კათოლიკურმა ეკლესიამ მოახდინა გალილეო გალილეის რეაბილიტაცია.

### 25 სექტემბერი

1513 – ესპანელმა კონკისტადორმა ვასკო ნუნიეს-ი-ბალბოამ, პირველმა ევროპელთაგან, იხილა წყნარი ოკეანე.

### 26 სექტემბერი

1580 – დასრულდა ფრენსის დრეიკის მოგზაურობა დედამიწის გარშემო (მეორე ასეთი მოგზაურობა მაგელანის შემდგომ).

1815 – ვენაში რუსეთმა, ავსტრიამ, საფრანგეთმა და პრუსიამ შექმნეს „წმინდა კავშირი“, მიმართული რევოლუციური და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობების წინააღმდეგ ევროპაში.

1934 – ინგლისელებმა წყალზე გაუშვეს მაშინდელ მსოფლიოში უდიდესი საოკეანო ლაინერი „Qeen Mery“.

1960 – ფიდელ კასტრომ „გაეროს“ სხდომაზე წარმოთქვა „გაეროს“ ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი სიტყვა – იგი განუწყვეტლივ ლაპარაკობდა 4 საათისა და 29 წუთის განმავლობაში.

### 27 სექტემბერი

1540 – რომის პაპმა პავლე მესამემ დაამტკიცა იეზუიტთა ორდენი.

1937 – ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალაქ ალბიონში, გაიხსნა მსოფლიოში პირველი სკოლა სანტა-კლაუსებისთვის.

1960 – დაიწყო „ოსტანკინოს“ ტელეანძის მშენებლობა მოსკოვში.

1977 – უკრაინაში ექსპლუატაციაში შევიდა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური.

1993 – სოხუმის დაცემა.

### 28 სექტემბერი

1850 – ვაიმარში შედგა რიჰარდ ვაგნერის ოპერის – „ლოენგრინის“ პრემიერა, დადგმა განახორციელა ფერენც ლისტმა.

1879 – ინგლისელებმა ტყვედ იგდეს ზულუსების ბოლო მმართველი კეჩვაიო და დაასრულეს ზულუსთა სახელმწიფოს დაპყრობა (სამხრეთ აფრიკა).

1936 – იაპონიაში დაარსდა საავტომობილო კომპანია „ტოიოტა“.

1996 – პრინც ჩარლზისა და პრინცესა დიანას განქორწინება.

### 29 სექტემბერი

1399 – ინგლისში პლანტაგენების დინასტია შეცვალა ლანკასტერების დინასტიამ.

1650 – ვინმე ჰენრი რობინსონმა ლონდონში გახსნა პირველი „გაცნობის სააგენტო“.

1829 – დაარსდა ლონდონის პოლიცია „სკოტლენდ-იარდი“.

1885 – ინგლისში, ბლეკპულში, ამოძრავდა მსოფლიოში პირველი ელექტროტრამვაი.

1916 – ჯონ როკფელერი გახდა პირველი ადამიანი, რომლის ქონებამ მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

**რადიო „ფრანს ინტერნაციონალის" ჟურნალისტი ევროსტრუქტურებსა და „ნატოში," ტელეკომპანია „მაესტროს" ჟურნალისტი ბრიუსელში გიორგი ფოფხაძე არაჩვეულებრივი რესპონდენტია. ურთიერთობაში იმდენად თავისუფალი, პირდაპირი და ხალისიანია, დღის ბოლომდე მიგყვება კარგი განწყობა და მასთან საუბრის, თუნდაც პოლემიკის სურვილი კვლავ გიჩნდება. ვინც ფოფხაძის პროფესიულ მხარეს ნაკლებად ან საერთოდ არ იცნობს, გეტყვით, რომ ის ყოფილი თუ ახლანდელი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა (არამხოლოდ) მანკიერების გამოაშკარავებაზე მუშაობს. ვერ გეტყვით, კისერი რამდენჯერ წაუმტვრევია, ვინ მიიჩნევს ან არ მიიჩნევს მას პროფესიონალად, მაგრამ, ფაქტია, რომ იგი საფრანგეთში საკმაოდ პოპულარული და ძვირად ღირებული ჟურნალისტია.**

# რა ღირს ჟურნალისტ გიორგი ფოფხაძის სამსახურში დაქირავება და ვინ დაგეგმა მისი მოკვლა



ირაკლი ოქრუაშვილსა და იმ ადამიანს შორის ნიცის აეროპორტში მომხდარი ინციდენტიც ნამდვილია

**გიორგი ფოფხაძე:** საკმაოდ ძვირად ღირებული ჟურნალისტი ვარ, ძვირი ღირს ფოფხაძის დაქირავება სამსახურში, კარგად ვყიდი საკუთარ თავს და ვახერხებ ნორმალურად ცხოვრებას... – ეს ხუმრობით, თუმცა, სიმართლე თუ გინდათ, მართლა ძვირად ღირებულ ჟურნალისტად ვითვლები. ევროპაში ასეა – გამოცდილება პირდაპირპროპორციულად აისახება ხელფასზე. 25-წლიანი კარიერის განმავლობაში ბევრ წამყვან ევროპულ ტელევიზიასა და რადიოში ვიმუშავე, ასე რომ, ძვირად ღირებულ ევროპას ვუძლებ. უკვე 22 წელია აქ ვცხოვრობ, ფაქტიობრივად, აქ გავიზარდე და, აბა, რა გითხრათ – უცხო აღარაა ევროპა და ევროპული ცხოვრების ყაიდა, თუმცა, მაინც მიჭირს. აქაური ცხოვრების კანონებითა და კანონზომიერებით მიწევს ცხოვრება და შრომა, მაგრამ, ქართველი ადამიანისთვის ძნელია უცხოეთში ცხოვრება და არაა ეს ბანალური და ტრაფარეტული სიტყვები. ვერ გავხდი მე ფრანგი და ვცხოვრობ ქართული ცხოვრებით, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, ქართველობა, ჩემი იდენტურობა არ დავკარგო. რამდენად გამომდის – ეს მეორე საკითხია, მაგრამ, ნამდვილად ვცდილობ. რა თქმა უნდა, შეურაცხყოფას არ ვაყენებ არც ფრანგებს და არც ევროპელებს საერთოდ, თუმცა, ჯობია, ყველგან იყო ის, რაც სინამდვილეში ხარ, არ ითამაშო და არ მოირგო რაღაც ნიღბები, თან, მე ძალიან ცუდი მსახიობი ვარ, ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ, ეს ყველაფერი კი ხშირად ღუპავს ჩემს კარიერას. მაგრამ, არა უშავს, სიმართლე ჯობია „ლიცემერიას."

**– თქვენი ყველა ინტერვიუ თუ „ფეისბუქ-სტატუსი", მე ვიტყოდი, სკანდალურია. ცხადია, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მხოლოდ რამდენიმეზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას: „ბედუკაძე გმირია!.." „ევროსაბჭოში „ოცნება" „ნაციონალებზე" მამხილებელი მასალებით ჩავიდა... უნდა გენახათ, კულუარებში რა ხდებოდა..." „ოქრუაშვილმა ნიცის აეროპორტში ნაძალადევის რაიონის დეპუტატს სცემა"... ვანო მერაბიშვილის ევროპაში გაყვანის საიდუმლო გეგმაზეც საუბრობთ, რომ, თურმე, მის დასაცავად ევროპაში სერიოზული, აქტიური კამპანია მიმდინარეობს, დიდ ევროპულ ორგანიზაციებში ლობისტების მუშაობა მიდის იმ კუთხით, რომ ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ძალიან მძიმე სურათი შეიქმნას... მართალია, ნამდვილი ჟურნალისტის თვისებაა – არასდროს აუაროს გვერდი ხმაურიანი მასალების გამოქვეყნებას, მაგრამ, როდესაც აქვეყნებთ ამგვარ მასალებს, ფიქრობთ ხოლმე, რომ რაღაცამ, შესაძლოა, თქვენს პროფესიულ საქმიანობაზე ძალიან ცუდად იმოქმედოს ან ფიზიკურად დაზარალდეთ?**

– რაც გამოვაქვეყნე, არ გამართლდა თუ არასწორი გამოვაქვეყნე?! არ ყოფილიყო ბედუკაძისა და აკობიას კადრები, არ იქნებოდა 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგები. ირაკლი ოქრუაშვილსა და იმ ადამიანს შორის ნიცის აეროპორტში ინციდენტიც ნამდვილია და ამის შესახებ ინციდენტიდან მეორე დღეს გაზეთ „ნიცა მატანშიც" ეწერა, თუმცა, ამ ინფორმაციის ექსკლუზივი, სამწუხაროდ, მე არ მეკუთვნოდა – ჩემზე ადრე ჩემმა კოლეგამ, შორენა მარსაგიშვილმა გამოაქვეყნა, მე, უბრალოდ, გავიზიარე შორენას სტატუსი და მერე ესეც მე „დამბრალდა". რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, არც ესაა ტყუილი და შეთხზული. ფაქტია, რომ ნაცმოძრაობას საკმაოდ დიდი პროფესიონალები ჰყავს დაქირავებული ბრიუსელში, რომლებიც საოცარი ეფექტურობით მუშობენ, თითქმის უშეცდომოდ და, თუ მე ხანდახან მათ გეგმებს გავიგებ, ეს უკვე ჩემს პროფესიონალიზმზე მეტყველებს, ხომ?! საერთოდ, თვითონ ჟურნალისტიკაა სკანდალური პროფესია, ამიტომ, ჩემი სტატუსები არაა მოკლებული სკანდალის ელემენტებს, ესაა და ეს

**– საზოგადოების დიდი ნაწილი დღეს სულ სხვაგვარად ფიქრობს 1 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით – რომ „ოცნებას" ციხის კადრები და კიდევ ბევრი რამ, ჰაერივით სჭირდებოდა ხელისუფლებაში მოსასვლელად. ყოველ შემთხვევაში, ამის საფუძველი აქვთ... როგორც ვიცი, ერთხელ „ნატოს" შტაბ-ბინაში მოგწამლეს და, მოდი, ამაზეც ვისაუბროთ – რისკზე ვსაუბრობდით და გამახსენდა**

– „ნატოს" ინციდენტის ამბავი ჯერ კიდევ გამოძიების პროცესშია. ეგ რომ ვიცოდე, ვინ მომწამლა და როგორ მომწამლა, ამის დაწერას ვინ მომასწრებდა.. თუმცა, ფაქტია, რომ მომწამლეს. „კოკა-კოლაში" რა ჩაყარეს, არც ეს ვიცი მაგრამ, ჩემს სისხლში ბენზოდიაზეპინის ჯგუფის მედიკამენტის დიდი რაოდენობა ნამდვილად აღმოჩნდა... დაამთავრებენ გამოძიებას და, იტყვიან, ალბათ, რა და როგორ მოხდა... ბოლოს ორი თვის წინ დამკითხეს ამ საკითხზე – ვისზე გაქვთ ეჭვიო... აბა, ეგ რომ ვიცოდე, ვინ იყო, ამათი გამოძიება რაღად მინდა?!

**– მკითხველისთვის რომ გასაგები იყოს, გვიამბეთ, რა მოხდა.**

– დილით ადრე მივედი „ნატოს" შტაბ-ბინაში. ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრით გახარებულმა, უმეთვალყურეოდ მივატოვე ფინჯანი ყავა და „კოკა-კოლის" გახსნილი ბოთლი. დარბაზში დაბრუნებულს არც ყავის გემო მომეწონა და „კოკა-კოლაც" მემწარა. დაახლოებით 13.00 საათისთვის საშინელი თავბრუხვევა, გულისრევა და სისუსტე ვიგრძენი, რის გამოც, ფაქტობრივად, ღონისძიებას გამოვეთიშე. პარიზისკენ მიმავალს, რამდენჯერმე მომიხდა მანქანის შეჩერება იმის გამო, რომ თვალებში მიბნელდებოდა. საკმაოდ ჯანმრთელი ვარ და საძილე და დამაწყნარებელ საშუალებებს არასდროს ვიღებ.

**– ჟურნალისტური გამოძიება ყოველთვის საინტერესოა, თუ ამას „ჟილკიანობასაც" დავუმატეთ, ეს ჩვენს საქმეს კიდევ უფრო ეფექტურს ხდის. ამიტომ, შედეგებზე უკვე ნაკლებად ფიქრობ...**

– ნათქვამია – ვინც არ რისკავს, არც შამპანურს სვამს. ყოველთვის ვიაზრებ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ჩემს რისკიან ნაბიჯს, მაგრამ, ყველაფერი ცეცხლთან თამაშს ჰგავს, ჰოდა, მეც ვეთამაშები ცეცხლს! ყველაზე დიდი რისკი, ალბათ, 11 წლის განმავლობაში „ომის ჟურნალისტად" მუშაობა იყო, დაწყებული აფხაზეთისა და ყარაბახის და გაგრძელებული ჩეჩნეთის, ავღანეთის, ბეირუთისა და კოსოვოს კონფლიქტებით. რთული პერიოდი ხშირად მქონია. სამწუხაროდ ხშირად მიწევს ბევრი რამის ხელახლა დაწყება, თან, ჟურნალისტს დალხინებული ცხოვრება არასოდეს აქვს, სამწუხაროდ.

**– ახლა თქვენს ოჯახზეც ვისაუბროთ.**

– ჩემი ყოფილი მეუღლე, ქეთი ბეჟიაშვილი, ყოფილი ჟურნალისტია და ამჟამად „მოძრაობის თეატრის" პიარ-მენეჯერი და თანამფლობელია. პირველი ქორწინებიდან მყავს ორი ქალიშვილი, ტყუპები – სოფიო და მარიამი, რომლებიც საფრანგეთში, რუანის კონსერვატორიაში სწავლობენ. ახლა მყავს მეგობარი ქალი – ქრისტინ ბარე, რომელთანაც სამოქალაქო ქორწინებაში არ გახლავართ, თუმცა, გვყავს საერთო შვილები. ქრისტინა პროფესიონალი მრჩეველია, ანუ, ქართულად რომ გადავთარგმნოთ, ლობისტურ საქმიანობას ეწევა – იყო და არის ფრანგული პოლიტიკური და საქმიანი წრეების მრჩეველი სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებში.

**– ისე, „კაი ტიპის" შთაბეჭდილებას ტოვებთ. მართალია, ცხელ-ცხელი სტატუსები გაქვთ, მაგრამ, ზოგჯერ მათ თქვენი იუმორი აგრილებს – როცა ვკითხულობ, მეცინება.**

– ხოოო... ხასიათი მშვენიერი და საკმაოდ მხიარული მაქვს ნამდვილად, ენამოსწრებულიც ვარ. სიცილი და ხუმრობა ყველაზე საუკეთესო რამაა ამ დაძაბული ცხოვრების ცოტათი მაინც გასაფერადებლად. ამიტომ, ძალიან მოხარული ვარ, როდესაც ჩემი ნათქვამი ვინმეს ამხიარულებს და კარგ ხასიათზე აყენებს, ასე რომ, „გაიცინეთ გიორგი ფოფხაძესთან ერთად!"

**– ბედნიერი მამა ხართ – გოგონები გყავთ, თან – ტყუპები.**

– ისეთი ტყუპები არიან, ხშირად მე ვერ ვარჩევ ერთმანეთისგან. ტყუპების დაბადებაც საინტერესო ისტორიასთან არის დაკავშირებული: 1994 წლის 20 დეკემბერს ჩეჩნეთის ომი დაიწყო, მე მაშინ „ასოშეიტედ პრესის" ტელესამსახურში ვმუშაობდი პროდიუსერად და ჩეჩნეთში გახლდით. მოკლედ, 21 დეკემბერს ყველა ჟურნალისტმა დატოვა გროზნო და დავრჩით მარტო მე, ჩემი ოპერატორი დათო კვიჟინაძე, დათო ჩხიკვიშვილი და ლორანს შიტსი – „რეიტერიდან." ჩემი მეუღლე წავიდა „რეიტერის" სააგენტოს თბილისის ბიუროში ამბის გასაგებად, გამოვედი თუ არა გროზნოდან და... მოკლედ, როცა გაიგო, რომ გროზნოში გახლავართ, ნერვიულობაზე დაეწყო მშობიარობა და

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ნივა" და მინდა, ძრავა გავაძლიერო. მაინტერესებს შესაძლებელია თუ არა ეს, ვის მივმართო, არიან ის ადამიანები ვინ ამის გაკეთებას შეძლებენ და რა დაჯდება?**

**პასუხი**: ნებისმიერი ტიპის ძრავას გაძლიერება შეიძლება და მათ შორის, რა თქმა უნდა, „ნივისაც". მაგრამ, ეს ძალიან რთულ და ზუსტ სამუშაოებთან არის დაკავშირებული. ძრავას ძალიან სიღრმისეულ დეტალებში შეღწევას და მაღალტექნოლოგიურ დამუშავებას ითხოვს. ძალიან ბევრი ნიუანსია ასევე, რომელიც ხელით, სკურპულოზურ გადაკეთებას მოითხოვს. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ ხელოსნის ცოდნასთან ერთად, ეს საკმაოდ დიდ თანხასაც მოითხოვს. გარდა ამისა, ძალიან

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

რთულია საქართველოში ისეთი სპეციალისტის პოვნა, რომელსაც ამ საქმის ზუსტად გაკეთება შეეძლება. ასეთები არსებობენ, მაგრამ უკვე სხვა საქმით არიან დაკავებულები. ძრავას გაძლიერება იმაზე ძვირი დაგიჯდებათ, ვიდრე თვითონ „ნივა" ღირს. ხელოსანმა რომ მინიმალური სამუშაოები შეასრულოს, ერთი თვე მაინც უნდა დაკარგოს. რა თქმა უნდა, ის რაღაც დონემდე გაძლიერდება – მაგალითად, თუ „ნივას" 81 ცხენის ძალა აქვს, მას დაახლოებით 140 ცხენის ძალამდე გაზრდიან. მაქსიმალური სიმძლავრე, რაც „ჟიგულის", „ლადას" ტიპის ძრავებიდან მიიღებოდა, ესეც საბჭოთა კავშირის დროს, როდესაც მათ სპორტში იყენებდნენ, ანუ „ფორმულებში იდო," 100 ცხენის ძალა იყო.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ოპელ კალიბრა", რომელსაც ეგრეთ წოდებული „თხუთმეტიანი" დისკები ეყენა. ის „თვრამეტიანი" დისკებით შევცვალე. რამდენიმე დამუხრუჭების შემდეგ, მუხრუჭი საერთოდ აღარ იჭერს. შესაძლებელია, რომ ამას ერთმანეთთან კავშირი ჰქონდეს?**

**პასუხი**: რა თქმა უნდა, საბურავები და სამუხრუჭე სისტემა ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია. გაცილებით დიდი ზომის დისკების დაყენებისას, უნდა შეიცვალოს სამუხრუჭე სისტემაც. გაცილებით დიდი ზომის სამუხრუჭე დისკებია საჭირო და ბევრად უკეთესი ხარისხის სამუხრუჭე ხუნდებიც. ანუ, ყველაფერი უფრო დიდი ზომის უნდა იყოს და უფრო ხარისხიანიც. იოლად რომ აღიქვათ, რა იცვლება ამ დროს საბურავისთვის, წარმოიდგინეთ თაგვი, რომელიც თავისი ზომის შუშის წრეში ტრიალებს. საიდაც დაიწყებს ის ხტუნვას იქით წავა წრეც და თან, რომ ეს იოლად დატრიალდება. წარმოიდგინეთ ახლა, რომ ეს თაგვი თავისზე მინიმუმ სამჯერ დიდ წრეში ტრიალებს. დიდიც არის და მძიმეც. ანუ, თუ მუხრუჭს გარკვეული ძალა სჭირდებოდა საბურავის გასაჩერებლად, ახლა ის მას გაჭირვებით მოერევა. თქვენი პრობლემაც აქედან გამომდინარეობს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „სუზუკი" „სვიფტი". ძრავას ღვედი გაუწყდა. ხომ არ დააზიანებდა ეს ავტომობილის სხვა რომელიმე დეტალს და პრობლემის აღმოსაფხვრელად საკმარისი იქნება თუ არა მხოლოდ ახალი ღვედის შეძენა და შეცვლა?**

**პასუხი**: კითხვა არასწორად დასვით, რადგან ძრავას რამდენიმე ტიპის ღვედი აქვს და ყველა თავისი, კონკრეტული დანიშნულებით. ზოგიერთის გაწყვეტა ან დაზიანება ნაკლებპრობლემურია, ზოგიერთს კი, შეუძლია, სერიოზულ პრობლემებამდე მიგიყვანოთ. მაგალითისთვის, თუ გაწყდა ღვედი, რომელიც გენერატორს და იმავდროულად, წყლის პომპას აბრუნებს და ეს დროულად შეამჩნიეთ (ამას მიანიშნებს ხელსაწყოების დაფაზე წითელი ნათურა, რომელსაც აკუმულატორის გამოსახულება აქვს. სწორედ ეს ნათურა აინთებოდა), მაშინ საპრობლემო არც არაფერია. ღვედის შეცვლით პრობლემა აღმოიფხვრება. იგივე შეიძლება ითქვას თუკი თქვენი ავტომობილი საჭის ჰიდროგამაძლიერებლითაა აღჭურვილი და მისი ბრუნვაში მომყვანი ღვედი გაწყდება. იმ შემთხვევაში კი, თუ ეგრეთ წოდებული „ზუბჩატი რემენი" ანუ ძრავას კბილანებიანი ღვედი გაწყდა, მაშინ პრობლემა იმდენად სერიოზულია, ჟურნალის მთელი ორი გვერდი დასჭირდება იმ დეტალების ჩამოთვლას, რაც ამ შემთხვევაში დაზიანდება. რიგ ავტომობილებში, მაგალითისთვის, „ჰონდის" მოდელების თითქმის 95 პროცენტში ამ ტიპის ღვედის გაწყვეტა, თითქმის არაფერს დააზიანებს. უბრალოდ, მის შესაცვლელად უფრო მეტი დრო დაგჭირდებათ, ვიდრე გენერატორის ღვედის შეცვლას მოანდომებდით.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

ავტომობილის შეძენისას, ასეთ ნიუანსებს, რა თქმა უნდა, არავინ ითვალისწინებს და არც ყურადღებას აქცევს, სანამ კონკრეტული პრობლემის წინაშე არ დადგებიან. კარგი იქნებოდა, ამა თუ იმ მოდელის შეძენამდე, ამ საქმის პროფესიონალებს მსგავს დეტალებზე ინფორმაციას თუ გამოჰკითხავთ. აქვე გეტყვით, რომ ავტომობილის ეკონომიურობა, თუ რამდენად იაფი შესანახია ის, სწორედ ასეთი ნიუანსებიდან მომდინარეობს.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

ქვეყანას მოევლინენ სოფო და მარიამი. ნუ, ახლა, როგორმე ხომ უნდა გამაგებინონ, შვილები რომ შემეძინა და მოიფიქრეს ასეთი რამე: გროზნოში ძირითადად ვუსმენდით „ბიბისისა" და რადიო „სვობოდას" და მათ „ასოშეიტედ პრესის" ხელმძღვანელობამ სთხოვა, ამ ორ რადიოს საღამოს გამოშვებაში მოელოცათ ჩემთვის შვილების დაბადება. მოკლედ, 1994 წლის 21 დეკემბრის მთავარი გამოშვება „ბიბისიმ" და რადიო „სვობოდამ" დაიწყო ასე: „ჩვენს კოლეგას, გიორგი ფოფხაძეს, რომელიც ახლა გროზნოშია და კონფლიქტს აშუქებს და, რომელთანაც ჯერჯერობით კავშირის დამყარება არ ხერხდება, ვულოცავთ შვილების – ტყუპი გოგონების დაბადებას"... ახლა სოფო და მარიამი უკვე დიდი ქალები და ძალიან კარგი ბალერინები არიან, სწავლა დაიწყეს საკმაოდ პრესტიჟულ საბალეტო კონსერვატორიაში; მჯერა, რომ, პირველ ყოვლისა, საუკეთესო ადამიანები იქნებიან და, მერე – საუკეთესო მოცეკვავეები. თავისუფალი დრო თუ გამოჩნდა, ვცდილობ, შვილებს მივუძღვნა – ამაზე საუკეთესო საშუალება დროის გასატარებლად არ არსებობს როცა შვილებთან ვარ, დრო ჩერდება...

**ეკა პატარაია**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი
მიიღეთ
ლაქტო-ჯი
www.laqto.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



აქემენიდების სასახლე

უცნობი ავტორი / სარკეში ჩანს

ძვ.კიეველი ფეხბურთელი

ხელსაწყო / რომში ზის

ვოლგის შენაკადი

ბუდარას მეუღლე

ესეც გზაა

სიყვარულის ღმერთი

ქუქუნა წვიმამ... / კარგი ამინდი

მუსიკის ცნება

რაღაც ერთით ყოფნა

ღვინის საწყობი / სუფთა წონა

შუა ზაფხულის ხილი

პეპოს სამუშაო ინვენტარი

პოლანდ. მოჭადრაკე / ხარი

ფოცხიშვილი / კვერენჩხილაძე

ისლამის ქალაქი / წიაღისეული

თუნდაც ნეგროიდული

უკან რჩეს (.....)განათებული

პატარა მარიამი / აგურის სახეობა

ღრუბლის ნაწილი / იზოლაცია

„ჩვენებური“ თევზი

სრული მარცხი

დიდი ქვა

ევროპული ბექთარი

ჰიგიენური დაწესებულება / თანხმობის სახეობა

მუსიკალური პიესა

ჭადრაკის ფიგურა

სუფთა მოგება ძიუდოში

პატეფონის ნათესავი

კინოტელემუშაკი

შეკოწიწებული სახელმწიფო

უარის სიტყვა

ჩრდილო კავკასიელი

იმგვარი

მოულოდნელი გარემოება

პერუს დედაქალაქი

ავეჯის ნაწილი

თბილისის რაიონი

....ქიაჩელი / გაზი

მწერალ. მარიო ვარგას (......)

მწერალი (.....) როლანი

ვარსკვლავებს ახასიათებს

ყოველი ერთი

მარტომყოფი

მღრღნელი

ამერიკელი

ვულკან. ქანი, საშენი მასალა

დიდი რელიგია / კომიკოსი ლესლი... / ჭადრაკის პროფესორი

დართული ძაფი

როგორი იყო ის თაგუნა, რომელმაც იუკადრისა თაგვობა?

გურულის დედა / უებარი საშველი

ასირიელი

ჰექტარის მეასედი

წყალში გასასვლელი

ბახვა ფულავას ცოლი

საკომუნიკაციო სიტყვა

ყაზბეგის მოთხრობა

ებრაელი ღვთისმსახური

"ლურჯი" თვე

მემკვიდრეობის შემცველი ერთეული

მაღაზიათა ქსელი (.....)პარი

ლომისა სწორია

ირანის დიდი შაჰი

მამრი

ავადმყოფობა / ტუნისის ქალაქი

სხივების „ნათლია“

თითების საერთო ოდენობა

ჩონგურის ნაწილი

ჩვენი მდინარე

რუსეთის მდინარე

კლდიაშვილის პიესაშია

შუშა, ბროლი

ჩვენი ისტორ. მხარე

მოტორიანი ნავი

91,44 სანტიმეტრი

ბიბლიის პერსონაჟი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1 | | | | | | | | 2 | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | |
| | | | 2 | | 1 | 5 | 1 | | | | | | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 1 | | | | 5 | | | | | | | | | 1 | 1 | |
| 6 | 9 | 10 | 9 | 2 | 6 | 1 | 6 | 1 | 13 | 12 | 12 | 12 | 7 | 5 | 5 | 7 | 7 | 7 | 7 | 10 | | 6 | 1 | 6 | | 7 | 5 | 5 | 3 | | 10 | 1 | 1 | 10 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 10 | 3 | 2 | 3 | 9 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 10 | 3 | 2 | 3 | 8 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 21 | 21 | 1 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 4 |
| | | | | 1 | 1 |
| | | | | 1 | 1 |
| | | | | | 4 |
| | | | | 1 | 1 |
| | | | | 1 | 1 |
| | | | | | 4 |
| | | | | 1 | 1 |
| | | | | 1 | 1 |
| | | | | | 4 |
| | | | | | 2 |
| | | | | | 2 |
| | | | | | 2 |
| | | | | | 2 |
| | | | | | 2 |
| | | | | 11 | 2 |
| | | | 2 | 8 | 2 |
| | | 2 | 4 | 3 | 2 |
| | | 2 | 4 | 3 | 2 |
| | | 4 | 4 | 2 | 2 |
| | | | | 25 | 2 |
| | | | 14 | 11 | 2 |
| | | | | 29 | 2 |
| | | | | 30 | 2 |
| | | | | 30 | 2 |
| | | 6 | 16 | 6 | 2 |
| 4 | 1 | 14 | 1 | 4 | 2 |
| | 3 | 3 | 3 | 3 | 4 |
| | | | 5 | 5 | 2 |
| 4 | 3 | 12 | 3 | 5 | 2 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 2 | | 4 | | 6 | 1 | 5 |
| 1 | 8 | | 5 | | | 7 | | 3 |
| | 5 | | 3 | 1 | 7 | | 2 | 4 |
| 8 | 9 | 7 | | 3 | | 1 | | |
| | | 3 | 8 | 7 | | 9 | 4 | 6 |
| 5 | 4 | 6 | 1 | | 9 | | | 8 |
| 9 | | | 7 | 5 | | 4 | | 1 |
| 4 | | 1 | | 9 | | | 8 | |
| | 3 | 5 | | 8 | 1 | 2 | | 9 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | 8 | | 9 | | | |
| | | 2 | | 1 | 3 | | 6 | |
| 8 | | 1 | | | | 5 | | |
| | | | 3 | | 1 | | 5 | 6 |
| 1 | 3 | | | | 5 | | | |
| | | | | 8 | | 1 | 3 | |
| | 2 | 5 | | | | | 7 | |
| | 1 | | | | 6 | | | 4 |
| 3 | 4 | 6 | 1 | 7 | | 8 | | 5 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ოვალით და სამკუთხედით დაიწყეთ ყარყატის თავის ხატვა



2. მიახატეთ თვალი და გამოკვეთეთ ნისკარტი



3. თავს მიახატეთ კისერი



4. კისერს კი — ტანი



5. მიახატეთ ერთი ფეხი და ტანზე გამოკვეთეთ ბუმბული



6. მეორე ფეხიც არ დაგავიწყდეთ



7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება



## იპოვეთ ლაბირინთიდან გამოსასვლელი



## რომელ ზღარბს აქვს უფრო მეტი სოკო



# მელია და მეტყევე

## (იგავ-არაკი)

მელას მონადირეები დაედევნენ. მთელი ტყე შემოირბინა, ბოლოს მეტყევეს გადააწყდა და სთხოვა, დამმალეო. მეტყევემ ქოხი დაანახვა. მელა შეძვრა შიგ და კუთხეში მიიმალა. ცოტაც და, მონადირეებიც მოცვივდნენ და კაცს ჰკითხეს, მელია ხომ არ დაგინახავსო. არა, არ დამინახავსო, – უთხრა კაცმა. ხელით კი ჩუმად იმ ადგილზე მიანიშნა, სადაც მელა იმალებოდა. მონადირეებმა მიიხედ-მოიხედეს და რომ ვერაფერი დაინახეს, ისევ გზას გაუდგნენ. მონადირეები გაიგულა თუ არა, მელია საფარიდან ისე გამოძვრა, კრინტი არ დაუძრავს.

– მე სიკვდილს გადაგარჩინე, შენ კი მადლობასაც არ მეუბნებიო?! – უსაყვედურა მეტყევემ.

– მადლობას მაშინ გეტყოდი, შენი საქციელი შენსავე სიტყვებს რომ ეთანხმებოდესო, – მიუგო მელიამ.

ეს არაკი მათზეა თქმული, ვინც სიკეთეს გვპირდება და ბოროტებას კი სჩადის.

## რიცხვრებუსი

,,3, ,3,, 8,, 3,,, ,,,3



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.

**ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: რომელი ჯიშის ძაღლი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას წელიწადის ამ დროს?**

**პასუხი:** ამ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ მონადირე ძაღლები, რადგან, ნადირობის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, ისინი აქტიურად გაჰყავთ სანადიროდ მინდორში. ძირითადად, ყურადღებას მოითხოვს მათი ბეწვის საფარველი. თუ მონადირე ძაღლი გრძელბეწვიანია, შემოდგომის პერიოდში სასურველია საფარველის შემოკლება, რაც დაიცავს ცხოველს ცხელ ამინდში გადახურებისგან; ასევე, ბეწვისა და კანის საფარველის ბალახების თესლებითა და ნაყოფებით დაზიანებას, რაც დისკომფორტს უქმნის ცხოველს, მექანიკურად აზიანებს კანს და ხელს უწყობს სოკოვანი თუ სხვა სახის ინფექციური დაავადების წარმოქმნას. გარდა ამისა, აუცილებელია მათი პარაზიტებზე დამუშავება, რადგან, მინდორში უფრო იმატებს პარაზიტებით დასნებოვნებისა და პიროპლაზმოზის გადატანის შანსი.

**კითხვა: სასურველია თუ არა შემოდგომის წვიმიან ამინდში ძაღლი გარეთ გავასეირნოთ?**

**პასუხი:** ცივ, წვიმიან ამინდში ცხოველის გასეირნებას უნდა მოვერიდოთ, რადგან, დასველების შედეგად, შეიძლება, გაცივდეს, რაც, შეიძლება, გართულდეს ბრონქიტით, პნევმონიებით, ართრიტებითა და მიოზიტებით. თუ ცხოველი იმყოფება ეზოს პირობებში, ამ პერიოდისთვის აუცილებელია, მას მოუწყოთ ისეთი ადგილი, სადაც წვიმის და ცივი ამინდის დროს შეაფარებს თავს და დაცული იქნება გაციებისგან. თუ შემოდგომის წვიმიან ამინდში მაინც გადაწყვეტთ ძაღლის გარეთ გაყვანას, აუცილებელია, სეირნობისას ცხოველს ჩააცვათ სპეციალური სამოსი, რომელიც დაიცავს მას დასველებისგან და ეს იქნება იმის წინაპირობა, რომ თავიდან აიცილებთ მას მთელ რიგ გართულებებს. თუ არ გაქვთ აღნიშნული სახის სამოსი თქვენი ოთხფეხა მეგობრისათვის, ამ შემთხვევაში, სასურველია, თავი აარიდოთ წვიმიან ამინდში მის გასეირნებას.

**კითხვა: თუ არის სასურველი შემოდგომის პერიოდში ძაღლის გაკრეჭა?**

**პასუხი:** შემოდგომის პერიოდში მნიშვნელოვანია ცხოველის ბეწვის მოვლა, შეჭრა, დავარცხნა, გამოპუტვა. მოუვლელი ბეწვით ცხოველი ადვილად ცივდება და ბეწვის ხარისხიც უარესდება. ასევე, არსებობს იმის საშიშროება, რომ განვითარდეს კანის დაავადება, რადგან, შემოდგომის წვიმიანი და ნესტიანი პერიოდი მეტად ხელსაყრელია კანის ისეთი დაავადებების განვითარებისთვის, როგორებიცაა: დერმატომიკოზი, დემოდეკოზი, სარკოპტოზი და ასე შემდეგ. დერმატომიკოზის, დემოდეკოზისა და სარკოპტოზისთვის დამახასიათებელია ბეწვის ცვენა და მტვრევა; კანზე მშრალი უთმო ლაქების გაჩენა. გრძელბეწვიან ცხოველებში მიკოსპოროზი მიმდინარეობს კლინიკური ნიშნების გამოვლინების გარეშე. სიმპტომების გამოვლინების დროს კი აუცილებლად უნდა მიიყვანოთ თქვენი ცხოველი ვეტერინართან, რომელიც კლინიკური ნიშნების დაავადების ეპიზოოტიური მონაცემების მიხედვით და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დასვამს ზუსტ დიაგნოზს და დანიშნავს შესაბამის მკურნალობას.

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: როგორი მცენარეა იზოლეპისი და თუ მირჩევთ მის გახარებას ბინაში?**

**პასუხი:** იზოლეპისს არც კაშკაშა ყვავილები აქვს და არც ფერადი ფოთლები, მაგრამ, ის მაინც ძალიან ეფექტურია. ბუნებაში წყლის პირას იზრდება, თუმცა, ოთახის პირობებშიც კარგად ხარობს. ამიტომ, თუ თქვენ ვიზუალურად მოგწონთ ეს მცენარე, აუცილებლად გაახარეთ თქვენს ბინაში. მას აქვს წვეტიანი, ბალახის მსგავსი ფოთლები, რომლებზეც პატარ-პატარა ყვავილებია მიკრული. ეს მცენარე ნესტის მოყვარულია, ამიტომ, ბინაშიც მუდამ ტენიანი მიწა სჭირდება. თუ გსურთ, მაღალი ტენიანობა შეინარჩუნოთ, მისი ქოთანი წყლიან ჭურჭელში ჩადგით. კარგად გახარებისთვის კაშკაშა სინათლე სჭირდება. გამძლე იზოლეპისი სიგრილეში უკეთ გრძნობს თავს (დაახლოებით 15 გრადუსზე ქვემოთ), სიცხეში კი, შეიძლება, მოიწყინოს. სასურველია, თუ მას რბილი წყლით მორწყავთ. იზოლეპისი დადგით ჰაერიან ადგილას და მოარიდეთ სიცხეს. ეს მცენარე ძალიან მაღალი არ იზრდება, ამიტომ მისი მოთავსება ოთახის ნებისმიერ ადგილას შეგიძლიათ, სადაც სინათლე მოხვდება.

**კითხვა: როგორ გავამრავლო გინურა და როგორ შევუნარჩუნო მას კომპაქტური ფორმა?**

**პასუხი:** ეს იოლად მოსავლელი მცენარე მოტეხილი, წყალში ჩადებული ღეროთი ფესვიანდება. თუ გსურთ, რომ ძალიან არ გაიზარდოს, ყლორტები წააჭერით და ამგვარად შეუნარჩუნებთ მას კომპაქტურობა, თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ძალიან არ უნდა გასხლათ. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია გინურამ საერთოდ დაკარგოს ფორმა და ძალიან დაუშნოვდეს.

**კითხვა: როგორი ტენიანობა სჭირდება ციპერუსს და იოლია თუ არა მისი გაზრდა?**

**პასუხი:** ამ მცენარეს მუდმივად სველი ნიადაგი სჭირდება, ამიტომ, ეცადეთ, ყოველთვის შეუნარჩუნოთ მაღალი ტენიანობა. მოზრდილ მცენარეს ზაფხულში ხშირად დასჭირდება მორწყვა, ამიტომ ქოთანი ღრმა ჯამში ჩადგით, საიდანაც მუდამ ექნება წყლის შეწოვის საშუალება. თუ სათანადო პირობებს შეუქმნით, ციპერუსის გაზრდა რთული არ იქნება. დადგით აუცილებლად ნათელ ადგილას, მაგრამ, მწველი მზე არ მოახვედროთ. ზაფხულში, როდესაც მცენარე აქტიურად იზრდება, ნიადაგი ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. გახსოვდეთ, რომ მზეზე მყოფ მცენარეს მაღალი სინესტე სჭირდება, რათა ფოთლის წვეროები არ გაუხმეს. მისთვის საკმარისია ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი. ზამთრის მინიმალური ტემპერატურა კი 7 გრადუსია. კარგია, თუ ნათელ სასტუმრო ოთახში მიუჩენთ ადგილს. თუ ციპერუსის გამრავლება გსურთ, არც ესაა რთული: წყლიან ჯამში ჩადებული ყლორტი ფესვს მალე გამოიღებს და იოლად გამრავლდება.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა ნოლინას ბინაში გაზრდა და როგორ გავახარო?**

**პასუხი:** ნოლინა იოლად მოსავლელი მცენარეა. თუ ბინაში დიდი და ნათელი ოთახი გაქვთ, ის ძალიან კარგად გაიზრდება. მისთვის მთავარია, სინათლე არ მოაკლოთ და ზედმეტად არ მორწყათ. მას მაქსიმალური სინათლე სჭირდება. მთელი წლის განმავლობაში მცენარისთვის საკმარისია 16-20 გრადუსი ტემპერატურა. ზაფხულობით რეგულარულად მორწყეთ, ზამთარში კი – შედარებით იშვიათად. მას წელიწადის არც ერთ სეზონზე არ სჭირდება ზედმეტი მორწყვა. არც მისი წყალში ჩადგმაა კარგი, რადგან, ის ნახევრად უდაბნოს პირობებსაა მიჩვეული. იმისათვის, რომ ნოლინას ფესვები არ დაულპეს, ჩარგული უნდა გქონდეთ კარგი დრენაჟის მქონე მიწაში. თუ ზამთრის ბაღი გაქვთ, ის აქაც კარგად იგრძნობს თავს.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

# სიდედრის დამჭრელ სიძეს 1 წელი პატიმრობა, ხოლო სიდედრს – 17 წელი პატიმრობა მიუსაჯეს



34 წლის რამინ ფ. ციხეში სიდედრის მკვლელობის მცდელობისთვის მოხვდა. 59 წლის სიდედრი სასიკვდილოდ მან ცოლისა და დედის გამო გაიმეტა, რადგან მან ორივე პროსტიტუციაში ჩააბა. სიდედრი სიძის სასტიკად დასჯას ითხოვდა თუმცა, 59 წლის ქალი ერთდროულად დაზარალებულიც იყო და ბრალდებულიც. გამოძიებით გაირკვა, რომ, ოჯახის წევრების გარდა, პროსტიტუციაში მან სხვა პირებიც ჩართო, რის გამოც პასუხი ტრეფიკინგისთვის აგებინეს.

სიდედრის, ესმა მ-ს საქართველოში ჩამოსვლას მისი სიძე, რამინ ფ. 4 წლის განმავლობაში ელოდა. ქალს, რომელიც თურქეთში თითქმის 16 წელი „მუშაობდა", საქართველოში უამრავი მტერი ჰყავდა და სიძე ერთ-ერთი მათგანი იყო. რაც შეეხება უცხოეთში მის „მუშაობას" უტყუარად დადასტურდა, რომ ესმა მ-ს საქართველოდან ძირითადად ახალგაზრდა გოგონები მიჰყავდა, რომელთაც ძიძებად ან მედდებად დასაქმებას ჰპირდებოდა, მაგრამ, პროსტიტუციაში აბამდა. ესმა ისე დაოსტატდა, რომ ოჯახის წევრებიც აღარ დაინდო და პროსტიტუციაში საკუთარი გერი, ანუ, რამინ ფ-ს მეუღლე და დედამისი ჩააბა. რძალ-დედამთილმა თურქეთიდან ძლივს გამოაღწია. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კი რამინის დედა ისე დაავადმყოფდა, რომ რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. დედამ სწორედ სიკვდილის წინ უთხრა შვილს, რომ თურქეთში ის და მისი ცოლი კაცებს ემსახურებოდნენ... ამ საიდუმლოს გამჟღავნების შემდეგ, ქმარს ცოლმაც დაუდასტურა, რომ მისი დედამთილი სიმართლეს ამბობდა. შედეგად, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ოჯახი დაენგრა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ქმარი დარწმუნდა, რომ მომხდარში მის ცოლს არანაირი ბრალი არ მიუძღოდა, რამინი ცოლს შეურიგდა, მით უმეტეს, რომ თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, მათ ნანატრი ბავშვი შეეძინათ...

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ესმას თურქეთში მორიგ მსხვერპლთა ჯგუფი, მათ შორის, 23 წლის მარიკა ბ. უნდა წაეყვანა. მარიკას მშობლებს შვილის გაშვება დიდად არ უნდოდათ და მოითხოვეს, ესმა მათთან სახლში მისულიყო, რადგან, თურქეთში მუშაობის შესახებ ყველა ნიუანსი აინტერესებდათ. ვინაიდან მარიკა სხვა გოგონებისგან ფიზიკურად გამოირჩეოდა, ესმამ ჩათვალა, რომ მის გამო საქართველოში ჩასვლა ღირდა, მით უმეტეს, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეებიც ჰქონდა, რადგან, სახელი და გვარი შეიცვალა და დოკუმენტებს მოწესრიგება სჭირდებოდა. სწორედ ამ მიზეზების გამო, ის საქართველოში მალულად ჩამოვიდა და მარიკა ბ-ს ოჯახში მისვლაც დაგეგმა...

შეხვედრის ადგილად მარიკას ბინა დათქვეს. შეხვედრა საღამოს 8 საათზე შედგა და ყველაფერი დადებითადაც გადაწყდა, მაგრამ, ბინიდან გამოსულ ესმა მ-ს სადარბაზოსთან სიძე, რამინ ფ. დახვდა, რომელმაც მისი ცოლის დედინაცვალი, ანუ, ეგრეთ წოდებული სიდედრი დანით დაჭრა. ესმა სიძეს პატიებას სთხოვდა, ეხვეწებოდა, არ მოეკლა, მაგრამ, სიძე მანამდე ურტყამდა გამეტებით, სანამ ხმაურზე შეკრებილმა ხალხმა არ გააკავა. სასტიკად ნაცემი ესმა მ. საავადმყოფოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით გადაიყვანეს. შესაბამისად, რამინ ფ-ს. საქმე იმავე დღეს აღიძრა, მაგრამ, მის დასაკავებლად პოლიცია არ მისულა, რადგან, აღიარებითი ჩვენებით ის თავად გამოცხადდა პოლიციაში, სამართლადამცველებს განუცხადა, რომ სიდედრის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი და წუხილი გამოთქვა, რომ განზრახვა ბოლომდე ვერ მოიყვანა სისრულეში. მისივე აღიარების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მცდელობის 19-108-ე მუხლით დაკვალიფიცირდა. მას მინიმუმ 7 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა, მაგრამ ამის მიუხედევად, სასამართლომ ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯა, დანარჩენი ვადის მოხდა კი მას პირობით დაეკისრა.

მიზეზი, რის გამოც სასამართლომ ბრალდებული დაინდო, რამინ ფ-ს გულის ამაჩუყებელი და გულწრფელი ჩვენება იყო. მის ჩვენებას კი მოწმეთა ჩვენებები დაემატა, რომლებიც ესმა მ-ს იმავე დანაშაულში ამხელდნენ, რაშიც მისი სიძე სდებდა ბრალს. სწორედ ამ მიზეზით, ესმაზე ტრეფიკინგის მუხლით ცალკე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე – ის ათამდე გოგონას პროსტიტუციაში ჩაბმაში იმხილებოდა...

გამოძიების პირველ ეტაპზე ესმა მ. ყველა ბრალდებას უარყოფდა. ირწმუნებოდა, რომ ის ყველას დახმარებას ცდილობდა და ცუდი არავისთვის გაუკეთებია, მაგრამ, რამინ ფ-ს გულისამაჩუყებელი ჩვენების შემდეგ, სასამართლოს წინაშე მანაც სიმართლე აღიარა და გულწრფელი პატიებაც ითხოვა.

განსასჯელი რამინ ფ-ს ჩვენებიდან: „მას შემდეგ, რაც დედაჩემმა სიკვდილის წინ გამიმხილა ეს საშინელი საიდუმლო, მოსვენება დავკარგე. მხოლოდ იმ დღეს ველოდი, ჩემი ცოლის დედინაცვალს როდის ვნახავდი. მის მოსაკლავად თურქეთშიც კი დავაპირე წასვლა და ამისთვის ფულსაც ვაგროვებდი, მაგრამ, შემთხვევით გავიგე, რომ ესმა საქართველოში თავად აპირებდა ჩამოსვლას. იმდენად გამიხარდა, ადგილს ველარ ვპოულობდი.

საქმე ისაა, რომ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე, სახლში მარიკას მამამ – შოთამ მომაკითხა. მითხრა, რომ ჩემი ე.წ. სიდედრი დაინტერესებული იყო მისი შვილი სამუშაოდ თურქეთში წაეყვანა. თურმე, მარიკას არწმუნებდა, რომ ბინაში ფული არ დაეხარჯებოდა, რადგან, თავისთან აცხოვრებდა და სამსახურსაც კარგს უშოვიდა. ეს ამბავი რომ გავიგე, მეორე შოკი მივიღე, თუმცა, დედაჩემსა და ჩემს ცოლს რაც დაემართათ, შოთას ვერ ვეტყოდი და, ვთხოვე, ყველაფერი კარგად აეწონ-დაეწონა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ცოლის დედინაცვალი იყო, ჯობდა, ესმას პირადად დალაპარაკებოდა, ვითარებაში კარგად გარკვეულიყო; მეტიც, ესმასთან საუბარი ჩაეწერა, რადგან, სანდო არავინ იყო. შოთას ჩემი ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა და მითხრა, რომ ეს კარგი იდეა იყო, მაგრამ, ჩამწერი არ ჰქონდა. ძალიან გამიხარდა და ვუთარი, რომ ჩამწერს მე მივუტანდი, ოღონდ ეთქვა ესმასთან შეხვედრა როდის შედგებოდა. შოთა მიხვდა, რომ მისთვის კარგი მინდოდა და, მთხოვა, საუბარს მეც დავსწრებოდი, მაგრამ, უარი ვუთხარი – ჩემს სიდედრს რომ დავენახე, უკან გაბრუნდებოდა, მე კი არ მინდოდა, მას რამე ეჭვი აელო ჩემზე.

როდესაც შოთამ ესმას მისვლის დრო მითხრა, კიდევ არ მჯეროდა, რომ ესმა მართლა ჩამოდიოდა. მას იმდენი ადამიანისთვის ჰქონდა ცუდი გაკეთებული, არ მეგონა, თუ ჩამოსვლას გაბედავდა. მინდოდა, შოთასთან მისვლამდე მომეკლა, მაგრამ, სახლში შემასწრო. ამიტომ, გარეთ ველოდებოდი. დალოდების მომენტში მისთვის ანგარიშის გასწორება გადავიფიქრე – არ ღირდა, მის გამო პატიმარი გავხდარიყავი, მით უმეტეს, არ მინდოდა, ჩემი ოაჯახის ტრაგედია ვინმეს გაეგო. ამიტომ, გადავწყვიტე, ესმა მ. პოლიციისთვის ჩამებარებინა, მაგრამ რომ დავინახე, ამ ასაკის ქალი რა ამაზრზენად გამოიყურებოდა; როდესაც გამახსენდა, დედაჩემი რას ემსხვერპლა, თავი ველარ შევიკავე. მართალია, ჩემი მეუღლე, ნინო, მისი ნამდვილი შვილი არ იყო, მაგრამ, ესმამ ის 3 წლის ასაკიდან გაზარდა და, როგორ შემეძლო, წარმომედგინა, რომ ასეთ რამეს გაუკეთებდა," – განაცხადა განსასჯელმა, რომელმაც რეალურად, არც კი იცოდა, რა საშინელება გადაიტანა მისმა ცოლმა. თავს გადატანილი უბედურების შესახებ მისმა მეუღლემ გამოძიებას წერილობით ჩვენებაში განუცხადა.

განსასჯელის ცოლის, ნინოს ჩვენებით ირკვევა, რომ, ვინაიდან რამინ ფ. არ მუშაობდა, ის და მისი დედამთლი ესმამ თურქეთში წაიყვანა. მის დედამთილს, რომელიც ექიმი იყო, მედდად უნდა ემუშავა, მას კი ძიძად მუშაობას ჰპირდებოდა თუმცა, თურქეთში ჩასვლისთანავე ორივეს წაართვა პასპორტი და პროსტიტუციაში ჩააბა. დაზარალებულის თქმით, შემდეგში ის სხვა სასტუმროში წაიყვანეს, სადაც დაახლოებით ერთი თვე დაყო... სიტუაცია გაუსაძლისი იყო, ღამეებს ტირილში ათენებდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. სასტუმროს მეპატრონე ეუბნებოდა, რომ ესმას თანხა გადაუხადა და ვიდრე იმ ფულს არ ამოიღებდა, არსად გაუშვებდა.

დაზარალებულის განმარტებით, როგორ დაბრუნდა საქართველოში თავადაც უკვირს, რადგან, ესმა ემუქრებოდა, რომ საქართველოში აღარასოდეს გაუშვებდა, თუმცა, ბოლოს ორი ბილეთი აჩვენა და უთხრა, რომ მას და მის დედამთილს შეეძლოთ საქართველოში გამგზავრება, უშვებდა. წამოსვლამდე ორივე გააფრთხილა, რომ მომხდარის შესახებ არავისთვის არაფერი ეთქვათ; თუმცა, რომც ეთქვათ, ამით თავად დაზარალდებოდნენ, მას კი ვერაფერს დააკლებდნენ, რადგან, თურქეთიდან საქართველოში დაბრუნებას არ აპირებდა. თანაც, ქართველ სამართლადამცველებს შორის თავისი „კრიშა" ჰყავდა. დაზარალებულის თქმით, რომ ჩამოვიდა ქმრისთვის ყველაფრის თქმას აპირებდა, მაგრამ, დედამთილმა დაარწმუნა, რომ არაფერი ეთქვა...

აღსანიშნავია, რომ ესმა მ-ს სასამართლოზე სხვა პირებიც დაუპირისპირდნენ. როგორც გაირკვა, მას საქართველოში ხელშემწყობები ჰყავდა. დაიკითხა ცოლ-ქმარი, რომლებსაც ესმა 300 დოლარს დაჰპირდა, თუ ისეთ გოგონებს მოუძებნიდა, რომლებიც თურქეთის ერთ-ერთ რესტორანში მიმტანებად იმუშავებდნენ, სინამდვილეში კი, მიმტანად მოწყობის ნაცვლად, პროსტიტუციაში უნდა ჩაება. მარტო ამ ცოლ-ქმრის დახმარებით ესმამ ორი გოგონას წაყვანა შეძლო. პასპორტები და გზის ხარჯები თავის თავზე აიღო და გოგონები თურქეთში ჩაიყვანა, სადაც მათ პასპორტები ჩამოართვა და მეძავობა დააწყებინა. როგორც გოგონების ჩვენებებით ირკვევა, მათ სასტიკად სცემდნენ და დღეში 7-8 მამაკაცის მომსახურებას აიძულებდნენ; გარდა ამისა, არც საჭმელს აჭმევდნენ და არც გარეთ უშვებდნენ...

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რამინ ფ-ს ერთი წლით პატიმრობა და 5 წელი პირობითი სასჯელი შეუფარდეს; ესმა მ-ს კი, რომლის მიმართაც ტრეფიკინგის ბრალდებით საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო, 17 წლით პატიმრობა მიესაჯა...

**ეკა ბარაბაძე**


**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მ ი ი ღ ე თ**

**ლაქტო-ჯი**

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-38(664)

– რაო?

– დამშვიდდი, არ აღელდე. კარგად არიან. შტატებში ცხოვრობენ და შენი ბიჭი პრესტიჟულ კოლეჯში სწავლობს. როგორც კი სროკი დაგიმთავრდება, შენს ვაჟს შეგახვედრებ.

– როგორ? მას იქნებ არც კი სურს ეს.

– სურს. მერწმუნე. მან ქართულიც კარგად იცის, შენს გვარსაც ატარებს და შენზე ყველაფერი იცის.

– შენ უთხარი?

– რა თქმა უნდა, მე, – თავმომწონედ თქვა ხუჭუჭამ და გამიღიმა.

– მერე და თათია თანახმაა ამაზე? ხომ იცი, რა ჯიუტია?

– ყველაფერი მოგვარებულია და თათიაც მოუთმენლად გელოდება.

ხუჭუჭასგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ასეთ რამეს მისგანაც კი არ ველოდი და ემოციებმა მძლია. ბავშვობის ძმაკაცს ჩავეხუტე და ავტირდი...

– კარგი, გეყოფა... შენს გათავისუფლებამდე ერთმანეთს აღარ შევხვდებით. მერე კი, ყველაფერი სწორად იქნება. მე მგონი, სწორი საქციელია, ნეპმანელი ქურდისთვისაც კი, რომ საკუთარ ვაჟს უპატრონოს, – მითხრა ხუჭუჭამ, თვალი ჩამიკრა და გამომემშვიდობა.

დარჩენილი ორი წელიწადი ჩემს ვაჟსა და თათიაზე ფიქრში გავატარე და მათთან შეხვედრის დიდი, დაუოკებელი სურვილით გამოვედი ციხიდან. თუმცა, ხელისუფლება უკვე შეცვლილი იყო, ხუჭუჭა კი გაქცეული და ჩვენი შეთანხმების აღსრულება დროებით გადაიდო.

უკვე ოთხი თვეა, რაც პაბეგში ვარ და ისეთი განწყობა მაქვს, რომ სანამ ჩემს ვაჟსა და თათიას არ ვნახავ, მანამდე არაფერი დამემართება. ამისთვის კი ხუჭუჭა უნდა მოვძებნო.

ამას წინათ ხუჭუჭასგან ქსივა მომივიდა, რომელშიც ეწერა: „ფრთიანი ანგელოზი არ ვარ, მაგრამ, რასაც ჩემზე ამბობენ, ტყუილია. მე არც სამშობლოსთვის მიღალატია, არც ვინმეს ჯაშუში ვყოფილვარ და არც ძმაკაცობის ფასი დამავიწყდა. თათია და გიორგი კარგად არიან და მოუთმენლად ელოდებიან შენთან შეხვედრას. ჩვენი პირობა ძალაში რჩება. მე თვითონ მოგძებნი და ცოლ-შვილს შეგახვედრებ“.

ერთი შეხედვით, საოცარი იყო, თავად გაქცეულმა და ძებნილმა ხუჭუჭამ საიდან იცოდა ჩემი ადგილსამყოფელი, მაგრამ არ გამკვირვებია, რადგან, როდესაც მას უფანჯრებო კაბინეტში შევხვდი, მითხრა:

– გინდ დაიჯერე, გინდ არა, მაგრამ ამ ორმოცი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი ბოლო სამი ათწლეული, შენი და ყბედალოს თითოეული ნაბიჯი ვიცოდი და რომ იტყვიან, ონლაინ-რეჟიმში მომდიოდა ინფორმაციები.

– რაში გჭირდებოდა ეს? – ვკითხე ხუჭუჭას, მან კი მითხრა:

– ორი რამისთვის. ვკაიფობდი, რომ გაკონტროლებდით და რაც მთავარია, ფხიზლად ვიყავი, არაფერი დაგშავებოდათ.

– შენ გინდა თქვა, რომ გვმფარველობდი?

– უფრო გიცავდით, – გაეღიმა ხუჭუჭას, – აქ ერთი რამეცაა.

– მაინც რა?



– რა და, რომ გაკონტროლებდით, თანაც ონლაინ-რეჟიმში, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ყველა თქვენს ჩალიჩში მეც თქვენ გვერდით ვიყავი.

– ანუ, ვირტუალურად გვეპაძელნიკებოდი?

– შეიძლება, ასეც ითქვას.

– მერე და გაჰყოლოდი ჩვენს გზას, ქურდი გახდებოდი და ჩვენთან იქნებოდი.

– კარგად იცი, რომ ასეც ვაპირებდი, მაგრამ იმ მომენტში მამაჩემს ვერ ვაჯობე და ლენინგრადის უნივერსიტეტში იურიდიულზე მომაწყვეს. შემდეგ „კაგებეს“ სკოლაში მოვხვდი და საკმაოდ სწრაფად გავიქაჩე.

– ახლა არ მითხრა, გენერალი კი ვარ, მაგრამ სულით ქურდი ვარო, – ვეხუმრე ხუჭუჭას, მან კი სრული სერიოზულობით მიპასუხა:

– ჩემი სული მთაწმინდაზე, ჩვენს შორეულ ბავშვობაში ტრიალებს და ეს ჩემთვის წმიდათაწმინდაა. ხოლო, რაც შეეხება ქურდობას, გაგიმეორებ, რომ გენერლებში ნამდვილი ქურდი ვარ. ეს ყველამ იცის. აღიარებენ და არავის ეპარება ამაში ეჭვი.

ხუჭუჭა არ ცრუობდა. შემდგომ შევიტყვე, რომ ხუჭუჭას მრავალი სერიოზული ოპერაცია ჰქონდა განხორციელებული, ჯერ საბჭოთა კავშირის სახელმწიფოსთვის, შემდეგ კი – საქართველოსთვის და, როგორც ამბობდნენ, მასზე ჭკვიანი, გამოცდილი და ვერაგი ადამიანი იშვიათობა იყო. ორვარსკვლავიანი გენერალი, გენერალ-ლეიტენანტი ზურაბ ყიფიანი თვალის დაუხამხამებლად უსწორდებოდა ქვეყნის მტრებსა და თავის ინტრიგან მეტოქეებს. მან ამ საქმეში დანდობა არ იცოდა და ყველას სპობდა. ხუჭუჭა რომ ქურდულ გზას დადგომოდა, ის, რა თქმა უნდა, უდიდეს ავტორიტეტს მოიპოვებდა ჩვენს სამყაროში. ქურდების მიმდევარი იქნებოდა და ბევრ ქურდს გაუშრობდა სისხლს და აყრიდა ტიტულს. ხუჭუჭას პიროვნების დასახასიათებლად ბევრი ეპიზოდის მოყვანა შემიძლია, მაგრამ „ყურშასთან“ დაკავშირებული ისტორია ყველაზე სრულყოფილად წარმოაჩენს ზურიკო ყიფიანის სახეს.

„უროს“ გაფარჩაკებისა და „ძევიატკას“ გამოჭერის შემდეგ, როგორც ადრე ვთქვი, ძალაუფლება სკოლასა და უბანში ჩვენს ხელში, მთაწმინდელ მოზარდებთან გადმოვიდა და პალაჟენია მიგვყავდა. ჩვენს კუტოკს მთელ თბილისში იცნობდნენ, პატივს სცემდნენ და აფასებდნენ. იმ პერიოდში მალალეტკების ზონიდან ვარანცოველი ყურშა გამოვიდა, რომელიც ქურდობისთვის იჯდა და ჩვენზე სამიოდე წლით იყო უფროსი. როგორც ციხეგამოვლილმა, ჩვენზე ბატონობა მოინდომა და ამის განხორციელებას თანამიმდევრულად შეუდგა. ყურშა და მისი ვარანცოველი, პლეხანოველი და ოქროსუბნელი პაძელნიკები ზოგჯერ მთაწმინდაზეც ამოდიოდნენ და ჩვენთან

ერთად ბირჟაობდნენ. მათი მთავარი ბირჟა კი ალექსანდროვის ქვედა ბაღი იყო. ძირითადად იქ იკრიბებოდა თბილისელი მოზარდი ძველი ბიჭობა და, ყურშას ძალისხმევით, მოზარდებმა ყომარი დაიწყეს. ძირითადად, „სეკას“ თამაშობდნენ და ზარს აგორებდნენ. ყურშა გამოცდილი მოთამაშე იყო და ახალბედებს, რომ იტყვიან, წეწავდა. ერთხელ ყბედალო მოვიდა და გვითხრა:

– ზეგ თავანი მაქვს, ორას ოთხმოცი მანეთი უნდა ჩავაბარო ყურშას და ამ საღამოს საჯიბგიროდ მივდივარო.

– რაში წააგე? – ჰკითხა ზურიკო ტაბიძეს ხუჭუჭამ.

– სეკაში. ამ დილით ალექსანდროვის ბაღში ვითამაშეთ, – ამოილუღლუღა ყბედალომ, ხუჭუჭამ კი თავი გააქნია. და უთხრა:

– თუ თამაში არ იცი, რას ყომარობ. ან, დროზე ვერ შეეშვი?

– ხუჭუჭ, ვერ დავამტკიცებ, მაგრამ ეგ ჩათლახი შულერობს და ამით იგებს. დედას გეფიცები, ვგრძნობ, რომ მასეა, – თქვა ყბედალომ.

– თუ მასეა, მაშინ ყურებში უნდა წამოვარტყათ, – მტკიცედ თქვა ხუჭუჭამ.

– კი მაგრამ, როგორ? თუ ვერ დაუმტკიცებ შულერობას, ყურებში რისთვის წამოარტყამ? – ვკითხე მე.

– კრისობისა და ჩათლახობისთვის, – თქვა ხუჭუჭამ და ყბედალოს მიუბრუნდა:

– მაყუთს მე მოგცემ და საჯიბგიროდ წასვლა არ გაბედო, ყურშასთან სტრელკა სად გაქვს?

– ჯერ არ ვიცი. ამ საღამოს დამირეკავს და უნდა შევთანხმდეთ, – თქვა ყბედალომ.

– მაშინ უთხარი, ზეგ, ზუსტად ორის ნახევარზე ამოვიდეს ჩვენს სკოლაში. გაიგე? ზუსტად ორის ნახევარზე, – თქვა ხუჭუჭამ.

– კარგი. ზუსტად მასე ვეტყვი, – მიუგო ყბედალომ.

ყბედალომ რომ ყურშას სტრელკა დაუნიშნა ფულის გადასაცემად, იმ დროს ფიზკულტურის გაკვეთილი გვიტარდებოდა და ეზოში კალათბურთს ვთამაშობდით. დანიშნულ სტრელკამდე ორი გაკვეთილით ადრე ხუჭუჭა დამრიგებელს გაეთავისუფლა.

– მასწ... მამაჩემთან უნდა მივიდე სამსახურში და შემოგითვალათ, რომ, დიდი ბოდიშის მოხდით, იქნებ, ორი გაკვეთილით გამოუშვათო?

ვახტანგ ყიფიანს, აბა, ვინ ეტყოდა უარს, ან ვინ გაბედავდა მასთან დაკავშირებას და ხუჭუჭას სიტყვების გადამოწმებას. ამიტომ, დამრიგებელმაც მიუგო:

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, წადი, დღეს თავისუფალი ხარ...

– გმადლობთ, მასწ... ბოლო გაკვეთილზე მოვალ, – უთხრა ხუჭუჭამ დამრიგებელს და კლასიდან რომ გავედით, მე და ყბედალოს გვითხრა:

– ფიზკულტურაზე მოვალ და კალათბურთი ვითამაშოთ. აბა, დროებით.

– სად მიდიხარ, ხუჭუჭ? – ჰკითხა ყბედალომ.



– თავანის მოსატანად. წავედი, – თქვა ხუჭუჭამ და წავიდა.

ფიზკულტურის გაკვეთილი ორის თხუთმეტ წუთზე იწყებოდა და ხუჭუჭა ზუსტად დაწყების წინ დაბრუნდა. ჩვენ უკვე სკოლის ფორმის პიჯაკები გახდილი გვქონდა და იქვე, მოაჯირზე ელაგა. ხუჭუჭამაც გაიხადა პიჯაკი, მოედანზე შემოვიდა და თამაშში შემოგვიერთდა.

– რა ქენი, მოიტანე თავანი? – ვკითხე ხუჭუჭას.

– ყველაფერი. ნუ დარდობთ.

თხუთმეტ წუთში, ზუსტად ორის ნახევარზე, ყურშა და მისი ხუთი პაძელნიკი მოვიდნენ. ყბედალომ მათ ანიშნა, დამელოდეთ, მოვრჩებით თამაშს და თავანს ჩაგაბარებო. ყურშა და მისი პაძელნიკები მოაჯირთან ჩამოსხდნენ და მოთმინებით ელოდნენ გაკვეთილის დასრულებას. სკოლის ზარმა რომ დაიზრიალა და მოსწავლეები ჟრიამულით გამოეფინენ გარეთ, მე, ყბედალო და ხუჭუჭა ყურშასთან და მის პაძელნიკებთან მივედით და მივესალმეთ.

– რას შვრები, ყბედალო, მაბარებ თავანს? – ჰკითხა ყბედალოს ყურშამ.

– კი. ახლავე, – მიუგო ყბედალომ, ხუჭუჭას შეხედა და თქვა, – ფული ხუჭუჭას აქვს და მოგცემთ.

– ახლავე, ძმაო, – თქვა ხუჭუჭამ, მოაჯირზე გადაკიდებულ პიჯაკს დასწვდა, ყველა ჯიბე დაათვალიერა და ყურშას უთხრა, – ვა, სად გაქრა ფული?! ზუსტად ვიცი, აქ რომ გადავკიდე, ფული ჯიბეში იდო...

– რა, თავანს ვერ აბარებთ? – ირონიულად იკითხა ყურშამ და გააგრძელა, – ფუფლო ჭრელია.

ყბედალო გაფითრდა, იფიქრა, ფუფლოში გადავვარდიო და ხელებიც კი აუკანკალდა. მე მშვიდად ვიყავი, რადგან ხუჭუჭას მოხარშულს ვიცნობდი და მივხვდი, რაღაც სპექტაკლს დგამდა.

– არა, რა ფუფლო, ძმაო. მაყუთს მიიღებ, მაგრამ, პატარა ეჭვი მაქვს და უნდა გადავამოწმო.

– რა ეჭვი? – ჰკითხა ყურშამ.

– რა და, სანამ ჩვენ კალათბურთს ვთამაშობდით, ამ ადგილს, ანუ ჩვენს პიჯაკებს, თქვენ გარდა არავინ გაჰკარებია. ლოგიკურად გამოდის, რომ მაყუთი ერთ-ერთმა თქვენგანმა ამოიღო ჯიბიდან.

– რაო, რა თქვი? – ერთდროულად წამოიყვირეს ყურშას პაძელნიკებმა და ხუჭუჭასკენ გამოიწიეს. მან კი მხრები აიჩეჩა და მშვიდად განაგრძო:

– ლოგიკურად მასეა, ძმებო და რამ შეგაშინათ? თუ ვცდები, პასუხი მომთხოვეთ, თუ მართალი ვარ, მაშინ კრისას მოვთხოვოთ პასუხი.

ყურშას პაძელნიკებმა უკან დაიხიეს და ხუჭუჭას დაეთანხმნენ. მანამდე გასუსული ყურშა კი ახტა-დახტა, ხუჭუჭას ხელების შლა და ხმამაღალი ლაპარაკი დაუწყო:

– შენ, რა, ძმაო, კრისობაში გვდებ ბრალს? იცი, ასეთი რამისთვის რა გელოდება?

– შენი ღრიალისა და ხელების შლის არავის ეშინია! ვიმეორებ, ფული ერთ-ერთმა თქვენგანმა მომპარა. ჯიბეები ამოაბრუნეთ და შევამოწმოთ. თუ ვტყუივარ, მაშინ პასუხს ვაგებ. თუ მართალი ვარ, მაშინ, კრისა უნდა დაისაჯოს, – თქვა ხუჭუჭამ და ყურშას პაძელნიკებს მიუბრუნდა.

– რა, მართალს არ ვამბობ?

– კი, მართალი ხარ, – ერთხმად თქვეს მათ და ყურშას მიმართეს:

ამოვაბრუნოთ ჯიბეები და მისი მაყუთი რომ არ აღმოგვაჩნდება, მერე ვიბაზროთ.

ყურშას აშკარად არ უნდოდა დათმობა, მაგრამ მისმა პაძელნიკებმა ზედიზედ ამოიბრუნეს ჯიბეები, არაფერი აღმოაჩნდათ და ყურშას მიაპყრეს მზერა, რომელიც ცდილობდა, წონასწორობა შეენარჩუნებინა, მაგრამ არ გამოსდიოდა.

– ახლა – შენ. მიდი, ჯიბეები მაჩვენე, – უთხრა ხუჭუჭამ ყურშას.

– მე ჩემი ფული მაქვს ჯიბეში, – გაუბედავად თქვა ყურშამ და რომ შევხედე, დაპატარავებული მომეჩვენა.

– შენს ფულთან რა საქმე მაქვს. ჩემს ფულს კარგად ვცნობ და დაჟე, ნომრებიც კი ვიცი. მამაჩემმა ტკიცინა ხუთმანეთიანების პრესი მომცა ამ დილით და გაუხსნელი ხუთასი მანეთი დამეკარგა ჯიბიდან. ნომრები მიყოლებითაა, ასიდან იწყება და ას ოთხმოცდაცხრამეტით მთავრდება. სანამ სკოლაში მოვიდოდი, პაჩკაშივე შევამოწმე, – უთხრა ხუჭუჭამ ყურშას, რომელიც ჯერ გაწითლდა, შემდეგ გამწვანდა, ბოლოს კი გაფითრდა და ხუჭუჭას უთხრა:

– ხუჭუჭ, ძმაო, შენ რომ ამბობ, ისეთი პრესი ჩემს პადიეზდში ვიპოვე ამ დილით.

– რა ზღაპრებს ყვები?! – ირონიულად უთხრა ხუჭუჭამ ყურშას.

– არა, რა ზღაპრებს, აი, – ხუჭუჭას ხუთმანეთიანების გაუხსნელი დასტა მიაწოდა ყურშამ და კიდევ უფრო დაპატარავდა.



ხუჭუჭამ დასტა გამოართვა, გახსნა, ყურშას პაძელნიკებს ნომრები უჩვენა და ჰკითხა:

– ადასტურებთ ხუჭუჭას სიტყვებს, რომ თითქოსდა, მან ეს ფული იპოვა?

– არა! – ერთხმად თქვეს ყურშას პაძელნიკებმა და ზიზღით შეხედეს თავის ძმაკაცს, რომელმაც ძალები მოიკრიბა და ხუჭუჭას უთხრა:

– შენი გაჩალიჩებულია ეს ყველაფერი.

– ამ სიტყვებზე კიდევ ცალკე გაგებინებ პასუხს, – უთხრა ყურშას ხუჭუჭამ და დაამატა, – მანამდე კი ყველაფერი გავაიასნოთ.

– გავაიასნოთ, – თქვა ყურშამ.

– ძმებო, – უთხრა ხუჭუჭამ ყურშას პაძელნიკებს, – დავუშვათ და ყურშამ მართლა იპოვა ამდენი ფული, მაშინ თქვენ, ძმებს რატომ დაგიმალათ. რა ჰქვია ამ საქციელს? მაგრამ, საქმე ისაა, რომ მან ეს ფული მომპარა და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მეუბნება, შენ გამიჩალიჩეო. თქვენ თქვით, ასეთ საქციელს რაღა ეწოდება. რა და კრისობა. აი, აქვე ცხოვრობს ბერძენა და მოდი, მას ვკითხოთ.

– ბერძენას ამის გამო შევაწუხებთ? კრისაა, აბა, ვინ არის, – თქვეს ყურშას პაძელნიკებმა და წასვლა დააპირეს, მაგრამ ხუჭუჭამ გააჩერა ისინი და უთხრა:

– ერთი წუთით, ძმებო. დაგავიწყდათ, რომ თავანის მისაღებად ხართ ამოსულები. მიიღოს თავისი ორას ოთხმოცი მანეთი და დაესწარით ფულის ჩაბარებას, რომ კიდევ რამე არ დაგვაბრალოს.

ხუჭუჭამ ორას ოთხმოცი მანეთი ყბედალოს მისცა, მან კი ყურშას ჩააბარა და ჰკითხა:

– თავანი მიიღე?

– კი, მივიღე, ძმაო, – მიუგო ყურშამ. ხუჭუჭამ კი პანღური ამოარტყა და უთხრა:

– ვინაა შენი ძმა, შე კრისა, აქედან დაიკარგე და კაი ბიჭებში გამოჩენილი არ გნახო.

იგივე გაიმეორეს ყურშას პაძელნიკებმაც. ყურშა კი ნაცემი ძაღლივით კუდამოძუებული წავიდა და როცა მისმა, უკვე ყოფილმა პაძელნიკებმაც დააპირეს წასვლა, ხუჭუჭამ მათ უთხრა:

– საით, ძმებო? ორას ოცი მანეთი მაქვს და კარგად უნდა მოვილხინოთ. წავედით, პივნოიში გეპატიჟებით...

იმ დღეს, ლუდხანაში გვარიანად მოვილხინეთ, რადგან მაშინდელი ორას ოცი მანეთი დიდი ფული იყო და რვა კაცს რესტორანშიც კარგად აგრიალებდა. პივნოიდან რომ გამოვედით, საკმაოდ შექეიფიანებულები ვიყავით და ყურშას ყოფილ პაძელნიკებს ძალიან დავუახლოვდით. ხუჭუჭამ მათ ტაქსი გაუჩერა, ფული გადაუხადა და სახლებში გაამგზავრა, შემდეგ მოგვიბრუნდა და გვითხრა:

– მოდი, ფეხით ავატასავოთ უბანში.

სოლოლაკში, დადიანის ქუჩაზე, ეგრეთ წოდებულ „ველიამინოვთან“ ვიმყოფებოდით და ნელ-ნელა გავუყევით „კიროჩნისკენ“, რომ ძერჟინსკის ქუჩის გავლით სახლში ავსულიყავით. ხუთასიოდე მეტრი რომ გავიარეთ, ყბედალომ ველარ მოითმინა და ხუჭუჭას უთხრა:

– ხუჭუჭ, დიდი მადლობელი კი ვარ, რომ ჩემი თავანი ჩააბარე, მაგრამ, ყურშას რას ერჩოდი?

– თავანი მე კი არა, შენ ჩააბარე. ყურშა კი სუფრაზე რა მოსატანია? მოდი, ხალხზე ვილაპარაკოთ და არა კრისებზე.

– პრინციპში, კი არის კრისა, ძმაკაცებს რომ ფულის პოვნის ამბავი დაუმალა, მაგრამ მისთვის ფულის მოპარვის ბრალდება მეტისმეტი იყო და ტყუილად გავაფუჭეთ, – ვუთხარი ხუჭუჭას, მან კი მომიგო:

– ტყუილად არაფერი ხდება. კრისაა და, რაც დაიმსახურა, ის მიიღო. ჯერ ერთი, როგორც ყბედალო ამბობს, ის ნაბოზარი შულერია და ამგვარად ააფცქვნა მას ამდენი ფული. თანაც, ძმაკაცებს ფულის ამბავი დაუმალა და ჯიბეში ჩაიდო, მოუტეხა. მეტი რა გინდა? შენ კი ამბობ, ტყუილად გავაფუჭეთო. ჩვენ კი არ გავაფუჭეთ, თვითონ გაიფუჭა თავი.

– აი, ხომ გამოგიჭირე. ესე იგი, მართლა შენ დაუგდე მაყუთი, რადგან ამბობ, ძმაკაცებს ფულის ამბავი დაუმალაო, – ვუთხარი ხუჭუჭას, მან კი მშვიდად მიპასუხა:

– ვერაფერშიც ვერ გამომიჭირე, მით უმეტეს, რომ გამოსაჭერი აქ არაფერია. მე იმას ვამბობ, რომ მისი ტყუილიდანაც გა-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ა | ბ | ა | ნ | ო | | ო | | ა | ბ |
| | | | | | | | ა | | ა | | მ | ჟ | ა | ვ | ე |
| | | | | | | ი | ლ | ი | კ | ო | | ი | | ი | გ |
| | | | | | | | ტ | | ი | | კ | ო | ლ | ბ | ა |
| | | | | | | ც | ი | ც | ა | რ | ი | | ი | | რ |
| კ | | | | | ს | ა | კ | ა | ნ | ი | | ა | რ | ფ | ა |
| უ | რ | ე | კ | ი | | კ | ა | ნ | ი | ბ | ა | ლ | ი | | |
| რ | | ლ | | მ | | | | გ | | ა | ნ | ი | კ | ე | ბ |
| ო | თ | ი | ლ | ა | გ | ა | მ | ა | ს | | ო | | ა | | ა |
| ს | | ს | | ი | ვ | კ | ე | ლ | | ო | დ | ა | | ფ | ი |
| ა | ს | ო | | ა | ი | ბ | მ | ა | ზ | | ი | უ | დ | ე | ა |
| ვ | ი | | ა | მ | რ | ი | ფ | | ვ | | | ზ | | რ | |
| ა | მ | ო | ლ | | გ | რ | ი | ნ | ი | | ს | ი | რ | ი | ა |
| | ო | | ი | ა | ვ | | ს | ა | რ | მ | ა | | ა | | ფ |
| ა | ნ | ი | ზ | | ი | ლ | ი | ხ | თ | | ნ | ი | ს | ი | ა |
| ფ | ა | ლ | ი | ა | ნ | ი | | მ | ი | შ | ა | | პ | | რ |
| რ | | ი | | ვ | ი | ს | ლ | ა | | ო | ი | მ | ე | რ | გ |
| ა | ხ | ფ | | ო | | ა | ე | რ | ო | კ | | ა | | ო | |
| ს | | | | კ | ა | ბ | რ | ი | ნ | ი | | მ | ი | ლ | ი |
| ი | თ | ე | რ | ო | დ | ო | წ | | ი | | პ | ა | ტ | ი | |
| ო | | ო | | კ | ა | ნ | ა | ვ | ე | რ | ა | ლ | ი | | ა |
| ნ | ო | ნ | ა | | ლ | ი | მ | ა | | ი | რ | ო | პ | უ | რ |
| ი | | ა | ქ | | ა | | ი | ლ | ე | გ | მ | | ს | | ხ |
| | ო | კ | რ | ი | ბ | ა | | ი | | ი | ა | რ | ა | | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 5 | 4 | 9 | 6 | 7 | 8 | 3 |
| 8 | 7 | 3 | 1 | 5 | 2 | 6 | 4 | 9 |
| 6 | 4 | 9 | 3 | 8 | 7 | 2 | 1 | 5 |
| 5 | 6 | 4 | 9 | 2 | 1 | 3 | 7 | 8 |
| 2 | 8 | 7 | 5 | 3 | 4 | 9 | 6 | 1 |
| 9 | 3 | 1 | 6 | 7 | 8 | 4 | 5 | 2 |
| 7 | 1 | 8 | 2 | 6 | 9 | 5 | 3 | 4 |
| 4 | 5 | 2 | 7 | 1 | 3 | 8 | 9 | 6 |
| 3 | 9 | 6 | 8 | 4 | 5 | 1 | 2 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 4 | 7 | 6 | 1 | 3 | 5 | 8 |
| 8 | 3 | 5 | 2 | 4 | 9 | 1 | 7 | 6 |
| 1 | 7 | 6 | 5 | 3 | 8 | 4 | 9 | 2 |
| 7 | 2 | 9 | 6 | 1 | 4 | 5 | 8 | 3 |
| 5 | 6 | 3 | 8 | 2 | 7 | 9 | 1 | 4 |
| 4 | 1 | 8 | 9 | 5 | 3 | 6 | 2 | 7 |
| 6 | 5 | 1 | 3 | 8 | 2 | 7 | 4 | 9 |
| 9 | 4 | 2 | 1 | 7 | 6 | 8 | 3 | 5 |
| 3 | 8 | 7 | 4 | 9 | 5 | 2 | 6 | 1 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. მომხრეები ერთი კარიდან გადიან, მოწინააღმდეგეები – მეორიდან. 2. მიკრობები – დაებანათ ხელ-პირი ყოველ დილას. 3. „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“. 4. HOLMES (ჰოლმსი) – Home Office Large Major Enquiry System. 5. კბილის პასტის ტუბიკი. 6. საჭე და იალქანი. 7. სპილენძის ჩაფხუტი. 8. შოკოლადი. 9. დარბაზებში კონდიციონერების დაყენების შემდეგ. 10. ქანდაკება – „მუშა კაცი და გლეხი ქალი“.**

მომდინარე, კრისაა, რადგან ნაპოვნი ფულის დამალვა კრისობაა. მაგრამ საქმე ისაა, რომ მან ეს ფული მართლა მომპარა ჯიბიდან და ამის აღიარებას იმისი აღიარება არჩია. უფრო სწორად, თავი ვერ გაიმართლა, – მითხრა ხუჭუჭამ.

– იმიტომ ვერ გაიმართლა, რომ საშინელი ხაფანგი დაუგე.

– კრისაა და თავადვე გაება, მე რა შუაში ვარ?

– შენ დაინახე, ფულს რომ გპარავდა? – ახლა უკვე ყბედალომ შეუტია ხუჭუჭას.

– არა. ძალიან სუფთად მომპარა. მაგრამ, ჩემს პიჯაკს რომ უტრიალებდა, ვიეჭვე? თუმცა, თამაშის დროს თვალი ვერ შევასწარი, როგორ მომპარა ფული, – მშვიდად მიუგო ხუჭუჭამ ყბედალოს და ჰკითხა, – კიდევ გაქვს კითხვები თუ ყველაფერი გაგიასნეთ?

– ხუჭუჭ, გულზე ხელი დაიდე და სიმართლე გვითხარი, მართლა მოგპარა ფული თუ ეს ყველაფერი შენი გაჩაღებულია? – ჰკითხა ხუჭუჭას ყბედალომ, მე კი დავამატე:

– თუ შენი გაჩაღებული არ არის ეს ყველაფერი, მაშინ, გაკვეთილებიდან რატომ გაეთავისუფლე დამრიგებელს?

– მამაჩემთან ვიყავი და ფული გამოვართვი.

– მართლა?

– ჰო.

– რა უთხარი, რისთვის მინდა ხუთასი მანეთიო?

– რისთვის და მოტოციკლის საყიდლად.

– მერე და უმოტოციკლეტოდ რომ მიხვალ სახლში, რას ეტყვი?

– ვინ გითხრა, რომ უმოტოციკლეტოდ მივალ?! ხუთასი მანეთი შეგროვილი მქონდა და მოტოციკლეტი, ალბათ, უკვე სახლშია. კაკ რას, ლიოვას უნდა მოეყვანა და წამოდით, ვნახოთ.

ხუჭუჭას გამოჭერა ვერანაირად ვერ მოვახერხეთ და მასთან რომ მივედით, მის პატარა შიდა ეზოში უკვე იდგა ლიოვას მოყვანილი ახალთახალი მინი „იავა“. მიუხედავად იმისა, რომ ძმაკაცები ვიყავით და ხუჭუჭას ჩვენგან არანაირი საფრთხე არ ელოდებოდა, მაინც არ გამოგვიტყდა, რომ ყურშას სწორედ მან გაუჩალიჩა ყველაფერი და ჯიუტად იმეორებდა: ყურშამ თვითონ გაუჩალიჩა საკუთარ თავსო. ხოლო, როდესაც ხუჭუჭას უფანჯრებო კაბინეტში შევხვდი, ვკითხე:

– ხუჭუჭ, ახლა მაინც მითხარი, ყურშას ხომ შენ გაუჩალიჩე მაშინ და მაყუთი შენ დაუგდე პადიეზდთან?

– ეეჰ, კობრა, კობრა... ჩემნაირი ხალხი იმიტომაა საჭირო, რომ ყურშასნაირი ნაძირლებით გაივსო ეს ქვეყანა და მარტო შენ და შენნაირები ვერ გაუმკლავდებით მათ.

– რას გულისხმობ?

– იცი, რომ ყურშა მოკვლავს გიპირებდა?

– სად, როდის?

ხუჭუჭას კვლავ გაეცინა და მითხრა:

– ყურშა რომ კრისობაში ვამხილეთ, როგორც ეტყობა, გულში ბოღმა ჩაიდო, ქუჩას შეეშვა და რუსეთში გაემგზავრა. მან გვარი შეიცვალა, დედის გვარზე გადავიდა. მილიციაში დაიწყო მუშაობა და თან, იურიდიულზე სწავლობდა, საღამოს განყოფილებაზე. ბევრი რომ არ გავაგრძელო, საკმაოდ სწრაფი აღმასვლა დაიწყო, სასჯელაღსრულების სისტემაში გაიჩითა და ოცდათხუთმეტი წლის იყო, პოლკოვნიკობა რომ მიანიჭეს და ურალის ერთ-ერთი სტროგაჩების ზონის უფროსად დანიშნეს. გახსოვს, მესამე სროკზე სად იჯექი?



– როგორ არა, – მივუგე ხუჭუჭას.

– ჰო და, სწორედ იმ ზონის უფროსი იყო.

– იმ ზონის უფროსს სახეზე არ ვიცნობდი და სამ თვეში ახალი მოიყვანეს, მაგრამ, როგორც მახსოვს, ძველი უფროსი რუსი იყო.

– კი. რუსი იყო – ხომ გითხარი, ყურშამ დედის გვარი მიიღო-მეთქი და დედამისი რუსი იყო. ერთ სიტყვით, შენ რომ ზონაში შეგიყვანეს, ყურშამ შენი გაფუჭება გადაწყვიტა და ერთი ნასედკა ქურდთან ერთად აპირებდა შენთვის ქურდული ობშჩიაკის განიავების დაბრალებას. მერე კი შენი საქათმეში შეგდება ჰქონდა განზრახული.

ხუჭუჭას სიტყვებზე ცივმა ოფლმა დამასხა და ვკითხე:

– საიდან იცი?

– ხომ გითხარი, რომ შენ და ყბედალოს ონლაინ-რეჟიმში გაკონტროლებდით-მეთქი და მაშინ უკვე „კაგებეს“ პოლკოვნიკი ვიყავი და ჩემმა ხალხმა მაცნობა. ერთი სიტყვით, შენი ბოზი კოლეგა სხვაგან გადაიყვანეს, სადაც ის ნასედკობაში იქნა მხილებული და ბოლოს, საქათმეში მოხვდა. ყურშა კი დააწინაურეს, თუმცა, სულ რაღაც ერთ თვეში, მისი კაბინეტის სეიფიდან ორი კილო ჰეროინი და სამოცი ათასი მანეთი ამოიღო „კაგებემ“. ის დააპატიმრეს, გაასამართლეს და თხუთმეტი წელი მიუსაჯეს. ზონაში ისიც საქათმეში მოხვდა და ყველაფრის მიუხედავად, დო ზვანკა მოიხადა სროკი. ამჟამად მოსკოვში დაბომჟაობს. მოკლედ, ჟივუჩია, ეგ ბოზი.

– ხუჭუჭ, იმ ქურდსაც და ყურშასაც ისევ შენ გაუჩალიჩე? – გაოცებას ვერ ვმალავდი მე, მან კი მითხრა:

– კობრა, ძმაო, შენ და ყბედალოს ხომ ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინ გითხარით, ყველა ადამიანი თვითონ უჩალიჩებს საკუთარ თავს და ახლაც იგივეს გაგიმეორებ: ნუ მოიქცევა კაცი ცუდად, ნუ იკრისებს, ნუ იბოზებს და არავინ არაფერს დაუშავებს. ასე რომ, მე აქ არაფერ შუაში ვარ.

ხუჭუჭა, ორმოცი წლის შემდეგაც იგივე ხუჭუჭა იყო, როგორც სკოლის დროს და მხოლოდ წლები მომატებოდა.

– ჰმ, საოცრებაა, – თავი გავაქნიე და ვთქვი, – რაც არ უნდა ამტკიცო, რომ არაფერ შუაში ხარ, შენი ვალი მქონია, სიკვდილისთვის გამოგიგლეჯივარ ხელიდან და დიდ მადლობას მოგახსენებ.

– ძმა ძმისთვის და შავი დღისთვისო, – მითხრა ხუჭუჭამ, – გამორიცხული არ არის, რომ შავი დღეებიც დადგეს და ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა.

– შავი დღეები ვისთვის დადგეს?

– შენთვის, ჩემთვის, ან სულაც ორივესთვის, – მითხრა ხუჭუჭამ.

– შენი – რა გითხრა, მაგრამ, მე სულ შავი დღეები არ მიდგას? თუმცა, წუწუნი არ მიყვარს.

– არა უშავს. გამაგრდი. სროკიდან გამოხვალ, ცოლ-შვილს ჩაეხუტები და სულ ნათელი დღეები გექნება.

– რომელი ჩემი ცოლი თათიაა. ალბათ, ჭირივით ვეზარები, თორემ ოცი წელი დამიმალავდა, რომ შვილი მყავს? აი, გიორგის კი ნამდვილად ვერ შეველევი და ღმერთმა ქნას, აქედან მშვიდობით გავიდე.

– დარწმუნებული ხარ, რომ სიმართლეს ამბობ? – მითხრა ხუჭუჭამ და ოთხად მოკეცილი ფურცელი მომცა, – წაიკითხე, თათიასგანაა.

ხუჭუჭას ფურცელი გამოვართვი, ხელის კანკალით გავშალე და უხმოდ წავიკითხე: „გოგია, საყვარელო, ბოდიშს გიხდი, რომ ასე მოხდა და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ იგებ, ვაჟი რომ გყავს. მაშინ ასე ჯობდა, რადგან, რომ შეგეტყო, ფეხმძიმედ ვარ და ოჯახური ცხოვრება არ აგეწყობოდა, ყველაფერი ეს ჩემს შვილებს დააზარალებდა. მე კი შვილებზე ძვირფასი არავინ გამაჩნია ამქვეყნად. იცოდე, რომ კვლავ მიყვარხარ და გელოდები. ასევეა შენი გიორგიც და იმედია, ძალიან მალე შევხვდებით ერთმანეთს. შენი თათია“.

– რაო, რას გწერს თათია? – მკითხა ხუჭუჭამ.

– შენ, რა, არ წაგიკითხავს?

– ბიჭო, ნუთუ მართლა ასეთი ცუდი გგონივარ? რატომ უნდა წამეკითხა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-38(664)

## შეხედე სახეზე

– შეხედე კაცს კარგად, დააკვირდი მისი სახის ნაკვთებს და მაშინვე მიხვდები, რას უნდა ელოდო ამ ურთიერთობისგან, – ხმამაღლა განაცხადა ნატომ და ყავაში კონიაკი ჩაიმატა, – რას ვშვრებით, ვსვამთ სრულ გამოთრობამდე?

– მე ვერა, – ქეთიმ ოდნავ მონრუპა კონიაკი, – საშინელ გუნებაზე ვარ. თან, საღამოს ბავშვთან მთვრალი ვერ ვიქნები.

ნატომ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ლელას და ანიშნა – ჩაერიე, შენც ხომ ხედავ, ჩემი აღარ ესმის, ყველა რესურსი ამოვწურეო.

– არ დაურეკე, ხომ? მაინც შენსაზე ხარ?! არ იშლი სიჯიუტეს?

– სიჯიუტე არაფერ შუაშია, – ამოიოხრა ქეთიმ, – არ ვჭირდები კაცს და, მოკალი თუ გინდა. დავუჩოქო და შევეხვეწო? ამას არ გავაკეთებ!

– საერთოდ არ დაურეკავს?

– როგორ არა, – ჩაიცინა ქეთიმ, – ძიძას დაურეკა და ბავშვის ამბავი იკითხა, მე ვითომ არც ვარსებობ.

– აბა, რას ელოდი? ისიც ზუსტად შენსავით ფიქრობს – არ ვჭირდები და რატომ უნდა შევეხვეწოო. კაცია, მარტივად აზროვნებს, – მიუგო ლელამ.

– ჰოდა, იაზროვნოს მარტივად და ოჯახიც მარტივად დაანგრიოს, რადგან ასე ნებავს. ეს მისი პრობლემაა, – თავი გაიმხნევა ქეთიმ, – მის გარეშეც გავძლებთ როგორმე.

– ახლა უკვე იტყუები. გეტყობა, როგორც ძლებ, – ნატომ კონიაკიანი ყავა სულმოთქმელად გამოცალა და შეაჟრჟოლა, – მაგარია ეს



ოხერი, იმედია, არ მოგვწამლავს.

– ის კაცი ისეთი მონინებით გელაპარაკებოდა, საწამლავს როგორ გაკადრებდა, – თვალი ჩაუკრა ლელამ.

– რა ვიცი, პირველად ვსვამ სახლში კუსტარულად დამზადებულ კონიაკს.

– მერე, რატომ სვამ?! თანაც – ამდენს...

– „მჟავე პახმელია“ მაქვს და ქეთის სოლიდარობას ვუცხადებ, – გაიცინა ნატომ და ქეთის მიუბრუნდა, – დილით სარკეში თუ ჩაიხედე?

– ჩავიხედე, მერე?!

– იცი, რას ჰგავხარ? ამ ორ დღეში ძალიან შეიცვალე: თვალები აღარ გიბრწყინავს, უპეები ჩაგიმუქდა... ამდენ ნერვიულობას: არ გირჩევნია, დაურეკო და შეურიგდე?

– არ მირჩევნია, – თავი ჯიუტად გადააქნია ქეთიმ, – ისიც ხომ ნერვიულობს? ჰოდა, ინერვიულოს და ათენოს ღამეები ოფისში.

– შენ რა შეღავათი გაქვს ამით? ქეთი, ვერ ხვდები, რომ შენ უფრო ზარალდები?

– მე ჩემს საძინებელში, ჩემს საწოლში მეძინება, ბავშვთან ჩახუტებულს. ვინ უფრო დაზარალებულია?

ლელა შეიჭმუხნა.

– გინდა, სიმართლე გითხრა? არ ვაპირებდი, მაგრამ... შენც და შენი ქმარიც ეგოისტებივით იქცევით – ჯიბრს ერთმანეთს უწევთ, რეალურად კი ბავშვი ზარალდება. შენ დედა ხარ და ასეთი ეგოიზმი შენ უფრო არ გეპატიება.

– მამას ეპატიება, არა?! – გაცხარდა ქეთი, – თქვენ რა, ვახოს მხარეს ხართ?

– არა, მაგრამ, შენც რომ კარგად არ იქცევი, ფაქტია, – უკან არ დაიხია ლელამ, – გახსოვს, ერთხელ, მე და შენ რაზე ვილაპარაკეთ?

– მახსოვს, მაგრამ, მარტო ღალატი არ ანგრევს ოჯახს, სხვა ფაქტორებიც არსებობს. ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს და მორჩა!

– უჰ, დასვა დიაგნოზი! „ვერ შეენყვნენ ერთმანეთს“... – აქამდე თუ ენყობოდით?! სისულელეების გამო ქმარს ვინ ეყრება?

– მე... და, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს! თქვენ რომ სისულელეები გგონიათ, ჩემთვის შეხედულებებში პრინციპული განსხვავებაა. აღარ შემიძლია მუდმივ სტრესსა და სკანდალში ცხოვრება.

– არადა, მშვენიერი წყვილი იყავით, – სინანულით ჩაილაპარაკა ნატომ, – ვახოც მომწონდა. ფიზიოგნომიკის პრინციპებით, დადებითი აურა მოდიოდა მისგან.

ლელამ ეჭვით გახედა თანამშრომელს:

– არ მჯერა ეგეთი რაღაცების. ფიზიოგნომიკაღა გვაკლდა. სანამ ადამიანთან ერთ ჭერქვეშ არ იცხოვრებ, ვერ გაიგებ, რანაირია.

– მე კი მჯერა. ერთი თვეა, ვსწავლობ და, დედას გეფიცებით, გოგოებო, კაცებს უკვე სხვა თვალით ვუყურებ. მაგალითად, ბრედ პიტის პიროვნება განვიხილოთ... – თვალები მონკურა ნატომ.

– რაღა ბრედ პიტს ეცი, უფრო ნაცნობი ვერავინ მოძებნე?

– მიყვარს ეგ კაცი და შემარგეთ. მოკლედ, ბრედს ხომ აქვს ნაოჭები საფეთქლებთან... ნატურალურად უნდა დაებერდეო და პლასტიკურ ქირურგს არ მიმართავს, ანუ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ბრედიკო ამჩნევს უმნიშვნელო წვრილმანებსაც კი. ახლა განვიხილოთ მისი სახის ფორმა... – ნატო ეშხში შევიდა და ყურადღება აღარ მიუქცევია ირონიულად მოღიმარი ლელას რეპლიკებისთვის, – პიტს სახე ტრაპეციის ფორმის აქვს: ფართო შუბლი, მაღალი ყვრიმალები, დავიწროვებული ნიკაპი.

– შენ პროფესიას ხომ არ იცვლი, გენაცვალე? – ყალბი ალერსიანი ტონით ჰკითხა ლელამ.

– დამასრულებინეთ, როგორ არ გაინტერესებთ? – ენყინა ნატოს, – სხვათა შორის, ძალიანაც ამართლებს და სულაც არ არის სასაცილო. ბრედ პიტისმაგვარი სახის მქონე კაცები ინტელექტუალურები, მგრძნობიარეები და გონიერები არიან.

– ანუ, გაუმართლა ჯოლის? – ისევ ვერ შეიკავა თავი ლელამ, – ნეტავ, ქმრად მაგ ფიზიოგნომიკით შეარჩია თუ გულის კარნახს ენდო – ბანალურად და გლეხურად?

ნატო გაბრაზდა:

– არ გაინტერესებთ და გავჩუმდები. გულის კარნახით გათხოვებას რა შედეგიც მოაქვს, ცოცხალი მაგალითი აგერ ზის, – ქეთისკენ გაიხედა და ხელი ჩაიქნია, – ეჰ, ვერაფერი გავანყვე. არ გინდათ ჩემი მოსმენა.

– გისმენ, ნატო, გისმენ, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს შევცვლი, მერე ვნახოთ...

***

ვახომ რამდენჯერმე აილო ხელში მობილური – ყოყმანობდა და ვერ გადაენყვიტა, დაერეკა თუ არა...

– არ დაგირეკა? – ჰკითხა ოთახში შემოსულმა გიგიმ, – ახლა ეგ შენ გელოდება, იქით როდის დაურეკავ. დარწმუნებული ვარ, გაბრაზებულიც იქნება... მაგრამ, გაუვლის. ცოტა დრო კი დასჭირდება.

– ბავშვი მომენატრა. სულ მენატრება. დილით მისი პაწაწინა თითების შეხება მაღვიძებდა ხოლმე და ეს ძალიან მაკლია. მზად ვარ, დავურეკო ქეთის და ბოდიშიც კი მოვუხადო. არ უნდა წამოვსულიყავი...

– რაც მოხდა, იმაზე ნერვიულობა არ ღირს. წამოდი, ვისაუზმოთ. დედაჩემმა ხაჭაპური გამოაცხო.

– არ მშია, – თავი გააქნია ვახომ, – მობილური მაგიდაზე დადო და პერანგის ღილები შეიკრა, – დედაშენისაც მერიდება. შენ არ ეყოფი მოსავლელად?!

– მოიცა ერთი, რას მივლის... მეც მშვენივრად ვუვლი თავს. დედაჩემი მაშინ ნერვიულობს და მაშინ წუხდება, როცა სახლიდან ვინმე მშიერი მიდის.

– მართლა არ მშია, ბავშვს გეფიცები, ყავას კი სამსახურში დავლევ.

– მაშინ, წავიდეთ, მეც არ მინდა საუზმე. ახლავე პირს გავიპარსავ და...

– რატომ? შენ ჭამე... – ვახომ ისევ მობილურს დახედა.

– აუ, ვახო, დაურეკე, რა... ასე უფრო ცუდ დღეში ხარ.

– დავურეკავდი, მაგრამ, ქეთის ხომ ვიცნობ. რამე უხეშად რომ მითხრას, აღარ ვაპატიებ და... ახლა კიდევ გვაქვს პატარა შანსი, მერე კი ეგეც აღარ იარსებებს.

– აბა, რა უნდა ქნა?

– არ ვიცი. ვფიქრობ. უნდა დაველოდო. უკეთესს, მგონი, ვერაფერს ვიზამ.

– რამე სიურპრიზი რომ მოუწყო? მე კი არ მევასება ასეთი რაღაცეები, მაგრამ, ქალებზე მაგრად ჭრის. ყვავილები გაუგზავნე დასაწყისისთვის...

– რა?! – ერთბაშად იფეთქა ვახომ.

გიგი შეკრთა:

– მოიცა, რა ვთქვი ამისთანა, რომ გადაირიე? ყვავილები ყველა ქალს უყვარს, ქეთი გამონაკლისია?

– გამონაკლისი არ არის, მაგრამ, არ გავაკეთებ მაგას, არ დაუმსახურებია. მგონი, ასე იმიტომაც მომექცა, რომ ზედმეტად გავანებივრე. ყვავილები კი არა, მივადგები ამ საღამოს ჩანთით. ბოლოს და ბოლოს, ჩემი სახლიც არის. ოღონდ, ჯერ მაგრად დავთვრები და ისე...

– აუ, ეგ არ ქნა, ყველაფერს გაართულებ. ჯობია, ცოტა მართლა მოიცადო. იცხოვრე აქ, მე არ მაწუხებ და რა გინდა?

– ჰო, ჯერჯერობით უკეთესი მაინც ვერაფერი მოვიფიქრე. იეჭვიანებს, ინერვიულებს და დამირეკავს... ბავშვის გარეშე კი მართლა ძალიან მიჭირს. უმანქანობაც მაწუხებს. სულელი ვარ, მანქანას რაღას ვუტოვებდი, – ხელი ჩაიქნია ვახომ.

– ჩვენი დიდსულოვნება გვღუპავს. ქალებს ეს მაინც არ ესმით და ამაგს წყალში გვიყრიან, – ამოიოხრა გიგიმ, – ნინიც ასე არ მომექცა?! მერე კიდევ, უკვირთ, ცოლის მოყვანის რომ გვეშინია. იმას როგორ წარმოვიდგენდი, რომ შენ და ქეთი დაშორდებოდით!

– მაგას ვერც მე წარმოვიდგენდი, მაგრამ... შენ მაინც სამსახურში არაფერი თქვა. ნურც იმას იტყვი, შენთან რომ ვცხოვრობ.

– რა თქმა უნდა. შეგეძლო, არც გაგეფრთხილებინე...

***

თომამ ნინი მაგიდამდე მიაცილა და გაბრწყინებული სახით მიუჯდა თავის კომპიუტერს. ლიზამ გაოცებით გახედა:

– ამას რა უხარია, ნინი, თქვენ, რა, ერთად ხართ?

ნინის გაეცინა:

– რა ერთად, უბრალოდ, დღეს სახლთან დამხვდა და სამსახურში წამომიყვანა.

– გუშინ, ასევე უბრალოდ, სახლში წაგიყვანა...

– ოჰო, ესეც იცი?! – ნინის არ სწყენია. მშვენიერ გუნებაზე იყო და ამას არც მალავდა.

– რა ცოდნა მაგას უნდა. მთელი კრედიტების განყოფილება ამაზე ლაპარაკობს. კარგია, რომ იმ გიგის შეეშვი და აღარ ნერვიულობ, მაგრამ, ეს თომაც არ არის შენი შესაფერისი. ჯერ მარტო სახელი ნახე, რა... თომა რომ ერქმევა კაცს, იმისგან რას უნდა ელოდე.

– ჩუმად, გაიგონებს, – ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიდო ნინიმ.

– ოჰ, გაიგონოს მერე... ძალიან კარგად იცის, რა აზრისაც ვარ მასზე.

– მგონი, შენი აზრი ნაკლებად აინტერესებს და, გულახდილად რომ გითხრა, მე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს მის გვერდით.

ლიზამ წარბი შეიკრა:

– მოკლედ, ვერაფერი ისწავლე ჩემგან. ერთ იდიოტს იმიტომ მოსცილდი, რომ მეორეს გადაეკიდო?

– სულაც არ ვფიქრობ, რომ თომა იდიოტია. იმდენს მაცინებს, არც თავს მაბეზრებს და ძალიან საყვარელია, – დაიცვა ნინიმ ბიჭი.



ლიზამ ტუჩი აიბზუა:

– მერე, ეგ საკმარისია? ნინი, ნინი... რამდენი წლის ხარ? როგორ ვერ გაიზარდე...

– ოო, ნუ ლაპარაკობ სისულელეებს. მთავარია, რომ ახლა კარგად ვარ.

– ვაჟბატონმა რაო?

– რა ვიცი. მთვრალმა რომ დამირეკა, იმის მერე აღარ შემხმიანებია და არც მაინტერესებს. გადავშალე ჩემი ცხოვრების ეგ ფურცელი.

ლიზამ ამოიოხრა:

– იმედია, თომაზე სერიოზულად არ ფიქრობ.

– ჯერ არაფერზე არ ვფიქრობ, საერთოდ... მერე ვნახოთ...

– ჰმ, ეს ბიჭი კი დაფრინავს სიხარულით.

– იფრინოს მერე, რა არის ამაში ცუდი?

– არაფერი. უბრალოდ, აცუნცრუკებულ კაცებს ვერ ვიტან.

– ჰო, შენ მარტო სერიოზული კაცები გაინტერესებს, – ირონიულად გაიღიმა ნინიმ. ლიზამ ხელები მოიფშვნიტა:

– მინდა გითხრა, ჩემო საყვარელო ნინი, რომ ახლა ცხოვრებაში ისეთი ეტაპი მაქვს, რომ კაცები საერთოდ აღარ მაინტერესებს.

– მართლა? ასეთი რა მოხდა?

ლიზამ მიიხედ-მოიხედა და ხმას დაუწია:

– დედობისთვის ვემზადები.

– რა?! – შეჰყვირა ნინიმ.

– ჩუმად, რა გაყვირებს? – ლიზამ მკლავზე მოჰკიდა ხელი და მოუჭირა.

– ფეხმძიმედ ხარ?

– ჯერ არა, მაგრამ...

– მოიცა, ეგ როგორ? ვერ მივხვდი.

– ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ მალე ვიქნები...

– ვისგან? თუმცა, რა სისულელეს გეკითხები...

– პირიქით, სულაც არ არის სისულელე. ეგ შეკითხვა ჩემთვის ძალიანაც აქტუალურია. ორი სავარაუდო კანდიდატი მყავს ჩემი შვილის მამობისთვის.

ნინის თვალები გაუფართოვდა. ლიზას გაეღიმა:

– რა იყო, შოკში ჩაგაგდე? ჰო, ასე გამოვიდა... ზუკას შევხვდი და აღარ მომეშვა. სხვანაირად ვერაფრით მოვიშორე თავიდან და, რა მექნა? ქმარსაც შევურიგდი...

– მერე?

– მერე რა, ნებისმიერ შემთხვევაში, ჩემი შვილის მამა ჩემი ქმარი იქნება.

– ლიზა, უნდა მოატყუო ლევანი?

– ოო, მოვატყუო – ხმამაღლა ნათქვამია. ჯერ რა ვიცი, იქნებ, სწორედ მისგან დავფეხმძიმდე. ყოველ შემთხვევაში, ახლა ერთგული ცოლი ვარ. ლევანს უნდა დავუმტკიცო, რომ ჩემზე უკეთესი მის ცხოვრებაში არავინ და არაფერი ყოფილა. თან, იცი, როგორ მინდა ბავშვი?! ვგრძნობ, რომ უკვე მზად ვარ დედობისთვის. ლევანი შვილს არაფერს მოაკლებს: საუკეთესო ძიძას აიყვანს; შეიძლება, აქ არც მამშობიაროს და ევროპაში წამიყვანოს. გიჟი მამა იქნება.

– და, ასე მშვიდად გააზრდევინებ სხვის შვილს? იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ზუკას წინაშეც არ იქნები მართალი.

– ნინი, არსებობს ისეთი სიმართლე, რომელიც არავის სჭირდება და ხალხისთვის მხოლოდ უსიამოვნება მოაქვს. ასეთ დროს მე კეთილი ტყუილი მირჩევნია.

– კეთილი ტყუილი არ არსებობს, – შეეკამათა ნინი.

– არსებობს, მაგრამ, ამაზე ლაპარაკს არ დავიწყებ. ის გაცილებით უარესი ბოროტება იქნება, ჩემს შვილს დაბადებამდე ავურიო ცხოვრება, – გადაჭრით თქვა ლიზამ, – ამას არ დავუშვებ...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# გაიგე რეალური ასაკი



***ბიოლოგიური ასაკი უფრო ზუსტად ასახავს თქვენს შინაგან და ფიზიკურ მდგომარეობას, ვიდრე თარიღი დაბადების მოწმობაში. შეამოწმეთ, რამდენად ახალგაზრდაა თქვენი ორგანიზმი.***

**1. საუზმობთ ყოველ დილით?**

ა) აუცილებლად. ეს წესად მაქვს;

ბ) მხოლოდ შაბათს და კვირას, როცა უფრო მცალია.

გ) არა, ამ დროს ძილისთვის გამოვიყენებ.

**2. წონასა და სიმაღლეს შორის სხვაობის ინდექსი რამდენი გაქვთ?**

ა) 18-ზე დაბალი;

ბ) 19-სა და 25-ს შორის;

გ) 25-ზე ზევით.

**3. როგორია თქვენი ფიტნეს-პროგრამა?**

ა) კვირაში ორჯერ სპორტით ვარ დაკავებული;

ბ) ფიტნესი? დამცინით?!

გ) სურვილი მაქვს, დრო – არა!

**4. ეწევით?**

ა) არა. ბოლსაც ვერ ვიტან;

ბ) ძალიან იშვიათად – კვირაში ორ-სამ ღერს;

გ) დიახ და საკმაოდ ბევრს.

**5. გიყვართ ხილი და ბოსტნეული?**

ა) დიახ, ყოველდღე მივირთმევ;

ბ) არა, იშვიათად ვჭამ;

გ) ხილს, ასე თუ ისე ვჭამ, ბოსტნეულს ვერ ვიტან.

**6. მძიმე და დამღლელი სამუშაო და დაძაბული რიტმი გაქვთ?**

ა) პრობლემები სამსახურში და არანორმირებული სამუშაო დღე ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავია;

ბ) არანაირი პრობლემა, მშვენიერი სამსახური მაქვს;

გ) ზოგჯერ ასეც ხდება.

**7. რა რაოდენობით ალკოჰოლს სვამთ?**

ა) ძალიან ცოტას;

ბ) მხოლოდ დღესასწაულებზე ვსვამ კარგ ღვინოს;

გ) თითქმის ყოველდღე ვსვამ.

**8. ხშირად ხართ მეგობრებთან ერთად?**

ა) მინიმუმ, კვირაში ორჯერ;

ბ) თვეში ორჯერ აუცილებლად ვიკრიბებით;

გ) თვეობით ვერ ვხვდები მეგობრებს.

**9. რამდენი საათი გძინავთ?**

ა) 6 საათზე ნაკლები;

ბ) ვცდილობ, 7-8 საათი მაინც დავიძინო;

გ) 8 საათი და მეტი.

**10. თევზს ხშირად ჭამთ?**

ა) ძალიან მიყვარს. მინიმუმ, კვირაში ორჯერ მივირთმევ;

ბ) იშვიათად. ალბათ, თვეში ერთხელ;

გ) საერთოდ არ ვჭამ.

### ნახეთ შედეგები:

***პასუხების უმრავლესობაა „ა“: კარგია, ასე რომ ზრუნავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე, მაგრამ, მაინც ზედმეტად იტვირთებით. ცოტათი მოეშვით – საკუთარ ასაკზე ისედაც ორჯერ ახალგაზრდად გამოიყურებით. გართობა არ გაწყენთ.***

***პასუხებში ჭარბობს „ბ“: თქვენი ორგანიზმი 3-5 წლით ახალგაზრდაა რეალურ ასაკზე. „ოქროს შუალედი“ ნაპოვნია და ასე განაგრძეთ. შეიძლება, მენიუში თევზი დაამატოთ.***

***პასუხებში ჭარბობს „გ“: 3 წლით უფროსად გამოიყურებით და ამაში დამნაშავე თავად ბრძანდებით. რას ერჩით საკუთარ თავს? საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება სპორტი და სწორი კვება.***

## სიმართლე შოკოლადზე

***ჩვენ ყველას გვიყვარს ის – გემრიელი და ვნებიანი... ექსპერტები გვირჩევენ, დღეში პატარა ნატეხი მაინც მივირთვათ და ამით ვარგოთ ორგანიზმს... ანუ, ყოველდღე შოკოლადის მცირე ულუფა აუცილებელია.***



* შოკოლადი არ ასუქებს. 100-150 გრამი შოკოლადი გასუქების არანაირ საფრთხეს არ ქმნის. მით უმეტეს, მწარე შოკოლადი, რძის გარეშე.

* შოკოლადი აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას. შოკოლადი შეიცავს ამინომჟავებს, რაც გამოიმუშავებს ბედნიერების ჰორმონს.

* შოკოლადი არანაირ კავშირში არ არის ალერგიასთან. სუფთა შოკოლადი არ არის ალერგიის გამომწვევი. საფრთხის შემცველია დამატებითი ინგრედიენტები: თხილი, არომატიზატორები.

* შოკოლადი ააქტიურებს ტვინს. აჩქარებს აზროვნების პროცესს.

* შოკოლადი არა თუ არ იწვევს კარიესს, არამედ ხელს უშლის მის წარმოქმნას.

თეთრი შოკოლადიც ნატურალურია და არა ხელოვნური პროდუქტი, როგორც ეს ზოგჯერ ჰგონიათ ხოლმე. მას ამზადებენ კაკაოს ცხიმის, შაქრისა და მშრალი რძისგან.

## „მშვიდი“ საშინელება

ცხოველი, რომელზეც ახლა მოგითხრობთ, პირს მარტო იმიტომ აღებს, რომ ჭამოს, თანაც, თავისი მსხვერპლისგან ერთ ნამცეცსაც კი არ ტოვებს. ბუნება ყველაზე კარგი დიზაინერი და სტილისტია. მისი შექმნილი „გარეგნობა“ არასდროს მოგატყუებთ. შეხედავთ თუ არა, მაშინვე მიხვდებით, როგორი საშიში და მომაკვდინებელია გარშემო მყოფებისთვის „თევზი – ჯადოქარი.“ ეს თევზი გამოირჩევა არა მარტო საშინელი გარეგნობით, არამედ, იმითაც, რომ მსხვერპლთან უხმაუროდ და უჩუმრად მიახლოება შეუძლია, ეცემა მას და, ჯერ შიგნეულს გამოაჭამს, შემდეგ კი მთლიანად ჭამს შიგნიდან და მხოლოდ ჩონჩხს ტოვებს.

„თევზი-ჯადოქრის“, იგივე მიკრინის მსხვერპლი, შესაძლოა, ზვიგენიც აღმოჩნდეს, თუკი ზვიგენი ოდნავ მოადუნებს ყურადღებას და დროზე არ მოახდენს რეაგირებას თავდასხმაზე.

ადამიანს „თევზი-ჯადოქრის“ დანახვა საშინელ ძრწოლას ჰგვრის და პანიკაში აგდებს. მისი განადგურება ძალზე რთულია: მას ძალიან დიდხანს შეუძლია, გაძლოს საკვებისა და წყლის გარეშე და მიყენებულ ჭრილობებსაც სწრაფად იშუშებს; რეგენერაციის უნარი კი თითქმის უკვდავს ხდის მას.

კიდევ ერთი უცნაურობა: „თევზი-ჯადოქარი“ არ იბადება მდედრად ან მამრად. მათი სქესის დაკონკრეტება გამრავლებისთვის საჭირო ასაკში ხდება, იმის მიხედვით, მდედრი მეტია საჭირო თუ – მამრი. მიკრინი ერთადერთი თევზია დედამიწაზე, რომელსაც... დაცემინება შეუძლია.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# ინტიმური საიდუმლო

## ოლივია დარნელი

სესილია ჯეფერსი ყველამ გულწრფელად შეიცოდა – მის თავზე საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ვინმე მერი ოუნი, ახალგაზრდა ქალი, რომელთანაც სესილიას ქმარს, ჰენრის რომანი ჰქონდა, მათთან იარაღმომარჯვებული შევარდა და ჰენრი და მამამისი, მოხუცი გრაფი ჯეფერსი გულში ზუსტი ნასროლით გამოასალმა სიცოცხლეს. სესილია მკლავში დაიჭრა, მაგრამ, იეშმაკა და სკამიდან ჩაცურდა – ვითომ მოკვდა. ემოციურმა მერიმ კი ბოლოს საფეთქელშიც იკრა ტყვია... პოლიციამ ისიც და დანარჩენებიც სისხლის ტბაში იპოვა. რამდენიმე დღე ბულვარული გაზეთები მხოლოდ ამაზე წერდნენ... სესილია ჰოსპიტლიდან შორეულმა ბიძაშვილმა – ჯორჯმა წამოიყვანა. პოლიციის ესკორტმა ისინი ჯეფერსების საგვარეულო სახლამდე მიაცილა. სწორედ იქ დატრიალდა ტრაგედია.

როცა მარტონი დარჩნენ, სესილიამ სიყვარულით გაუღიმა ჯორჯს:

– არ მჯერა, რომ ეს კოშმარი დასრულდა. საყვარელო... მეგონა, მეც მომკლავდა. მერი გიჟი იყო. ის ჰენრისგან მოითხოვდა, გამშორებოდა და ცოლად მოეყვანა. ჰენრი ამას იმსახურებდა... ისეთი შეურაცხყოფილი ვიყავი... ყველამ იცოდა, რომ მერისთან მღალატობდა... ახლა შეგვიძლია, დავქორწინდეთ. მე მდიდარი ქვრივი ვარ. ამას ყველაზე თამამ ოცნებებშიც კი ვერც წარმოვიდგენდი... მდიდარი და ლამაზი ცოლი გეყოლება.

ჯორჯს ხელისგულები გაუცივდა. არასდროს ულაპარაკია სესილიასთან იმაზე, რომ, თუ მათი ცხოვრებიდან ჰენრი ჯეფერსი გაქრებოდა, ცოლად შეირთავდა. შორეული ნათესავის მიმართ მას მართლაც გაუჩნდა თბილი გრძნობები და მალე ეს არავისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს, მაგრამ, ჯორჯს დიდხანს არ გაჰყოლია აღფრთოვანება სიფრიფანა და ქანდაკებასავით ლამაზი სესილიასადმი. ის კი არა, ცოტა ხანში გაუგო კიდეც ჰენრის, რომელმაც ცოლს მსუბუქი ხასიათის, ცოტათი გაუწონასწორებელი და სიურპრიზებით აღსავსე მერი ოუნი აჯობინა. სესილიასთან მოწყენილობით მოკვდებოდი. მართალია, მერი სვამდა და მერე ჯეფერსების ულამაზეს ბაღში გამოდგმულ ქვის ლარნაკებს ესროდა პისტოლეტიდან, მაგრამ, მასში ის ცეცხლი იგრძნობოდა, რომელიც პრაგმატულ და ზედმეტად მოწესრიგებულ სესილიას ასე აკლდა. კიდევ უარესი: ქალს საერთოდ არ ჰქონდა იუმორის გრძნობა და საშინელი მესაკუთრეც იყო. ჯეფერსმა რომ საყვარელი გაიჩინა, სესილია ჯორჯზე გადაერთო და მალე მას ყველა მეგობარი ქალი ჩამოაშორა. ისტერიკებს აწყობდა, თუ კაცი სათანადო ყურადღებას არ მიაქცევდა. ჯორჯს კეთილი და დამყოლი ბუნება ჰქონდა, რითაც სესილია ბოროტად სარგებლობდა. ჯორჯი მიხვდა, რომ ქალი ამჯერადაც მიაღწევდა თავისას და, შეშინებულმა გაიფიქრა – მაგრად გავებით.

გარდაცვლილების დაკრძალვაზე სესილიას ყველა იცოდებდა, ისეთი გულწრფელად მგლოვიარე ჩანდა. უამრავ ხალხში ჯორჯმა ინსპექტორი გონტი შენიშნა. ინსპექტორი მასთანაც მივიდა და რამდენიმე, საკმაოდ უცნაური შეკითხვა დაუსვა: „ამბობენ, რომ მერი ოუნი ცუდი მსროლელი იყო...“, „მართალია, რომ სესილიამ იცოდა, ქმარი ამ ქალთან რომ ღალატობდა?“, „შემთხვევით, ეჭვი ხომ არ გეპარებოდათ მისის სესილიას მონაყოლში“? „სად იყავით იმ საღამოს, როცა მკვლელობა მოხდა?“... ჯორჯი უცებ მიხვდა, რომ ინსპექტორს მისი ალიბი აინტერესებდა. რა ხდება? ნუთუ ინსპექტორს სესილიაში ეპარება ეჭვი?! თუ, ჰგონია, რომ მისი დავალებით ჯორჯმა ჩაიდინა ასეთი საშინელი მკვლელობა?! ინსპექტორის ეს კითხვები სესილიაზე ჯორჯს მეხსიერებაში ჩაებეჭდა და მოსვენებას აღარ აძლევდა. სესილიას ქორწინება აღარ უხსენებია – ამ მხრივ, სიმშვიდე იყო, შეკითხვებითაც კი აღარ აწუხებდა. უცებ კი, ტრაგედიიდან ერთი თვის შემდეგ, სესილიამ გამოაცხადა, დროა, გლოვას ბოლო მოვუღოთ და წვეულების მოწყობა გადაწყვიტა. ჯორჯს ისევ მოაგონდა ინსპექტორი. რაღაც აწუხებდა, როცა ამაზე ფიქრს იწყებდა. შეიძლება, სესილია თვითონ ყოფილიყო ქმრის მკვლელობის ორგანიზატორი, მაგრამ, ჯორჯი გამორიცხავდა, რომ ქალს შეეძლო, თითო გასროლით თითო ადამიანი მოეკლა – მერე მერიც ზედ მიეყოლებინა და თავიც დაეჭრა. მაშინ, ეს ვიღაც სხვას – სესილიასთვის თავდადებულ ადამიანს უნდა გაეკეთებინა. ინსპექტორმა ჯორჯზე მიიტანა ეჭვი. მან არ იცოდა, რომ სესილიას ჰყავდა უერთგულესი ბიძა – პოლკოვნიკი ბლაუნტი და ბავშვობის მეგობარი – ჰილდა დოჯი, უცნაური ქალი, სესილიას სრული ანტიპოდი. ორივე ბრწყინვალე მსროლელი იყო და ორივე შეიძლებოდა, ყოფილიყო მკვლელი, იმდენად უყვარდათ მათ სესილია. თანაც, ბრაზობდნენ ჰენრიზე, რომელიც ურცხვად ღალატობდა ცოლს, თანაც, ყველას თვალწინ. ჯორჯმა გადაწყვიტა, ჯერ პოლკოვნიკს დალაპარაკებოდა და ხელსაყრელ დროდ სესილიას წვეულება შეარჩია, ნაკლებად თვალშისაცემი რომ ყოფილიყო. უნდოდა, გაერკვია, ჰქონდათ თუ არა ამ ადამიანებს ალიბი ტრაგედიის საღამოს. ჯორჯს ისიც მოაგონდა, რომ რამდენჯერმე ნახა, როგორ უნიჭოდ ისროდა მერი თავისი პისტოლეტით. მისი თანდასწრებით არასოდეს მოუხვედრებია მიზანში... ჯორჯი საგონებელში ჩავარდა. ... პოლკოვნიკმა მდუმარედ მოისმინა ჯორჯის მონათხრობი ინსპექტორის შეკითხვების შესახებ.

– ესე იგი, მას ეჭვი ეპარება სესილიას გულწრფელობაში? – მწუხარედ ჩაილაპარაკა კეთილმა მოხუცმა, – ნუთუ, ჩემი გოგო მართლაც წავიდა ამაზე?

– არ ვიცი. გვარში სულით ავადმყოფები ხომ არ გყოლიათ?! – ჰკითხა ჯორჯმა.

– არ მახსენდება. ერთადერთი, სესილიას ბებიის დას ოცდაცამეტი კატა ჰყავდა...

– ღმერთო... – ჯორჯმა ამოიოხრა. უცებ სახე შიშისგან დაეღრიჯა, პოლკოვნიკს ხელი სტაცა და თავისკენ გაათრია, – კაბინეტში წამომყევით, სწრაფად!



სესილიას უყვარდა სიურპრიზები. მან კაბინეტში, ბიბლიოთეკის უკან, პატარა „ფულური“ მოაწყო, სადაც ჯორჯისთვის წვრილმან საჩუქრებს ინახავდა და მისგანაც იმავეს ითხოვდა. ჯორჯს ბოლოს უკვე ყელში ჰქონდა ამოსული ეს იდიოტური თამაში... ამჯერად „ფულუროში“ პისტოლეტი იდო – პატარა, ქალური, ზუსტად ისეთი, როგორიც მერი ოუნს ჰქონდა და რომლითაც მან თითქოსდა ტრაგედია დაატრიალა. ჯორჯმა შეჰყვირა და პისტოლეტი აიღო.

– ღმერთო... – ჩაიჩურჩულა პოლკოვნიკმა და გაფითრდა, – დადეთ, ჯორჯ, ეგ პისტოლეტი თავის ადგილას, ან, მომეცით ჯერ აქ, – პოლკოვნიკმა პისტოლეტი გამოართვა და ცხვირსახოცით საგულდაგულოდ გაწმინდა.

– ანუ, ეს სესილია იყო? – კიდევ არ სჯეროდა ჯორჯს.

– ჰო, როგორც ჩანს. სროლა კი მე ვასწავლე დიდი ხნის წინათ, როცა ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყო... გამაოგნებელი სიზუსტით ისროდა თავიდანვე. მთხოვა, ამის შესახებ არავისთვის მეთქვა. ხეებზეც სხარტად დაცოცავდა და ფულუროებში ჯდომა უყვარდა... საყვარელი ბავშვი... ნუთუ, ეს ის სესილიაა...

პოლკოვნიკს სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა, რომ ოთახში გაღიმებული სესილია შემოვიდა.

– აბა, ჯორჯ, ნახე ჩემი სიურპრიზი? ძალიან კარგი. ახლა გავალ და სტუმრებს ჩვენი ნიშნობის შესახებ ვაუწყებ.

– ახლა წავალ და პოლიციაში დავრეკავ! ეს როგორ გააკეთე, სესილია?!

– მე შეურაცხყოფა მომაყენეს. დიდხანს ვითმენდი მათ უზნეობას. შენ კი, გირჩევ, დამთანხმდე. პისტოლეტს ხელი ხომ მოჰკიდე, იქ შენი თითების ანაბეჭდია. ვიტყვი, რომ მკვლელობა შენ ჩაიდინე, რადგან, გიყვარდი და ეჭვიანობდი. ბიძია კი ამაში დამეთანხმება.

– არა, სესილია... ყველაფერი შემეძლო მეპატიებია შენთვის, მაგრამ, ეს წარმოუდგენელია, ჩემთვისაც კი. პისტოლეტზე ჯორჯის თითების ანაბეჭდი აღარ არის – მე ის გავწმინდე. აჯობებს, პოლიციას ჩაბარდე. მე ვეცდები, დავამტკიცო შენი შეურაცხადობა და ამით სასჯელი შეგიმსუბუქდება... ნუ მაიძულებ, სესილია, დაგჭრა. არ დაგავიწყდეს, რომ შენსავით კარგად ვისვრი და არ აგაცილებ, ჩემო მშვენიერო გოგონავ... ჩემო მშვენიერო მკვლელო...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

# სერიული მანიაკები

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები" №38(664)

დავითი მაგიდას მიუჯდა და კაბინეტში მყოფთ ანიშნა, თქვენც დასხედითო. გიორგიმ დაჯდომა დააპირა, მაგრამ, მირიანმა ამის საშუალება არ მისცა: სხვაგან გადაჯექი. ეს ადგილი ჯერჯერობით მე მეკუთვნის! – უთხრა ცივად.

გიორგი უხალისოდ ადგა და ანას გვერდით გადაჯდა.

– კეთილი. ახლა საქმეზე გადავიდეთ, – დავითი ანასა და გიორგის მიუბრუნდა, – მირიანი უკვე საქმის კურსშია, მაგრამ თქვენ ჯერჯერობით არ იცით, რატომ მოგიწვიეთ აქ. მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებით, იგეგმება ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის შექმნა და თქვენ იმ ჯგუფის წევრებად მოიაზრებით.

– ერთ წუთით, – ჩაურთო გიორგიმ, – თქვენ გინდათ, თქვათ, რომ ჩვენ ერთად ვიმუშავებთ?!

– დიახ, – უპასუხა დავითმა, – მირიანი ამ ჯგუფის ხელმძღვანელი იქნება.

– გასაგებია, – გიორგიმ უწყება დავითის წინ დადო, – თუ ჩემთან სხვა საქმე არ გაქვთ, წავალ.

– წახვალ?! – გაუკვირდა დავითს.

– წავალ, – მშვიდად დაუდასტურა გიორგიმ, – მე და მირიანი ერთად ვერ ვიმუშავებთ... და, მგონია, რომ ისიც იზიარებს ჩემს აზრს!

– გეთანხმები. შეგვიძლია, ეს საკითხი გადაწყვეტილად ჩავთვალოთ! – დაუფარავი კმაყოფილებით თქვა მირიანმა.

– მე არ გეთანხმებით! – ოფიციალური ტონით თქვა დავითმა და გიორგის მიუბრუნდა, – როგორ გგონია, შენი რამდენი კოლეგა ოცნებობს ასეთ წინადადებაზე? მთავარი პროკურატურა ხომ ნებისმიერი გამომძიებლისთვის საინტერესო და მიმზიდველი უწყებაა!

– არ ვიცი, ვინ რაზე ოცნებობს, მაგრამ, პირადად მე კმაყოფილი ვარ ჩემი სამუშაოთი და რამის შეცვლას არ ვაპირებ, – მშვიდად უპასუხა გიორგიმ.

– სამწუხაროდ, შენ მაინც მოგიწევს ცხოვრებაში რაღაც-რაღაცეების შეცვლა. პირველ ყოვლისა კი ეს შენს დღევანდელ სამსახურს ეხება, – განაგრძო დავითმა.

– რას გულისხმობთ? – მოიღრუბლა გიორგი.

– მე კარგად გავეცანი შენს პირად საქმეს, გავესაუბრე შენს ხელმძღვანელობასაც. ვერ ვიტყვი, რომ ისინი ცუდად გახასიათებენ – ეს უსამართლობა იქნება, მაგრამ, არსებობს ნითელი ხაზები, რომლებსაც ისინიც ვერ გადალახავენ. ყველაფრის თავი და თავი კი შენი ხასიათია. სწორედ ამის გამო შეივსო შენი პირადი საქმე მკაცრი გაფრთხილებებით. მეც და შენც კარგად ვიცით, რომ ბოლო გაფრთხილება უკვე მიღებული გაქვს. ერთი მცირე შენიშვნაც კმარა სამსახურიდან შენს გასათავისუფლებლად, დანარჩენი კი დროის ამბავია. შენი ხასიათის ცვლილებისა არ მჯერა. ხვალ, ზეგ, ერთი კვირის ან თვის შემდეგ, შენ ისევ მიიღებ შენიშვნას და ყუმბარასავით გავარდები საგამოძიებოდან, თანაც, ისეთი დახასიათებით, რომ მომავალში ველარასოდეს დაბრუნდები უკან. ასე რომ... – აღარ დაასრულა დავითმა.

– თქვენი თქმით, არჩევნის საშუალება არ მაქვს?! უარი თუ ვთქვი, შემიძლია, პირდაპირ სახლში წავიდე?!

– პირდაპირ სახლში ვერ წახვალ, ჯერ პოლიციის სამმართველოში შეივლი, მოახსენებ, რომ მთავარ პროკურატურას არ აკმაყოფილებს შენი კანდიდატურა და მხოლოდ ამის შემდეგ წახვალ სახლში, – უპასუხა დავითმა.

– მაშანტაჟებთ?! – ბრაზით ჰკითხა გიორგიმ.

– როგორც გინდა, ისე გაიგე!

გიორგი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ თქვა:

– არ გეგონოთ, რომ შემაშინეთ. უბრალოდ, ამ საკითხის გადაწყვეტას ანას მივანდობ.

– რა შუაშია ანა? – დაიბნა დავითი.

– თუ ის დარჩება, მეც დავრჩები! მის გარეშე შეუძლებელი იქნება მირიანის საზოგადოების ატანა! – ირონიით თქვა გიორგიმ.

– ბატონი მირიანის! – ცივად შეუსწორა საგამოძიებო ჯგუფის მომავალმა ხელმძღვანელმა.

– იურისპრუდენციის გარდა, მცირე დრო ისტორიისთვისაც რომ დაგეთმო, გეცოდინებოდა, რომ საქართველოში მეფესაც კი შენობით მიმართავდნენ. შენ კი ცალჩექმიან აზნაურობაზეც არ უნდა გქონდეს პრეტენზია!

მირიანმა უკმაყოფილოდ გახედა ანას, რომელსაც ღიმილი მოჰგვარა გიორგის პასუხმა და შემდეგ თქვა:

– აზნაურობაზე მართლაც არ მაქვს პრეტენზია, მაგრამ, აქ, ამ უწყებაში, შენთვის მეფეც ვარ და უფრო მეტიც – მამაღმერთი! კარგად დაიმახსოვრე ეს!

– ასე ვერ შევთანხმდებით. მოდი, სერიოზულად ვილაპარაკოთ, – უმალ ჩაერია დავითი, – თქვენ რას იტყვით, ქალბატონო ანა?

– რა გითხრათ... – მხრები აიჩეჩა მან, – ჩემთვის ძალიან მოულოდნელია ეს ყველაფერი.

– მესმის. მაგრამ, თქვენთვის ყველაზე იოლია გადაწყვეტილების მიღება. თქვენ სულ ცოტა ხნის წინ დაამთავრეთ უნივერსიტეტი და საგამოძიებო უწყებაში მუშაობის გამოცდილება არ გაგაჩნიათ. მთავარი პროკურატურა ნამდვილი ტრამპლინი იქნება თქვენს სამსახურებრივ კარიერაში.

– გასაგებია, მაგრამ, მე უკვე შემომთავაზეს საინტერესო სამუშაო.

– თუ საიდუმლო არ არის, სად? – ჰკითხა დავითმა.

– ერთ-ერთ კერძო იურიდიულ კომპანიაში, – უპასუხა ანამ.

– ხომ ხედავ, ყველაფერი თავისთავად მოგვარდა, – მირიანმა მოზეიმე სახით გახედა დავითს.

– უკაცრავად, – ჩაურთო ანამ, – მე არ დამიმთავრებია. მე ჯერ არ მიმიცია თანხმობა იმ იურიდიული კომპანიის წარმომადგენლებისთვის. ასე რომ, შემიძლია, ვიფიქრო თქვენს წინადადებაზე. მაგრამ, მანამდე უფრო მეტი უნდა ვიცოდე, კონკრეტულად რას მთავაზობთ.

– საინტერესო სამუშაოს გამოცდილების შეძენისა და კარიერული ზრდის პერსპექტივით. ჯერჯერობით სხვას ვერაფერს შემოგთავაზებთ, – უპასუხა დავითმა.

ანამ გიორგის გახედა და შემდეგ თქვა:

– შესანიშნავია. ჩემთვის სავსებით მისაღებია თქვენი პირობები.

– ძალიან კარგი, – დავითი მირიანს მიუბრუნდა, – ჯგუფის ორი წევრი გვყავს. ახლა ხელმძღვანელის საკითხი უნდა გადავწყვიტოთ.

– უარი რომ გითხრა, როგორ მოიქცევი? – ჰკითხა მან.

– ჩემს კაბინეტში დავბრუნდები და განყოფილების ხელმძღვანელად შენი დანიშვნის ბრძანებას დავწერ.

მირიანმა ჩაფიქრებული მზერა შეავლო ანასა და გიორგის, რომლებიც მოლოდინით შემოსცქეროდნენ და შემდეგ ჩაილაპარაკა:

– კარგი, იყოს ასე...

– კეთილი, – თქვა დავითმა და წასასვლელად ადგა, – ბრძანებას საგამოძიებო ჯგუფ-



ის შექმნის შესახებ დღესვე მოვამზადებ. როგორც კი მთავარი პროკურორი ხელს მოაწერს ბრძანებას, მიიღებთ სისხლის სამართლის პირველ საქმეს. დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული. წარმატებებს გისურვებთ!..

* * *

მირიანი კაბინეტში შევიდა, მაგიდაზე საქაღალდე დააგდო და მძიმედ დაეშვა სავარძელზე.

– რა მოხდა? – მაშინვე ჰკითხა ანამ.

– დავითმა საქმე მომცა, – უპასუხა მირიანმა.

– ნაღდად არ მეგონა, თუ ასეთ ტრაგედიად აღიქვამდი ახალი საქმის მიღებას, – დამცინავად ჩაილაპარაკა გიორგიმ.

– შვიდი წელია, პროკურატურაში ვმუშაობ და მაინც ვერ შევეჩვიე ასეთ საქმეებს, – თქვა მირიანმა და საქაღალდე მაგიდაზე გიორგისა და ანას მიმართულებით გააცურა. მათ მაშინვე გადაშალეს და საქმის მასალების კითხვას შეუდგნენ. სისხლის სამართლის საქმე სამი დღის წინ იყო აღძრული. გამოძიების საფუძველი თბილისის ზღვაზე, თემქის მიდამოებში, არასრულწლოვანი, უფრო ზუსტად კი, 16 წლის ნონა ბაქრაძის აღმოჩენა გახდა. გოგონა მეთერთმეტე კლასის მოსწავლე იყო. იმ დღეს ის სკოლიდან შინ არ დაბრუნდა. დედამისი გარკვეული დროის განმავლობაში ცდილობდა მასთან ტელეფონით დაკავშირებას, მაგრამ, ვერ შეძლო. მას ვერც ნონას მეგობრები დაეხმარნენ გოგონას ადგილსამყოფლის დადგენაში. როდესაც დედამ ყველა შესაძლებლობა ამოწურა, შვილის გაუჩინარების შესახებ პოლიციას აცნობა. დილით კი, ნონა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა ძალადობის კვალი, თბილისის ზღვაზე სათევზაოდ მიმავალმა მამა-შვილმა, პეტრე და რევაზ ინაშვილებმა აღმოაჩინეს. ის უგონოდ იყო. მამა-შვილმა მომხდარის შესახებ პოლიციასა და სასწრაფო დახმარების სამსახურს აცნობა. საბედნიეროდ, მედიკოსების ჩარევა დროული აღმოჩნდა და გოგონას გადარჩენა მოხერხდა, მაგრამ, ის კომაში იყო და ექიმები ჯერჯერობით ვერ ახერხებდნენ მდგომარეობიდან მის გამოყვანას. საქმის მასალებს ერთვოდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, არასრულწლოვანი გაუპატიურებული იყო. მაგრამ, მხოლოდ ეს არ უნდა ყოფილიყო მისი კომაში ჩავარდნის მიზეზი. ექსპერტიზის დასკვნით, მას კეფის მიდამოში ბლაგვი საგნით მიყენებული რამდენიმე ტრავმა აღენიშნებოდა, რამაც შიდა სისხლსდენა და თავის ტვინის მძიმე დაზიანება გამოიწვია. სავარაუდოდ, გაუპატიურების შემდეგ, მოძალადე მსხვერპლის მოკვლას ცდილობდა. ამიტომ, მან რამდენჯერმე ჩაარტყა თავში ბლაგვი საგანი და, როცა დარწმუნდა, რომ გოგონა მკვდარი იყო, იქაურობას გაეცალა.

– ნაბიჭვარი!.. – გიორგიმ ვერ შეძლო ემოციის შეკავება, – ბოდიში, ანა...

– არაფერია... მესმის, – ყრუ ხმით ჩაილაპარაკა ანამ.

– დღეიდან ამ საქმეზე ვიწყებთ მუშაობას, – მირიანი საქაღალდეს გადასწვდა, – ჩემი პირველი წესია: არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ სხვის მიერ მოპოვებულ მონაცემებს. არ არსებობს გამომძიებელი, რამე რომ არ გამორჩეს და არ არსებობს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სრულად ასახავს მომხდარს. ჩვენი მთავარი ამოცანაა, მაქსიმალური სიზუსტით აღვადგინოთ დანაშაულის სურათი. ერთ, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალს, საქმის არსის მთლიანად შეცვლა შეუძლია – ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნებით. ამიტომ, ამ საქაღალდეს გვერდზე გადავდებთ და საქმეზე თავიდან დავიწყებთ მუშაობას. დღეისთვის რამდენიმე ამოცანა გვაქვს გადასაწყვეიტი: მამა-შვილი ინაშვილები თავიდან უნდა დავკითხოთ. შემდეგ ყურადღებით უნდა დავათვალიეროთ შემთხვევის ადგილი. შევხვდებით ექსპერტიზის თანამშრომლებს, ასევე, საავადმყოფოში უნდა გაირკვეს დაზარალებულის ამჟამინდელი მდგომარეობა. აუცილებელია მისი ოჯახის წევრებისა და ახლო ნაცნობების დაკითხვა, მიღებული მონაცემებით კი დავგეგმავთ შემდგომ მოქმედებებს. როგორც ხედავთ, საქმე არც ისე ცოტაა. შედეგის დასაჩქარებლად სამუშაოს გავინაწილებთ. შემთხვევის ადგილზე ერთად გავალთ, შემდეგ მე ექსპერტიზას მივხედავ, თქვენ კი საავადმყოფოში გოგონას მდგომარეობას გაარკვევთ და მისი ნაცნობ-მეგობრების სიას შეადგენთ. გარდა ამისა, საჭიროა დაკითხვაზე ინაშვილების გამოძახება და ამას შენ მოაგვარებ, ანა. ყველაფერი გასაგებია?



– გასაგებია, – უპასუხეს ანამ და გიორგიმ.

– მაშინ, წავედით, – თქვა მირიანმა და საქაღალდე მაგიდის უჯრაში შეინახა.

* * *

მირიანმა გზატკეცილზე შეაჩერა მანქანა. იქვე გლდანი-ნაძალადევის პოლიციის ორი თანამშრომელი ელოდა, რომლებსაც მან შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში დახმარება სთხოვა.

– გამარჯობა, ბიჭებო, – მირიანი მანქანიდან გადმოსვლისთანავე მიესალმა პოლიციელებს, – სად მოხდა ის შემთხვევა?

– გამოგვყევით, – უპასუხეს მათ და თბილისის ზღვის მიმართულებით დაეშვნენ.

ბუჩქნარი, სადაც ინაშვილებმა გოგონა აღმოაჩინეს, გზატკეცილიდან ორასიოდე მეტრით იყო დაშორებული. შემთხვევის ადგილი ჯერ ისევ შემოსაზღვრული იყო ყვითელი ლენტით. ლენტის შიგნით მოქცეულ მოედანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ბალახი ძლიერ იყო მოთელილი – ჩანს, აქაურობა ბევრ ცნობისმოყვარეს იზიდავდა, რომლებსაც საკუთარი თვალით სურდათ, ენახათ ადგილი, სადაც შემზარავი დანაშაული მოხდა.

პოლიციელები ლენტის სიახლოვეს შეჩერდნენ და ერთ-ერთი მათგანი ვითარების ახსნას შეუდგა:

– შეტყობინება დილის 7 საათისთვის შემოვიდა სამმართველოში. განაწესის მიხედვით, გამოძახებაზე ოპერატიული ჯგუფი გავიდა...

– თქვენ იყავით იმ ჯგუფის შემადგენლობაში? – ჰკითხა მირიანმა.

– ვიყავი, – დაუდასტურა პოლიციელმა, – მამა-შვილი გზატკეცილის სიახლოვეს დაგვხვდა. მათ დაზარალებული იმ ადგილას ამოიყვანეს, სადაც მანქანები დავტოვეთ. გოგონა გათიშული იყო და კონტაქტში არ შემოდიოდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ძლიერად იყო ნაცემი – სახესა და სხეულზე რამდენიმე სისხლჩაქცევა ჰქონდა. მისი ვინაობა ვერ დავადგინეთ. დაზარალებულს არც ხელჩანთა ჰქონდა და არც პირადობის დამადასტურებელი საბუთები. ერთადერთი, რაც მისი ნივთებიდან აღმოვაჩინეთ, სპორტული ფეხსაცმელები იყო: ცალი აქვე ეგდო, მეორე კი – აქედან ოცდაათ მეტრში.

– კონკრეტულად სად? – ჰკითხა ანამ.

– აი, იქ, – პოლიციელმა გზატკეცილის მიმართულებით გაიშვირა ხელი.

– სავარაუდოდ, გოგონა გზატკეცილის მხრიდან ძალდატანებით მოიყვანეს და ფეხსაცმელი ბრძოლის დროს გასძვრა! – ივარაუდა გიორგიმ.

– ჩვენც ასე ვფიქრობთ, – გახედა პოლიციელმა.

– ინაშვილების გარდა, შემთხვევას თვითმხილველი ჰყავდა? – ჰკითხა მირიანმა.

– რამდენიმე შემთხვევით გამვლელს თუ არ ჩავთვლით – არა, – განაგრძო პოლიციელმა.

– ვინ იყვნენ ის შემთხვევითი გამვლელები?

– ორი თუ სამი მამაკაცი ინაშვილებივით სათევზაოდ ამოვიდა ზღვაზე. გარდა ამისა, რამდენიმე მანქანა დაშავებული გოგონას შემჩნევისას შეჩერდა გზაზე, მაგრამ, მათი დახმარება საჭირო აღარ გახდა – იმ დროისთვის სასწრაფო უკვე მოსული იყო. ექიმები მხოლოდ ორიოდე წუთით დარჩნენ აქ, გოგონას ინიექცია გაუკეთეს და მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს.

– ფეხსაცმელების გარდა რა ამოიღეთ შემთხვევის ადგილიდან? – ჰკითხა გიორგიმ.

– არაფერი, – თავი გააქნია პოლიციელმა, – აქ ძალიან რთული, თითქმის შეუძლებელია ნივთმტკიცების უბრალო ნაგვისგან გარჩევა. ახლა სათევზაო სეზონია და დილიდან საღამომდე აქაურობას უამრავი ადამიანი აკითხავს. ხშირად საქეიფოდაც ამოდიან ქალაქიდან. ვინ გაარკვევს, მათი დატოვებულია ეს ხარახურა,


## განცხადება

5 ოქტომბრიდან, **ირაკლი აბაშიძის 50-ში** (ბინა №39), იხსნება საკვირაო სკოლა დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის.

დღის განრიგი: შაბათ-კვირას, 10-დან 19 საათამდე; სამჯერადი კვება, გაკვეთილების მომზადება, ვაკის პარკში გასეირნება, ქცევის წესები, ზოგადი განათლება და სხვა.

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 555-53-43-38. თამრიკო**



– პოლიციელმა ბუჩქნარის სიახლოვეს მიმოფანტულ წვრილმან ნაგავზე მიანიშნა, – თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დარჩა?

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა მირიანმა, – ესე იგი, დღის განმავლობაში აქ ხალხმრავლობაა?

– არა... ხალხმრავლობა სხვა სიტყვაა. უბრალოდ აქ ყოველთვის იკრიბება თევზაობის მოყვარული ათი-თხუთმეტი მეთევზე, რომლებიც, ძირითადად, ახლომახლო უბნებიდან – თემქიდან და ლოტკინიდან ამოდიან. იმ საღამოს კი, იქ, – პოლიციელმა ხელით მიანიშნა ზღვის ნაპირის სიახლოვეს მდებარე ბექობზე, – თემქელი ბიჭები ქეიფობდნენ. ჩვენ გავესაუბრეთ მათ და გვითხრეს, რომ საღამოს ცხრა საათამდე იყვნენ ზღვაზე და მათი წასვლისას აქ არავინ იმყოფებოდა.

– არ იმყოფებოდა თუ მათ არ დაუნახავთ? – ჩაეძია ანა.

– არა... არავინ იმყოფებოდა. წასვლისას მათ ბუჩქნარის სიახლოვეს ჩაიარეს და, აქ ვინმე რომ ყოფილიყო, შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ. სავარაუდოდ, დანაშაული უფრო გვიან, ღამით უნდა მომხდარიყო, – თქვა პოლიციელმა.

– კეთილი, – თქვა მირიანმა და ბუჩქნარის სიღრმეში შევიდა. გიორგი და ანა მაშინვე უკან მიჰყვნენ.

ბუჩქნარის ცენტრში, მცირე მოედანზე, ბალახი განსაკუთრებით ძლიერად იყო გათელილი. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ გოგონა თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა მოძალადეს. ვიდრე მირიანი შემთხვევის ადგილს ათვალიერებდა, გიორგიმ ბალახში სიგარეტის რამდენიმე ნამწვავი იპოვა.

– კარგია, – შეაქო მირიანმა, – როდესაც ეჭვმიტანილი გვეყოლება, გენეტიკური ანალიზისთვის გამოგვადგება.

ამ დროს მათ ანა მიუახლოვდათ, რომელსაც ხელში რაღაც მედიკამენტის ქილა ეჭირა.

– ეს რა არის? – ჰკითხა მირიანმა.

– ბუჩქნარის საპირისპირო მხარეს ვიპოვე, – უპასუხა ანამ და ეტიკეტზე მედიკამენტის დასახელება ამოიკითხა: ტრუქსალი... როგორც აქაა მითითებული, ფსიქოტროპიული საშუალება უნდა იყოს.

– ცარიელია? – ჰკითხა გიორგიმ?

– ცარიელია, მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს ამას? – გახედა ანამ.

– ისწავლე, ვიდრე ცოცხალი ვარ. მედიკამენტს უმიზეზოდ არავინ გადააგდებს. ცარიელი იმას ნიშნავს, რომ მედიკამენტი გათავდა და მფლობელმა უსარგებლო ქილა ბუჩქებში მოისროლა. აი, ქილაში მედიკამენტი რომ ყოფილიყო, ვივარაუდებდით, რომ ის ვილაცას შემთხვევით ამოუვარდა ჯიბიდან. შეიძლება, გოგონასთან ბრძოლის დროსაც, – თვალი ჩაუკრა გიორგიმ.

მირიანმა ანას ქილა ჩამოართვა, შეათვალიერა და თქვა:

– მაინც გადავამოწმებთ. როგორც წესი, ფსიქოტროპული საშუალებები სპეციალიზებულ აფთიაქებში და მხოლოდ ექიმის სპეციალური რეცეპტით გაიცემა...

* * *

მირიანი მარტო მივიდა ექსპერტიზის ბიუროში, სადაც უკვე ელოდა მისი ძველი ნაცნობი, ანდრო ჩივაძე. მისთვის უკვე ცნობილი იყო მირიანის სტუმრობის მიზეზი და მომზადებული ჰქონდა ახალ საქმესთან დაკავშირებული ყველა მონაცემი.

– გამარჯობა, – ანდრომ ხელი ჩამოართვა სტუმარს და თხელი საქაღალდე გაუწოდა, – აქ ყველაფერია, რაც შენ მთხოვე.

მირიანი მაგიდას მიუჯდა, საქაღალდე გახსნა, აუჩქარებლად გადაათვალიერა დოკუმენტები და ანდროს მიუბრუნდა.

– მონაცემებს ჯგუფის წევრებთან ერთად პროკურატურაში გავეცნობი დაწვრილებით. ახლა კი შენთან საუბარი უფრო მაინტერესებს.

– რომელ ჯგუფს გულისხმობ?

– მარტო აღარ ვმუშაობ, ორი თანაშემწე მყავს.

– აღარ გენდობიან, თუ თავს ველარ ართმევ გამოძიებას? – ჩაიცინა ანდრომ.

– არა, უბრალოდ, უფრო მეტს მოითხოვენ ჩემგან... საქმეზე გადავიდეთ, – განაგრძო მირიანმა, – დასკვნაში მითითებულია, რომ დაზარალებულს ბლაგვი საგნით მიაყენეს ტრავმები. შენი აზრით, რა უნდა ყოფილიყო ის ბლაგვი საგანი?

– მუშტი... ფეხი... უხეშად რომ ვთქვა, გოგონას გამეტებით სცემდნენ, – უპასუხა ანდრომ, – ურტყამდნენ მუშტებით, ფეხებით და, დარწმუნებული ვარ, რომ ამაში რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდა.

– შენი აზრით, ჯგუფურ დანაშაულთან გვაქვს საქმე? – ჰკითხა მირიანმა.

– ჯგუფურ გაუპატიურებასთან, – შეუსწორა ანდრომ, – დასკვნა, რომელიც შენ საქმის მასალებთან ერთად მიიღე, პირველადი იყო. ჩვენთვის პირველივე წუთიდან ნათელი გახდა, რომ საქმე გაუპატიურებასთან გვქონდა. შემდგომმა ექსპერტიზამ ეს დაადასტურა და, ამასთან, გვიჩვენა, რომ გოგონა ჯგუფური გაუპატიურების მსხვერპლი გახდა.

– ერთი წამით... ეს ვარაუდია თუ ფაქტი?

– ფაქტი, – უპასუხა ანდრომ, – ზუსტ რაოდენობას ვერ დაგისახელებ, მაგრამ, მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ დანაშაულში არანაკლებ ოთხი ადამიანი მონაწილეობდა.

– რაში დასჭირდა ოთხ ნაძირალას გოგონას ასე ცემა, ისინი ხომ ისედაც შეძლებდნენ მის დამორჩილებას?! – ჩაილაპარაკა მირიანმა.

– ვფიქრობ, რომ ისინი მის მოკვლას ცდილობდნენ – ამაზე ტრავმების ხასიათი მიუთითებს. დარტყმებს ძირითადად თავში აყენებდნენ. გოგონას სხეულზე მხოლოდ რამდენიმე სისხლჩაქცევა აღმოაჩნდა – ძირითადად, მკერდსა და ზურგზე. ეს წინააღმდეგობის გაწევისას მოხდა – ჩანს, გოგონა თავის დაცვას ცდილობდა. წაქცეული აქეთ-იქით აწყდებოდა და ამ დროს თავის ნაცვლად სხეულზე იღებდა დარტყმებს. როგორც კი მან წინააღმდეგობა შეწყვიტა, თავდამსხმელებმა მკვდრად ჩათვალეს და შემთხვევის ადგილი დატოვეს.

– ბიოლოგიური ნიმუშები თუ გაქვთ? – განაგრძო მირიანმა.

– რა თქმა უნდა, – დაუდასტურა ანდრომ.

მირიანმა ჩანთიდან მცირე ზომის პოლიეთილენის პაკეტი ამოიღო, რომელშიც შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი ნამწვები ეწყო.

– შევძლებთ ნიმუშებთან შედარებას?

ანდრომ ნამწვები მაგიდაზე წამოყარა, სათვალე მოირგო და ყურადღებით დააკვირდა.

– ამ ოთხი ნამწვიდან ორი ცალი თერთმეტი ნომერი „კენტია“, მაგრამ, მათ სხვადასხვა პიროვნება ეწეოდა. როგორც ჩანს, ერთ-ერთი მათგანი ძალიან ნერვიულობდა: ერთი სიგარეტის ფილტრი დაღეჭილია, მეორისა – არა. რაც შეეხება მესამე და მეოთხე ნამწვავებს, მათგან ერთ-ერთი მენთოლიანი „ქემელია“ და ასეთ სიგარეტს ძალიან ცოტა ეწევა; მეორე კი – იაფფასიანი „ელემი“. კარგი, შევადაროთ დაზარალებულის სხეულიდან აღებულ ნიმუშებს.

– მაინც, რა ნიმუშები გაქვს?

– ნერწყვისა და სპერმის. გარდა ამისა, დაზარალებულის მაისურზე სისხლის კვალიც აღმოჩნდა, რომელიც მას არ ეკუთვნის...

– რამდენი ხანი დაგჭირდება ექსპერტიზისთვის? – ჰკითხა მირიანმა.

– წესით, რამდენიმე დღე, მაგრამ, შენთვის ყველაფერს გვერდზე გადავდებ და სამ-ოთხი საათში დავამთავრებ. შენ დროს ნუ დაკარგავ, საქმეებს მიხედე. ექსპერტიზის შედეგებს პროკურატურაში გამოგიგზავნი.

– შეუცვლელი კაცი ხარ, – ღიმილით თქვა მირიანმა და დასამშვიდობებლად გაუწოდა ხელი.

* * *

რეანიმაციის შესასვლელში რამდენიმე ქალსა და გოგონას მოეყარათ თავი. მათ შორის დაზარალებულის დედა, ლიანა ბაქრაძეც იმყოფებოდა.

გიორგიმ ყურადღებით შეათვალიერა შავ სამოსში გამოწყობილი, ტირილისგან თვალებდასიებული და სახეგაფითრებული ქალი და ანას მიუბრუნდა:

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

– ერთი თხოვნა მაქვს შენთან.

– გისმენ, – უპასუხა მან.

– ასეთ ვითარებაში ყოველთვის მიჭირს დაზარალებულთან საუბარი. მოდი, შენ დაკითხე. მეც იქვე ვიქნები და, თუ რამე გამოგრჩა, შეგეშველები.

– კარგი, – უპასუხა ანამ. შემდეგ ქალს მიუახლოვდა, პირადობის მოწმობა აჩვენა და ჰკითხა, რამდენიმე წუთს ხომ არ დამითმობთო.

– რისთვის? – გადაღლილი ხმით თქვა ლიანამ.

– მესმის თქვენი მდგომარეობა, მაგრამ, რამდენიმე კითხვაზე აუცილებლად უნდა მიპასუხოთ.

– რა შეიცვლება ამით?

– არაკაცს, რომელიც თქვენს გოგონას დაესხა თავს, საბრალდებო სკამზე დავსვამთ.

– და რა ამით?! ეს ჩემს შვილს ჯანმრთელობას ვერ დაუბრუნებს! იმან, რაც მოხდა, საბოლოოდ გაგვასწორა მიწასთან. ნონა 3 წლის იყო, როდესაც მისი მამა მოკლეს. დღესაც მახსოვს ის გამომძიებელი, რომელიც ჩემი ქმრის საქმეზე მუშაობდა. ისიც არ იშურებდა მაღალფარდოვან ფრაზებს სამართლიანობაზე, ბოროტების დათრგუნვა-ამოძირკვაზე და ასე შემდეგ, მაგრამ, მე დღესაც არ ვიცი, ვინ მომიკლა ქმარი. მთელი ცხოვრება იმ იმედით გავატარე, რომ, თავად ახალგაზრდობაში დაქვრივებული და უბედური, ჩემი გოგონას ბედნიერებით მაინც გავიხარებდი, მაგრამ... – ლიანამ სიტყვის გაგრძელება ველარ შეძლო, ხმა აუკანკალდა და თვალებზე ცხვირსახოცი აიფარა.

– მესმის. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არაფერს დავიშურებთ. დამნაშავე ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაისაჯოს, მისი ადგილი გისოსებს მიღმაა. ეს იმისთვის უნდა გავაკეთოთ, რომ მომავალში სხვა დედა არ აღმოჩნდეს ამ პალატის კართან! – ანა ფრთხილად შეეხო ხელზე.

ლიანამ ყურადღებით შეათვალიერა ანა და შემდეგ მზერა მოახლოებულ გიორგიზე გადაიტანა.

– ჩემი კოლეგაა. ერთად ვმუშაობთ ნონას საქმეზე, – თქვა ანამ.

– კარგი... რა გაინტერესებთ? – ჰკითხა ლიანამ.

– სისხლის სამართლის საქმის მასალებში მითითებულია, რომ თქვენ ნუცუბიძის პლატოზე ცხოვრობთ. ეს ზუსტი მისამართია? – ჰკითხა ანამ.

– დიახ.

– თქვენი აზრით, როგორ უნდა ალმოჩენილიყო ნონა თბილისის ზღვის მიდამოებში, ზღვის სიახლოვეს მდებარე უბნებში ნაცნობები ჰყავდა?

– არა, იქ არავის იცნობდა.

– თქვენ თვითონ რას უკავშირებთ მომხდარს, ვინმეზე ხომ არ გაქვთ ეჭვი? – განაგრძო ანამ.

– წარმოდგენა არ მაქვს და ვერც ვერავის დავუკავშირებ მომხდარს. ნონას ბევრი მეგობარი არ ჰყავდა. რამდენიმე თანაკლასელი და მეზობელი – სულ ეს იყო მისი სამეგობრო წრე. ის დილით ჩვეულებისამებრ წავიდა სკოლაში. სკოლის შემდეგ მუსიკის მასწავლებელთან უნდა შევლო და, ამიტომაც, არ გამკვირვებია, სახლში რომ დაიგვიანა. მოგვიანებით კი მისი მუსიკის მასწავლებელი დამიკავშირდა და ნონა მოიკითხა – გაკვეთილი რატომ გააცდინაო. მისი ზარის შემდეგ დავიწყე შვილის ძებნა. ტელეფონით მასთან დაკავშირებას ვერ ვახერხებდით. ნონას ასავალ-დასავალი არც მისმა მეგობრებმა იცოდნენ. გოგონების თქმით, ისინი გაკვეთილების შემდეგ დაემშვიდობნენ ერთმანეთს. ნონა მუსიკის მასწავლებელთან წავიდა, დანარჩენებმა კი სახლებს მიაშურეს – სულ ეს არის. როდესაც ნონა აღარ გამოჩნდა, პოლიციას დავუკავშირდი. დანარჩენი ხომ თვითონაც გეცოდინებათ, – ცრემლმორეული ხმით დაასრულა ლიანამ.

– მეგობარი ბიჭი ხომ არ ჰყავდა?

– არა, – თავი გაიქნია ლიანამ.

– იქნებ, ჰყავდა და თქვენ არაფერი იცოდით ამის შესახებ? – ჰკითხა ანამ.

– ვერაფერს გეტყვით. მის მეგობრებს გაესაუბრეთ, – პალატის შესასვლელთან თავმოყრილ რამდენიმე გოგონაზე მიანიშნა ლიანამ, – ისინი იყვნენ ნონას მესაიდუმლეები.

– გოგონებს დაელაპარაკე, შენთან უფრო გულახდილები იქნებიან, – ანას გადაულაპარაკა გიორგიმ, შემდეგ კი ისევ ლიანას მიუბრუნდა, – სახლში კომპიუტერი თუ გქონდათ?

– დიახ, – დაუდასტურა მან.

– ბუნებრივია, ნონა ინტერნეტითაც სარგებლობდა.

– დიახ...

– თქვენი ნებართვით, კომპიუტერს გარკვეული დროით ამოვიღებთ, – თქვა გიორგიმ.

– რისთვის? – ჰკითხა ლიანამ.

– ნონას აუცილებლად ექნება კომპიუტერში ჩვენთვის საინტერესო გარკვეული ინფორმაცია, მაგალითად, ფოტოსურათები. ჩვენ, ასევე, გვაინტერესებს მისი ინტერნეტკონტაქტები, მიმოწერა... შესაძლოა, მისმა რომელიმე ინტერნეტნაცნობმა გაგვიყვანოს დამნაშავის კვალზე.

– მესმის, მაგრამ, ახლა საავადმყოფოს ვერ დავტოვებ. მე აქ უნდა ვიყო, ჩემი შვილის სიახლოვეს... შეიძლება მისი რომელიმე მეგობარი გამოგყვეთ ჩვენს ბინაში?

– გამოგვყვეს, – დაეთანხმა გიორგი.

ამასობაში ანა ცდილობდა, გოგონებისგან გაერკვია, ჰყავდა თუ არა მას ისეთი მეგობრები, რომელთა შესახებაც დედამისმა არაფერი იცოდა. მისდა სამწუხაროდ, გოგონებმაც არაფერი იცოდნენ ასეთი მეგობრების შესახებ. თუმცა, ანას არ გამოჰპარვია ერთ-ერთი გოგონას დაბნეული გამოხედვა.

– შენ ხომ ვერ მეტყვი რამეს? – გოგონას მიუბრუნდა ანა.

– არა, – გაუბედავად უპასუხა მან.

– რა გქვია?

– ეკა.

– ეკა, არ გინდა, დამეხმარო იმ არაკაცის დასჯაში, რომელმაც შენს მეგობარს ასეთი ტკივილი მიაყენა? – ჰკითხა ანამ.

– მინდა, მაგრამ... – გოგონამ შიშით გახედა ლიანას, შემდეგ კი ანასთან ახლოს მიიწია და ჩურჩულით განაგრძო: ნონას არ უნდოდა, რომ დედამისს ამის შესახებ სცოდნოდა, რადგან, მისი გაბრაზების ეშინოდა – იცოდა, რომ ლიანა დეიდა არ მოუწონებდა ასეთ ნაცნობობას.

– რას გულისხმობ? – ჩაეძია ანა.

– დაახლოებით ერთი თვის წინ ვილაც ბი-



ჭი გაიცნო ინტერნეტით, – ჩურჩულით განაგრძო გოგონამ, – მე მხოლოდ ის ვიცი მის შესახებ, რომ რამაზი ჰქვია, მხატვარია, ოცდაშვიდი წლისაა და მანქანა ჰყავს.

– ნონა ხვდებოდა იმ ბიჭს?

– ხვდებოდა... ის აღფრთოვანებული იყო მისით. ხშირად მიამბობდა მის შესახებ. ამბობდა, რომ რამაზი არაფრით ჰგავდა ჩვენს თანატოლ ყოყლოჩინა და ცუნდრუკ ბიჭებს, ის განათლებული და საინტერესო ადამიანი იყო. გართობისთვის არასდროს იშურებდა ფულს და ნონას მანქანის ტარებასაც კი ასწავლიდა.

– სად ცხოვრობს ან სად მუშაობს ის რამაზი?

– არ ვიცი. ნონამ მითხრა, რომ რამაზმა რამდენჯერმე დაპატიჟა თავის სახლში, მაგრამ კონკრეტულად სად, არ უთქვამს.

– კარგი... შენი ტელეფონის ნომერი და მისამართი მითხარი, – ანამ უბის წიგნაკი და კალამი მოიძია ხელჩანთაში.

– რისთვის?! – უმალ დაიძაბა გოგონა.

– შენ არასრულწლოვანი ხარ და მშობლების თანდასწრების გარეშე შენი დაკითხვა არ შეიძლება.

– მაგრამ, ლიანა დეიდა რომ შეიტყობს ამის შესახებ?! – შიშით თქვა გოგონამ.

– იმაზე საშინელი, რაც უკვე მოხდა, ლიანას აღარაფერი ემუქრება!

– კარგი, – ჩაილაპარაკა გოგონამ და თავისი ტელეფონის ნომერი და მისამართი უკარნახა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


**Stop&Shop**

**25 ლარად Relax & Tone** არის მსუბუქი, ეფექტური და მოსახერხებელი მოწყობილობა, რომელიც კუნთებზე, მყესებზე, თეძოებზე, ბარძაყებსა და ხელის ქვედა ნაწილებზეა ორიენტირებული. მისი უნიკალური მოძრავი ფუნქცია ღრმად აღწევს კანის შიდა ფენებში არასასურველი ცხიმებისა და კალორიების დასაწვავად.



**მისამართი:**
**ვაჟა-ფშაველას №79**
**ტელ 2 182-186; 598 28-34-70.**

**მას მხოლოდ ფსევდონიმით ოცნობენ, ისიც – სატელევიზიო სფეროში, მაგრამ, მაყურებელი კარგად იცნობს მის ყველა ნამუშევარს. „რუსთავი 2-ში“ ცხრამეტწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ის თითქმის ყველა ცნობილი გადაცემის, შოუს რეჟისორი იყო. „ობობა“ – ამით ყველაფერია ნათქვამი: ეს ნიშნავს, რომ გამოსახულება იქნება იდეალური; რომ თქვენ მოგწონთ ის, რაც ეკრანზე ხდება, თუმცა, ნამდვილად არ ფიქრობთ, ვინ დგას კამერების უკან. ამხელა სტაჟის შემდეგ „ობობამ“, იგივე თემურ გოგოლაძემ, რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო და GDS-ის ფეხზე დაყენება გადაწყვიტა. რა გახდა ამის მიზეზი, ამაზე თავად საუბრობს.**

# როგორ აქცევს „ობობა“ დათო გომართელს მონსერატ კაბალიედ და რა საოცრებებს გეგმავს ის GDS-ზე

**– ამ წლების განმავლობაში, ალბათ, ძალიან ბევრ ტელეარხს უნდოდა შენი გადაბირება. რატომ მაინცდამაინც GDS?**

– სხვათა შორის, ასე არ ყოფილა. ყოველთვის ყველამ იცოდა, რომ მე და „რუსთავი 2“ ერთად ვიყავით; რომ ყოველთვის ამ ტელეარხის ერთგული ვიყავი და გადაბირების მცდელობას და რაიმე მომხიბვლელი წინადადების შემოთავაზებასაც კი არ ჰქონდა აზრი. მაგრამ, ბავშვი რომ იზრდება, 19 წლის ასაკში უკვე დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს და ის უნდა წავიდეს სახლიდან, რათა ახალ სივრცეში მოსინჯოს თავისი ძალები. სხვაგან ნამდვილად არსად წავიდოდი, ამის თქმას ვერც გამიბედავდნენ. მაგრამ, უკვე „დიდი ბიჭი“ გავხდი იმისთვის, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება დამეწყო.

**– ეს დამოუკიდებლობა ნამდვილად არის GDS-ში?**

– მივიღე გადაწყვეტილება, რომ კრეატივიდან მენეჯმენტში გადავსულიყავი. GDS-ში არა რეჟისორი, არამედ, გენერალური პროდიუსერი ვარ. მევალება, რომ GDS-ისგან გავაკეთო ისეთი ტელევიზია, რომელიც ბაზარზე შემოვა ამბიციით და რომელიც ამ ბაზარზე მყარად დაიკავებს ადგილს. ჩემი ამდენწლიანი გამოცდილება (უამრავ სხვადასხვა ტიპის გადაცემაზე მიმუშავია და ტელევიზიის სისტემა კარგად ვიცი) მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ამ გამოცდილებით ახალ ტელევიზიაში რადიკალურ გარდაქმნას ნამდვილად მოვახდენ. ეს არის ტელევიზია ახალგაზრდა აუდიტორიისთვის. ამ ტელევიზიაში არ იქნება პოლიტიკა და ეკონომიკა, მაგრამ, იქნება სხვა ყველაფერი – გართობა, შემეცნებითი, საგანმანათლებლო გადაცემები...

**– სერიალები?**

– იქნება სერიალები, ფილმები...



მივიღე გადაწყვეტილება, რომ კრეატივიდან მენეჯმენტში გადავსულიყავი. GDS-ში არა რეჟისორი, არამედ, გენერალური პროდიუსერი ვარ

**– ერთი საიდუმლო ვიცი: ძალიან ცნობილ პროექტს ყიდულობთ, რომელსაც მე ერთ-ერთ რუსულ არხზე ვუყურებ...**

– დიახ, ეს არ არის რუსული პროექტი. რამდენიმე ტელეარხმა დაიწყო ამაზე ფიქრი და, სანამ ისინი ფიქრობდნენ, ჩვენ გადავწყვიტეთ. ეს არის „ენდემოლის“ პროექტი, რომელიც ვიყიდეთ და ამ არხზე გავაკეთებთ. გადაცემას ჰქვია „ერთი ერთში“ და ეს არის კონკურსი. მასში მონაწილეობას იღებენ ვარსკვლავები, რომლებიც კიდევ უფრო დიდ ვარსკვლავებს ემსგავსებიან – უფრო დიდ ვარსკვლავებად გადაკეთდებიან.

**– მაგალითად?**

– მაგალითად, დათო გომართელი შეიძლება გადაკეთდეს მონსერატ კაბალიედ – ის მთელი თავისი ვიზუალით შეიცვლება და იმღერებს საოპერო არიას იმავე ხმით. გვაქვს კიდევ რამდენიმე პროექტი, რომლებზეც წინასწარ საუბარი არ მინდა. ამჟამად ჩაშვებულია დილის და შუადღის ეთერები – ეს ის ორი გადაცემაა, რომლებიც ტელევიზიას აუცილებლად უნდა ჰქონდეს. გვაქვს კიდევ ერთი ძალიან კარგი გადაცემა – „ჯიდიპედია“, რომელიც მთლიანად GDS-ის მოფიქრებულია და მას „GDS-ის შვილს“ ვეძახი.

**– ძალიან დიდია კონკურენცია შუადღის გადაცემებში...**

– გეთანხმები, მაგრამ, ჩვენს „შუადღეში“ სულ სხვა რაღაცეებს მოისმენენ, არავითარ შემთხვევაში არ დავემსგავსებით „რუსთავი 2-ს,“ „იმედს“ და საერთოდ არავის.

**– მეუღლე „რუსთავი 2-ში“ დატოვე?**

– არ დამიტოვებია. წავიყვანე...

**– აი, ეს ნამდვილად არ ვიცოდი („ობობას“ მეუღლე, გვანცა კილასონია, „პროფილის“ ყოფილი პროდიუსერია).**

– ზოგადად, ცოლ-ქმარს ერთად მუშაობა არ უყვარს, მაგრამ, მე ვარ ის ადამიანი, ვისაც ყველაზე მეტად პროფესიონალები მჭირდება ყველა ეტაპზე. გვანცა მუსიკალური გადაცემების პროდიუსერია, ის საუკეთესოა თავის სფეროში, ამ პოზიციაზე და, შესაბამისად, იმის გამო, რომ ჩემი მეუღლეა, უარს ვერ ვიტყოდი მის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმზე. რაც ჩემს ცოლს შეუძლია, ეს ყველა არხს სჭირდება. სჭირდებოდა „რუსთავის 2-ს“ და

**ცოლ-ქმარს ერთად მუშაობა არ უყვარს, მაგრამ, მე ვარ ის ადამიანი, ვისაც ყველაზე მეტად პროფესიონალები მჭირდება ყველა ეტაპზე**

ახლა ძალიან სჭირდება GDS-ს. რომ შევთავაზე, მითხრა – კი ბატონოო. ჩემი, გვანცასი და ნებისმიერი სხვა ადამიანის წამოსვლა „რუსთავი 2-ს“ არ დაეტყობა – ეს არის ძალიან მძლავრი, იდეალური მექანიზმის მქონე მანქანა, საიდანაც მიდიან მოდიან, მაგრამ, ის აღმასვლას განაგრძობს. GDS-ის მიზანია, მინიმუმ, მას დაეწიოს.

**– დავეწიოთ და გავასწროთ შეერთებულ შტატებს.**

– არა, გასწრებაზე ჯერ ძალიან ადრეა საუბარი. ჩემი ერთი წლის, ერთი სეზონის მიზანია, მინიმუმ, ცუდ ხასიათზე დავაყენო სხვა ტელევიზიები ჩემი რეიტინგით. აუცილებლად გავაბრაზებ, თან – კარგად...

**სალომე გველესიანი**



## „ოლდიმპიადა" – ქართველი ცეცხლოვანი ვეტერანი სპორტსმენების იდეა მსოფლიოს

წლების წინ, მადრიდში, გაერომ ჩაატარა მსოფლიოს ქვეყნების კონფერენცია დაბერებასთან დაკავშირებით, სადაც მიიღეს დადგენილება, რომ ხანში შესული ადამიანები – ეს არის ფასდაუდებელი და მეტად საჭირო ეკონომიკური პოტენციალი, რომელთა აზრი, გამოცდილება და შესაძლებლობები აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული. აქედან გამომდინარე, ისინი აუცილებლად უნდა ჩართოს ყველა ქვეყანამ აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთი სიტყვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, მეტი ყურადღება დაუთმოს ასაკოვან ხალხს. ამიტომ, მან ყველა ქვეყანას გაუგზავნა მიმართვა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი სახელმწიფოს განვითარებაში, რათა მათი გამოცდილება, წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა გაიზიარონ ახალგაზრდებმა და იმუშაონ ერთობლივად. ამის გათვალისწინებით, რამდენიმე ქვეყანამ საპენსიო ასაკიც კი გაზარდა.

გაეროს ამ იდეას აქტიურად გამოეხმაურნენ საქართველოში მცხოვრები ვეტერანი სპორტსმენები და, ბატონმა ვლადიმერ მალოვიჩკომ, გურამ სიმონიშვილმა, ჯუმბერ ლეჟავამ, ალექსანდრე გიორგაძემ და ნიკოლოზ ანდრიაძემ „გაეროს ქვეყნების ხანში შესულ სპორტის მოყვარულთა ორგანიზაცია" დააფუძნეს. მათი იდეა საკმაოდ ყურადსაღებია და, იმედი აქვთ, რომ მათ ამ მსოფლიო მასშტაბის ღონისძიებას ბევრი ადამიანი დაუჭერს მხარს. ცნობისთვის, ზემოთ ჩამოთვლილი ასაკოვანი სპორტსმენები ამჟამადაც აქტიურად არიან დაკავებული სპორტით, ეწევიან ჯანსაღ ცხოვრების წესს და მონაწილეობენ ვეტერანთა ტურნირებში, სადაც საპრიზო ადგილებს იკავებენ და ამ გამარჯვებებით კიდევ ერთხელ ამტკიცებენ, რომ, მიუხედავად ამისა, პირველობის ამბიცია ჯერ კიდევ აქვთ.

მათი თქმით, არსებობს ტურნირები, სადაც ტარდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ვეტერან სპორტსმენებს შორის, რაც მათთვის ერთგვარი სტიმულია და იმ წლების გამოცდილებისა და ძალების კიდევ ერთხელ დემონსტრირებაა, რაც დღემდე მოჰყვებათ. აქედან გამომდინარე, მათი სურვილია, ჩატარდეს ოლიმპიადა ხანში შესულ სპორტსმენთა შორის, სადაც, უცხოელ სპორტსმენებთან ერთად, ქართველი ტიტულოვანი სპორტსმენებიც მიიღებენ მონაწილეობას.

იდეის ავტორებმა უკვე აიღეს პატენტი, გაატარეს რეესტრში, შექმნეს ორგანიზაცია „იუნესლო" და ჩამოაყალიბეს საინიციატივო ჯგუფი, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და გაეროს შორის შუამავლის როლს ასრულებს. ეს იდეა ბატონ ბიძინა ივანიშვილსაც გააცნეს და მისი რეკომენდაციით ოლიმპიურ კომიტეტშიც გადაიგზავნა წერილი. როგორც თავად იდეის ავტორები ხუმრობენ, ისინი „ოლდიმპიადის" („ოლდ" – ძველი, მოხუცი) მონაწილეებად ჩაითვლებიან და ბევრ ახალგაზრდას აჯობებენ პირველობისთვის ბრძოლაში.

ასე რომ, ქართველი ვეტერანი სპორტსმენების იდეა მთელი რიგი ქვეყნების მიერ მოსაწონი და მისაღებია. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მათ წარმატებები ვუსურვოთ და ვიხილოთ მომავალ, 2014 და 2016 წლების, სხვადასხვა სახეობის ოლიმპიურ თამაშებში – ვეტერანთა შორის.




## „ბრავო რეკორდსი" ოთო ნემსაძის სადებიუტო ალბომში მუშაობას ამთავრებს

ოთო ნემსაძე 2010 წლის ნამდვილი აღმოჩენაა ქართული მუსიკალური სცენისთვის. „ჯეოსტარში" გამარჯვებისთვის, პროექტის გენერალურმა სპონსორმა „ჯეოსელმა" ოთოს სადებიუტო ალბომის დაფინანსება გადასცა ჯილდოდ. მისი ალბომის ჩაწერასა და გამოცემას მუსიკალური ბიზნესკომპანია „ბრავო რეკორდსი" ახორციელებს.

ალბომის მუსიკალური კონცეფციის იდეა „ჯეოსტარის" ერთ-ერთი ტურის შემდეგ დაიბადა: როდესაც ოთომ სიმღერა „თოვლი" შეასრულა, გადაწყდა, ოთოს ოთარ რამიშვილის ლეგენდად ქცეული სიმღერები ახლებურად ჩაეწერა. ოთარ რამიშვილის ცნობილ ნაწარმოებებს თანამედროვე და საკმაოდ ორიგინალური არანჟირებები უნიჭიერესმა მუსიკოსმა ზვიად ბოლქვაძემ გაუკეთა.

ალბომში, სახელწოდებით – „ფიქრების ზღვა" – შედის ოთარ რამიშვილის ათი საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები; ასევე, ოთოს ერგო პატივი, შეესრულებინა, სამწუხაროდ, ბოლო დუეტი სიმღერაზე „თოვლი," თავად ოთარ რამიშვილთან, რომელიც ალბომში, რა თქმა უნდა, შევიდა. ოთოს ხმის ტემბრმა და შესრულების მანერამ, ასევე, თანამედროვე არანჟირებამ, ისედაც პოპულარული მუსიკალური ნაწარმოებები კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა ახალგაზრდობისთვის.

ალბომის საპრეზენტაციო კონცერტი, რომელიც თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით თბილისობის ღონისძიებების ფარგლებში ტარდება, 5 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მეიდანზე გაიმართება. კონცერტზე, გარდა ალბომში შესული 11 მუსიკალური ნაწარმოებისა, ოთო შეასრულებს დუეტებს ცნობილ მომღერლებთან ერთად.

## ახალი სასწავლო წლის დაწყება ბავშვებს „ნესქვიკმა" მიულოცა




ახალი სასწავლო წლის დაწყება ყველა ბავშვისთვის მნიშვნელოვანი დღეა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სკოლაში პირველად მიდის. „ნესქვიკმა" ეს დღე ბავშვებს ნამდვილ დღესასწაულად უქცია: 14 სექტემბერს „თბილისი მოლში" საბავშვო-გასართობი შოუ მოეწყო. ღონისძიება ყველასათვის საყვარელმა საბავშვო ტელეწამყვანმა – ბაბილინამ გახსნა, რომელმაც ბავშვებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და ათიანებზე სწავლა უსურვა. ამის შემდეგ სცენა ილუზიონისტმა დაიკავა. ბავშვების გაოცება ჯამბაზებმა განაგრძეს და უამრავი სასაცილო და საინტერესო ნომრის შემდეგ გაწვრთნილი ძაღლების გასაოცარი შოუც დადგეს. „ნესქვიკმა" ვიქტორინაც გაათამაშა და საჩუქრები იმ ბავშვებს გადაეცათ, რომლებმაც იცოდნენ, რომ „ნესქვიკი" რძესთან ერთად უნდა დალიონ, რადგან, ის შეიცავს კალციუმს, რკინას და იმ ვიტამინებს, რომლებიც სასარგებლოა ზრდისა და განვითარებისთვის. მართალია, ვიქტორინასა და კონკურსებს მხოლოდ რამდენიმე გამარჯვებული ჰყავდა, მაგრამ, „ნესქვიკს" უსაჩუქროდ არავინ დაუტოვებია – ყველას დაურიგეს თავისი პროდუქცია, სასკოლო ნივთები და უგემრიელესი სასმლის მოსამზადებელი ინსტრუქციები.

ღონისძიებაში მონაწილეობა „ბასტი-ბუბუს" სტუდიის ბავშვებმაც მიიღეს და, ერთიანობაში, ღონისძიება მართლაც რომ შთამბეჭდავი და დაუვიწყარი გამოვიდა, რასაც გამხიარულებული ბავშვები და მათი მშობლებიც აღნიშნავდნენ.



## „კარვენის" პარფიუმი – აღმოჩენა არომატებს შორის – „ისი-პარის" მაღაზიებში უკვე იყიდება

გასულ კვირას ხატია შამუგიამ ჟურნალისტები ნამდვილ არომატულ ზღაპარში მიგვიწვია და წარმოგვიდგინა „კარვენის" პარფიუმი – ბრენდი, რომელიც პირველად შემოვიდა საქართველოში. ეს არის სისუფთავის, ახალგაზრდობისა და პროვოკაციულობის ნაზავი სურნელი, რომელიც ნებისმიერ ქალბატონს უფრო მიმზიდველს ხდის.

„კარვენის" პარფიუმის არომატი სრულყოფილად გამოხატავს ბრენდის სტილს და ხაზს უსვამს მის გრაციოზულობას. ეს არის აღმოჩენა არომატებს შორის, რომლის გამოჩენასაც ბევრი ქალბატონი ელოდა საქართველოში. ის შეგიძლიათ, შეიგრძნოთ და, ამავდროულად, დაინახოთ. მისი ერთი დაპკურებაც კი საკმარისია, რომ თქვენი სხეულის სიგრილე, ენერგიულობა, შარმი და მოდურობა წამოწიოთ წინ. როგორც მისი შემქმნელები ამბობენ, ეს არომატი ადვილად ამოსაცნობი და სასიამოვნოდ სატარებელია: საკმარისია მისი ერთი წვეთის მიპკურება და თქვენ უკვე სასურველი ხართ!

ასე რომ, თუ გსურთ, გახდეთ უფრო მიმზიდველი, სადა, მოდური და ელეგანტური, „კარვენის" პარფიუმი ნამდვილად თქვენთვისაა შექმნილი და, შეგიძლიათ, „ისი-პარის" ქსელში შეიძინოთ!

## „ლოკა ლაუნჯი" სეზონს ხსნის

ყაზბეგის გამზირის №14-ში მდებარეობს არაჩვეულებრივი გასართობი ადგილი – „ლოკა ლაუნჯი", რომელმაც 20 სექტემბრიდან კვირაში ორჯერ კლუბის ფუნქციებიც შეითავსა და არაჩვეულებრივ დიჯეებს გაუხსნა კარი. ეგრეთ წოდებული „ოფენინგ ფართიზე" დაუკრეს ისეთმა შემსრულებლებმა, როგორებიც არიან როტკრაფტი, სტიმპალტი და ფორესტი, 21 სექტემბერს კი კლუბმა ეკალასა და გრინბიმ ენდ ლეონს უმასპინძლა. ასე რომ, გართობის მიზნით, პარასკევი და შაბათი შეგიძლიათ, სწორედ ისე დაგეგმოთ, როგორც ამ დღეებს შეეფერება – ეწვიოთ „ლოკა ლაუნჯს," დაისვენოთ, გაერთოთ, დალიოთ, მოუსმინოთ და იცეკვოთ გემოვნებიან მუსიკაზე, კარგ და კომფორტულ გარემოში.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# როგორ გახდა პეტრე მამრაძის შვილი ეროვნული გამოცდების რეკორდსმენი და როგორ მოიგო მან ერთი ტომარა შოკოლადი

**პეტრე მამრაძის ერთადერთი შვილი, ლიზა მამრაძე, იმ სტუდენტთა შორისაა, ვინც ეროვნული გამოცდები ყველაზე მაღალი შეფასებით ჩააბარა და რეკორდული ქულების მოპოვება შეძლო. 18 წლის ლიზას მუსიკაშიც წარმატებული კარიერა აქვს – ის ევროპული პრესტიჟული კონკურსების არაერთგზის გამარჯვებული პიანისტია, რის გამოც მან მზრუნველ მამას იმპრესარიოს როლი მოარგო.**

**ლიზა მამრაძე**: წელს „ილიაუნის" მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. თავის ქებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ, მოპოვებული ქულების მიხედვით, ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი გავხდი. გერმანულ ენაში მთელ საქართველოში სულ ოთხი 100-ქულიანი შეფასება დაიწერა და მათ შორის ერთ-ერთი მე ვარ. შემიძლია გითხრათ, რომ ოთხივე ასქულიანი შეფასება სამეგობრომ გავიყავით. ქართულ ენაში მაქსიმალური შეფასება იყო 80 ქულა, მე ავიღე 79 – ერთადერთი ქულა დამაკლეს პუნქტუაციაში, რასაც ჩემი პედაგოგი ძალიან აპროტესტებდა. რაც შეეხება მათემატიკას, აქ ცოტა უცნაური ისტორია მოხდა. მათემატიკა ჩემი საყვარელი საგანია, მაგრამ, მომზადება დავიწყე მარტში. რატომღაც, არსებობს მოსაზრება, რომ პიანისტები მათემატიკისგან შორს არიან, მაგრამ მე ყოველთვის ძალიან მიყვარდა მათემატიკა – სახლში პითაგორას ოლიმპიადების დიპლომების კოლექცია მაქვს. მამაჩემი ფიზიკოსია, მაგრამ, სულ ამბობს, რომ მისი არჩევანიც თავის დროზე მათემატიკა იყო, მაგრამ, რატომღაც, ისე მოხდა, რომ ფიზიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. ბევრი კომაროველი მეგობარი მყავს და ყველა მეუბნებოდა, რას მოასწრებ ასე ცოტა ხანშიო. დავნიძლავდით, რომ მაღალ ქულებს მოვიპოვებდი და ნიძლავიც მოვიგე – მაქსიმალური ქულების მოპოვების შემდეგ სახლში ერთი ტომარა შოკოლადებითა და კანფეტებით დავბრუნდი *(იცინის)*.


**როცა ამ ყველაფერმა ჩაიარა, ვხუმრობდით, რომ სახლში კრემლის აგენტი მყავდა**

**– წელს შენს მუსიკალურ კარიერაში განსაკუთრებული წელი იყო. როგორ მოახერხე ასე კარგად მომზადება?**

– ძალიან რთული იყო. წელს რამდენჯერმე მომიწია ფესტივალებსა და კონკურსებზე გასვლა, ისე რომ ლამის კლასში ჩავრჩი და სკოლა ვერ დავამთავრე. საატესტატო გამოცდის დროს სიცილიაში ვიყავი საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მქონდა კონცერტები და მასტერკლასები. ჩემი თანაკლასელები რომ გამოცდას აბარებდნენ, მე იქ ვიყავი. დამირეკეს იტალიაში და მითხრეს: შენ წელს, ალბათ, ვერ გახდები აბიტურიენტიო. განათლების სამინისტრომ გამონაკლისი დაუშვა და ერთი დღე კიდევ დაამატა გამოცდების ჩასაბარებლად ჩემისთანა ბავშვებისთვის. 29 მაისს გამთენიისას ჩამოვფრინდი იტალიიდან, თვითმფრინავს რომ დაეგვიანებინა, სკოლას ვერ დავამთავრებდი. რამდენიმე საათში წავედი სკოლაში და ოთხი გამოცდა ერთად ჩავაბარე. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა – ის ფესტივალი ჩემი მუსიკალური კარიერისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, მასზე უარს ვერ ვიტყოდი.

**– მუსიკას როდის და როგორ დაუკავშირე ცხოვრება?**

– ძალიან პატარა ასაკიდან. მამიდაჩემი, ნინო მამრაძე, პიანისტია; ჩვენი ნათესავია ელისო ვირსალაძე და, ალბათ, მათი გავლენაც იყო. 5 წლის ვიყავი, როცა მუსიკის წერა დავიწყე: ლექსებს ვთხზავდი, მერე კი ამ ლექსებისთვის მელოდიებს ვიგონებდი. მახსოვს ანა კალანდაძის კრებულიდან ყველა ლექსს სიმღერით „ვკითხულობდი". ჩემმა მშობლებმა მაგნიტოფონზე ჩაწერეს ჩემი „წაკითხულ-ნამღერი", რაც მერე ქალბატონ ანასაც მოვასმენინეთ. პედაგოგმა თქვა, აუცილებელია, საფორტეპიანო განათლება მიიღოსო და ჩავაბარე სამუსიკო ათწლედში.

**– რატომ აირჩიე ეს მიმართულება და რატომ არ გადაწყვიტე სწავლა უცხოეთში?**

– მე მქონდა რამდენიმე შემოთავაზება – შემეძლო სწავლა გამეგრძელებინა ინგლისში, მუსიკის სამეფო აკადემიაში და ეს შანსი ნებისმიერ დროს შემიძლია, გამოვიყენო; ამას გარდა, წარდგენილი ვარ დაადის სტიპენდიაზე. ჩავაბარე გამოცდა, რომლის შედეგებითაც გერმანული ენის დიპლომში ამიერკავკასიაში საუკეთესო შედეგი ვაჩვენე, რაც, შესაბამისად, იყო იმის წინაპირობა, რომ სწავლა გამეგრძელებინა ევროპაში. ეს თემა ძალიან აქტუალურია მამაჩემისთვის, რომელიც მაინც ფიქრობს, რომ სწავლა უნდა გავაგრძელო უცხოეთში, სადაც გარანტირებული ვიქნები კარგი განათლებითა და სტიპენდიით. ამ ეტაპზე ამ საკითხში ჩვენი აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა – მე თბილისში მირჩევნია სწავლა და ცხოვრება, რადგან, აქ მყავს მეგობრები და სხვაგან ძალიან გამიჭირდება მარტოს. ისეთ ასაკში ვარ, ჩემს ქვეყნაში მირჩევნია ყოფნა არჩევანი კი „ილიაუნზე" იმიტომ შევაჩერე, რომ ამ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა მუსიკის ცენტრი, რომელიც შედის ჩემ მიერ არჩეულ ფაკულტეტში და არის ძალიან საინტერესო პროგრამები პიანისტებისთვის, კომპოზიტორებისთვის. დღეს ამ ცენტრს აქვს ერთ-ერთი საუკეთესო დანადგარები კომპოზიციებში, რაც ჩემთვის, როგორც პიანისტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს, რაც არ არის კონსერვატორიაში. ამას გარდა, მე აქ მაქვს საშუალება, ავირჩიო მეორადი პროფესია; ძალიან ვარ დაინტერესებული კულტურის მენეჯმენტით და სწორედ ამან გადამაწყვეტინა არჩევნის გაკეთება ამ ფაკულტეტზე.

**– ლიზა, შენ ცნობილი და წარმატებული მამის ერთადერთი შვილი ხარ. როგორ აისახებოდა ეს შენს ცხოვრებაზე?**

– მამა ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადამიანია, დღემდე ყოვლისშემძლე კაცი მგონია. როგორც ყველა დედისერთას, მეც ძალიან მანებივრებდნენ. ჩემთვის ყველა საზრუნავი მოხსნილი იყო, მთავარი იყო სწავლა და ფორტეპიანო. ახლა, როცა ხშირად მიწევს უცხოეთში მარტო წასვლა, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიჭირს, არაფერი არ მეხერხება, სამზარეულოში ხომ საერთოდ არ შევიშვები *(იცინის)*. ის, რომ მამა მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, დღეს ძალიან კარგად მახსოვს. ამას ბევრი დადებითი მომენტი ახლდა – მე ძალიან ამაყი ვიყავი მამაჩემის გამო; თუმცა, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, მამას ძალიან მორიდებული ცხოვრების წესი და სტილი ჰქონდა. ვინც ჩემთან არაა ნამყოფი, ყველას ჰგონია, რომ სასახლეში ვცხოვრობ, მაგრამ, როცა ნახულობენ ჩვენს სახლს, ხვდებიან, რომ არაფრით არაა გამორჩეული. მამა ყოველთვის თავშეკავებული კაცი იყო, მისი მთელი ენერგია და ყურადღება ჩემკენ იყო მომართული, თუმცა, თავისი სამსახურიდან გამომდინარე, ბევრი თავისუფალი დრო არ ჰქონდა. მაგალითად, 10 წლის ვიყავი, როცა პირველად ვნახე ზღვა და მამასთან ერთად დავისვენე. მანამდე ზღვაზე ვერ მივყავდი – როგორც ვიცი, ასლან აბაშიძესთან ჰქონდა უთანხმოება. ჩემი ყველა მეგობარი დადიოდა ზღვაზე, მე კი არასდროს ვიყავი ნამყოფი და ის ზაფხული დღემდე დაუვიწყარ პერიოდად მახსენდება. შარშან მე და მამა საბერძნეთში ვიყავით ფესტივალზე, რომელიც ჩემი სოლო კონცერტით გაიხსნა. მამა ბევრს ხუმრობდა: როლები შევცვალეთ – თუ ადრე შენ იყავი პეტრე მამრაძის შვილი, ახლა აქ მე ვარ ლიზა მამრაძის მამაო *(იცინის)*. საჩუქრებს რომ ვიღებდი, ძალიან უხაროდა. როცა თბილისში დავბრუნდით, აეროპორტში, სადაც მამა ყველამ იცნო და ყველა ესალმებოდა, მითხრა – აი, ჩვენს ქვეყანაში უშენოდაც მცნობენო. ძალიან ცუდად მახსენდება ის პერიოდი, როცა მამამ სამსახური დატოვა და მასზე ისეთ რაღაცეებს ამბობდნენ, რაც ჩემთვის ძალიან რთული მოსასმენი იყო. ისეთ ასაკში ვიყავი, ემოციურად რთული გადასატანი იყო ჩემთვის, თუმცა, მამა სულ ცდილობდა, რომ ეს ხმები ჩემამდე არ მოსულიყო. ხომ იცით, თბილისი პატარა ქალაქია და ვერავის აუკრძალავ ლაპარაკს. იმ პერიოდმა კარგად დამანახვა, ვინ ჩემი იყო და ვინ – არა, მამის წყალობით კარგი ცხოვრებისეული გაკვეთილი მივიღე. ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა და ბევრიც ვისწავლე. მახსოვს, მერე, როცა ამ ყველაფერმა ჩაირა, ვხუმრობდით, რომ სახლში კრემლის აგენტი მყავდა *(იცინის)*. 18 წლის გავხდი, პირველად ვიღებ მონაწილეობას არჩევნებში და ეს ძალიან მიხარია. მოქალაქეობრივად ძალიან აქტიური ადამიანი ვარ, რაც, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, მამას დამსახურებაა – ყველა მიტინგზე დავდიოდი, რაც რუსთაველზე იმართებოდა. მახსოვს, ეს რომ სახლში გაიგეს, ერთ-ერთ მიტინგზე ყველა ერთად დამეცა თავზე – დედა, მამა, ბებია, ბაბუა. დღემდე ჩემი მთავარი მარშრუტია რუსთაველი – ჭავჭავაძის გამზირი, ავტობუსებშიც კი მცნობენ. სხვაგან არსად არ მიშვებენ მშობლები და მათთვის ჩემი მიტინგზე ყოფნა, წარმოუდგენელი იყო. ძალიან მიკვირს: თბილისში მარტოს არსად მიშვებენ, უცხოეთში კი 13 წლიდან მარტო დავდივარ; აეროპორტშიც კი არ მხვდება არავინ, სასტუმრომდე მისვლა და სხვა ყველაფერი ჩემი მოსაგვარებელია და, რა ვიცი, მაინცდამაინც აქ დავიკარგები?! *(იცინის)*.

**– მამა, ალბათ, ძალიან გიწყობს ხელს სამუსიკო კარიერაში.**

– ადრე არ უნდოდა, რომ მუსიკას გავყოლოდი. ლიტვაში გავხდი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, მქონდა კონცერტები ავსტრიაში, ბელგიაში, იტალიაში, სადაც გამოვდიოდი ფესტივალებზე, რის შემდეგაც ამ ქვეყნებში მქონდა მიწვევები სოლო კონცერტებით. დღეს ყველაფერი სხვანაირადაა – შეიძლება ითქვას, რომ მამა ჩავითრიე ჩემს საყვარელ საქმეში, ანუ, ის ხშირად დამყვება კონკურსებზე, საბერძნეთშიც კი წამოვიდა ჩემთან ერთად. ამბობს, შენი იმპრესარიო ვარო, თუმცა, ხანდახან იმასაც ხუმრობს, რომ იმპრესარიოებს კარგი ანაზღაურება აქვთ, მე კი მას არაფერს არ ვუხდი. მამა განსაკუთრებულად უფრთხილდება ჩემს დიპლომებსა და სიგელებს, ყველა სათუთად აქვს შენახული. ზოგიერთი დიპლომი მე არც კი მაქვს ნანახი – მათი ადგილი მამას მიერ სპეციალურად გაკეთებულ ალბომშია. როგორც მამა ხუმრობს, ის არა მხოლოდ ჩემი იმპრესარიო, არამედ, ჩემი პირადი მდივანიც არის *(იცინის)*.

**თამუნა ნიჟარაძე**

# კალეიდოსკოპი

## ხანდაზმულობის ახალი რეკორდი

ეთიოპიელი ჯაკობო ება ამტკიცებს, რომ ის 160 წლისაა. ყოფილი ფერმერი ყვება, რომ ის მომსწრეა ეთიოპიაში იტალიელთა შეჭრისა: „მაშინ ორი ცოლი მყავდა და მოზრდილი ვაჟი, რომელიც ნახირს მწყემსავდა“. რეპორტიორების აზრით, ება ისეთ დეტალებს იხსენებს, რაც საფუძველს იძლევა, მისი ნათქვამი სარწმუნოდ მიიჩნიონ. თუმცა, რადგან ის „ზეპირი კულტურის“ საზოგადოებაში იზრდებოდა, სადაც გამორიცხული იყო ყოველგვარი დოკუმენტაციის შედგენა, შესაბამისად, ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთიც არ არსებობს. ასეთი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში ება 46 წლით უფროსი გამოდის დღევანდელ მსოფლიო რეკორდსმენზე, იაპონელ მისაო ოკავაზე, რომელიც უკვე გინესის რეკორდების წიგნშია შესული. ის გადააჭარბებს, აგრეთვე, ფრანგ ჟანა კალმანის რეკორდსაც, რომელიც 1997 წელს 122 წლის ასაკში გარდაიცვალა და ჯერჯერობით მსოფლიოში ოდესმე მცხოვრებ ყველაზე ხანდაზმულ ადამიანად ითვლება.

## იყიდება: 3,46 მილიონ დოლარად – თხა, 2 მილიონად – ცხვარი

ყველაზე ძვირად ღირებული თხა მსოფლიოში 9 სექტემბერს გაიყიდა – საუდის არაბეთის დედაქალაქ ელ-რიადში ადგილობრივმა მეჯოგე-ბიზნესმენმა თავის თხაში 13 მილიონი საუდის რიალი (3,46 მილიონი დოლარი) მიიღო.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, მართალია, ფასი ნამდვილად გადამეტებულია, მაგრამ, ეს ცხოველი ძალზე იშვიათ ჯიშს განეკუთვნება და უნიკალური თვისებები აქვს, მაგრამ, სახელდობრ როგორი – არ დაუზუსტებიათ. უცნობი რჩება, ასევე, ძვირად შეფასებული თხის ჯიშიც.

თხის ფოტომ და გადახდის ჩეკმა, რომელზეც ასტრონომიული თანხა იყო დაფიქსირებული, დიდი რეზონანსი გამოიწვია. „ასეთი უზარმაზარი თანხა იხარჯება ცხოველის შესყიდვაზე მაშინ, როდესაც ორ მილიონზე მეტი ლტოლვილი სირიიდან კარვებში ცხოვრობს თურქეთში, ლიბანსა და იორდანიაში. ჩვენ ღმერთისგან გამოგზავნილი ფული ადამიანების სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ“, – წერენ აღშფოთებული მომხმარებლები სოციალურ ქსელებში.

აღსანიშნავია, რომ საუდის არაბეთში განსაკუთრებით ფასობს იშვიათი და ლამაზი თხები, ქვეყანაში თხებს შორის სილამაზის კონკურსიც იმართება; ჩინეთში კი ცხვარს აძლევენ უპირატესობას. იშვიათი ჯიშის ცხვარში – დოლანში, რომელიც მსოფლიოში მხოლოდ 1 000 ცალია შემორჩენილი, ადგილობრივი მდიდარი ფერმერები მზად არიან, 2 მილიონ დოლარზე მეტიც გადაიხადონ.

## „უცხოს“ ურჩხული ჩვენი ყოფილა

ჩინეთში, ცზიანსუს პროვინციაში, მტკნარ ტბაში აღმოაჩინეს არსება, რომელიც ძალიან ჰგავს უცხოპლანეტელ პარაზიტ მხეცს, ფილმიდან „უცხო“, თუმცა, ამ გამოგონილი პერსონაჟისგან განსხვავებით, ის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს ადამიანისთვის. სქელი ჟელეს კონსისტენციის მქონე სხეულის, კბილებიანი „ურჩხული“, რომლის გადიდებული ფოტო სამეცნიერო ფანტასტიკის ნებისმიერ მოყვარულს შეაშინებდა, სინამდვილეში თევზის იშვიათი სახეობაა – მეწამული გველთევზა. ის ამფიდრომის ტიპს მიეკუთვნება. ეს ტიპი აერთიანებს თევზებს, რომლებიც რეგულარულად მიგრირებენ მტკნარ და მარილიან წყლებში, თუმცა, არა გასამრავლებლად. ამ „მოგზაურობაში“ ეს უცნაური არსება ასობით კილომეტრს გადის. მეწამული გველთევზა 30 სანტიმეტრამდე იზრდება, წყლის გარეშეც საკმაოდ დიდხანს ძლებს და, კიბოსნაირების გარდა, წვრილი თევზებითა და უხერხემლოებით იკვებება. ჩვეულებრივი თევზივით, მას საჭმელად იყენებენ, თუმცა, რეწვის ობიექტი არ არის – ალბათ, მისი საშინელი შესახედაობის გამო.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

**თეა დონღუზაშვილმა, რომელსაც ჩვენი ჟურნალის მკითხველი კარგად იცნობს, აქტიურ სპორტს თავი დაანება და რუსეთის ძიუდოისტ ქალთა ნაკრების მწვრთნელის პრესტიჟული საქმე ჩაიბარა. ამბობს, რომ ხანდახან ენატრება ტატამი, ვარჯიში და ისიც აღნიშნა, რომ სპორტსმენობა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მწვრთნელობა. თეა რიოშიც იყო ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც მამაკაც ძიუდოისტთა ნაკრებს აქტიურად გულშემატკივრობდა. ისიც თქვა – არ მინდა, ქართველმა მკითხველმა ცუდად გამიგოს და გულში რამე ხინჯად დარჩესო. ქართველ სპორტსმენს, რომელსაც ტიტულები მძიმე წონაში, სამწუხაროდ, სხვა ქვეყნის სახელით აქვს მოპოვებული, რუსეთის ძიუდოს ფედერაციამ მადლიერების ნიშნად გამომშვიდობებისას სასიამოვნო სურპრიზი მოუმზადა – საკმაოდ ძვირფასი საჩუქარი აჩუქა, ასეთი რამე ამ ფედერაციის ისტორიაში პირველად მოხდა. თეა მცირე ხნით ჩამოვიდა თბილისში. ცოტა ქართულიც დაავიწყდა და ქუჩებიც ერევა ერთმანეთში, თუმცა, მიუხედავად რუსეთში 17-წლიანი ცხოვრებისა, მაინც ქართველად მიიჩნევს თავს.**

# რა ძვირფასი საჩუქარი გაუკეთა რუსეთის ყველაზე ტიტულოვან ძიუდოისტ ქალს რუსეთის ძიუდოს ფედერაციამ და როგორ გახდა რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი თეა დონღუზაშვილი

**თეა დონღუზაშვილი:** რუსეთის ძიუდოისტ ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გავხდი და ბევრად უფრო მეტად ვარ დატვირთული, ვიდრე აქტიურ სპორტში ვიყავი. გამომშვიდობებისას რუსეთის ძიუდოს ფედერაციამ მაჩუქა ძალიან ორიგინალური ფერის „ლენდკრუიზერ პრადო" – მუქი ნაცრისფერია, მაგრამ, მზის შუქზე ლურჯად ჩანს ***(იცინის).*** ასეთი რამ მისი არსებობის ისტორიაში პირველად მოხდა, გამომაცილეს და მაშინვე შემომთავაზეს, მწვრთნელად დავრჩენილიყავი ნაკრებში.

**– მანქანით ჩამოხვედი თბილისში. როგორ იარე, არ გაგიჭირდა ამხელა მანძილზე ავტომობილით მოძრაობა?**

– 2 600 კილომეტრი დავფარეთ და უდიდესი სიამოვნება მივიღე! ორჯერ გამაჩერეს „გაის" თანამშრომლებმა – მართვის მოწმობის ჩამორთმევა უნდოდათ ჩემთვის, მაგრამ, მერე მიცნეს და დამინდეს – ძალიან დიდი სიჩქარით მოვდიოდი – 172-ით და, რა თქმა უნდა, დააფიქსირა რადარმა, მაგრამ, მერე მიცნეს, გამომელაპარაკნენ და უფრო მსუბუქი ჯარიმა გამომიწერეს, მოკლედ, ორჯერ გადავრჩი. საერთოდ, ნელა დავდივარ. პეტერბურგში იმხელა საცობებია, სწრაფად ვერც ივლი, თუმცა, როცა ტრასაზე ხარ და მანქანაც გაძლევს ამის საშუალებას, მაშინ კარგია.

**– შარშანდელი არჩევნების მერე რამე შეიცვალა რუსეთში ქართველების მიმართ?**

– პოლიტიკას მაინც ვერ ავცდით, არა? მე ადრეც გითხარით, იმის გამო, რომ ქართველი ვარ, ჩემ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არასდროს მიგრძნია. თუ არალეგალი ხარ, არ გაქვს ვიზა, ენა არ იცი, ბუნებრივია, შეგექმნება პრობლემები! პირიქით, ყველანაირად ხელს მიწყობდნენ. კარგია, რომ შერბილდა დაძაბულობა და გზები გაიხსნა. ერთადერთი დიდი სურვილი მაქვს – მინდა, სავიზო რეჟიმი გამარტივდეს. მე კი ჩამოვდივარ ხოლმე, მაგრამ, ჩემი ახლობლებისთვის დიდი პრობლემაა – ვერ ჩამყავს იქით. ძირითადად, იქ ვხვდებით ხოლმე, სადაც შეჯიბრებები და ტურნირები გვაქვს, მაგალითად, თურქეთში, აზერბაიჯანში... იქ ვახერხებ ხოლმე ახლობლების ნახვასა და მოსიყვარულებას.



**ახლა უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ მამაკაცებს ეშინიათ ძლიერი ქალების. ფიზიკურად ძლიერი ქალი ვარ, მაგრამ, სულის სიღრმეში ვარ ნაზი, ფუმფულა და ფაქიზი**

**– პირად ცხოვრებაზე გკითხავ: ისევ მარტო ხარ? წინა ინტერვიუში მითხარი, კაცებს ჩემი, როგორც ძლიერი ქალის, ეშინიათო.**

– სამწუხაროდ, ისევ მარტო ვარ ***(იცინის).*** ეგეთი კი არა, საერთოდ არანაირი არ მოინახა, რომ ამერჩია. არ ვიცი, რატომ ხდება ასე – ალბათ, ისეთ კაცებს, ვინც არ მიზიდავს, ყურადღებას არ ვაქცევ და, ვისაც ვაქცევ, ის უკვე დაკავებულია ***(იცინის).*** რა ვიცი, ასე გამოვიდა. იყო პატარ-პატარა გატაცებები და ახლაც არის, მაგრამ, ამას სიყვარულს ვერ დავარქმევ. რამე სერიოზული რომ იყოს, სიამაყით ვიტყოდი. საერთოდ, ძალიან სწრაფად მიყვარდება და სწრაფადვე მიცივდება გული, შეიძლება დღეს ერთი მომწონდეს, ხვალ – მეორე, ზეგ – მესამე... ახლა უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ მამაკაცებს ეშინიათ ძლიერი ქალების. ფიზიკურად ძლიერი ქალი ვარ, მაგრამ სულის სიღრმეში ვარ ნაზი, ფუმფულა და ფაქიზი ***(იცინის).***

**– ისიც სპორტსმენია?**

– არა, სხვა სფეროს წარმომადგენელია.

**– ისიც თქვი, ხასიათით იქაურებს დავემსგავსეო და ესე იგი მალე არ ბრაზდები?**

– არა, იშვიათად ვბრაზდები. ქართლელი ვარ, მცხეთელი, თუმცა, 7 წლამდე ზესტაფონში ვიზრდებოდი და, აქ რომ მიმიყვანეს სკოლაში, „წევიდა-მევიდა", „მობრძანდი ბატონოთი" ვლაპარაკობდი და ყველა დამცინოდა. მიკვირდა, რატომ დამცინიან-მეთქი ***(იცინის).*** ქართველები ძალიან ემოციურები არიან და ამ ემოციას ყველა აფრქვევს, თუნდაც, საჭესთან მამაკაცები... ჩემს დას ვეუბნები, ქართველები ყველანი სამკურნალოები ხართ-მეთქი. რუსებმა თავიანთ ფლეგმა ხასიათზე გადამიყვანეს, თორემ, ალბათ, მეც ასეთი ვიყავი. თვითონ მანქანის ტარება არ იციან და ქალებს რას აბრალებენ?! თბილისში ქვეითი და მძღოლი – ყველა ერთნაირად არანორმალურად დადის! ევროპაში ბევრჯერ ვარ ნამყოფი და იქ „ზებრის" ორივე მხარეს ჩერდებიან მძღოლები, რომ გაგატარონ. ვფიქრობდი, სანკტ-პეტერბურგზე უფრო საშინელი მოძრაობა სად უნდა იყოს-მეთქი და, თურმე, თბილისში ყოფილა! შუქნიშანთან რომ ვდგავარ, ისე მისიგნალებენ უკნიდან, გეგონება მანქანებს უნდა გადავაფრინდე ***(იცინის).*** ისე, საჭესთან მეც ვილანძღები და ვიგინები ხოლმე.

**– შენი დები არ გაჰყვნენ სპორტს?**

– არა, მარტო მე. ხომ იცი, თითო მახინჯი ყველა ოჯახში გამოერევა ***(იცინის).*** ფარიკაობა მიყვარდა და მინდოდა ფარიკაობაზე მისვლა, მაგრამ, მამაჩემმა ჩემს ტყუპისცალ ძმას უყიდა კიმონო, მას კი არც ჩაუცვამს, ისე ვაჩუქეთ სხვას. მამას შევუჩნდი, მეც მიყიდე-მეთქი. მერე ბიძაჩემმა დამაინტერესა ძიუდოთი – ნახა, რომ მონაცემები მქონდა და, ვარჯიშის დაწყებიდან ორ კვირაში საქართველოს პირველობა მოვიგე! ყველაზე დიდი ვიყავი ტანით – 13 წლის ასაკში ამხელა ვიყავი თითქმის, რაც ახლა ვარ. ძალიან აქტიური ბავშვი ვიყავი, ბიჭებთან ვთამაშობდი, ქუჩაში დავრბოდი მთელი დღე. პირველი ადგილი რომ ავიღე, არ მჯეროდა. ვაზარი დონღუზაშვილსო, რომ გამოაცხადეს, ვიფიქრე, რომ დამაჯარიმეს. ისე ჩამოვიკიდე მედალი, სახლამდე არ მომიხსნია. ძლიერი ვიყავი სხვა გოგოებთან შედარებით; ჟინიანიც ვიყავი ძალიან. ნაკრებში რომ მოვხვდი და მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები ვნახე, ვიფიქრე: რატომ, მარტო მონაწილეობა, მე მედალი მინდა-მეთქი.

**– ესე იგი, ქალური რაღაცები არ გიზიდავს?**

– როგორ არა! კერვა და ქსოვა მეხერხება არაჩვეულებრივად; კარგ ტირამისუს ვაცხობ.

**– იყო ისეთი მარცხი შენს კარიერაში, რომელიც დღემდე მწარედ გახსოვს?**

– იყო, სამწუხაროდ – ორჯერ და დღემდე ვერ ვინელებ, დღესაც ვერ ვუყურებ იმ შეხვედრას, ფინალში გადასასვლელი შეხვედრა, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე წავაგე და, კიდევ, პეკინის ოლიმპიადაზე – მყესი გამიწყდა და წავაგე, არადა, მედალი თითქმის ხელში მეჭირა, თუმცა, მანამდე სერიოზული ტრავმა არ მქონია. საშინლად ვტიროდი, იქიდან რომ გამოვედი.

**– თეა, რიოში გამართული ჩემპიონატის შემდეგ მითქმა-მოთქმა იყო იმაზე, რომ შენ რუსეთის ნაკრებს გულშემატკივრობდი ქართველებთან შეხვედრის დროს.**

– საქართველო ჩემი სამშობლოა და მას არასდროს არაფერი შეცვლის, მაგრამ, ის არის ჩემი სამსახური, რაშიც ხელფასს ვიღებ, რაშიც ვცდილობ, წარმატებას მივაღწიო! ვარ რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი; დღეს ვინც ვარ, რუსების წყალობით ვარ. რა თქმა უნდა, რუსების მხარეს ვიყავი. მართალია, ქალებმა ამ ჩემპიონატზე სენსაცია ვერ მოახდინეს, რადგან, ევროპის ჩემპიონატის მერე ძალიან დიდი ფიზიკური დატვირთვა ჰქონდათ. საერთოდ ქართველ ძიუდოისტებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, შეყვარებული ვარ ადამ ოქრუაშვილზე, „მედვეჟონაკს" ეძახიან რუსეთში. რუსები ეჭვიანობენ კიდეც, იმათთან უფრო დიდ დროს ატარებო.

სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ საშინლად არაობიექტური იყო მსაჯობა – ჭრიკიშვილმა შეჭამა ფრანგი მეტოქე და ვერცხლი აიღო. ჩვენ ვამზადებთ ახლა საჩივარს ამის თაობაზე.

**– მკაცრი მწვრთნელი ხარ?**

– ასე ვერ ვიტყოდი, ევროპული მიდგომა მომწონს უფრო. ჩემს დროს გვაძალებდნენ მკაცრად, ახლა კი ასეა: თუ უნდა, ექნება შედეგი; არ უნდა და – არ ექნება.

**– პუტინთან ისევ გაქვთ ხშირი ურთიერთობა?**

– შედარებით ნაკლებად. ოლიმპიადის წინ ვნახეთ, სულ დადის საგულშემატკივროდ. მისი მწვრთნელი გარდაიცვალა და იყო მოსული. საერთოდ, პუტინს სამბო უფრო იტაცებდა, თუმცა, მისი ასაკისთვის საკმაოდ კარგადაა მომზადებული.

**ქეთი დიდებულიძე**



**მარიტა ჯანაშია გასულ წელს თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა – სამსახიობო ფაკულტეტზე ჩააბარა, წელს კი უკვე მეორე კურსზეა. მთელ უნივერსიტეტში მისი ჯგუფის მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაა, რადგან ბევრი ცნობილი მსახიობისა თუ რეჟისორის შვილიშვილებმა და შვილებმა ერთად მოიყარეს თავი.**

# რა ხდება მარიტა ჯანაშიასა და ჯეჯი გომელაურს შორის და როგორ შეხვდნენ მარიტას გადაწყვეტილებას ოჯახის წევრები

**მარიტა ჯანაშია**: ძალიან მომწონს თეატრალურში სწავლა, ჯერჯერობით კმაყოფილი ვარ. ძალიან საინტერესო საგნები ისწავლება. ცალ-ცალკე რაზეც მინდოდა სიარული და სწავლა, ყველაფერი აქ ისწავლება. თან, გიზო ჟორდანიასა და ნანუკა ხუსკივაძის ჯგუფში ვარ და, ეს არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ, მათთვის, ვინც ჩვენს ჯგუფში მოხვდა, დიდი გამართლებაა. არაჩვეულებრივი ადამიანები არიან, მათგან იმდენ რამეს ვისწავლი, ვერსად ვერავინ რომ ვერ მასწავლის.

**– როგორ შეხვდნენ ოჯახში შენს გადაწყვეტილებას?**

– ბებია ძალიან მგულშემატკივრობს, ჩემს



ყველა გამოცდას დაესწრო. დედაჩემს არ უნდოდა, რომ სამსახიობოზე ჩამებარებინა, მამამ – შენ როგორც გინდაო, ანუ, ბებიამ უფრო დამიჭირა მხარი. უბრალოდ, ბებია ყველა სპექტაკლში კვდებოდა, ახრჩობდნენ და ამის გამო მთელი ოჯახი დასტრესილი იყო. ამიტომ, მამამ რომ გაიგო, სამსახიობოზე ვაბარებდი, დიდად არ აღფრთოვანებულა, მაგრამ, წინააღმდეგობა არ გაუწევია. ჩემი არჩევანი იყო და ხელი არავის შეუშლია. დედამაც არ იცის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. მოკლედ, საბოლოოდ, ყველამ დადებითად მიიღო ჩემი გადაწყვეტილება.

**– რა ხდებოდა გამოცდებზე, ბევრი ინერვიულე?**

– ჩვენს გამოცდებს ძალიან ბევრი ხალხი ესწრება, თან, ჩვენი ჯგუფის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი აქვთ. პირველად რომ გამოვედი ჩვენებაზე, მაშინაც არ მინერვიულია ასე. ოსტატობის გამოცდა ღია იყო და 50 კაცამდე მაინც ესწრებოდა: ბავშვები, ლექტორები, მშობლები. სულ ვამბობდი: ხალხის როგორ უნდა შემეშინდეს, ჩვენებებს იმდენი კაცი ესწრება-მეთქი, მაგრამ, გამოცდაზე 50 კაცი რომ მოვიდა, ისე ვინერვიულე, კინაღამ გული გამისკდა. ყოველი გამოხედვა გძაბავს, თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, კმაყოფილი ვარ. ძალიან საინტერესო ჯგუფი გვაქვს – 18 სტუდენტი ვართ და ყველა ინდივიდუალურია. ჩემთან ერთად სწავლობენ: ელდარ შენგელაიასა და არიადნას შვილიშვილი – ნატალია ჯუღელი; ნიკოსა და ეკას შვილი – ჯეჯიკო გომელაური; ნინო ქორიძის შვილი – ირაკლი კვირიკაძე; ამირან შალიკაშვილის შვილიშვილი – მარიამი; უშანგი ჩხეიძის შვილიშვილი – ნიკა მითაიშვილი. შარშან ხუთმა რეჟისორმა აიყვანა ჯგუფები და, ისე მოხდა, რომ ჩვენ ერთ ჯგუფში, ბატონ გიზოსთან მოვიყარეთ თავი. დიდი ინტერესია ჩვენი ჯგუფის მიმართ და პასუხისმგებლობაც დიდი გვაქვს. საკუთარ თავზე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ, ჯგუფში ძალიან ნიჭიერი და საინტერესო ბავშვები არიან და მიხარია, რომ ასეთ კარგ ადამიანებთან ერთად ვსწავლობ, მათთან მიწევს მუშაობა და ურთიერთობა, მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

**– ერთმანეთს არ იცნობდით?**

– ჩემს ერთ-ერთ ჯგუფელს, მარიამ ხუხუნაიშვილს საბალეტო სასწავლებლიდან ვიცნობდი, სხვას – არავის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ბებიები და ბაბუები ერთმანეთს იცნობდნენ, ერთად მუშაობდნენ. ბებიაჩემი ნატალია ჯუღელის ოჯახთან ძალიან ახლოს არის, როგორც აღმოჩნდა, თურმე, ნატალიასთანაც მეგობრობს, მაგრამ, ჩვენ ერთმანეთს არსად არ შევხვედრივართ – ისიც შორიდან მინცობდა, მეც და, საბოლოოდ, თეატრალურში გადაიკვეთა ჩვენი გზები, აქ დავმეგობრდით. რა თქმა უნდა, ჩვენი ჯგუფის მიმართ მეტი ინტერესია და უფრო მეტსაც გვთხოვენ. ჩვენს გამოცდებს უფრო მეტი ხალხი ესწრება – აინტერესებთ, რა გავაკეთეთ, როგორც ვიქცევით, რა შეგვიძლია. თან, ბატონი გიზო ჟორდანიას ჯგუფის მიმართ ინტერესი ყოველთვის დიდი იყო.

**– ფოტოები ვნახე, სადაც ჯგუფელებთან ერთად ისვენებ და თქვენთან ერთად ნანუკა ხუსკივაძეც არის.**

– ბობოყვათში არის თეატრალური კოტეჯები და ნანუკა იქ წავიდა, მაგრამ, ვინ მოასვენა?! მე, ნატალია და ბებიაჩემი წავედით ერთად, მაგრამ მერე ბებიას ფილმის გადაღებები დაეწყო და თბილისში დაბრუნდა. მე და ნატალია სასტუმროში მარტოები ვიყავით. ნანუკამ



ერთხელ ერთ ადამიანს ხელიდანაც გავუვარდი, კინაღამ ტვინი დავასხი. ჩვენი დაზღვევა, ძირითადად, ლეიბია ან ბიჭები, მაგრამ, ორივე მტკივნეულია: ლეიბი თხელია, ბიჭები კი უყურადღებოები არიან

– ხომ არ დაგტოვებთო და ჩვენთან გადმოვიდა. კარგი დრო გავატარეთ. ნანუკა თეატრალურში, უპირველეს ყოვლისა, პედაგოგია, იმის გარეთ კი მეგობრები ვართ. რაც მთავარია, შემიძლია, მას ისეთ თემებზე დაველაპარაკო, რაზეც ვერ დაველაპარაკები ვერც დედას, ვერც ბებიას და ვერც მამას. ამიტომაც, სულ ველაპარაკები ასეთ რაღაცეებზე, ოღონდ, მხოლოდ მე არა, მგონი, მთელი ჯგუფი. მეგობრულ და ძალიან კარგ რჩევებს გვაძლევს, ყველაზე კარგი პედაგოგია. ასეთი პედაგოგი, დარწმუნებული ვარ, არავის არ ჰყავს. მისგან იმდენ რამეს ვსწავლობთ... მკაცრიც არ არის და, რაც მთავარია, იცის, თითოეულს როგორ უნდა მოგვიდგეს, როგორ უნდა მოგვაწოდოს ინფორმაცია, რომ სწორად გავიგოთ და შედეგი მიიღოს.

**– ძალიან დატვირთულები ხართ?**

– თითქმის სულ პრაქტიკული მეცადინეობები გვაქვს, თეორიულ საგნებს ცოტას ვსწავლობთ. ოსტატობა რომ იწყება – იწყება და იწყება... თან, ჯგუფში ბევრნი ვართ და დიდხანს გვიწევს იქ ყოფნა. პირველივე კურსზე გვქონდა ეტიუდები და ძალიან მიხაროდა – აღმოვაჩინე, რომ სასცენო მოძრაობა ძალიან მომწონს, გაგიჟებული ვარ. ანუ, ვსწავლობთ სალტოების გაკეთებას, სცენაზე დავარდნას, ადგომას, ახტომას, დაჭერას – ძალიან საინტერესოა. მე კივილით ვიწყებ ხოლმე. ერთხელ, ერთ ადამიანს ხელიდანაც გავუვარდი, კინაღამ ტვინი დავასხი. ჩვენი დაზღვევა, ძირითადად, ლეიბია ან ბიჭები, მაგრამ, ორივე მტკივნეულია: ლეიბი თხელია, ბიჭები კი უყურადღებოები არიან. რთული, მაგრამ საინტერესო საგანია. არაფრისთვის არ მრჩება დრო. ამიტომ, როცა ამ პროფესიას ირჩევ, მზად უნდა იყო იმისთვის, რომ სულ თეატრალურში იქნები. ყველაფერზე უარის თქმა მომიწია, თუმცა, ამასაც მივეჩვიე. ახალი მეგობრებიც მყავს და მათთან დროის გატარება ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ, ჩემი ძველი მეგობრებიდან არავინ არ მელაპარაკება – აპორტესტებენ. მეც მენატრება ისინი, ამიტომ, ზაფხულში ყველა ვნახე და ავინაზღაურე, თან, პენსიონერულად დავისვენე. 22 წლის ვხდები და ხმაურიანი ასაკი ჯერ არ მქონია. უფრო მშვიდად, წყნარად მიყვარს დასვენება, კლუბებში წასვლა ყოველთვის საშინლად მეზარება.

**– ბოლო დროს შენზე ერთი ამბავი გავიგე და მინდა გადავამოწმო. როგორც ამბობენ, შენ და ნიკო გომელაურის შვილი, ჯეჯი, შეყვარებულები ხართ – ხშირად ერთად გხედავენ, „ფეისბუქზე“ ერთად გადაღებული ბევრი ფოტო გიდევთ, ხელიხელჩაკიდებულები ასეირნებთ ძაღლს ასე შემდეგ. როგორც ჩანს, არ ხართ ერთმანეთის მიმართ გულგრილები. რა ხდება თქვენ შორის, შეყვარებულები ხართ?**

– ვინ გითხრა? მე სხვებისგან ამის შესახებ არაფერი გამიგია, საკუთარი თავისგან... არ ვიცი... მე და ჯეჯი ჯგუფელები ვართ, ძალიან კარგი ბიჭია, საყვარელი, გვისამოვნებს ერთად ყოფნა და ხშირადაც ვართ ერთად... ჯერ არ ვსაუბრობ ამ თემაზე, მაგრამ, როგორც კი ამას გადავწვეტ, მაშინვე შენ მოგიყვები.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**განდი**: იცხოვრე ისე, თითქოს ხვალ კვდები, ისწავლე ისე, თითქოს საუკუნოდ იცხოვრებ.

**უაილდი**: განათლება თაყვანისცემას იმსახურებს, მაგრამ, მნიშვნელოვანია, გახსოვდეს, რომ ყველაზე ღირებული რამეები სხვისგან არ ისწავლება.

**მამარდაშვილი**: მტრის ხატი – ესაა დამანგრეველი ფსიქიკური ძალა, იმიტომ რომ, მტერი კი არ იწვევს ეჭვს, ეჭვი შობს მტერს. ეჭვი ჯერ უსაგნოდ არსებობს. ეჭვი ჩემი უძლურებაა. მე მეშინია ყველაფრის, როცა უძლური ვარ. მტერი არის განსხეულება იმისა, რაც ჩემშივეა ფესვგადგმული, როგორც უძლურება.

**შექსპირი**: ღარიბია ის სიყვარული, რომელიც შეიძლება გაიზომოს.

**ლაიბნიცი**: სიყვარული იმას ნიშნავს, რომ სხვის ბედნიერებაში საკუთარი ბედნიერება იპოვო.

**ტოლსტოი**: თუ სიკვდილი საშინელია, ამის მიზეზი ჩვენშია და არა სიკვდილში. რაც უფრო უკეთესია ადამიანი, მით უფრო ნაკლებად ეშინია მას სიკვდილის.

**ჰეროდოტე**: თუ არ გამოითქვა ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები, ველარ შეირჩევა საუკეთესონი.

**ზოლა**: ერთადერთი ბედნიერება ცხოვრებაში – ეს არის განუწყვეტელი სწრაფვა წინ.

**დოდერერი**: ჟურნალისტი ახლომხედველი ისტორიკოსია.

**ნაპოლეონი**: რელიგია რომ არ იყოს, ადამიანები ერთმანეთს დახოცავენ გემრიელი მსხლისა და ლამაზი ქალისთვის.

**გეცკოვი**: ჩვენგან მხოლოდ იმას ირწმუნებენ, რაც ჩვენ თვითონ გვწამს.

**უნგერი**: სამართალს აქვს ერთი ღირსშესანიშნავი თვისება: კაცს, შეიძლება, ის არ ჰქონდეს, მაგრამ, შეინარჩუნოს კი.

**არისტოტელე**: ადამიანი, რომელმაც მიაღწია სრულყოფილებას, ყველა ცხოველზე მაღლა დგას; სამაგიეროდ, ის ყველაზე დაბლა დგას, თუ კანონებისა და სამართლიანობის გარეშე ცხოვრობს. მართლაც, არაფერია უფრო საზარელი, ვიდრე შეიარაღებული უსამართლობა.

**დემოკრიტე**: სიბრძნიდან შემდეგი სამი უნარი წარმოდგება: მიიღო მშვენიერი გადაწყვეტილებანი, უშეცდომოდ ილაპარაკო და გააკეთო ის, რაც ჯერ არს.

**სენეკა**: ყველაფერი სხვას ეკუთვნის, მხოლოდ დრო არის ჩვენი საკუთრება – ბუნებამ ჩვენს გამგებლობას დაუქვემდებარა მხოლოდ ეს მარად მიმდინარე და ცვალებადი საგანი.

**ბუასტი**: ყველა ადამიანს ბედნიერება თავისებურად ესმის, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჭეშმარიტი ბედნიერების გემო არა გვაქვს გაგებული.

**ბელინსკი**: ქალი უმეტესად გულით აზროვნებს, მამაკაცი კი – გონებით.

**ლაკლო**: არ არსებობს ამქვეყნად ქალი, ბოროტად რომ არ გამოიყენოს მიღწეული ძალაუფლება.

# თუ გაგმოიცნობთ

1. ფეხებით „ხმის მიცემა“ მეჩვიდმეტე საუკუნეში ინგლისიდან ირლანდიელთა ემიგრაციიდან იღებს სათავეს, ინგლისის პარლამენტში კი დღემდე აძლევენ ხმას „ფეხებით.“ **როგორ?**

2. როდესაც ცნობილმა ნატურალისტმა ლევენჰუკმა პეტრე პირველს ეს „მხეცები“ აჩვენა, მეფეს იმდენად შეეზიზღა, რომ რუსული არმიის ჯარისკაცებს უბრძანა გაენადგურებინათ ისინი ათასობით, თანაც, ყოველ დილით. **რა „მხეცები“?**

3. ტანზანიელები ერთ-ერთ მთას „ბიულებიულეს“ უწოდებენ, რაც ითარგმნება როგორც „ნელ-ნელა.“ მართლაც, კლიმატური პირობების გამო, იქ მხოლოდ ასეთი ტემპით სიარულის შედეგად შეიძლება მოხვდე. სწორედ ამ გეოგრაფიული ობიექტის სახელი გამოიყენა ერნესტ ჰემინგუეიმ 1936 დაწერილი მოთხრობის სათაურში. **დაასახელეთ ეს მოთხრობა.**

4. დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი დიდი საძიებო სისტემა – ეს არის კომპიუტერული ტექნოლოგია, რომელსაც პოლიცია იყენებს მსხვილი დანაშაულების გასახსნელად. მისი დანერგვის დროს ხელისუფლება ნამდვილად ფიქრობდა, რომ ის საუკეთესო გამომძიებლებს შეცვლიდა, რაზეც ამ სისტემის სახელის აბრევიატურა მეტყველებს. **დაასახელეთ ის.**

5. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დანტისტმა შეფილდმა გაიცნო ერთ-ერთი მხატვარი, რომლისგანაც აიღო და მცირე მოდერნიზაციის შემდეგ დაიწყო იმის გამოშვება, რაც დღესაც წარმატებით გამოიყენება. შეფილდი არ იყო ბიზნესმენის ნიჭით დაჯილდოებული და მისი იდეა მოგვიანებით ნიუიორკელმა აფთიაქარმა – ქოლგეითმა დააპატენტა. **რა?**

6. ბოსხის ნახატზე – „სულელების ხომალდი“ – ადამიანები გამოსახულნი არიან გემზე, რომელსაც არ აქვს ორი ელემენტი, რაც სიმბოლურად გამოსახავს უმიზნო გზას, ცხოვრების უაზროდ გავლას. **დაასახელეთ ეს ელემენტები.**

7. ვარაუდი, რომ გოლიათმა ბოლო ბრძოლა იმის გარეშე ჩაატარა, რაც, ბიბლიის მიხედვით, პატარა მოუვიდა, ამტკიცებს ვერსიას, რომ მას ჰორმონული დარღვევა ჰქონდა. ამ აზრს ამყარებს ისიც, რომ კარავაჯომ და დორემაც ტილოებზე იგი უამისოდ გამოსახეს. **დაასახელეთ, რა მოუვიდა პატარა ამ ბიბლიურ გმირს.**

8. დადგინდა, რომ ადამიანების ამ უსაყვარლესი პროდუქტის 4 უნცია კლავს ძაღლს. **დაასახელეთ ეს პროდუქტი.**

9. 1931 წლის ზაფხული ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი დეპრესიითა და უჩვეულო სიცხით აღინიშნებოდა. კინოთეატრებში გადიოდა „ცისფერი ანგელოზი,“ რომელშიც მთავარ როლს მარლენ დიტრიხი ასრულებდა, მაგრამ, ფილმს არავინ ესწრებოდა. **რის შემდეგ დაიწყო ხალხმა კინოში სიარული, რითაც გადარჩა ფილმიც და, როგორც ამბობენ, ამერიკაც?**

10. პირველად ეს ძეგლი პარიზში დადგეს, შემდეგ კი ეს მონუმენტი სულ სხვა სახელმწიფოს ემბლემად იქცა, თუმცა, იქ მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენის შემდეგ, თითქმის ყველგან გაანადგურეს. **რა?**

***პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ყირგიზებს აქვთ „მანაესი“, ტაჯიკებს – „გურგული“, თურქმენებს – „გეროგლი“, სომხებს – „დავით სასუნცი“, ესტონელებს – „კალევიპოეგი“, ბერძნებს – „ილიადა“ და „ოდისეა“, ქართველებს – „ამირანი“... მითები.

* ინდოეთის მუმბაის რკინიგზის კატასტროფებში ყოველწლიურად 3 500 კაცი იღუპება.

* მიუხედავად იმისა, რომ ჩკალოვი მფრინავი იყო და ზღვაოსნობასთან საერთო არაფერი ჰქონდა, ნიჟნი ნოვგოროდში მის პატივსაცემად დადგმულ ქანდაკებაზე გამოსახულია ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის რუკა.

* სანამ გერმანული ქარხნის – „ცეკოვას“ პროდუქცია – საბავშვო ეტლი მყიდველამდე მივა, გამოსაცდელად, ის საათში 4 კილომეტრი სიჩქარით 1 500 მეტრს გადის, ამასთან, რიტმულად ირყევა.

* მუმბაიში, ბამბუკებითა და პლასტმასებით შეკოწიწებულ ბარაკებში, 7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს.

* ჩულმიკას მარცხენა შესართავი – ეს მდინარე სამხრეთ-აღმოსავლეთ ციმბირშია. მისი სიგრძე 380 კილომეტრია, აქედან 114 კილომეტრი ნაოსნობისთვის გამოსადეგია და ხეების დასაცურებლადაც იყენებენ... სხვა მდინარეებისგან არაფრითაა გამორჩეული, თუმცა, მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო მოკლე სახელით – „იაია,“ რაც რუსულად ორი ასოთი იწერება – ЯЯ.

* ზოგიერთი ქვეყნის დასახელება სულაც არ ემთხვევა მსოფლიოში გავრცელებულს. მაგალითად, კორეელები თავიანთ ქვეყანას „ჩოსონს“ უწოდებენ, ალბანეთი კი ალბანურად „შკიპტარიუსია.“

* ოჰაიოს შტატის, კუიუჰოს ოლქის შერიფს უბრძანეს, შეეწყვიტა სხვადასხვა დანაშაულისთვის ბრალდებული 4 982 პირის ძებნა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ... ციხეებში არ იყო ადგილი.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ეd5-g5!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



– გუშინ დავთვერი... ძლივს მივაღწიე სახლამდე...
– ო, აბა, მოგხვდებოდა ცოლისგან...




– არაფერიც! მე ხომ გიყვებოდი კულტურული გამოთქმების შესახებ, ჰოდა, დაიწყო თუ არა შემოტევა, ვუთხარი: საყვარელო, კარგად იცი, რომ ეს ჩემი მეორე ქორწინებაა. შენი გამოთქმებიდან კი ვხვდები, რომ უკანასკნელიც არ უნდა იყოს-მეთქი და... მაშინვე გაჩუმდა.

***

პლაკატი ტრასაზე: „გახსოვდეთ, ბოძები მანქანებს მხოლოდ თავდაცვის მიზნით აზიანებენ!“

***

– სიმართლე გითხრა, სიამოვნებით ჩავებმეოდი შენთან ინტელექტუალურ დუელში, მაგრამ, ვხედავ, შენ იარაღი არ გაქვს...

***

შუაღამისას საუნაში გოგონებთან რამდენიმე ბიზნესმენი ერთობა... ერთ-ერთ მათგანს ცოლი ურეკავს:
– საყვარელო, სად ხარ?
– ვერ წარმოიდგენ, ძვირფასო, როგორ პრობკაში მოვყევი...
– აბა, დააპიპინე!

***

ერთმა ფრანგმა დედოფალმა გადაწყვიტა, თავისთვის ფავორიტი აერჩია და გამოაცხადა, რომ მისი რჩეული გახდებოდა ის, ვინც ორაზროვან, პიკანტურ და გალანტურ ფრაზას ეტყოდა. გაიმარჯვა მარკიზმა, რომელმაც დედოფალს ასე მიმართა:
– თქვენო უდიდებულესობავ, თქვენს ფეხებს ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს და მეც მინდა, მათ შორის აღმოვჩნდე.

***

ქმართან პაემნის შემდეგ ცოლმა ციხის უფროსთან მოითხოვა შეხვედრა და სთხოვა, ქმრისთვის უფრო მსუბუქი სამუშაო მიეცათ.
– მუყაოს ყუთების დაწებებაზე ჯერ არავის უთქვამს, მძიმეაო...
– მაგაზე არა, მაგრამ, მითხრა, ღამით გვირაბს ვთხრიო...

***

– გამოვედივარ კლუბიდან და... ვიღაცა ძუკნამ ხელზე არ დამაბიჯა?!

***

მხოლოდ ის არ იგინება, ვინც არაფერს აკეთებს...

***

– ვერ მეტყვით, რომელი საათია?
– საათი არ მაქვს... თუმცა, მქონდა, მტვერგაუმტარი, წყალმედეგი და დარტყმას რომ უძლებდა, მაგრამ...
– მერე?
– დამეწვა...

***

ცოლი ქმარს აფთიაქში პრეზერვატივისთვის გზავნის და ეუბნება, ორი პიპეტკაც წამოიღეო. ქმარი გაცოფებული ბრუნდება:
– მაგ აფთიაქში მეორედ აღარ შევალ.
– რა ხდება?
– ორი პრეზერვატივი მომეცი-მეთქი, ვეუბნები. არა გვაქვსო. მაშინ, ორი პიპეტკა-მეთქი და სიცილისგან ისე ჩაბჟირდა, ძლივს მოასულიერეს...

***

სალონში მამაკაცი და ბიჭუნა შემოდიან.
– შევკრიჭო?
– დიახ.
დაიწყო სტილისტმა თავისი საქმე, ამ დროს მამაკაცი ეუბნება:
– გავალ, გაზეთს ვიყიდი, ახლავე დავბრუნდები...




დაამთავრა სტილისტმა თავისი საქმე. მამაკაცი არ მოდის...
– სად წავიდა ამდენხანს მამაშენი?
– ის მამაჩემი არ არის, – ცოტა შეშინებული პასუხობს ბიჭი, – ეგ ბიძია ქუჩაში მოვიდა ჩემთან და მითხრა, გინდა, უფასოდ გაგკრიჭოო?

***

გოგონა გადატვირთულ ავტობუსში ცდილობს ასვლას, ვერ ახერხებს... უკან ქვედაბოლოს „ზმეიკა“ შეიხსნა და ცდილობს, ფეხი როგორმე დადგას... კიდევ უფრო ჩაწია „ზმეიკა“ და ამ დროს უკან მდგომმა მამაკაცმა ხელში აიყვანა და ავტობუსიდან ჩამოსვა...
– რას აკეთებთ, როგორ ბედავთ?
– მე ვბედავ?! თქვენ ორჯერ გამიხსენით შარვალი და მე ეს, რა თქმა უნდა, მინიშნებად ჩავთვალე...

***

ხომალდი, რომელზეც სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფია, ერთი თვეა, ზღვაშია. გემზე მყოფები ნელ-ნელა სმას შეუდგნენ. სამეცნიერო ხელმძღვანელმა ყველანი ბორტზე შეკრიბა:
– სიტუაციიდან გამომდინარე, ლოთობის ალკვეთის მიზნით, მთელ ალკოჰოლურ სასმელს ზღვაში გადავყრით.
სიჩუმე ჩამოვარდა. უკანა რიგებიდან გაისმა ხმა.
– სწორია! მთელი სასმელი ზღვაში უნდა გადაიყაროს!
– თქვენ, მყვინთავებს არავინ გეკითხებათ! – უცბად აყვირდა ყველა.

***




ძვირფასო Google! თუ შეიძლება, ნუ იქცევით ჩემი ცოლივით, დამამთავრებინეთ წინადადება და მერე დაიწყეთ კითხვების დასმა და რჩევების მოცემა.

***

– სად გაიცანით ერთმანეთი?
– აფთიაქში... ხუთი პრეზერვატივი მომეცით-მეთქი... ამან კი, რიგში ჩემ უკან იდგა და – ბარემ, ოცი აიღეო... მეც ავიღე, მივუბრუნდი და ვკითხე, დაგელოდო-მეთქი? მოგიწევს დალოდებაო და აფთიაქარს ერთი შეკვრა საფენი შეუკვეთა...

***

– ალო, ეს „კაგებეს“ ანონიმური ტელეფონია?
– დიახ, ბატონო ზაურ...

***

როდესაც ქმარი ბინაში უწესრიგობაზე მიგითითებთ, მოიყვანეთ აინშტაინის ციტატა: „მხოლოდ სულელს სჭირდება წესრიგი – გენიოსები ქაოსზე ბატონობენ“.

***

თეატრის გარდერობში ცოლი ეჩურჩულება ქმარს:
– გაგიჟდი? მეგარდირობეს ათლარიანს რატომ აძლევ?
– სამაგიეროდ, ნახე რა პალტოა...

***

ყველაზე დიდი სიამოვნებაა – გააკეთო ის, რისი გაკეთებაც, სხვების აზრით, არ შეგიძლიათ.

***

გუშინ მეზობელმა ელექტრობურღი ინათხოვრა ჩემგან... უკვე მეოთხე დღეა, არც მიბრუნებს, არც იყენებს, რადგან, ხმა არ მესმის... მთავარი კი ის არის, რომ დილაობით ველარ ვბურღავ...

**კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი**

**მიიღეთ**

**ლაქტო-ჯი**

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ცოლისგან განწირული ლოთი გურგენა და ნუნუცას ამაო გარჯა

არა, ძმაო, არც ოქტომბრის არჩევნებმა მოუტანა ხალხს ნანატრი ბედნიერება საქართველოში.

ვითომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა დაგვეწყო, მაგრამ, როგორც მოვლენები აჩვენებს – ესეც ფუჭი მცდელობა გამოდგა.

„დიდმა ჩრდილოელმა დათვმა“ პირიქით, უფრო და უფრო შემოუჭირა მარწუხები ქართველთა ტერიტორიას.

მოკლედ:

რუსმა „ძმებმა“ რომ მავთულხლართობანა გააჩაღეს, იმ ტერიტორიის მახლობელ ერთ პატარა სოფელში ცხოვრობს ცოლ-ქმარი გურგენ შინდისაშვილი და ნუნუცა.

გურგენა ისეთი ჯეელია, რომ დღეში სამჯერ თვრება. არც მუშაობა აინტერესებს, არც „ჯეოსელის“ გაუთავებელი რეკლამები... „კურიერი“ ქაჯანა ჰგონია და, მგონი, არც აქუს იცნობს. ცოლი, თავგადამკვდარი მეოჯახე ნუნუცა ვერაფერს აწყობს. ისეთი სიტუაციაა, ფრთიან გამოთქმაში რომ არის: „ნუნუცა – მუშაი, გურგენა – კუშაი“. ვერაფერი გააწყო საწყალმა ქალმა და ერთ მშვენიერ დღეს, ქალური ალღოთი რაღაც მოტვინა. შეუთანხმდა მეზობელ თალიკოს და გეგმა შეიმუშავეს.

საღამოა. გურგენამ ძლივს მოათრია ფეხები სახლში და „სეტკა-კრაოტში“ ჩაეხეთქა მოწყვეტით.

ქალები, ვითომ თავისთვის საქმიანობენ – ჭორაობენ, რა!..

გურგენა გაბრაზდა, ღვინო-არყით დატენილ-ჩასისხლიანებული თვალებით გადახედა დედაკაცებს – რაღაცა უბედურების დატრიალება აქვს გუნებაში, მაგრამ, ძალა არ მოსდევს, თან, ძილისპირსაა და დასიცხული ღორივით მძიმედ სუნთქავს... მოკლედ, შარი უნდა, მაგრამ „ერთი ადგილი“ არ აქვს.

ქალებმა ჩურჩულს უმატეს ამის გასაგონად.

– გო, – ეუბნება მეზობელი ნუნუცას, – იმ მიწაში ჩასავარდნელ რუს სალდათებსა, ჩემი თვალით ვნახე, ერთი იაშჩიკი არაყი მოუტანიათ, მავთულხლართებ რო ჭიმავენ იქა... უფროსმა არ გაიგოსო და იქვე მიწაში ჩამარხეს... ჩემი თვალითა ვნახე, ქა... ხვალ არ მუშაობენ,




კვირაა. ზეგ ამოთხრიან და ჩუმათ დალევენ...

გურგენას გამოცოცხლება დაეტყო...

– მთელი ყუთი, ქალო? – (ვითომ) ეკითხება ნუნუცა, ერთი იაშჩიკი?

– მაშ, ქა, მთელი იაშჩიკი, მაშ?!

გურგენამ იფიქრა, ნაღდად „გარიაჩკა“ დამეწყო, მე ამის დედაცო, მაგრამ, ყური გაიმამაცურა... ქალები აშკარად იმას ამბობდნენ, რაც გულით სურდა. გარიაჩკაა? იყოს გარიაჩკა... ახლა თუ გადავრჩი, კაი ოთხი თვე კიდევ ვიცოცხლებო, – იფიქრა და მარჯვედ მოკალათდა ლოგინში.

... დილაადრიან, ბარით ხელში გამოვიდა ჭიშკრიდან და მხნედ გაუდგა გზას.

– ქა, – ეკითხება მეორე მეზობელი, ლამზირა, ნუნუცას, – შენი ქმარი როგო გამოკეთებულა, დილაადრიან მიდის ნაკვეთში, ქა!

ამანაც (ნუნუცამ) აუხსნა: ასეა და ასეო.. ჩუუო, ჩუო...

– უი, ქაა, რო დაიჭირონ რუსებმა, მერე, შენ მაგის გამოსასყიდი საიდანა?

– დაიჭერენ და ჭირრი მაგასა! მეც ეგ მინდა! გამოვისყიდი არა, კიდევ რა უნდა?! პუტინს უნდა ვაჩუქო ეგა ჩემგანა! ამბობენ, ქართლშია გაზრდილი და, მა, ერთი საჩუქარი არ ეკუთვნის ჩემგანა? ეკუთვნის... ერთი გურგენა გინდ მყოლია, გინდ არა! ჰყავდეს და ღმერთმაც მოახმაროს!

ნუნუცამ, ჩვეულებრივ, მთელი დღე შრომაფუსფუსში გაატარა. გურგენას ჩამი-ჩუმი არაა. სიმშვიდეა ეზო-გარემოში...

გაიხარა: აღსრულდა! აღსრულდა!

„დაიჭერდნენ... დაიჭერდნენ, მა რა ჭირი დაემართებოდათ, ქა... რუსები მაგას არაყს შეაწერინებდნენ?! სწორედ რომ... მაგის ჩიტები არიან – პლენ! – და, მორჩა!“

დაღამდა. გურგენა არ ჩანს...

– მორჩა! მორჩა! აღსრულდა! დიდება შენდა, ღმერთო! – პირჯვარი გადაიწერა ნუნუცამ და ის იყო, ლოგინში უნდა შეწვეს, ჭიშკარი უსიამოდ გაჭრიალდა.

– შატილიიი ასულოოო! – იცნო ქმრის ჩახრენწილ-ჩაგლეჯილი ხმა, – ლერწააამოო... აჰაა, ბლიად! – გაიღვიძე, შე ჩათ...

ქალი წამოხტა და ჭიშკარს მიაწყდა.

გურგენას ერთ ხელში (ისიც საქმე და ვაჟკაცობაა, რომ არ დაკარგა) ბარი უჭირავს და მეორით მეზობელ კოლა კოროხტაძეს მოათრევს.

– არ დაგიჭირეს, კაცო?! – წამოსცდა ნუნუცას.

– ვის უნდა დავეჭირე, ქალო, ვისა?! ეგეე, სამუშაოდ მივდიოდი ბარითა, ესა კიდევ (მიმითითა ამფსონზე) ჭანჭური არაყსა ხდიდა... რა ჩემი ფეხები მინდოდა იმ ჩათლახ რუსებთანა? კარგადა ვართ, აბა, სუფრა გაგვიშალე აქა, ჩემო ლერწამო...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ქართულ ავტოტრანსპორტში გარკვეული ჩინელი ბიჭის წერილი დედას

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? მე არა მიშავს, ვცხოვრობ ძველებურად.

იმ შემთხვევისათვის, თუ ოდესმე ამ ქვეყანაში მოხვდები, მინდა, აგიხსნა, რა ტრანსპორტით შეიძლება აქ გადაადგილება.

ყველაზე იაფი ტრანსპორტი ყვითელი ავტობუსია, რომლებიც, როგორც წესი, ბოლომდე ხალხით გამოტენილები დადიან და, ღმერთმა არ ქნას, ბილეთის აღება ვერ მოახერხო, თორემ, ასევე ყვითელ ტანსაცმელში ჩაცმული კონტროლიორი კინწისკვრით ჩამოგაგდებს შუა ქუჩაში და ჯარიმას გამოგიწერს. თუ პასპორტი სახლში დაგრჩა, ისეთ დღეში ჩაგაგდებენ, ამქვეყნად გაჩენას ინანებ. ქართველებს არ უყვართ ბილეთის აღება და ძირითადად უფასოდ უნდათ გადაადგილება, თუმცა, დაჯარიმება ძალიან დიდ სირცხვილად მიაჩნიათ. კონტროლიორთან ადამიანური და წყნარი ლაპარაკი აქ არასდროს მომისმენია. მის შენიშვნაზე უბილეთო მგზავრები ვეფხვებივით დააკვესებენ ხოლმე თვალებს, ოდნავი წინააღმდეგობის შემთხვევაში კი, შეიძლება, ხუთი კაცი მიესიოს კონტროლიორს და მაგრად სცემოს. დაკვირვებული ვარ, თითქმის ყველა კონტროლიორს წინა კბილი აკლია. აღარც ისვამენ ახალს, რადგან, არ არის გამორიცხული, მეორე დღეს იგივე დაემართოთ და ფული ტყუილად რატომ უნდა გადაყარონ! კიდევ ერთი ტრანსპორტია – მეტრო, სადაც სპეციალური ბარათის გარეშე ვერ ჩახვალ. შეიძლება, სამ წელიწადში ერთხელ მოგიწიოს ჩასვლა მეტროში, მაგრამ, ის ბარათი აუცილებლად უნდა გქონდეს. მეტროშიც გამოტენილია ხოლმე ვაგონები, თუმცა, ჩვენს ჩინურ ჭყლეტას ვერ შეედრება. მეტროში ჩასვლა ღამით ძალიან საშიშია, რადგან, იქ მყოფი თითქმის ყველა მგზავრი მთვრალია და, ჩინური გარეგნობის დანახვაზე სისხლი უდუღდებათ. თავიანთი ვაჟკაცობისა და მამაკაცური ძალის გამოყენების საშუალებას ხელიდან არ უშვებენ და შეტევაზე გადმოდიან. შედარებით ნორმალური მგზავრობის საშუალებაა მიკროავტობუსები, რომლებსაც ქართველები „მარშრუტკებს“ ეძ-




ახიან. შედარებით ძვირია, მაგრამ, სამაგიეროდ, უსაფრთხოა. იქ იშვიათად ხდება ცემა-ტყეპა და წივილ-კივილი. ყველაზე ძვირი სატრანსპორტო საშუალება კი ტაქსია. უცხოური გარეგნობის დანახვაზე ტაქსის მძღოლებსაც მადა ეხსნებათ და სანამ არ დავარწმუნებ, რომ აქაური ვარ, მანამდე ფასს არ ანახევრებენ. გაგიკვირდება, მაგრამ, ყველა ტაქსის მძღოლი უმაღლესი განათლების მქონეა, ზოგს ორი დიპლომიც კი აქვს და ხშირად თან დააქვთ, რომ მგზავრებს აჩვენონ. ყველა მძღოლი ძალიან კარგად ერკვევა პოლიტიკაში და თითოეულ მათგანს ერთხელ მაინც ჰქონია სექსი მგზავრ ქალბატონთან.

ჯერჯერობით ეს არის სულ, დედა, მერე კიდევ მოგწერ.

**გკოცნით**
**თქვენი ტობი ვონგი**

კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა) დისბაქტერიოზი

მიიღეთ

ლაქტო-ჯი

www.laqto.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.